ბერნარდ ლივეხუდი

ბავშვის განვითარების ფაზები

გამომცემლობა „აწმყო"
კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ბრუნვას ორმ
საჭიროებენ

თბილისი
2002

ბერნარდ ლივეხუდი
ბავშვის განვითარების ფაზები
თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია მარინა ბულიას მიერ.
გამომცემლობა „აწმყო". კავშირი ადამიანებისთვის
განსაკუთრებულ გრუნვას რომ საჭიროებენ.
ტელ. 77-63-07. თბილისი 2002.
© მარინა ბულია. 2002
ISBN 9999 28-877-5-3

თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია ინგლისური
გამოცემიდან:
Bernard Lievegoed. Phases of Childhood
translated from the eighth
edition of 1985 by Tony Langham and Plym Peters
Floris Books, Edinburgh 1987.
© Floris Books, Edinburgh, 1987.

ორიგინალი გამოქვეყნდა ჰოლანდიურ ენაზე:
Bernard Lievegoed
Ontwikkelingsfasen van het kind
Uitgeverij Vrij Geestesleven, Zeist 1946.
© Uitgeverij Vrij Geestesleven, Zeist 1985.

კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ გრუნვას რომ
საჭიროებენ - სოციალური თერაპიის სახლი - გამომცემლობა
„აწმყო" მადლობას უხდის Stichting Bernard Lievegoed Fond-ს და
ბატონ Rudolf Mees-ს ქართული თარგმანის გამოსაქვეყნებლად
გაწეული დახმარებისთვის.

Association for People in Need of Special Care - Dayhome of Social Therapy - Publishing office "Acmko" have the pleasure to express the deep gratitude to Stichting Bernard Lievegoed Fonds and to Mr. Rudolf Mees for supporting the publishment of georgian translation of the book.

The book is printed in Georgia by Dayhome of Social Therapy.

დაბეჭდილი და აკინძულია სოციალური თერაპიის სახლში.
თბილისი, ძმები უბილავების ქ. 8.

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
შესავალი	9
1. განვითარების სამი ფაზა	16
2. ფიზიკური განვითარების საფეხურები	24
3. ბავშვი სარძევე კბილების მოცვლამდე	53
4. სარძევე კბილების მოცვლიდან პუბერტეტამდე	90
5. განვითარება პუბერტეტის შემდეგ	110
6. ადამიანის სამშვინველის შრეები	130
7. მეს განვითარება	145
8. აზროვნების საფეხურები	166
9. გრძნობის საფეხურები: მხატვრული განვითარება	189
10. ნების განვითარება: მორალი	200
11. მემკვიდრეობითობა და ინდივიდუალიზაცია	215
12. აღზრდა და თვითაღზრდა	223

წინასიტყვაობა

ვინც კრიტიკულად გადაიკითხავს დიდი ხნის წინ, მეორე მსოფლიო ომისას, დაწერილ წიგნს, არ აღმოჩნდება სახარბიელო მდგომარეობაში. ფაქტობრივად, მან მთელი წიგნი ხელახლა უნდა დაწეროს. ამასობაში მეცნიერება ერთ ადგილას ხომ არ გაჩერებულა და არც ავტორის ცენტრალური ინტერესები დარჩენილა უცვლელი.

ამ წიგნის ხელახლა გადაკითხვისას თვალწინ მიდგება ომისდროინდელი სინამდვილე, როდესაც ცხოვრება მეტად ინტენსიური იყო; როდესაც ვეძებდით „მოგვიანებით“ უკეთესი მსოფლიოს აშენების გზებს.

უცნობი მომავლის შენება დამახასიათებელი იყო ვალდორფის სკოლის მოძრაობისათვის, რომელიც წარმოებდა ფარულ სასწავლო კურსებში ახალგაზრდებისათვის, რომელნიც ემალებოდნენ ნაცისტებს და მომავალში მასწავლებლობას აპირებდნენ.

წინამდებარე ნაშრომი შედეგია კურსისა, რომელსაც იმ პერიოდში ვატარებდი ამ ახალგაზრდებთან. მე დრო არა მაქვს მისი ხელახლა დასაწერად; დღევანდელობასთან მისადაგების ყოველ მცდელობას კი ხელახლა დაწერა მოჰყვება. ამიტომ იგი ქვეყნდება მინიმალური შესწორებებით ახალგაზრდა მშობლებისა და მასწავლებლების თხოვნით.

ამ ხნის მანძილზე შეიცვალა ბავშვის გარემო. ასევე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თავიანთი გზის საპოვნელად მინიჭებული თავისუფლების ხარისხი.

ამის განსახორციელებლად კი მთავარია გამგებიანი დაკვირვება მოზრდილთა მხრიდან.

ბ.ლივეხუდი

შესავალი

ყოველი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური სკოლა ემყარება გარკვეულ ფილოსოფიას და ცალკეულ *აპრიორულ* დაშვებებს. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ამგვარ საფუძველს უარყოფენ.

ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ფსიქიკის, ადამიანის სამშვინველის შესახებ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ესმით ფსიქიკის ანუ სამშვინველის ქვეშ.

პედაგოგიკა განისაზღვრება კაცობრიობის მსოფლმხედველობით და აღზრდა-განათლების მიზნით. სამშვინველის ცნება სრულიად სხვადასხვაგვარად ესმოდათ სხვადასხვა კულტურებში, ისტორიულ პერიოდებსა და მიმდინარეობებში. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას ეფუძნებოდა გაბატონებული განწყობა – თეოლოგიას, ფილოსოფიას, თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. XIX საუკუნის ბოლოს უსამშვინველო ფსიქოლოგიის პერიოდიც კი არსებობდა. სადღეისოდ „მეცნიერული“ ფსიქოლოგია კვლავაც დამოკიდებულია იმ სკოლასა თუ მიმდინარეობაზე, რომელსაც ემხრობა ესა თუ ის ფსიქოლოგი. ფაქტია, რომ ფსიქოლოგიური კვლევისას მხოლოდ ის პასუხები შეგვიძლია ვიპოვოთ, რომელთა შესაბამისი კითხვები *აპრიორულადაა* წამოჭრილი (ცნობიერად თუ *არაცნობიერად*).

პედაგოგიკასთან მიმართებით ზემოთქმული უფრო მეტად არის ძალაში: ვინაიდან მასწავლებელი

არაა უბრალოდ ცნობისმოყვარე დამკვირვებელი, არამედ აქტიური პიროვნებაა და მისი მოღვაწეობის მიმართულება და შინაარსი განისაზღვრება მის მიერ დასახული მიზნით.

ეს მიზანია ზრდასრული ადამიანი, რომელმაც უნდა განაგრძოს კულტურა და გადასცეს იგი მომავალ თაობებს. ამის გამო ყოველ კულტურულ პერიოდს საკუთარი პედაგოგიური იდეალი გააჩნდა.

ბერძნებისათვის ამგვარი იდეალი იყო გიმნასტი, არა დაკუნთული კაცი, არამედ ფიზიკურ-სულიერად ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი, რომლის სხეული სულის ინსტრუმენტად იყო ქცეული.

ბერძნული აღზრდა-განათლება მიმდინარეობდა პალესტრაში ტანვარჯიშის საშუალებით და ასევე ორკესტრაში – საცეკვაო ადგილებში, სადაც ბერძენი ყრმები მუსიკის თანხლებით ასრულებდნენ რიტმულ ცეკვებს და სწავლობდნენ გარკვეული სულიერი ღირებულებების ჟესტებით გამოხატვას.

პლატონი კიდევაც აცხადებდა, რომ სახელმწიფო მუსიკის საფუძველზე უნდა იყოს ორგანიზებული: რაც უკეთესია მუსიკა, მით უკეთეს სახელმწიფოს წარმოშობს იგი. არკადიელებისათვის მუსიკა საკალდებულო საგანი იყო 30 წლის ასაკამდე.

რომაელების იდეალი აღზრდისას იყო რიტორი, რიტორიკის ოსტატი, ვისაც შეეძლო სხვათა დარწმუნება საკუთარი არგუმენტებით და ამ გზით სახელმწიფოს მართვაში დახმარების გაწევა. რომაული იდეალი პრაქტიკული, პოლიტიკური ბუნებისა იყო, სახელმწიფო კი მოქალაქეთა უმნიშვნელოვანესი შემოქმედება იყო.

გვიანი შუა საუკუნეებიდან დღევანდელ დღემდე იდეალი იყო პროფესორი – ის, ვინც ბევრის მცოდნეა: „ცოდნა ძალაა“.

XIX საუკუნის განმავლობაში, როცა მეცნიერულმა რევოლუციამ ცხოვრების ყველა ასპექტი მოიცვა, ფსიქოლოგია და პედაგოგიკაც კი ვერ ასცდა მის ზეგავლენას.

აღიარებული იყო ევოლუციის დარვინისეული თეორია და მისი წყალობით ადამიანის იდეალი გახდა ჯარისკაცი, „ყველაზე შეგუებულის გადარჩენა“. პედაგოგიკა ამ იდეალს ემსახურებოდა.

ინდუსტრიალიზაციის შედეგად „სპეციალისტის“ „პრაქტიკული იდეალი“ გაჩნდა. აღზრდა-განათლებამ რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს სპეციალიზაცია, რათა დაამკვიდროს იდეალი „წარმოების ჯაჭვის“ პიროვნებისა, რომელიც, ფაქტობრივად, რთული ეკონომიკური მექანიზმის ჭანჭიკს წარმოადგენს.

ინდივიდის შესახებ ამ მატერიალისტური შეხედულების შედეგია რაც შეიძლება მეტი ცოდნის დაგროვება, იმ მიზეზით, რომ ცოდნა ძალაუფლების ტოლფასია და არა იმიტომ, რომ მას სიბრძნისკენ მივყავართ.

დღესდღეობით პედაგოგიკაც აზროვნების გაბატონებული სკოლების პირმშო არის. ხოლო ისინი, ვინც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი აღზრდა-განათლებასთან და მხოლოდ აგზავნიან თავიანთ შვილებს სკოლაში, უსიტყვოდ ეთანხმებიან XX საუკუნის აღმზრდელობით იდეალს.

ბრძოლა სწავლების გამო ამტკიცებს, რომ მშობლებს სურთ თავიანთი შვილების იმ იდეალებზე აღზრდა, რომელთაც თავად იზიარებენ. ნეიტრალური, პროტესტანტული ანდა კათოლიკური აღზრდა სხვადასხვა ზეგავლენას ახდენს და სხვადასხვა იდეალებს ნერგავს, ვინაიდან მასწავლებლები განსხვავებულად ზემოქმედებენ ბავშვებზე.

აღზრდა-განათლების გამო ბრძოლა მუდამ პროგრამის *შინაარსს* როდი ეხება, არამედ XIX საუკუნიდან ფართოდ აღიარებულ შეხედულებას, რომ ბავშვი არის tabula rasa (ცარიელი დაფა) და მან რაც შეიძლება ეფექტური გზით უნდა შეიძინოს გარკვეული ცოდნა. სასწავლო პროგრამამ ძალზე მაგერიალისტურ-ინდივიდუალური ხასიათი შეიძინა.

აქ არავითარ ან ძალზე მცირედ როლს თამაშობს ის იდეალი, რომ ადამიანი ჰარმონიულ პიროვნებად უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც, ერთი მხრივ, ივითარებს *პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს*, მეორე მხრივ, კი ხდება *მშვენიერების, სიბრძნისა და კულტურის* მატარებელი. მდგომარეობის შესაცვლელად სასწავლო პროგრამა სრულიად განსხვავებულ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.

სხვადასხვა სკოლებთან დაკავშირებით, რომელნიც სხვადასხვაგვარად განმარტავენ ერთსა და იმავე ტერმინებს, ან ძალზე თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებენ გარკვეულ სიტყვებს, არსებითია მოკლედ შევეხოთ იმ ფილოსოფიას, რომელსაც ემყარება წინამდებარე ნაშრომი. ასევე უნდა განვმარტოთ ზოგიერთი სიტყვა, როგორიცაა სამშვინველი და სული.

ჩემს მიერ წარმოდგენილი მოსაზრება ბავშვის განვითარების შესახებ ეხმიანება რუდოლფ შტაინერის მიერ XX საუკუნეში პედაგოგიკის სფეროში განვითარებულ გოეთესეულ თვალსაზრისს. თავად რუდოლფ შტაინერს ფსიქოლოგიაში არ შეუქმნია სისტემატური სკოლა. 1919-1925 წლებში, როდესაც მას ჯერაც შეეძლო დაემუშავებინა საკუთარი თეორია აღზრდის შესახებ, მასწავლებლებთან საუბრებისას და საკუთარ ლექციებში იგი ზოგადი პედაგოგიკით შემოიფარგლა.

ამ შესავალში ძალზე მოკლედ შევეხები უმთავრეს პუნქტებს და ყურადღებას მიეპყრობ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია წინამდებარე ნაშრომის გასაგებად.

ადამიანი არ არის არსება, რომელიც მარტოოდენ ფიზიკური გაგებით იბადება და ფიზიკური სხეულიდან ივითარებს გარკვეულ სულიერ მახასიათებლებს, რომელნიც განსაზღვრულნი არიან მემკვიდრული ფაქტორებით. ადამიანი არის არსება, რომელიც ორი სამყაროს მკვიდრია – მატერიალურ-ფიზიკურისა და ღვთაებრივ-სულიერის.

ბავშვი ამქვეყნად მოდის მემკვიდრეობით მიღებული სხეულითა და სულიერი ინდივიდუალობით (ენტელექიით). იგი სულიერი არსება არის და თავისი საკუთარი სულიერი სტრუქტურა გააჩნია. ეს დებულება ემყარება ლოკისეული ტრადიციისგან განსხვავებულ აპრიორულ შეხედულებას, რომლის (ლოკის) მიხედვითაც ცხოვრების მიმდინარეობა მარტოოდენ გენეტიკური პოტენციალითა და გარემოს ზეგავლენით განისაზღვრება.

ადამიანის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაში არსებობს როგორც გენეტიკური, ისე ბიოგრაფიული პოტენციალი. უკანასკნელი ცნობიერებაში თავს იჩენს როგორც ჩვენი მე, ჩვენი არსების უშინაგანესი ბირთვი.

მე რეალობის სახით განიცდება ფსიქიკაში, ადამიანის სამშვინველში. ლტოლვები და მოთხოვნილებები აღმოცენდება ფიზიკური ასპექტებიდან და დაკმაყოფილებას ეძიებს. ისინი აღწევენ სამშვინველში და განიცდებიან იქ. ამგვარად, ადამიანის სამშვინველი სტიმულებსა და შინაარსს ორი წყაროდან იღებს: ჯერ ერთი, ფიზიკური სამყაროდან ძირეული ლტოლვებისა და შეგრძნებების გავლით; მეორეც, სულიერი სამყაროდან მეს მეოხებით. სული (მე) და ნივ-

თიერება (სხეული) ერთმანეთს ხვდება შუალედურ არეში, ადამიანის სამშვინველში. ეს შუალედური არე ფსიქოლოგიური კვლევის საგანს შეადგენს.

ეს შეგვიძლია შემდეგი სქემით წარმოვადგინოთ:



აქ მე, ინდივიდუალობა არის ღვთაებრივი სულიერი სამყაროს ნაწილი, სტრუქტურა, სხეული კი არის ფიზიკური სამყაროს ნაწილი, სტრუქტურა.

ამდენად, ადამიანი დანახულია როგორც სამწევროვნება, სხეულით, სამშვინველითა და სულით.

სამშვინველის, როგორც ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტის, ცნება განსხვავდება სხეულისა და სამშვინველის დუალისტური გაგებისაგან.

თავის ნაშრომში „*ადამიანის ესთეტიკური აღზრდისათვის*“ შილერმა თავისი ფსიქოლოგია დააფუძნა ადამიანის შესახებ სამწევროვან თვალსაზრისს. მან განასხვავა „სულიერი სწრაფვა“, მეს ინდივიდუალური პრინციპი, ანუ *ფორმისკენ სწრაფვა* და *ნივთიერებისაკენ სწრაფვა*, ფიზიკური სხეულიდან აღმოცენებული ლტოლვები და მოთხოვნილებები. ამ ორს შორის შემოქმედებითი ადამიანი ავითარებს თავის ჭეშმარიტ მშვინვიერ ელემენტს: *თამაშისკენ სწრაფვას*.

გასულ საუკუნეში ფსიქოლოგია ინტერესდებოდა ადამიანის მხოლოდ ფიზიკური მხარის ზეგავლენით სამშვინველზე. იგი ან შეგრძნებების ფსიქოლოგიას წარმოადგენდა (მთელი XIX საუკუნე), ან ფსიქოლოგიას დაფუძნებულს მოთხოვნილებებზე (ფსიქოანალიზი, ინდივიდუალური ფსიქოლოგია). შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იქნა აღმოჩენილი. დროდადრო კი გამოკრთებოდა ხოლმე ინდივიდის, მაკომბინირებელი პრინციპის კვლევები, როგორც მაგ., გეშტალტფსიქოლოგიაში და მორალურობით დაინტერესებულ მიმდინარეობებში.

წინამდებარე ნაშრომში ნაცადია ბავშვის განვითარების შესწავლა ზემოხსენებული თვალთახედვით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბედნიერი, ბრძენი და დახელოვნებული ადამიანები მხოლოდ მაშინ იარსებებენ, როცა აღზრდა-განათლება თავიდანვე გაითვალისწინებს სხეულის, სულისა და სამშვინველის განვითარებას.

მომდევნო თავები იმ ლექციებისა და კურსების შეჯამება არის, რომლებიც ტარდებოდა ომის წლებში დაინტერესებული მშობლებისა და ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის. ამიტომ წიგნიც მსგავს მკითხველზე არის ორიენტირებული. აქ არაა გავლებული პარალელები სხვა კვლევებთან. პროფესიონალი ისედაც გამოიცნობს, თუ რომელი იდეები შეადგენს თანამედროვე ფსიქოლოგიის ნაწილს და თუ სად არის განვითარებული ახლებური მიდგომა. არაპროფესიონალისთვის კი შეიძლება დამღლელი ყოფილიყო ტექსტის გაწყვეტა, რათა სხვა ავტორთა მოსაზრებების ციტირება მომხდარიყო.

1.განვითარების სამი ფაზა

ასაკობრივი ფსიქოლოგია უაღრესად ფართო სფეროს მოიცავს, რომელსაც მრავალი კუთხით შეგვიძლია მივუდგეთ. ამგვარ ნაშრომში ეს, ცხადია, შეუძლებელია. ჩვენი მიზანია, მოვახდინოთ კონცენტრაცია ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების ცალკეულ ასპექტებზე და დავალაგოთ ფაქტები მათი ორგანული ურთიერთმიმართებების მიხედვით.

შემდგომ თავებში აღწერილია განვითარების ფიზიკური და მშვინვიერი ეტაპები. სამშვინველის განვითარება ეყრდნობა ბავშვის ურთიერთდამოკიდებულებას გარემომცველ სამყაროსთან.

წიგნის მეორე ნახევარი ეხება პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე არის აღზრდისათვის. ეს კეთდება ნაშრომის პირველ ნახევარში გამოკვეთილი თვალთახედვიდან.

ბავშვის განვითარებისათვის თვალის მიდევნება ჩვილობიდან ზრდასრულობამდე, 21 წლის ასაკამდე, სამ უმთავრეს პერიოდს ცხადყოფს: პირველია ჩვილობის ფაზა, როდესაც ბავშვი მთლიანად მშობლიური სახლითაა გარემოცული და „დედის ფრთის ქვეშ“ არის; მეორე ფაზაა, როდესაც იგი სამყაროში გადის და სახლთან ერთად სკოლაც ხდება მისი ცხოვრების ნაწილი; მესამე ფაზა მოსდევს დაწყებით სასკოლო პერიოდს და მომავალი კარიერისათვის მზადებას ეძღვნება.

იგივე პერიოდები შეიძლება გამოვყოთ ბიოლოგიური კუთხითაც. პირველია დაბადებიდან კბილების მოცვლამდე; მეორეა კბილების მოცვლიდან პუბერტეტამდე; მესამე კი პუბერტეტიდან ზრდასრულობამდე.

თითოეული პერიოდი დაახლოებით შვიდ წელს გრძელდება.

ცხადია, შეინიშნება განსხვავებები ცალკეულ ბავშვებს, ასევე გოგონებსა და ბიჭებს შორის. ამაზე უფრო სრულად ქვემოთ ვისაუბრებთ. და მაინც, ზოგადად სამი ძირითადი პერიოდი შეგვიძლია გამოვყოთ.

ჯერ აღვწეროთ ბავშვის მიმართება გარემომცველ სამყაროსთან ამ სამი პერიოდის განმავლობაში.

პატარა ბავშვისათვის დამახასიათებელია გარე სამყაროსადმი დიდი გახსნილობა. იგი რაიმე განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე ახდენს გარემოდან ყველაფრის ასიმილირებას და უსაზღვრო ნდობით ეგებება სამყაროს. იგი სამოთხისეული უმანკოებით ცხოვრობს სამყაროში, სადაც კეთილი და ბოროტი მჭიდროდაა ურთიერთგადაჯაჭვული.

ყველა გრძნობის ორგანო ღიაა და ბავშვი შინაგანი აქტივობით რეაგირებს, რაც გამოიხატება იმიტაციასა თუ მიმიკრიაში. იგი მიბაძვით სწავლობს მეტყველებას და ამით მისთვის ადამიანური სულიერებისაკენ იხსნება გზა. იმიტაციის მეოხებით იგი სწავლობს ყოველივე სასარგებლოსა თუ უარყოფითს, რაც კი დამახასიათებელია ადამიანთა ურთიერთობისათვის. მომავალ ზნეობრიობასაც უფრო ფაქიზი იმიტაციის წყალობით ეყ-

რება საფუძველი.

ამ თვალსაზრისს არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ბავშვი შემოქმედებითი არის ადრეულ ასაკში. მაგრამ გარემომცველ სამყაროსთან მისი დამოკიდებულება ეფუძნება ისეთ ნდობასა და ღიაობას, რაც აღარ არსებობს მოგვიანებით. განსხვავება აშკარა გახდება, თუკი შევადარებთ სამი წლის ბავშვს ცხრა-ათი წლისას. დაახლოებით ცხრა წლისათვის ბავშვს უკვე გააჩნია თავისი პატარა სამყარო, სადაც ის ცხოვრობს. იგი ზღაპრულ ბაღს ჰგავს, რომელსაც მაღალი ღობე აქვს შემოვლებული და რეალური სამყაროსაგან გამოყოფს მას.

საკუთარ სამეფოში ბავშვი მეფეა და როგორც ზღაპარში, მისთვის ყველაფერი შესაძლებელი არის, რაზეც კი იოცნებებს. საიმედო კედლებს შიგნით იგი რგავს ყვავილებს ზღაპრულ ბაღში, სადაც ნაირ-ნაირი უმშვენიერესი მცენარეები შეიძლება ხარობდეს. გარე სამყარო მხოლოდ ფრაგმენტულად შეიძლება აღწევდეს აქ. გარემოს ელემენტები ბავშვს შემოაქვს საკუთარ სამყაროში და ცვლის მათ, რათა მოარგოს მას. ამ საფეხურზე ბავშვს ბევრი მეგობარი ჰყავს. იგი ეძებს ამხანაგების წრეებს, თუმცაღა ამ პერიოდში დამყარებული მეგობრული კავშირები ჯერაც ზედაპირულია. ისინი არ არიან ღრმა და განსაზღვრულნი არიან სხვებთან ერთად თავის საკუთარ სამყაროში ცხოვრებისა და თამაშის მოთხოვნილებით.

თავისთავად, ბავშვი ბედნიერია. იგი მხოლოდ მაშინ არის უბედური, როდესაც ისეთ შთაბეჭდილებებს იღებს გარემოდან, რომელთა გათავისებაც არ ძალუძს. ისინი მძლავრად იჭრებიან ბავშვში და

იგი აღგილს ვერ უჩენს მათ. შემდეგ ეს შთაბეჭდილებები იზოლირდება და გარშემოირტყმება პატარა კედლით, ანდა გარკვეული ხნის შემდეგ გარდაიქმნება და უჩვეულო გზით ასიმილირდება. პირველ შემთხვევაში რჩება განცდათა არაასიმილირებული ნაშთი, რომელმაც მოგვიანებით შეიძლება მშვინვიერ ცხოვრებაში დარღვევები გამოიწვიოს.

მხოლოდ მესამე პერიოდში, პუბერტეტისას, ხდება ამ კედლების ნგრევა და ისინი თანდათან დაშლას იწყებენ. მხოლოდ ახლა აღმოჩნდება ყმაწვილი შიშველი რეალობის პირისპირ. მას სურს შიგნიდან დაეუფლოს სინამდვილეს და ძალუძს ეს, რადგანაც წინა პერიოდის განმავლობაში სულიერი ერთიანობა მოიპოვა. საკუთარ სამყაროში მან აღმოაჩინა ცენტრი, რომელსაც უკავშირდება ყოველივე და რომლისგანაც გამოდის ყოველივე: ბავშვის საკუთარი მე. ამ ცენტრიდან გადის იგი გარე სამყაროში და ცდილობს მიუსადაგოს ის საკუთარ ნორმებს. ბავშვი სოციალურად აქტიური ხდება. ამ საფეხურზე იგი ნამდვილ მეგობრულ კავშირებს ამყარებს და სხვა პიროვნებებს როგორც ინდივიდუალობებს ეძებს.

სქემატურად ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:



პერიოდი პირველი პერიოდი მეორე პერიოდი მესამე

ამ სქემით ნაცადია შემდეგი იდეის ილუსტრირება:

პირველ პერიოდში გარე სამყაროსთან ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართება მყარდება გარედან შიგნით. მაგრამ აქედან გამომდინარე განცდები თავდაპირველად არაა ასიმილირებული მეს მიერ. მეორე პერიოდის მანძილზე ბავშვი ჩაკეტილი ერთეულია. ძალები მეს ცენტრიდან პერიფერიისკენ მიედინება. გარე სამყარო დაუბრკოლებლივ ვერ აღწევს შიგნით, იგი უბრალოდ შთაბეჭდილებას ახდენს საზღვარზე და მხოლოდ „მონელების“ პროცესის შემდეგ ასიმილირდება. მესამე პერიოდისას მთავარი მიმართულება შიგნიდან გარეთაა. ყრმა ცდილობს, დაიმორჩილოს და შეცვალოს გარე სამყარო. მხოლოდ ზრდასრულობის მიღწევის შემდეგ ხდება აქტივობის ამ ცალმხრივი მიმართულების გაწონასწორება, რადგანაც გარე სამყარო კვლავ შემოდის შიგნით და მოზრდილი ღია ხდება მისდამი. ეს უზრუნველყოფს ცხოვრებისეულ გამოცდილებებს.

ამდენად, მეოთხე საფეხური შეიძლება აღიწეროს როგორც ზრდასრულობის წონასწორობა, სადაც გარეთ მიმართული აქტივობა ენაცვლება გარედან შიგნით მომავალ განცდებს.



პერიოდი მეოთხე



პერიოდი მეხუთე

მეოთხე საფეხური მიიღწევა მხოლოდ მოზრდილობისას ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით. ამიტომ მას არ შევეხებით ბავშვის განვითარების განხილვისას.

ამ სქემას მეხუთე ეტაპიც შეგვიძლია დავუმატოთ. ამ დროს გარეთ მიმართული აქტივობა თანდათან კლებულობს და ხანდაზმულობისას პიროვნება ცხოვრობს მის მიერ უკვე გათავისებულის გახსენებით. ამის შედეგია ჭვრეტიანი (კონტემპლაციური) სიბრძნე, რომელიც დამახასიათებელია ჯანსაღი ხანდაზმულისთვის. იგი დიდად ჰგავს პაგარა ბავშვს. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ გარე სამყარო ახლა მეშია ჩაწნეხილი.

განვითარების ამ ხუთი შესაძლო ეტაპის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ არსებობს გარკვეული წონასწორობა როგორც მეორე, ისე მეოთხე პერიოდში. ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და როგორც ვნახავთ, მეორე ეტაპი ხანგრძლივი მეოთხე ეტაპის მომზადებას წარმოადგენს.

ეს მეორე პერიოდი ბავშვის ფსიქოლოგებისათვის საფრთხობელას წარმოადგენს. თუ გადავხედავთ ლიტერატურას, რომელიც შეეხება პირველ საფეხურს, პუბერტეტს, პუბერტეტისშემდგომ წლებს, ვნახავთ, რომ ამ შუალედურ ასაკს ძალზე მცირე ყურადღება ეთმობა. ფსიქოანალიზში წონასწორობის ამ ფაზას ზოგჯერ ლატენტურ პერიოდს ეძახიან. მისი ჩაკეტილი ხასიათისა და შინაგანი წონასწორობის გამო იგი ნაკლებ ინტერესს იწვევს და აკლია თვალშისაცემი ნიშან-თვისებები. და მართლაც, ამ ფაზის მიმართ კვლევის სხვა მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ბავშვის გარშემო შეუვალ კედელს წააწყდა ამ პერიოდში, თუმცაღა მან ასე უხვად მოჰფინა შუქი პირველი ფაზის საინტერესო ასპექტებს. მხოლოდ პედაგოგიური ფსიქოლოგია ახდენდა სხვების მიერ შეგროვებული ფაქტების გადამუშავებას.

მესამე პერიოდისას ახალგაზრდა პიროვნებას კვლავ შეუძლია საკუთარი თავის გამოხატვა და გარე სამყაროს შეუძლია აღმოაჩინოს, თუ რა ხდება მის სამშვინველში პუბერტეტისას და მის შემდეგ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ განვითარება ლატენტური პერიოდისას ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წინარე ან შემდგომი ფაზებისას.

ზემოთ მოკლედ მოვხაზეთ სამი ძირითადი პერიოდი. თითოეულის ბოლოს შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მომდევნოს ელემენტები. ბავშვი უკვე ემზადება მისთვის. არსებობს გარდამავალი პერიოდი ჩვილი ბავშვიდან სკოლის ასაკის ბავშვისკენ, ასევე პუბერტეტისწინა პერიოდი, როდესაც პუბერტეტის საფეხური უკვე მოინიშნება. უფრო დეტალურად ამას მომდევნო თავებში განვიხილავთ.

აქამდე ჩვენი ამოსავალი წერტილი სოციალური იყო. მაგრამ ეს სამი პერიოდი ოდნავ განსხვავებულადაც შეგვიძლია დავახასიათოთ, თუ პატარა ბავშვიდან ამოვალთ: პირველი პერიოდისას ბავშვი უმთავრესად მიბაძვითაა დაინტერესებული; მეორე პერიოდი ემოციური განვითარების ხანაა; მესამე კი იდეების პერიოდია.

ყოველი ფსიქოლოგი, ვინც დაინტერესებულია ბავშვის განვითარების კანონებით, განვითარების გარკვეულ ეტაპებს გამოყოფს. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა ეტაპებს გამოყოფს, რადგანაც თითოეულ მათგანს განსხვავებული თვალთახედვა გააჩნია და ამდენად სხვადასხვა ფუნქციებს იკვლევს. ყოველი დიფერენციაცია სწორია მოცემული თვალთახედვის მიხედვით. მაგრამ ისინი არასრულნი არიან და არ არსებობს ყოვლისმომცველი შეჯამება, რომელიც მკაფიოდ აგვიხსნიდა, თუ როგორ შეიძლება ამ თეორიების გაერთიანება უფრო დიდ მთლიანობად.

ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ნაცადია, მივუდგეთ ბავშვის განვითარებას მრავალი ხვადასხვა თვალსაზრისით და ერთმანეთს შევადაროთ მიღებული სქემები. შინაგან და გარე სამყაროს შორის ურთიერთობის შესწავლა აკლენს შვიდწლიან პერიოდებს, რაც შეესაბამება ბიოლოგიურ განვითარებას. თუ აზროვნების, გრძნობისა და ნებელობის ფუნქციებს ცალ-ცალკე შევისწავლით, მაშინ სხვა საფეხურები წარმოჩნდება. იგივე ითქმის მესა და მეხსიერების განვითარების კვლევაზე.

მხოლოდ ყველა ამ ასპექტის შეერთების შედეგად მივიღებთ სინთეზს, სადაც შესაძლებელია გავარჩიოთ ორმხრივი ზემოქმედებები და მივიდეთ მოქნილ თვალთახედვამდე, რომელიც მსგავსია ფილმისა, სადაც რამოდენიმე წუთში არის ნაჩვენები მცენარის ზრდა თვეების მანძილზე. აქ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ იშლება ფოთლები ერთმანეთის მიყოლებით, შეგვიძლია დავაკვირდეთ სწრაფი და ნელი ზრდის პერიოდებს, კვირტის გამოსვლასა და ყვავილობას.

ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი გონების თვალით ავაგოთ ამგვარი სურათი ბავშვის განვითარებისა ისე, რომ შევძლოთ დავაკვირდეთ პროგრესს არა მარტო ფიზიკურ ზრდასთან, არამედ ფსიქიკის განვითარებასთან მიმართებითაც.

თუ გვსურს, შეკქმნათ მთლიანი სურათი, მაგ., რვა წლის ასაკისა, შეგვიძლია დავსვათ ამგვარი კითხვები: ფიზიკური განვითარების რა სტადიაზე იმყოფება რვა წლის ბავშვი? რა საფეხურზეა აზროვნების პროცესები, გრძნობები და ნებელობა და რამდენადაა განვითარებული მე? მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი, მოვნახოთ შესაფერისი აღმზრდელობითი საშუალებები და სწორი სასწავლო მასალა. ასევე შესაძლებელი იქნება დავადგინოთ, თუ რამდენად სწორი იყო ინტუიციური აღზრდა.

2. ფიზიკური განვითარების საფეხურები

ჩვილობიდან ზრდასრულობამდე ბავშვის განვითარების სამ ძირითად, დაახლოებით შვიდწლიან, პერიოდად დაყოფისას მხედველობაში ფსიქიკის განვითარება გვქონდა.

პირველ რიგში ვნახოთ, თუ რამდენად გააჩნია ამ პერიოდებს ფიზიკური ბაზისიც, რასაც ბავშვის აღნაგობის ცვალებადობა ცხადყოფს.

პუბერტეტისას მიმდინარე ცვლილებები საკმარისადაა აღწერილი. ცვლილებები შვიდი წლის ასაკში კი ჩვეულებრივ ხასიათდება მხოლოდ სარძევე კბილების მოცვლით, თუმცაღა ეს მხოლოდ ნაწილია ამ ასაკში მიმდინარე ცვლილებებისა.

ცელერმა დეტალურად აღწერა ბავშვის აღნაგობის ცვალებადობა ამ ასაკში და ამ აღწერის ილუსტრაცია მოახდინა ფოტოების არაჩვეულებრივი კოლექციით, რომელთაგან ზოგიერთი წარმოდგენელია ამ თავში. ყველაფერთან ერთად ცელერმა აღნიშნა სიცოცხლის მეშვიდე წლის უდიდესი მნიშვნელობა. ამ დროს მიმდინარე ფიზიკური ცვლილებები ისევე რადიკალურია, როგორც პუბერტეტისას.

მას შემდეგ, რაც შგრაგცმა პირველად შეისწავლა ბავშვის ზრდა, აღიარებულ იქნა, რომ ფიზიკური განვითარება მიმდინარეობს რიგმული ეტაპებით, სადაც კიდურების წაგრძელება ენაცვლება სიგანეში შევსებას. ამ პერიოდების განმავლობაში საგრძ-



ნახ. 1. სხეულის პროპორციების სქემა შგრაგცის მიხედვით





ნახ. 2. ბიჭი და გოგონა, 7 წლის ასაკში. ბიჭთან ნათლად ჩანს ხერხემლის S-სებრი მოყვანილობა.

ნახ. 3. 8 წლის ასაკი. სიგანეში მეორედ ზრდის დასაწყისი. თავის სხეულთან პროპორცია 1:6,25.



ნახ. 4. ნორმალური განვითარება გეიერის მიხედვით.

ა. პირველად ზრდა სიგანეში (საბავშვო ბაღის ბავშვი).
ბ. სიმაღლეში პირველად ზრდა (სკოლის ასაკის ბავშვი, 7 წელი).
გ. სიგანეში მეორედ ზრდა (9 წელი).
დ. სიმაღლეში მეორედ ზრდა (12 წელი, პუბესცენსი).

ნობლად იცვლება სხეულის ნაწილების ურთიერთთანაფარდობა.

ფიზიკური სხეულის პროპორციები განსაკუთრებით კარგად მხატვრებისთვისაა ცნობილი. ზრდასრული ადამიანის თავი მთლიანი სხეულის სიგრძის 1/7-1/8 არის.

კლასიკურ პროპორციად ითვლება 1:8, რომელიც, ჩვეულებრივ, 1,80 მ სიმაღლის ადამიანებს ახასიათებთ.

უფრო დაბლებს ოდნავ განსხვავებული პროპორცია აქვთ. ჩვილი ბავშვის თავისა და სხეულის თანაფარდობაა 1:4; თავი სხეულის მთლიანი სიგრძის მეოთხედს შეადგენს.

ეს პროპორციები კარგად ჩანს შტრატცის ცნობილ დიაგრამაში (ნახ. 1). იგი განასხვავებდა შემდეგ პერიოდებს:

განვითარების პირველი პერიოდი: 0-7 წლები.

1. 0-1 ჩვილი ბავშვი
2. 2-4: სიგანეში პირველად ზრდა
3. 5-7: სიგრძეში პირველად ზრდა (სკოლის ასაკის ბავშვი)

ბავშვის განვითარების მეორე პერიოდი: 8-20 წლები

4. 8-10: სიგანეში მეორედ ზრდა.
5. 11-15: სიგრძეში მეორედ ზრდა (გოგონებში 11-14, ბიჭებში 13-15).
6. 15-20: მომწიფება (სიგანეში მესამედ ზრდა).

მოგვიანებით ჩვენ დავუბრუნდებით შტრატცის დიაგრამას, სადაც თავი სხეულის 1/4, 1/5, 1/6, 1/7-სა და 1/8-ს წარმოადგენს. აღნაგობის ცვლილება უფრო დაწვრილებითაც შეიძლება აღიწეროს. გარკვეული

ხარისხით ეს ცელერმა მოახდინა. მან განასხვავა სამი საფეხური პირველი შვიდი წლის განმავლობაში, რომელთაგან თითოეული სპეციფიკური აღნაგობით ხასიათდება. მათ შეიძლება დავუძახოთ ჩვილის, პაგარა ბავშვისა და გარდამავალი აღნაგობა. ჩვეულებრივ, სკოლის ასაკის აღნაგობას ბავშვი შვიდი წლის ასაკში აღწევს.

მეორე პერიოდი იწყება სკოლის ასაკის აღნაგობით. რვიდან ათ წლამდე ხდება სხეულის სიგანის შეცვლა და აღმოცენდება ახალი, პუბერტეტის მომასწავებელი აღნაგობა.

მესამე პერიოდი იწყება პუბესცენსის ფიგურით, რასაც მოსდევს სიგანეში ზრდის მესამე პერიოდი, შემდეგ კი აღნაგობა მომწიფებულობას აღწევს. ეს პროცესი მთავრდება თვრამეტი წლის ასაკში, როცა ახალგაზრდა კაცი ანდა ქალი ნელ-ნელა განაგრძობს განვითარებას ზრდასრული ადამიანის აღნაგობისკენ.

აშკარაა, რომ აღნაგობის ეს მეტამორფოზები ემთხვევა ფსიქიკის განვითარების პერიოდებს.

ჩვენ შევეცდებით, აღვწეროთ ადამიანის აღნაგობის განვითარების ეს პერიოდები.

2.1. ჩვილი

ჩვილის ფიგურის დამახასიათებელი ნიშანია დიდი თავი. მანძილი ნიკაპიდან თხემამდე მთელი სხეულის სიგრძის მეოთხედს შეადგენს. იგივე მანძილია ჭიპამდე. თავის შედარებით დიდი ზომა მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილად მკაფიო, თუ ჩვილს ზრდასრული ადამიანის ზომისას წარმოვიდგენთ. ზევით აწეული ხელებით ჩვილი ერთმანეთს ვერ აღებს თითის წვერებს.

თვალების შემაერთებელი ხაზი თავის შუახაზზე საგრძნობლად დაბლაა, სხვა სიტყვებით, თავის ქალა საკმაოდ აღემატება სახის ზომას. სახის ქვედა ნახევარი, ქვედა ყბა, პატარა და უკან წაწეულია. სახის შუა ნაწილი შედარებით განვითარებულია, თუმცა ცხვირი ოდნავ ჩანს. დიდი გუმბათისებრი შუბლი კი უზარმაზარია და შთამბეჭდავი. თვალები დიდია და მათ უდიდეს ნაწილს ფერადი გარსი შეადგენს. ყურის ზედა წერტილი გუგების შემაერთებელი ხაზის დონეზეა ისე, რომ ყურები საგრძნობლად ქვემოთ არის დაწეული.

ნაკვთები ჯერაც მომრგვალებული და რბილია, ზედა ტუჩი ბუშტივითაა გაბერილი – წოვის შედეგი. თავი ისევე განიერია, როგორც მთელი გულმკერდი, რომელიც ჯერაც ცილინდრულია და უფორმო, პირდაპირ გადადის რა მუცელში. როგორც ყველა მეანესათვისაა ცნობილი, გულმკერდის გარშემოწერილობა მეტია თეძოებისაზე. მკლავები მოკლეა და მეტნაკლებად ისე მიჰყვება ტანის ზრდას, რომ დაახლოებით თეძოებამდე ჩამოდის. საჯდომი და ფეხები ყველაზე ნაკლებადაა განვითარებული. ფეხები თავის სიგრძის 1,5-ს შეადგენს (რაც წარმოუდგენელია მოზრდილთან). ისინი მრგვალია, დამახასიათებელი ნაოჭებით ბარძაყების შიდა მხარეს.

ამდენად, სხეულის ზედა ნახევარი წინ უსწრებს ქვედას: თავი ტანს, მხრები საჯდომს, თავის ქალა სახის სტრუქტურას, თვალის ბუდეები ქვედა ყბას და ასე შემდეგ.

ჩვილის ფიგურისათვის დამახასიათებელია კისრის, ფაქტობრივად, არარსებობა. მრგვალი თავი თითქმის პირდაპირ ზის ტანზე, მხოლოდ რამოდენიმე ნაოჭი არის მათ შორის.

ჯანმრთელი ჩვილის კანი გადაჭიმულია მსუქან



ნახ. 5. ერთი წლის ასაკი



ნახ. 6. 2 წლისა და 8 თვის ასაკი.



ნახ. 7 და 8. 3წლისა და 4 თვის ასაკი

ხორცზე. სახსრები ძლიერაა ამოღრმაებული, თითქოს მათ გარშემო ელასტიური სარტყელია. კუნთები ჯერ განუვითარებელია და არ ჩანს კანქვეშ.

ბავშვის ამგვარი ფიგურა ნარჩუნდება დაახლოებით პირველი წლინახევრის განმავლობაში. მეორე წლის ასაკში ზრდის ხასიათი იცვლება. სხეულის ქვედა ნაწილები მეტად იწყებს განვითარებას, ზედა ნახევრის პროპორციული სიდიდე მცირდება.

2.2. პატარა ბავშვი

ამის შედეგად თანაფარდობა იცვლება. ახლა ბავშვს საკმაოდ განსხვავებული პროპორციები აქვს. ამგვარი ფიგურა მას უნარჩუნდება ორნახევრიდან ხუთ წლამდე.

თავის სხეულთან თანაფარდობა ხდება 1:5, ნაცვლად 1:4-ისა ჩვილ ბავშვთან. ამდენად, სხეული თავზე უფრო სწრაფად გაიზარდა, თუმცა ამ უკანასკნელმაც მოიმატა სიდიდეში. სხეულის შედარებით დიდი სიგრძე უმთავრესად ტანის ზრდის შედეგია. ჩვეულებრივ, პატარა ბავშვის ტანი სიგრძეში უფრო მეტად მატულობს, ვიდრე ფეხები, თუმცა ზოგჯერ ფეხებიც ისევე იზრდება, როგორც ტანი და ისინი ერთი და იმავე სიგრძის ხდებიან. და მაინც, ამ დროს ჯერაც არ შეიმჩნევა ფეხების ძლიერი ზრდა.

ტანის ზრდის გამო, განსაკუთრებით სიგანეში (სიგანეში ზრდის პირველი პერიოდი), პატარა ბავშვის დამახასიათებელი ნიშანია დიდი მუცელი, როგორც თავი იყო დამახასიათებელი ჩვილისათვის.

ტანი ცილინდრულია, ზურგი ჯერ კიდევ სწორია, ჯერაც არ შეიმჩნევა ხერხემლის S-სებრი მოყვანილობა, ასე დამახასიათებელი შემდგომი წლებისათვის. მუცელი მსუქანია, მკაფიო ნახევარწრისებრი

ნაოჭით ქვემოთ. გულმკერდი შეუმჩნეველად გადადის მუცელში, ბავშვს ჯერაც არა აქვს წელი. ნეკნების კუთხე ქვემოთ ჯერ კიდევ ბლაგვია. საჯდომი ისევე განიერია, როგორიც მხრები.

ჩვილთან შედარებით პატარა ბავშვის კისერი ოდნავ გამოკვეთილი ხდება, მაგრამ თავი ჯერაც პირდაპირ მხრებზე ზის.

კანს ფორმას ჯერ კიდევ კანქვეშა ცხიმი აძლევს და კუნთები არ ჩანს. მაგრამ ბარძაყების ნაოჭები ქრება, ისევე როგორც „ბალიშები" ხელ-ფეხზე. სახსრები კიდურებთან მიმართებით ერთ ხაზზე მდებარეობს, ღრმულები გამქრალია.

თავი შედარებით პატარაა, როგორც ეს ჩანს პროპორციიდან 1:5. თვალები ჯერაც სახის შუახაზის დაბლაა, ისე რომ დიდი შუბლი კვლავ დომინირებს.

ნიკაპმა ოდნავ წამოიწია წინ და სახემ მეტი გამომეტყველება შეიძინა. მაგრამ ზედა ტუჩი მაინც ქვედაზე უფრო წინაა წამოწეული, ნაკვთები რბილი და უფორმოა. თვალები ნდობით შესცქერის სამყაროს და მზად არის უპასუხოს სიხარულითა თუ უარყოფით.

კიდურები მომრგვალებული და მსუქანია. მოძრაობებიც ასევე მომრგვალებულია, ისინი არ არიან მიზანდასახულნი და ამდენად კუთხოვანნი. ნახ. 6, 7, 8 გვიჩვენებს სამი წლის პატარა ბავშვს.

2.3. სკოლისათვის მზადყოფნა

დაახლოებით ხუთი წლის ბავშვის აღნაგობა დრამატულად იცვლება. ესაა სიგრძეში პირველად ზრდის წლები, რაც ძირითადად ფეხებს ეხება.

მაშინ, როცა ბავშვს გააჩნია ბავშვური სახის ნაკვთები და დამახასიათებელი მუცელი, კიდურები

გრძელდება და წვრილდება. მსუქანი ზედაპირი ქრება, კუნთები ხილული ხდება კანქვეშ, სახსრები დამოუკიდებელ ნაწილებად იკვეთება. განსაკუთრებით მუხლები ხდება უფრო მოქნილი. მუხლის ღრმული (patella) დასანახი ხდება და წვივის ძვლების ფართო ბოლოებიც შეინიშნება.

ცხვირი, თუმცაღა ჯერაც პატარა, ოდნავ უფრო დიდია, ზედა ტუჩი ჯერაც წინაა წამოწეული.

ესაა ასაკი, როცა ბავშვი მზადაა სკოლისთვის, როცა მისი თამაში იცვლება, ხდება უფრო მიზანდასახული, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

ბავშვის მოძრაობებიც კუთხოვანი ხდება და მიზანმიმართული. იგი ძალზე მოძრავი ხდება და საკმაოდ სხვაგვარად დადის. ნაცვლად ბარბაცისა, იგი ნამდვილ ნაბიჯებს ადგამს. განსაკუთრებით დიდია სხვაობა, როცა ის დარბის.

თანდათან ტანი უფრო თხელი ხდება და იწყებს ორ ნაწილად გაყოფას. ვითარდება წელი, რომელიც გამოყოფს მუცელს გულმკერდისაგან. ხოლო ეს უკანასკნელი ვიწროვდება ქვემოთკენ. ნეკნების კუთხეები უფრო მახვილი ხდება, გულმკერდის ძვალი იმალება გულმკერდის კუნთებს შორის. მუცელი ბრტყელდება და ნახევარწრისებრი ნაოჭი მის ქვეშ ნაკლებად გამოკვეთილი ხდება.

ხერხემალი S-სებრ მოყვანილობას იღებს და უფრო მოხდენილი ხდება. გულმკერდის გარშემოწერილობა დიდდება. ლავიწის ძვლები უფრო გამოიკვეთება და ღრმულები წინ წამოსწევს ზედა მხრის ძვლებს. ზურგზე უფრო გამოკვეთილი ხდება ბეჭის ძვლები, კისერი გრძელდება და უფრო მეტი მოძრაობის საშუალებას აძლევს თავს.

ცელერი შემდეგნაირად აღწერს ამ გარდაქმნას: „სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობა შეიძლება თვი-

სებრიად შეეადაროთ პატარა ბავშვისას. განსხვავება არ ამოიწურება მხოლოდ განზომილებების ცვლილებით – ცვლილებები მოიცავს მთელს ფსიქოფიზიკურ პიროვნებას. ახალი ფიზიკური სტრუქტურის მთავარი ასპექტია მოტორული ფუნქციების დომინანტობა".

2.4. სკოლის ასაკი

დაახლოებით შვიდი წლის ასაკში სახეც იწყებს ნიშანდობლივ ცვლილებას. ამ დროისათვის სკოლის ასაკის აღნაგობა უკვე განვითარებულია და ბავშვი შედის მეორე მთავარ სტადიაში.

თავი ნაკლებად იზრდება დანარჩენ სხეულთან შედარებით და თანაფარდობა ახლა არის 1:6. თვალები სახის ზემოთაა ისე, რომ შუბლი ნაკლებად დომინანტურია – თვალები პატარავდება და სხვა გამომეტყველებას იძენს; ისინი უფრო მომლოდინენი, ცნობიერნი და კრიტიკულნი არიან. ზედა ტუჩი აღარაა ქვედაზე წინ წამოწეული, პირი უფრო თხელია, მოკუმული და ნაკლებად ღია. ზოგადი შთაბეჭდილება არის მოხდენილი სიმკვირცხლის, მსუბუქი, მოხერხებული მობილურობის, ელეგანტურობის, რაც აკლდა პატარა ბავშვს. ძალზე ხშირად ამ დროს ბავშვები ერთობ გამხდრები არიან და სიგრძეში მატების გამო არასაკმარისი წონა აქვთ. ბავშვი ახლა ცხოვრების სრულიად ახალ სტადიაში შედის.

პატარა ბავშვი მთლიანად იმყოფებოდა მშობლიურ მფარველ გარემოში, სადაც დედა ფარავდა მის უმწეობას. სკოლის ასაკის ბავშვმა გამოინთავისუფლა თავი ამ შეზღუდული სამყაროსაგან როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.ახლა მას შეუძლია ორივე ფეხით შეაბიჯოს ერცელ სამყაროში. ჰორი-





მომდევნო ფოტოებზე გამოსახულია ერთი და იგივე ბიჭუნა 4 წლისა და 7 თვის და 16 წლისა და 8 თვის ასაკს შორის.

ნახ. 9. 4 წლისა და 7 თვის ასაკი

ნახ. 10. 5 წლისა და 8 თვის ასაკი



ნახ. 11. 6 წლისა და 8 თვის ასაკი



ნახ. 12. 7 წლისა და 8 თვის ასაკი

ზონტი გაფართოვდა და გარკვეული ხარისხის დამოუკიდებლობა თავს იჩენს მის მოძრაობებში, აღნაგობასა და სახის გამომეტყველებაში.

ეს ფსიქოლოგიური ცვლილება ძალზე მნიშვნელოვანია სკოლისათვის ბავშვის მზადყოფნასთან მიმართებით. იგი მხოლოდ მაშინაა მზად სკოლისთვის, როცა დამოუკიდებლობისაკენ ეს გარდაქმნა გამოიხატება ფიზიკურ განვითარებაში. ხშირად ცხადი ხდება, რომ ბავშვები, რომელნიც პატარა ბავშვის საფეხურის ნიშან-თვისებებს ატარებენ, ვერ ართმევენ თავს სასკოლო ცხოვრებას; პირველი წლები ძალზე რთულია მათთვის არა იმდენად აკადემიური, არამედ სოციალური გაგებით. ისინი ვერ ურთიერთობენ სხვებთან, მათ აბრაზებენ და ისინი ძალზე უბედურად გრძნობენ თავს.

გარდა ჩამორჩენილი ანდა შეფერხებული განვითარებისა, არსებობს ნაადრევი განვითარება, როდესაც აღნაგობის გარდაქმნა ძალზე ადრე ხდება. ორივე ფენომენი იწვევს პრობლემებს, რომელნიც შემდეგ თავში არიან განხილულნი.

აღნაგობის ტრანსფორმაციის შეფასება გარკვეულ სირთულეს შეიცავს: გამხდარი პატარა ბავშვი უფრო დიდი ასაკისად გამოიყურება და ერთი შეხედვით შეიძლება სკოლის ასაკის ბავშვს ჰგავდეს, მაგრამ თუ ყველა ზემოაღწერილ დამახასიათებელ ნიშნებს კარგად დავაკვირდებით, მათ ვერ ავურევთ ერთმანეთში. მსუქანი ბავშვი კარგა ხანს ჰგავს პატარა ბავშვს, თუმცა კიდურების ტრანსფორმაციას მაინც აქვს ადგილი, გამოცდილი დამკვირვებელი კი ბევრის თქმას შეძლებს ბავშვის მოძრაობებიდან გამომდინარე.

უნდა ვახსენოთ სარძევე კბილების მოცვლაც, რასაც ადგილი აქვს მაშინ, როცა ბავშვი სიმაღლეში

იზრდება გარდამავალი საფეხურისას. სარძევე კბილებს ეკუთვნის საჭრელი კბილები, ეშვები და ორი ძირითადი კბილი ეშვებს უკან. ამ ორ ძირითად კბილს უკან სარძევე კბილების მოცვლამდე ამოდის პირველი მუდმივი კბილი. შემდეგ ბავშვი იცვლის სარძევე კბილებს, ჩვეულებრივ, იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც ისინი ამოვიდნენ. უმეტეს შემთხვევაში პირველად იცვლის ქვედა საჭრელ კბილებს, შემდეგ ზედა საჭრელ კბილებს და ასე შემდეგ.

თუ სარძევე კბილების მოცვლა არაა დაწყებული პირველ სასკოლო წლამდე, ადვილი გასაგებია, აპირებს თუ არა ეს პროცესი დაწყებას, თუკი ვნახავთ, ამოსულია თუ არა მუდმივი ძირითადი კბილი პირველ ორ ძირითად კბილს უკან.

სარძევე კბილების მოცვლა, რომელიც იწყება მაშინ, როცა ბავშვი მზადაა სკოლისთვის, გრძელდება მთელი მეორე შვიდწლეულის განმავლობაში. ათიდან თორმეტ წლამდე ამოდის კიდევ ერთი მუდმივი ძირითადი კბილი პირველს უკან და ბავშვი იცვლის პირველ ორ ძირითად კბილს. ეშვების მოცვლა ხდება თორმეტი წლის ასაკში და თორმეტი წლისათვის ყველა სარძევე კბილი შეცვლილია მუდმივი კბილებით.

თუ შევაჯამებთ მესამე და მეოთხე საფეხურებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვი ფიზიკურად მზადაა სკოლისთვის, როდესაც დაწყებულია კბილების მოცვლა და მან აშკარად მიაღწია გარდამავალ საფეხურს.

სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობის სრულ გარდაქმნას ადგილი აქვს სკოლის პირველი ან შესაძლოა მეორე წლის განმავლობაში. შემდეგ, შვიდი წლის ასაკში, მნიშვნელოვნად იცვლება ბავშვის პირისახე. ამ ასაკის ბავშვის შედარება ერთი წლის წი-



ნახ. 13. 8 წლისა და 8 თვის ასაკი

ნახ. 14. 9 წლისა და 8 თვის ასაკი



ნახ. 15. 10 წლისა და 9 თვის ასაკი



ნახ. 16. 11 წლისა და 9 თვის ასაკი

ნანდელ ფოტოებთან ცხადყოფს, თუ როგორ გაქრა პაგარა ბავშვის ნაზი ნაკვთების უკანასკნელი ნაშთები ამ მოკლე ხანში, თუ როგორ გაიზარდა ნიკაპი, პირი და ცხვირი და თუ როგორ გახდა თვალების გამომეტყველება უფრო დაჟინებული.

2.5. ცხრა და ათი წლისა

შემდეგი საფეხურის განმავლობაში თითქოსდა ცოტა რამ იცვლება როგორც ფიზიოლოგიურად, ისე ფსიქოლოგიურად პუბერტეტის დასაწყისამდე. მაგრამ ჩვენ შეკეხებით მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ კრიზისს ათი წლის ასაკისას.

სიცოცხლის ცხრა და ათი წლის ასაკი შეადგენს სიგანეში მეორედ ზრდის პერიოდს. თავდაპირველად თხელი – ხშირად გამხდარიც კი – სკოლის ასაკის ბავშვი უფრო მომწიფებული და ტანსრული ხდება და თითქოს ყველა მიმართულებით ერთნაირად იზრდება. მაგრამ კარგი დაკვირვება ცხადყოფს, რომ თანაფარდობა მხოლოდ მოჩვენებითადაა ერთი და იგივე.

ამ წლების განმავლობაში ტანი უფრო მეტად იზრდება სიმაღლეში, ვიდრე წინა ან მომდევნო წლებში და ამ შესამჩნევ ზრდას ახლა თან ახლავს სიგანეში ზრდა. კუნთები, რომლებიც სწორედ შვიდ წლამდე, კიდურების ზრდისას, გამოიკვეთა, კიდევ ერთხელ ქრება. აღნაგობაში აღარ დომინირებს ჩამოსხმული და ენერგიული კიდურები და მოძრაობის მთელი სტრუქტურა, სადაც ტანი სხეულის მოქნილი ნაწილი იყო, არამე დომინირებს ტანის მასა. კიდევ ერთხელ მეღავნდება პაგარა ბავშვის ფიგურის ზოგიერთი ნიშანი. თეძოები მძლავრი და განიერი ხდება, ცხიმოვანი ფენით, და ფრიად განსხვავდება ამ პერიოდის

დასაწყისის ჩამოსხმული, კუნთოვანი ფიგურისაგან.

როცა ბავშვი პირველად მიდის სკოლაში, მას ხშირად წითელი, ღაჟღაჟა, მრგვალი ლოყები და მრგვალი პირისახე აქვს. მაგრამ შთაბეჭდილება სხვაგვარია, როცა ბავშვი ტანგახდილია.

მეორე მხრივ, მოხდენილი ფიგურა ცხრა-ათი წლის ასაკში ხშირად კარგად ჩასუქებული აღმოჩნდება ხოლმე ტანისამოსის გახდისას, მუცლისა და ზურგის კუნთები უფრო მეტად იმალება, ვიდრე კიდურებისა.

2.6. პუბესცენსი

მეორედ ზრდის ამ პერიოდს, რომელიც უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე უბრალოდ „შევსებას“, მოპყვება უფრო დიდი ცვლილება, რომელიც იწყება პუბესცენსის ფაზაში.

ნამდვილ პუბერტეტს წინ უსწრებს კიდურების ზრდა, როგორც მაშინ იყო, სანამ ბავშვი გახდებოდა შვიდი წლის. ამ მეორე ნახტომისას ბავშვი უცბათ იყრის ტანს და ტანსრული ბავშვიდან გამხდარ აყლაყუდად იქცევა. პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ორ-სამ თვეში მას მთელი ტანისამოსი უპატარავდება, კუნთები კვლავ იკვეთება და თუმცაღა ბავშვი შეიძლება კარგად ჭამდეს, თორმეტი წლის ასაკში იგი უფრო გამხდარი ხდება. კიდურები და მათი მოძრაობა კვლავ დომინანტურ ნიშან-თვისებად იქცევა.

ხელ-ფეხი უჩვეულოდ იზრდება. განსაკუთრებით მათი კიდურა ნაწილები, რომლებიც ნაკლებად მოხდენილი ხდება. ყველაზე სწრაფად იზრდება ხელის მტევნები და ტერფები, შემდეგ მკლავები და წვივები. წინა მხარი და ბარძაყები კი უფრო ნელა იზრდება. ამდენად, პუბერტეტის მოახლოებისას (თოთხმეტი წლის ასაკი ბიჭებისთვის, თორმეტი წლისა – გოგონებისთვის) მთლიან აღნაგობაში დისბალანსი წარმოიშვება. ხოლო პუბერტეტისას სახის პროპორციებიც იცვლება.

ქვედა ყბა ხელ-ფეხის კიდურა ნაწილებივით სწრაფად იზრდება. იგი ძლიერ გამოკვეთილი ხდება. ამიტომ სახე კარგავს თავის მრგვალ, ბავშვურ მოყვანილობას და პუბერტეტისთვის დამახასიათებელ გადაჭარბებულ სიგრძეს იძენს. ასევე იზრდება ცხვირიც და გარკვეული ხანი შეიძლება უხეშად და უფორმოდ გამოიყურებოდეს.

ამ საფეხურის დასაწყისში (გოგონებში ათი-თერთმეტი, ბიჭებში – თორმეტი-ცამეტი წელი) მეორე ნახტომი ზრდაში ნიშნავს, რომ ბავშვებს უფრო დიდი ფიზიკური მიღწევების უნარი შესწევთ. ისინი საჭიროებენ თავიანთი კიდურების უფრო ინტენსიურად დატვირთვას და ერთმანეთს ეჯიბრებიან სირბილში, ცურვაში, ჭიდაობაში, თითქოს მათი სიცოცხლე იყოს ამაზე დამოკიდებული. ბავშვებმა, რომელნიც მეტისმეტად იზრდებიან, უნდა შეანელონ ზრდა, რადგანაც ტანის ზრდა ვერ ეწევა კიდურებს და გული და ფილტვები საგრძნობლად მცირეა ამ პერიოდში დანარჩენ სხეულთან შეფარდებით.

პუბესცენსის ფაზის ბოლოს და პუბერტეტის დასაწყისში აღნაგობაში დისბალანსის გამო ბავშვის ფიზიკური შესაძლებლობები მცირდება. მისი ფიგურა შეიძლება იყოს მოუქნელი, მოძრაობები მოუხეშავი და არასაკმარისად მკვირცხლი. იგი ბარბაცებს, ფეხებზე აბიჯებს სხვებს, ეჯახება მაგიდებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა უხერხულად გრძნობს თავს.

ფარდობითად, ფეხები ახლა ყველაზე გრძელია

(ხშირად მთელი სხეულის სიგრძის 60%-ზე მეტს შეადგენს), ტანი კი მოკლე და თხელია.

2.7. პუბერტეტი

ნამდვილი პუბერტეტი იწყება ამ უდიდესი დისბალანსისას. პუბერტეტის მეორე სტადიისას სხეული ახალ წონასწორობას აღწევს, რაც ყველაზე ნათლად სახის გამომეტყველებისა და მოყვანილობის ცვლილებაში ჩანს. დისპროპორციული და ერთობ უხეში ფორმა გრძელი ნიკაპით, დიდი ცხვირით და ჯერაც ბავშვური თვალებით ახლა უფრო პროპორციული ხდება, რადგანაც ფართოვდება, განსაკუთრებით ყვრიმალებში და გამოკვეთილად პიროვნულ ნიშნებს იძენს. გამომეტყველება აღარაა ასე დაურწმუნებელი და ყმაწვილი თვითცნობიერებით შეპყურებს გარე სამყაროს. მისი ნება მჟღავნდება უფრო მტკიცე პირსა და ნიკაპში. მთელი პირისახე მეტყველებს იმაზე, რომ ყრმას სურს დამოუკიდებლად ჩამოიყალიბოს საკუთარი მსოფლმხედველობა. ეს პროცესი ნათლადაა ნაჩვენები მოზარდი ბიჭის ფოტოებში (ნახ. 17-20).

ვითარდება მეორადი სასქესო ნიშნები და სასქესო ჯირკვლები ფუნქციონირებას იწყებს.

პუბერტეტის ამ მეორე საფეხურისას ფეხები, ფაქტობრივად, წყვეტს ზრდას და ტანი იწყებს დაგრძელებას. ზრდის თითქმის მთელი პროცესი ახლა ტანში მიმდინარეობს.

ამის შედეგად სხეულის პროპორციები წონასწორობას აღწევს, რაც მაშინათვე აშკარა ხდება – ამას ხელს უწყობს საკუთარი სქესისათვის დამახასიათებელი აღნაგობის გამოკვეთა.

გოგონებში ეს პროცესები ორი ან მეტი წლით აღ-



ნახ. 17. 12 წლისა და 9 თვის ასაკი

ნახ. 18. 14 წლის ასაკი



ნახ. 19. 15 წლისა და 8 თვის ასაკი

ნახ. 20. 16 წლისა და 8 თვის ასაკი

რე ხდება, ვიდრე ბიჭებში. ისინი უფრო სწრაფად ვითარდებიან ისე, რომ ერთმანეთის მომდევნო საფეხურები უფრო მოკლეა და ხშირად შეუმჩნეველად ჩაივლის ხოლმე. პუბესცენსი, ფეხების ჩვეული ზრდითურთ, გოგონებში ხშირად ათი წლის ასაკში იწყება და თერთმეტი-თორმეტი წლის ასაკშიც გრძელდება. ნამდვილი პუბერტეტი იწყება თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში. მას თან ახლავს მკერდის და მომრგვალებული თეძოების განვითარება და ბოქვენის თმების ზრდა.

ბიჭებში ეს ფაზა იწყება თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში და თოთხმეტი წლის ასაკშიც გრძელდება. ცვლილებები სასქესო ორგანოებში, ბოქვენის თმების ზრდა, ხმის გატეხვა მხოლოდ თოთხმეტი წლის ასაკში ხდება აშკარა, ფიზიკური პუბერტეტის ბოლო სტადიას კი მხოლოდ თოთხმეტი-თექვსმეტი წლის ასაკში აქვს ადგილი.

შეიძლება ითქვას, რომ ბიჭების შედარებით ნელი განვითარება უფრო რეგულარული და რიტმული ხასიათისაა. გოგონებში კი ეს პროცესი დაჩქარებულია და რიტმი სწრაფად ირღვევა. მეორე მხრივ, მომწიფების ბოლო საფეხური გოგონებში უფრო მეტ დროს იკავებს.

გარდა განსხვავებისა ბიჭებისა და გოგონების განვითარებას შორის, პუბერტეტისას ასევე აშკარა ხდება კონსტიტუციის ის მახასიათებლები, რომელნიც განვითარდებიან. მაგ., მაღალ, თხელ ტიპში ყველაზე აშკარაა პუბერტეტის პირველი სტადია და ამ სტადიისას წარმოქმნილ ფიგურას გარკვეული ზომით უპირატესობა ექნება ცხოვრების განმავლობაში. დაბალ, მსხვილ ტიპთან ეს პირველი სტადია ნაკლებად აშკარაა, მაშინ როცა უფრო ნათლადაა გამოკვეთილი მეორე სტადია ტანის სიგრძეში და სიგანეში

ზრდითური. აქ მხოლოდ ორი უკიდურესობაა აღწერილი, ვინაიდან ჩვენი ამოცანა არ არის კონსტიტუციის ტიპების აღწერა.

პირველი შვიდწლეულის ბოლოს კონსტიტუციონალური ფაქტორები მხედველობაში მისაღებია, რათა სწორად შევაფასოთ განვითარება. პუბერტეტისას კი ისინი უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ.

2.8. მომწიფება

პუბერტეტს მოსდევს მომწიფების პერიოდი, როდესაც ვითარდება ახალგაზრდა ვაჟის ან გოგონას აღნაგობა. ვაჟებში გულმკერდი და მხრები უფრო განიერია. გოგონებში იზრდება თეძოები და ქვედა ტანი. ტანი კვლავ ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს სიგანეში ზრდის ამ მესამე პერიოდისას.

2.9. სრული ზრდასრულობისკენ

ავტორთა უმეტესობა, ვინც აღწერს ბავშვის განვითარებას, ჩერდება მომწიფების ამ პერიოდის ბოლოს, თვრამეტი წლის ასაკში. მაგრამ არსებობს შემდგომი განვითარება მამაკაცობისა და ქალობისაკენ როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პიროვნების პოზიციაზე საზოგადოებასა თუ ოჯახში. მამაკაცი ცოტათი იზრდება სიმაღლეში, თუმცა უფრო თვალშისაცემია ამ დროს განვითარებადი ძლიერი აღნაგობა. მუსკულატურა, განსაკუთრებით კიდურებისა, უფრო მძლავრი ხდება, მთელი კორპუსიც უფრო მძიმე და ძლიერი ხდება.

ფიზიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურებ-

ბის აღწერა შეჯამებულია ცხრილში (იხ. ქვემოთ).

ბავშვის ფიზიკური განვითარების ორი ნიშანსვეტია სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობის წარმოქმნა და პუბერტეტი. ორივეს წინ უსწრებს გამაღლების პერიოდი. ამგვარად, განვითარება ოცდაერთ წლამდე იყოფა სამ ძირითად პერიოდად, რომელთა განმავლობაში ყურადღება შესაბამისად მიპყრობილია თავზე, ტანზე და კიდურებზე. მხოლოდ პუბერტეტის განმავლობაშია ტრანსფორმაცია იმდენად გამოკვეთილი, რომ თავიც, ტანიც და კიდურებიც საგრძნობ ცვლილებებს განიცდის.

ეს ცვლილებები პუბერტეტისას შეიძლება შევაჯამოთ როგორც აღნაგობის ინდივიდუალიზაცია და ჰარმონიზაცია. ინდივიდუალიზაცია, ერთი მხრივ, მოქმედებს ბავშვის სქესზე (ვითარდება მამაკაცის ან ქალის ფიგურა). მეორე მხრივ, კონსტიტუციაზე (ინდივიდის კონსტიტუციონალური ტიპი ახლა ნათლად შესამჩნევი ხდება). მესამე მხრივ, პიროვნება ახლა მთელ ფიგურას ასვამს დაღს. ეს განსაკუთრებით მჟღავნდება გამომეტყველებაში, პირისახის ნაკვთებში, მიხვრა-მოხვრაში, თავის დაჭერაში.

ჰარმონიზაცია აქ სძლევს პუბერტეტამდე არსებულ ზრდის ცალმხრივ ტენდენციას და არაჰარმონიულ ფიგურას ცვლის საბოლოო ინდივიდუალური ფორმით.

თუ უკეთ შეკისწავლით სხვადასხვა, უფრო მოკლე პერიოდების სპეციფიკურ ასპექტებს, ვნახავთ, რომ ინდივიდუალობის აღმოცენების ეტაპები ემთხვევა თავისა და სახის დომინირების პერიოდებს.

პერიოდებში, როცა ტანია დომინანტური, ადგილი აქვს უფრო სიგანეში ზრდას, ვიდრე სიგრძეში. კიდურების ზრდის ეტაპებს კი მოაქვს რევოლუციური ცვლილებები და გადასვლები განვითარების სრულე-

ბით ახალ სტადიებზე.

ამგვარად, ნათელია, რომ ამ სამი ფაზისას განვითარების რიტმები მეორდება თითოეულ ჯერზე ინდივიდუალიზაციის უფრო მაღალ დონეზე. მათ აღსაწერად ჩვენ გამოვიყენებთ მეტამორფოზის ცნებას, როგორც გოეთე იყენებდა მას „მცენარეთა მეტამორფოზაში“. მას მეექვსე თავში დავუბრუნდებით სამშვინველის განხილვისას.

ასაკი	
0-2 წლები	ჩვილი ბავშვის ფორმა. სჭარბობს *თავი* სიდიდით.
2-5 წლები	ბაღის ასაკის ბავშვი. დომინირებს *ტანი*. სიგანეში პირველად ზრდა.
5-7 წლები	სკოლის ასაკის ბავშვი. დომინირებს *კიდურები*. სიმაღლეში პირველად ზრდა.
7-8/9 წლები	სკოლის ასაკის ბავშვის ფორმა. *სახე* უფრო ინდივიდუალური ხდება.
9-12 (ბიჭები) 8-10 (გოგონები)	სიგანეში მეორედ ზრდა. *ტანი* იზრდება სიგრძეში.
12-14 (ბიჭები) 10-12 (გოგონები)	პუბესცენსი. სიგრძეში მეორედ ზრდა. იზრდება *კიდურები*
14-16 (ბიჭები) 12-15 (გოგონები)	პუბერტეტი. ინდივიდუალური *გამომეტყველება*. მტკიცე მზერა. *ტანის* პარმონიზაცია. მეორადი სასქესო ნიშნები. *კიდურების* პარმონიზაცია.
16-18 (ბიჭები)	მომწიფება. სიგანეში მესამედ ზრდა. ბიჭებთან ვითარდება მხრები, გოგონებთან ქვედა ტანი.
18-21 წლები	ვითარდება *კიდურების* მუსკულატურა და ძვლები.

3. ბავშვი სარძევე კბილების მოცვლამდე

ბიოლოგიური კუთხით თუ შევხედავთ, ბავშვის სიცოცხლის პირველი ფაზა, როდესაც იგი მთლიანად მშობლიური გარემოს მფარველობის ქვეშ არის, შეიძლება სამად დაიყოს: ჩვილობის, პატარა ბავშვისა და სკოლის ასაკისაკენ გარდამავალი პერიოდი.

ახალშობილი საკმაოდ უმწეოა და მთლიანად დამოკიდებულია გარემოზე. მასში ვერ ვხედავთ ადამიანის მშვინვიერი ცხოვრების რაიმე გამოვლინებას. იგი წევს საწოლში, ასრულებს არაკოორდინირებულ მოძრაობებს და გამოსცემს წოვის შესაფერის ხმებს. იგი ტირის, როცა სცივა და შია, გამომდინარე პრიმიტიული ინსტინქტებიდან. როცა ეს ელემენტარული მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მას მხოლოდ ორი სახის აქტივობის უნარი შესწევს – სმისა და ძილის. ბავშვის მშვინვიერი ცხოვრება თანდათან აღმოცენდება მრავალი წლის განვითარების განმავლობაში და ვლინდება აზროვნების, გრძნობისა და ნებელობის ფუნქციებში.

ჩვილი მთლიანად დამოკიდებულია გარემოზე. სხვა სიტყვებით, იგი მთელი არსებით მიეცემა გარემოს. როდესაც თბილი და ტკბილი რძე იღვრება მის სხეულში, იგი კმაყოფილებას არა მარტო ენითა და სასით განიცდის. მთელი სხეული, პატარა მობაკუნე ფეხებისა და ხელების ჩათვლით, ჩართულია გემოს შეგრძნებაში. გემოს გასინჯვას ახდენს მთელი არ-

სება. სამშვინველი მთლიანად ეხსნება გარე სამყაროს ნეტარების ყოვლისმომცველი გრძნობით. როდესაც ბავშვი კარგად დანაყრდება, იგი წევს და იძირება არაცნობიერ კმაყოფილებაში, სანამ შიმშილის გრძნობა კვლავ არ გამოაღვიძებს დაუკმაყოფილებლობის რეაქციას და ბავშვი კვლავ მთელი სხეულით არ გამოხატავს უკმაყოფილების გრძნობას. იგი ყვირის, იქნევს ხელ-ფეხს, ამოძრავებს სხეულს, სანამ არ გაოფლიანდება და მთლიანად დაიქანცება. როცა მას საფენებს გამოუცვლიან და მისცემენ ძუძუს, იგი ხარბად დაიწყებს წოვას და ნელ-ნელა დამშვიდდება. მშვიდი ალმური მოეფინება მთელ სხეულს, ცოტა ხნის შემდეგ იგი შეძლებს ერთი წამით თავი დაანებოს წოვას, მიმოიხედოს უდიდესი კმაყოფილებით და მაშინვე კვლავ მოძებნოს ტკბილი რძის წყარო და გააგრძელოს წოვა.

ასე გადის სიცოცხლის პირველი კვირები სმასა და ძილში. როდესაც ბავშვს ღვიძავს, თვალები ხშირად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იხედებიან სივრცეში ისე, რომ შეიძლება ელამიც გვეგონოს. იგი ჯერაც ვერ ამოძრავებს მიზანმიმართულად თვალებს, ხელებსა და ფეხებს. რამოდენიმე კვირის შემდეგ კი, როდესაც დედა ჩაიხედავს საწოლში, პატარა ერთი წამით შეხედავს მას და ოდნავი ღიმილი გადაურბენს ტუჩებზე. ეს უდიდესი სიხარულის წამი არის დედისათვის. პირველად ბავშვის თვალებიდან გამოაბრწყინა პიროვნებისეულმა ასპექტმა. მან პირველად გაიცინა. ახლა დედამ იცის, რომ საწოლში ადამიანის პირმშო წევს, ვინაიდან ცხოველს სიცილი არ შეუძლია. თუმცაღა ეს არაა ცნობიერი აღიარება, ამ დროს დედა პირველად ხვდება თავის შვილს. ამიტომ, თუ ბავშვი ვერ იცინის, ეს ყოველთვის ნიშანია იმისა, რომ იგი არ ვითარდება ნორმა-

ლურად, ან რომ განვითარება შეფერხებული ან შენელებულია.

ამის შემდეგ ასეთი „შეხვედრები“ ხშირდება და მშობლებს შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბავშვის ცნობიერება ვითარდება. სიცოცხლის პირველ თვეებში ამ გამოღვიძებას თან ერთვის მეორე ფენომენი: თავდაპირველად ბავშვი ნამდვილად იღვიძებს მხოლოდ საკვების მისაღებად, შემდეგ კი კვლავ იძინებს. ღვიძილის მოკლე პერიოდები ენაცვლება ღრმა ძილის ბევრად უფრო ხანგრძლივ პერიოდებს. როდესაც ბავშვი უფრო მეტად ცნობიერი ხდება, ძილის პერიოდი მცირდება, ღვიძილისა კი იზრდება, რაც ნათლადაა ნაჩვენები შემდეგ სქემაზე.

ღვიძილისა და ძილის თანაფარდობა 24 საათიან პერიოდში:



ჩვენ ნაკლებად ვაცნობიერებთ, თუ რა უზარმაზარი გამარჯვებების მოპოვება ხდება სიცოცხლის პირველი თვეების განმავლობაში: პირველი ხუთი თვის მანძილზე ბავშვი, ფაქტობრივად, იორმაგებს დაბადებისდროინდელ წონას. აბა, წარმოიდგინეთ, ზრდასრულ ადამიანს ხუთ თვეში ორჯერ რომ მოემატებინა წონაში. ეს იქნებოდა გასუქების პროცესი, რომლის დროსაც კაცი ვერც ნაბიჯს გადადგამდა და ვერც იაზროვნებდა, არამედ მხოლოდ შეჭამდა და

იძინებდა. საჭირო იქნებოდა უზარმაზარი კონცენტრაცია ფიზიკურ დონეზე, რაც შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მორბენალის მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

ახალშობილი კი სწორედ ამ მდგომარეობაში არის. ყველა ჯერაც უჩინარი უნარი კონცენტრირებულია ერთადერთ მიზანზე – ზრდაზე. ყოველივე დანარჩენი მას ექვემდებარება.

ამგვარ უზარმაზარ ფიზიკურ მიღწევას ადგილი აქვს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ. წონის გაორმაგების შემდგომი პერიოდები გაცილებით მეტ ხანს გრძელდება. ორი წლის ასაკამდე, შემდეგ რვა წლამდე, ბოლოს კი თექვსმეტ წლამდე. ამდენად, სიცოცხლის პირველი თვეების შემდეგ ზრდის ინტენსივობა ძლიერ კლებულობს.

წონაში მატების მეორე და შემდგომი პერიოდები მეტად განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობს. ბავშვის ღვიძილის დრო გაზრდილია. მისი ფუნქციები აღარაა მიმართული მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ მხარეზე. განვითარებულია მრავალგვარი აქტივობა, რომელიც ცნობიერ ცხოვრებას განეკუთვნება.

ბავშვის ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია არის აღქმა. იგი განუყოფელია ბავშვის უსიტყვო მორჩილებისგან. ბავშვი აღქმათა კრებული არის, შეიძლება ითქვას, ერთი მთლიანი გრძნობის ორგანო. მთელი მისი ფსიქოლოგიური აქტივობა მიმართულია გარე სამყაროს შეცნობისაკენ. პერცეფცია სულაც არაა პასიური პროცესი, რომლის დროსაც გარე სამყარო მოედინება შიგნით და პროეცირდება სინათლისადმი მგრძნობიარე ფირფიტაზე – პოპულარული ხატი, ფოტოგრაფიიდან ნასესხები. ფაქტობრივად, აქტივობა გარე სამყაროსადმი ინტერესიდან აღმოცენდება. შთაბეჭდილებების აღსაქმელად საჭიროა შინაგანი აქტივობა, რომელიც უნდა დახვდეს გარედან მომავალ შთაბეჭდილებებს. ჩამორჩენილი ბავშვი იმდენივე შთაბეჭდილებებს იღებს გარედან, რამდენსაც ნორმალური, მაგრამ ვერ აღიქვამს მათ, რადგანაც აკლია გარე სამყაროსადმი აქტიური შინაგანი ინტერესი, რომელიც სახეზეა ნორმალურ ბავშვებში. პაგარა ბავშვში ეს აქტიური ინტერესი ჯერაც მისი სურვილების ნაწილია და არა მისი ცნობიერი ნებისა, როგორც გვიან ასაკში. მაგრამ სურვილი ნების წინამორბედია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნება არის მეს მიერ მიმართული სურვილი.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ პაგარა ბავშვი გრძნობის ორგანოა, სადაც სურვილი (ნება) არის აქტიური.

სამყაროსადმი თავგაღებას ადგილი აქვს ისეთი ძალით, რომელიც გვიანდელ ასაკში რელიგიური პიროვნების სრულ თავგაღებას თუ შეედრება. რელიგიაში ღვთაებისადმი მიმართული ელემენტი ბავშვში ფიზიკურ დონეზე არის აქტიური. ლექციებში აღზრდის შესახებ რუდოლფ შტაინერი აღწერდა მას როგორც „გარემოსადმი რელიგიურ თავგაღებას“ და „ფიზიკურ რელიგიას“ უწოდებდა.

ეს აქტიური თავგაღება ნიშნავს, რომ პაგარა ბავშვი იმიტაციის არსებაა. სიცოცხლის პირველ ეტაპზე სწავლა მიბაძვის საშუალებით ხდება. ეს სხვადასხვა ინტენსივობით ხორციელდება და დამოკიდებულია ბავშვის ხასიათზე, ტიპზე, ტემპერამენტზე, მაგრამ პირველი პერიოდის მანძილზე ბავშვის სულიერი ცხოვრება ამ გზით ვითარდება.

იმიტაცია ბევრად უფრო შორსმწვდომია, ვიდრე უბრალოდ მეტყველების გამეორება ანდა გარშემომ-

ყოფთა მოქმედებების თამაშში კოპირება. მანამდეც კი, სანამ ბავშვი ამას შეძლებს, იგი ძალზე ბევრს იწოვს გარემოდან. გასაოცარია, მაგრამ რაც უფრო ნაკლებად ცნობიერად აღიქვამს ბავშვი გარშემომყოფთ, მით უფრო მეტი ამგვარი აღქმები შემოდის მის სამშვინველში. სანამ ბავშვი შეძლებდეს აღქმების გაცნობიერებასა და მათ გათავისებას, მას ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებები აქვს, რომელთაც შეუძლიათ შეაღწიონ სამშვინველის უღრმეს არაცნობიერ შრეებში. ისინი იქ რჩებიან და ქმნიან საფუძველს შემდგომი, უფრო ცნობიერი განცდებისათვის.

მიუხედავად თავისი ცალმხრივობისა, ფსიქოანალიზმა დაგვანახა მიმართება ქვეცნობიერსა და ბავშვობისდროინდელ გამოცდილებებს შორის.

განვითარების პირველი პერიოდის განმავლობაში მშობლებს დიდი პასუხისმგებლობა გააჩნიათ თავიანთი შვილის წინაშე. ვინაიდან ყოველივე ის, რაც არ განიცდება ცნობიერად, შემდგომში ზეგავლენას ახდენს პიროვნების განწყობილებებზე, გრძნობებსა თუ ქცევაზე.

ბავშვი, რომლის სამშვინველიც მთლიანად ღიაა სამყაროსათვის, არა მარტო აღიქვამს მამის მოქმედებას, როდესაც იგი გაღიზიანებული მიტრიალდება და გაეშურება კარებისკენ, არამედ იშინაგნებს კიდევაც ამგვარი ჟესტების ზნეობრივ შინაარსს. ეს კი ქვეცნობიერის ღრმა ფენებში ილექება. სიცოცხლის პირველ წლებში მშობლების მიერ შექმნილ გარემოს შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორი გახდება შემდგომში პიროვნება – აღსავსე სიკეთის შეუდრეკელი რწმენით, რაც მიუხედავად მრავალი გამოცდისა და ძნელბედობისა მისი სულიერი ცხოვრების საფუძველი იქნება, თუ ეჭვით სავსე და სიხარულს მოკლებული.

სიცოცხლის პირველ წლებში გარშემომყოფნი ბავშვზე გავლენას ახდენენ იმით, თუ რანი არიან, საკუთარი რწმენისა და ზნეობის ქცევაში გამოხატვით.

ჩვილი ბავშვისთვის არაფერს ნიშნავს, როდესაც მოზრდილი დაშაქრული ბავშვური ხმით აზრს მოკლებულ სიტყვებს ეუბნება, შემდეგ კი მიტრიალდება და სხვა მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დაიწყებს საუბარს. ბავშვის გვერდზე მყოფი ნამდვილად მასთან ერთად უნდა იყოს, მთელი ინტერესითა და დიდი სითბოთი, სრული პატივისცემითა და მორალური ნებით, დაეხმაროს ამ პატარა არსებას. ამ პერიოდის მანძილზე ბავშვი, რომელსაც თითქოს არაფერი ესმის, ინტენსიურად ითავისებს მის გარემომცველ ღრმა სულიერ შინაარსს.

3.1. ჩვილობიდან ფეხის ადგმის ასაკში გადასვლა

ბავშვის შინაგანი აქტივობა, რომელიც მჟღავნდებოდა გარე სამყაროსადმი ინტერესში, საკუთარი სხეულის აღმოჩენაშიც ეხმარება მას. თუ ამ პროცესს კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თავდაპირველად ბავშვისთვის საკუთარი სხეულიც გარე სამყაროს უცნობი ნაწილია. პირველად იგი აღმოაჩენს მის თვალწინ მოძრავ ხელებს და იწყებს თავისივე ხელებით თამაშს. შემდეგ აღმოაჩენს ფეხებს და სწვდება მათ. მაგრამ ისინი უჩინარდებიან და ბავშვი ვეღარ პოულობს მათ. ეს ისეთივე კომიკური სანახაობაა, როგორც პატარა კნუტი, საკუთარი კუდის დაჭერას რომ ლამობს. როდესაც ბავშვი ამგვარად მთელ სხეულს აღმოაჩენს, იგი თანდათან შეძლებს, გამოიყენოს იგი გარემოს აღმოსაჩენად.

დიდი წვალების შემდეგ ბავშვი ჰორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურს იღებს და სივრცეში ორიენტაცია უნდა შეიცვალოს. აღმართვის ამ პროცესზე ღირს დაფიქრება, რადგანაც პირველი სიცილის შემდეგ იგი ბავშვის არსების ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო გარე გამოვლინებაა.

ყველა უმაღლესი ძუძუმწოვარი მთელ სიცოცხლეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ატარებს და არ იღებს ვერტიკალურს, კენგურუ და გორილაც კი, რაც ნათლად ჩანს მათ ჩონჩხში. ადამიანში ვერტიკალური მდგომარეობა დაკავშირებულია ხელ-ფეხის ფუნქციების დიფერენცირებასთან. გადაადგილებისთვის გამოიყენება მხოლოდ ფეხი. ხელი თავისუფლდება ამ ამოცანისგან და შეიძლება იარაღად იქნეს გამოყენებული. იგი ექსპრესიის ორგანოდ იქცევა და უფრო მაღალ ამოცანას ემსახურება. ცხოველებში ოთხივე კიდური გადაადგილებისთვის გამოიყენება, ოთხხელიან მაიმუნებშიც კი. ადამიანში ხელ-ფეხის დიფერენციაცია ისე შორს მიდის, რომ ბავშვის ფიზიკური განვითარებისას ხელი ტანის ბრდის რიტმს მიჰყვება და არა ფეხისას.

აღმართვის პროცესი, ჩვეულებრივ, იწყება პირველი წლის მეორე ნახევარში, როდესაც ბავშვი სწავლობს ჯდომას, ცოცვასა და დგომას. იგი მეორე წლის განმავლობაში მთავრდება, როცა ბავშვი სიარულს იწყებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად დადის, ბავშვი კარგავს ჩვილის აღნაგობას – ჩვეული ნაოჭებით ბარძაყებზე და პაგარა ბალიშებით მკლავებსა და ხელებზე.

სიარულის სწავლის ამ ეტაპით მთავრდება ჩვილობის ასაკი. მეტყველების სწავლა შემდგომი ეტაპისკენ გარდამავალი პერიოდის დასაწყისია. გარკვეულ შემთხვევებში ამ პერიოდებმა შეიძლება ნა-

წილობრივ გადაფარეს ერთმანეთი.

ვერტიკალური მდებარეობის მიღების პირველ ეტაპზე ხელები ჯერაც გადაადგილებისთვის გამოყენება – როდესაც ბავშვი ცოცავს ანდა ფეხზე დგება. ისინი თავისუფლდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი პირველ ნაბიჯს გადადგამს.

ბავშვის პოტენციალზე ძალზე ბევრს ამბობს ვერტიკალური მდგომარეობის მიღების პროცესი. ეს ინტივობა ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც მ ბიოგრაფიულ პოტენციალს გამოამზეურებს. მაგ., ა სებობენ ბავშვები, რომლებიც დიდი ხნის განმაველ ბაში სხედან, კარგადაც დგანან ფეხზე, მაგრამ სი რულის დაწყებას არ ჩქარობენ. ნაბიჯის გადასად მელად ისინი ეჭიდებიან მანეჟის სახელურს, ასე დ დიან წრეზე, მოპირდაპირე კუთხისკენ კი თვეებ მანძილზე არ მიდიან. ამგვარ ბავშვს ურჩევნია ი დეს და იცოცოს, როდესაც სიარულში არავინ ეხმ რება. სხვები კი დამჯდარი მდგომარეობიდან პი დაპირ ფეხზე დგებიან ოთახის ცენტრში, ბარბაცებე ძირს ეცემიან, ათასჯერ იმეორებენ ამას, სანამ ა დადგებიან ფეხზე. თან აქეთ-იქით ირხევიან, რ გორც ხე ქარიშხლისას. შემდეგ კვლავ დადგები ოთახის შუაგულში, სულ მარტონი, ასწევენ ფეხს ძირს დაენარცხებიან, გაიმეორებენ ამას მრავალ ჯერ, სანამ არ გადადგამენ პირველ ნაბიჯს. ამგვ რი ბავშვების მიერ წარმოთქმული პირველი სიტ ვები არის: „არა! მე თვითონ!“ თუ თვალს გავადევ ნებთ ამ ორი სხვადასხვა ტიპის ბავშვების განვით რებას, დავინახავთ, რომ ფეხზე დგომისა და სიარ ლის სწავლის ეს მანერა მათი შემდგომი ცხოვრ ბისთვისაც არის დამახასიათებელი.

როცა ბავშვი გაივლის, ჩვილობა დასრულებ ლია. პერცეპტული პროცესები უკვე გამოღვიძებ

ლია და ბავშვს დაპყრობილი აქვს გარესამყაროს ნაწილი.

იღვიძებს მეხსიერება (იხ. მერვე თავი მეხსიერების შესახებ). რიტმული გამეორების შედეგად უკვე ჩამოყალიბებული არის გარკვეული რეფლექსები და ჩვევები. მაგრამ აზროვნება, აღქმათა ცნობიერი გადამუშავება და კომბინირება ჯერაც არ არსებობს. ეს განვითარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვი მეტყველებას დაიწყებს.

3.2. პაგარა ბავშვის საფეხურზე გადასვლა: სიარული, მეტყველება, აზროვნება

სანამ ბავშვი სწავლობდა ვერტიკალური მდგომარეობის მიღებას, ვითარდებოდა მეორე წმინდა ადამიანური უნარი – მეტყველება. აქამდე იგი ყველა სახის ხმებს გამოსცემდა: უკმაყოფილების დროს ტიროდა, კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობის გამოსახატავად კი ლუღლუღებდა.

თავდაპირველად ბავშვი მიდრეკილია „აპ“ ბგერისაკენ – ხმოვნისაკენ, რომელშიც პაერის ნაკადი შეუფერხებლად მოედინება და რომელიც გაკვირვებისას არსებული შინაგანი აქტივობის მიმართულებას გამოხატავს.

პირველი გონივრული სიტყვებია „დადა“, „პაპა“, „მამა“. პირველ სიტყვებს თან ახლავს გარკვეული გრძნობები და არა ცალკეული ხატები ან წარმოდგენები. ბგერების უფრო დიდი მრავალფეროვნება ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი განაგრძობს აღმართულად მოძრაობას და აღარ საჭიროებს ხელებს გადაადგილებისთვის. ცალკეული სიტყვების

წარმოთქმას იგი მაშინ სწავლობს, როდესაც დაწყებული აქვს სიარულის სწავლა.

მეტყველების სწავლა ძალზე რთული პროცესია როგორც ფიზიოლოგიურად, ისე ფსიქოლოგიურად. მეტყველების ცენტრი თავის ტვინში ამ ეტაპზე ყალიბდება ხელის ცენტრთან ერთად. ხელი ამ დროს ინსტინქტურად იჭერს საგნებს, მემარჯვენე ბავშვებთან – მარჯვენა ხელი, ცაციებთან – მარცხენა. ჩვენ ვხედავთ, მეტყველების სწავლასთან ერთად თუ როგორ ეყრება საფუძველი ცნობიერ მშვინვიერ ცხოვრებას, რომელიც ორი წყაროთი საზრდოობს. ერთი არის ფიზიკური სხეული, საიდანაც აღმოცენდება მოთხოვნილებები და ლტოლვები, რომელნიც აღძრავენ გრძნობებსა და მოქმედების იმპულსებს. პირველი წლის განმავლობაში სიამოვნებისა და უსიამოვნების ყველა გრძნობა და მასთან დაკავშირებული აქტივობები, როგორიცაა კვება და მოძრაობა, ამ ფიზიკურ წყაროს ეყრდნობა. მეორეა სულიერი პოტენციალი, რომელიც ზრდასრულ ადამიანში მეს ცენტრს ქმნის. აქედან აღმოცენებული აქტივობებიც აღწევს მშვინვიერ ცხოვრებაში და ხშირად ეწინააღმდეგება ფიზიკურ ლტოლვებს. ესენია ჩვენს ზნეობასთან დაკავშირებული ძალები, რომელნიც მორალურ არსებებად გვაქცევენ.

მეტყველების სწავლისას საფუძველი ეყრება ზნეობრივ წესრიგს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მომდინარეობს ინდივიდის მესაგან. მას შეგვიძლია დავუძახოთ კოლექტიური ადამიანური სულიერი წესრიგი.

ენა ასახავს სულიერ ღირებულებებს, რომელნიც ადამიანში დომინანტურნი არიან მოცემულ მომენტში. ბავშვი მას ადამიანების გარემოდან იღებს და იმიტაციის საშუალებით ითავისებს. სანამ ინდივიდუალური მე გააქტიურდებოდეს, ბავშვი გარემოდან

ღებულობს კოლექტიურ მეს. გარკვეულ ხანს ეს წარმართავს ბავშვის ცხოვრებას და ქმნის ფიზიკური ლტოლვების საპირისპირო პოლუსს.

ენა არის კოლექტიური სულიერი მემკვიდრეობა ადამიანთა ჯგუფისა, რომელნიც სწორედ ამ მიზეზით დაკავშირებულად განიცდიან თავს. მაგრამ ენა არ არის „გამოგონებული“ ადამიანთა მიერ. იგი შეიცავს ღირებულებებს, რომელნიც დიდად აღემატებიან ინდივიდს და ამ ენაზე მეტყველთა კოლექტიურ ცოდნას. ჩვენს დროში რაიმე განსაკუთრებული შინაარსი აღარ გააჩნია ცნებებს „ენის სული“ და „ხალხის სული“. ისინი ითვლებიან ცალკეული ენისა და ხალხის მახასიათებელთა ჯამად. მაგრამ ენა არა მარტო ადამიანური, არამედ კოსმიური სულიერების ნაწილიც არის.

ხმოვნები და თანხმოვნები შეიცავს შემოქმედებით პრინციპებს: მაგ., დიასტოლა „აპ“ გამოხატავს გარე სამყაროსადმი გახსნას, სისტოლა „ოო“ კი გარე სამყაროსგან გამოყოფას. ხმოვნები და თანხმოვნები კოსმიური შესაქმის დროს მოქმედი მაფორმირებელი ძალების ასპექტებია. ერთად ისინი ქმნიან ლოგოსს, სიტყვას, რომელიც იოანე მახარებლის თანახმად, „დასაბამითგან იყო“. თანამედროვე ტერმინოლოგიით მათ შეიძლება ვუწოდოთ „მოდელები“, სისტემატიზირებული ინფორმაცია.

ცალკეულ ხალხთა ენები, მათთვის დამახასიათებელი ხმოვნებითა და თანხმოვნებით, სახელდებისა და სამყაროზე საუბრის საშუალებას იძლევა. ფაქტი, რომ სხვადასხვა ხალხი განსხვავებულ სახელებს უწოდებს ერთსა და იმავე საგნებს, ნიშნავს იმას, რომ ისინი სხვადასხვაგვარად განიცდიან მოვლენებს თავიანთი მსოფლმხედველობის გამო. გარკვეული ენის სწავლა, როგორც დედაენისა, ზეგავლენას

ახდენს გარე სამყაროს განცდაზე.

ბავშვისთვის დედაენა არის არა მარტო გარკვეული განცდების რაც შეიძლება სწრაფად და ადვილად ურთიერთდაკავშირების საშუალება, არამედ კარგად დიფერენცირებული სულიერი სტრუქტურაც. სხვა სიტყვებით, ენა არა მარტო სულიერი მიმოცვლის საშუალებაა, არამედ სულის სტრუქტურული ელემენტია. სწორედ ამიტომაა დედაენა ასე მნიშვნელოვანი პიროვნების სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის – ჩვენ იმდენად მჭიდროდ ვართ მასთან დაკავშირებული, რომ ჩვენივე არსების ნაწილად განვიცდით. ჩვენ შეგვიძლია დავტკბეთ მისი მშვენიერებით და უძვირფასესი მეგობარივით გვიყვარდეს იგი. ხოლო მისი დაკარგვის საფრთხეს ჩვენ სულის ძირამდე განვიცდით. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ ენა თავად გვეხმარება ჩამოყალიბებაში.

მეტყველების სწავლისას ბავშვი ურთიერთობაში მოდის ამ ურთულეს სამყაროსთან. როდესაც მას აღარ სჭირდება ხელი გადაადგილებისთვის და იგი გამოთავისუფლდება უფრო მაღალი ფუნქციებისთვის, თავის ტვინში ხელის ცენტრის გვერდით მეტყველების ცენტრი ვითარდება.

ბავშვი უსასრულოდ იმეორებს იმას, რაც ესმის. ენის საგანძური, ისევე როგორც მეტყველების უნარი, შეუდარებელი ენერგიით მოიპოვება. ისევე როგორც სიცოცხლის პირველი ხუთი თვის მანძილზე იგი მოიპოვებს წონაში მატების შესანიშნავ ფიზიკურ გამარჯვებას, ორი-სამი წლის ასაკში ასეთივე გასაოცარ სულიერ მონაპოვარს აქვს ადგილი.

ამ პერიოდში ბევრი რამ შეგვიძლია შევიტყოთ ბავშვის ხასიათის შესახებ – ისევე როგორც სიარულის სწავლისას.

ჯერ ერთი, ბავშვები სხვადასხვაგვარი ენთუზი-

აზმით შედიან ენის სამყაროში. ამას გარდა, ზოგიერთი ბავშვი ენის ათვისებისას პასიურად და ერთგვარად მონურად ბაძავს მას. სხვები გამოხატვის საკუთარ საშუალებებს ქმნიან. ამგვარი ბავშვები საგნებსა და ადამიანებს უწოდებენ როგორც ჩვეულ, ისე მათ მიერ გამოგონილ სახელებს. ამ დროს ბავშვები ამჟღავნებენ შემოქმედებით უნარს, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ დიდ პოეტებს შემორჩათ. თავიანთი პიროვნული განცდის გამოსახატავად მათ ძალუძთ წარმოქმნან სიტყვა გამომდინარე ბგერის არსიდან. სხვა ბავშვები დიდ ხანს გაუგებრად მეტყველებენ. მათ არა აქვთ ასიმილირების უნარი. ამგვარ ბავშვებს მოგვიანებით ხშირად ძლიერი ვიზუალური უნარები აღმოაჩნდებათ ხოლმე, თუმცა ზოგჯერ ეს ზოგადი ჩამორჩენის ნიშანი შეიძლება იყოს.

პირველი, რასაც ბავშვი სწავლობს, არის გარე სამყაროს საგნების დასახელება: მაგიდა, სკამი, ბავშვი, ძროხა, ხე. ბავშვი ცნობს საგანს და ასახელებს მას. ეს თითქოსდა მარტივი ამოცანა სამყაროსადმი სრულიად ახლებური დამოკიდებულების სიმპტომი არის. ეს გარე სამყაროსაგან გამიჯვნის პირველი ნაბიჯია. აქამდე კი პატარა ბავშვი სამყაროს მთლიანად საკუთარ თავთან დაკავშირებულად განიცდიდა. ამდენად, მეტყველების სწავლას მოაქვს კავშირის გაწყვეტა მესა და გარემომცველ სამყაროს შორის – პროცესი, რომელიც პუბერტეტისას მთავრდება.

როდესაც მეტყველება გასცდება საგანთა უბრალო დასახელებას და ბავშვი იწყებს სიტყვების გაერთიანებას წინადადებებად, დასაბამი ეძლევა აზროვნების პროცესებს, რომელნიც თანდათან გადაიზრდებიან მეტყველებასთან დაკავშირებულ ცნებებში.

ასე რომ პირველ ცნებებს გააჩნია კონკრეტული შინაარსი, თუმცა ისინი დაკავშირებულნი არიან მთლიანობებთან. რამოდენიმე ათწლეულის წინ მიაჩნდათ, რომ ბავშვს ხის ცნება იმის შედეგად უვითარდება, რომ ხედავს ტანის, ტოტებისა და ფოთლებისაგან შემდგარ საგანს, შემდეგ იმავე ნაწილებისგან შემდგარ მეორე საგანს, თუმცაღა სხვა ფორმისას და ხვდება, რომ ამ ნაწილების (ტანი, ტოტები და ფოთლები) ჯამი ხე არის. ფიქრობდნენ, რომ ცნებები ელემენტებისაგან აიგება. ახლა ცნობილია, რომ ეს შეხედულება არასწორია. აღმოჩნდა, რომ ბავშვს ჯერ მთლიანობის ცნება გააჩნია და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ არჩევს შემადგენელ ელემენტებს.

ბავშვს იმთავითვე ესმის ხის ცნება და ამავე სახელს უწოდებს იმ ხესაც, რომელიც არასოდეს უნახავს და რომელსაც სრულიად სხვა ფორმა აქვს, ვიდრე მის მიერ ნანახ ხეებს. პირველი ცნებები ბუნდოვანია და არაა მკვეთრად განსაზღვრული, თუმცა ისინი მდიდარი და მრავალმხრივი არიან, აღსავსენი იდუმალი სიღრმით. ეს მდიდარი, ბავშვური ცნებები შემდგომში გარდაიქმნება მოზრდილთა მკვეთრად განსაზღვრულ მშრალ ცნებებად, რომელნიც თანდათან კარგავენ თავიანთ განცდისმიერ შინაარს. ბავშვის ცნება კი ჯერაც ცოცხალია და ფერადოვანი.

პლატონის მოსაზრება ცნებითი განვითარების შესახებ ამგვარი იყო: ხის ცნების დასწავლას იგი განიხილავდა როგორც ხის ღვთაებრივი იდეის გახსენებას. ეს მეხსიერებაა, რადგანაც ადამიანის სულიერი ნაწილი თავად წარმოდგება ღვთაებრივ იდეათა სამყაროდან. დედამიწაზე იგი ხვდება ამ იდეათა ნივთიერ ასახვას და ცნობს მათ. ამიტომაც ესმის ხის ცნება. სოკრატე აცხადებდა, რომ საუკეთესო მოაზ-

როვნე საუკეთესო მეხსიერების მქონე ადამიანი არის.

ცნებების წარმოშობის შესახებ ეს ორი ათასი წლის წინანდელი შეხედულება ეხმიანება ბავშვის ცნებების მთლიანობითი ბუნების თანამედროვე გამოკვლევებს.

აზროვნება ვითარდება მეტყველებასთან ერთად და მისი საშუალებით. პირველი ცნებები კონკრეტულადაა დაკავშირებული გარე სამყაროსთან, სადაც ხდება პირველი „საგნობრივი ცნებების" დასწავლა, როგორიცაა მაგიდა, ხე, კატა და ასე შემდეგ.

შემდგომ ეტაპზე ობიექტის სახელს ემატება ზმნა: ცეცხლი ანთია, ფისო დახტის, დაიკო ტირის. გარე სამყარო გაიგება არა მარტო როგორც *არსება*, არამედ როგორც *მოქმედი*.

პირველი მათგანით ბავშვი სივრცის საუფლოს ეუფლება, მეორეთი კი დროის საუფლოს, ვინაიდან მოქმედება დროში მიმდინარეობს. სწორედ ამიტომაც დროის ცნება ბავშვში მხოლოდ მეორე საფეხურზე გამობრწყინდება. იგი იწყებს „გუშინ" და „ხვალეს" ერთმანეთისგან გარჩევას. აგრეთვე სხვადასხვა მოქმედებებთან დაკავშირებული მიმართებების გაგებას, ჯერ მარტივის, შემდეგ კი უფრო რთულის. მაგ., ვთქვათ, ორი წლის ბავშვი, რომელიც თამაშობს ოთახში და ახერხებს კარის გაღებასა და დერეფანში გასვლას, გვინდა არ გავუშვათ ოთახიდან. ამისთვის საკმარისია გადავატრიალოთ გასაღები — ის მივა კარებთან, წაეთამაშება საკეტს, მოქაჩავს სახელურს, მაგრამ ვერ გააღებს კარს. ხოლო როდესაც ორწლინახევრის გახდება, უეცრად დაინახავს კავშირს: ითამაშებს ჩასაკეტით, გადააატრიალებს გასაღებს და გააღებს კარს. ახლა გასაღები უნდა გამოვიღოთ საკეტიდან, თუ გვსურს, რომ ბავშვი არ გა-

ვიდეს ოთახიდან. ამგვარი პატარა წინსვლები ასოციაციათა განვითარების სიმპტომებია. ნორმალურ ბავშვებში ისინი ისე სწრაფად მოსდევენ ერთმანეთს, რომ ვერც კი ვაცნობიერებთ მათ. შეფერხებულ ბავშვებში კი ისინი განვითარების ნიშანსვეტები არიან. ნორმალურ ბავშვს მესამე წლის ასაკში უვითარდება მეს ცნობიერება, რასაც მომდევნო თავი ეძღვნება.

მეტყველების სწავლის პერიოდში ბავშვის ხასიათის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოს. სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში ბავშვზე უდიდეს გავლენას ახდენდა მორალური სულისკვეთება, ახლა კი ის, თუ როგორ მეტყველებენ მის გარშემო. განვითარებადი ბავშვის სულიერი სტრუქტურა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ (კარგად, თუ ცუდად) საუბრობენ დედაენაზე ამ პერიოდში. ბავშვი შეძლებს მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს ენასთან თავისი არსების უშინაგანესი ბირთვით, თუკი დედაენაზე სუფთად მეტყველებენ, ენის მოჩლექვის, ხმოვნებისა და თანხმოვნების ყლაპვის გარეშე, გრამატიკულად, რომელიც ასახავს ენის სტრუქტურას და სიტყვებისა და ფრაზების მრავალგვარი ხმარებით გამოხატავს უხილავ ენობრივ კავშირებს. ამ გზით ბავშვი ფესვებს იდგამს ხალხისათვის საერთო სულიერ სტრუქტურაში და მოგვიანებით ასცდება ხელოვნურ ეროვნულ ვნებათა ღელვას.

ბავშვი უმიზეზოდ არ იბადება გარკვეულ ქვეყანაში. მე გარკვეული გზით ვითარდება მოცემული ქვეყნის სულიერ ატმოსფეროში. თუ ეს საწყისი წერტილი მყარია, იგი დაეხმარება ბავშვს სხვა ხალხების გაგებაში, ვინაიდან იგი მტკიცედ იდგება თავისი საკუთარი ერის კულტურაში და ამის წყალობით

დაამყარებს ნამდვილად თავისუფალ ურთიერთობებს.

ამას გარდა, გარემოში ენის მეტ-ნაკლები დიფერენციაცია გავლენას ახდენს ბავშვის აზროვნების დიფერენციაციაზე. ის მოქმედებს როგორც წარმოდგენაზე, რომელიც აღმოცენდება სახელდებისას, ისე ლოგიკური აზროვნების პროცესზე, რომელიც ვითარდება სინტაქსურ პროცესებთან ერთად. რაც შეეხება პირველს, ზუსტ წარმოდგენებს იძლევა სიტყვების ზუსტი შერჩევა, სადაც მცირედი განსხვავებები მკვეთრადაა გარჩეული. ხოლო რაც შეეხება მეორეს, სწორი სინტაქსი აზროვნების დინამიკის საფუძველს ქმნის.

ცხადია, რომ მდიდარი ლექსიკური მარაგის ენა წარმოდგენების უფრო მეტი დიფერენციაციის საშუალებას იძლევა. სხვადასხვა ენის სინტაქსი აზროვნების სხვადასხვა სტილს ბადებს, რაც ნათლად ჩანს ლათინური და გერმანული ენების ურთიერთშედარებისას. მაგრამ ერთი ენობრივი ოჯახის შიგნითაც მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიძლება არსებობდეს. მაგ., გერმანულში შესაძლებელია ხატის ერთ სიტყვაში მოქცევა სიტყვების გაერთიანების გზით მაშინ, როცა იგივე ხატი ინგლისურში მთელ ფრაზას მოითხოვს. პირველ შემთხვევაში ცნების იდენტიფიკაცია შეიძლება უფრო სწრაფად მოვახდინოთ, მეორეში კი აღწერა მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა.

ყოველივე ეს უმნიშვნელო შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში დიდ ზეგავლენას ახდენს პიროვნების სტრუქტურაზე. ამიტომაცაა, რომ ბევრი ენის სწავლა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე კომუნიკაციის გაიოლება ანდა ესთეტიკური სიამოვნება არის. იგი წარმოადგენს მთელი ჩვენი შინაგანი

ცხოვრების შეუდარებელ გამდიდრებას, აზროვნების შემდგომ დიფერენციაციასა და დახვეწას.

დედაენა, რომელიც ყოველდღიურად გამოიყენება, უდიდეს ზემოქმედებას ახდენს პიროვნებაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ იგი მთელი მისი სიმდიდრითა და სტრუქტურული სირთულით მივაწოდოთ ბავშვს.

ყრუ ბავშვთა სწავლების შედეგად დაგროვილი გამოცდილება ამტკიცებს ენის დაუფლების მნიშვნელობას აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. თუ ბავშვი არ დაეუფლა ენას „სენსიტიურ საფეხურზე“, მან შეიძლება მოგვიანებით შეიძინოს „საგნობრივი ცნებები“, მაგრამ აბსტრაქტულ ცნებებსა და აზროვნებასთან დაკავშირებით მეტ სირთულეებს წააწყდება.

თუ ბავშვი ადრეულ ასაკში დაეუფლება ლექსიკასა და სინტაქსს, შედეგები გაცილებით უკეთესი იქნება, აზროვნების პროცესი კი ნაკლებხარვეზიანი. მაგალითისთვის მოვიყვან შემდეგ შემთხვევას.

ვენდი, 18 წლის ყრუ გოგონა, ჰოლანდიის ერთ-ერთი დაწესებულების სამკერვალო სახელოსნოში მუშაობდა. სიყრუის გამო იგი საკმაოდ გვიან მიიყვანეს სკოლაში, სადაც წერა-კითხვა, ტუჩების მოძრაობის მიხედვით საუბრის გაგება, მეტყველება და კერვა შეისწავლა. ერთ მშვენიერ დღეს დაწესებულებაში ააფრიალეს დროშა, ბავშვებს თმაზე ნარინჯისფერი თასმები გაუკეთეს და თუმცა უქმე არ იყო, არავინ მუშაობდა.

ვენდიმ იკითხა, თუ რის გამო იყო დღესასწაული. როდესაც უთხრეს, რომ დედოფლის დაბადების დღე იყო, იკითხა: „რა არის დედოფალი?“ ყველა შეეცადა სხვადასხვანაირად აეხსნა ვენდისთვის ცნება „დედოფალი“: სახელმწიფოს მეთაური, ქალბატონი სა-

მეფო ტახტზე. მაგრამ გოგონა ვერ ხვდებოდა სიტყვის შინაარსს. გარშემომყოფნი ვერას გახდნენ და ვენდიც დასჯერდა იმას, რომ დღესასწაული იყო.

ამის საპირისპიროდ ყველამ ვიცით, თუ როგორ შეიძლება სამი წლის ბავშვს მოვუყვეთ ამბავი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედოფალი, რომელსაც სურდა, რომ მეფის ასული გასჩენოდა...“ „დედოფალი“ და „მეფის ასული“ ცნებებია, რომელნიც თავდაპირველად ბუნდოვანნი არიან და დიდებულებისა და ბრწყინვალების ელფერი გააჩნიათ. მაგრამ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ისინი ღრმავდებიან და რამოდენიმე წლის შემდეგ ბავშვის სამშვინველის მდიდარ შინაარსებად იქცევიან. ამ შინაარსის აბსტრაქტული გზით ათვისება მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი.

ამით მთავრდება სიარულის, მეტყველებისა და აზროვნების სწავლის პერიოდი. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ორიენტირებდა ბავშვი სივრცეში როგორც სწორმდგომი არსება, მოტივირებული იყო რა მოძრაობის შინაგანი მოთხოვნილებით; თუ როგორ ეუფლებოდა დედაენას იმიტაციის საშუალებით, ქმნიდა რა ამით აზროვნების, როგორც პირველი ცნობიერი ფსიქიკური ფუნქციის, განვითარების საფუძველს. ამდენად, აზროვნების განვითარება იწყება სიცოცხლის მეორე და მესამე წელს შორის. ამ ეტაპზე აზროვნება ძირითადად ჯერაც რეალისტურია, ვინაიდან დაკავებულია აღქმათა სამყაროში წესრიგის დამყარებით, მაგრამ მისი ბუნება იცვლება განვითარების მომდევნო პერიოდების განმავლობაში, რაც შემდეგი თავებიდან გახდება ნათელი.

3.3. ემოციური ცხოვრება კბილების მოცვლამდე

ჩვილი ბავშვის ემოციური ცხოვრება კმაყოფილებისა და უკმაყოფილების გრძნობებს შორის ირხევა. ეს გრძნობები მთლიანად დამოკიდებული არის ფიზიკური ორგანიზმის ვიტალურ ფუნქციებზე და ქვემოდან ამოდის სამშვინველში.

მომდევნო სტადიაზე გადასვლისას, როდესაც ბავშვი სწავლობს სიარულს, მეტყველებასა და აზროვნებას, გარე სამყარო ძალზე ძლიერად ზემოქმედებს გრძნობების განვითარებაზე. პატარა ბავშვი ბედნიერი და მხიარულია, როდესაც თავს ჯანმრთელად გრძნობს და როცა გარე სამყარო სასიამოვნო პირობებს სთავაზობს; იგი უბედური და ცრემლიანია, როცა ავადაა, ანდა გარე სამყარო ეწინააღმდეგება.

ემოციებს, მოზრდილებშიც კი, ცნობიერების უფრო ნაკლები ხარისხი ახასიათებს, ვიდრე აზროვნებას. ჩვენი გრძნობები ნახევრად ცნობიერ სიზმრისეულ მდგომარეგბაში იმყოფება. ამდენად, ბავშვის ემოციური ცხოვრების კვლევისას უნდა ვეძებოთ ის მომენტი, როდესაც გრძნობები პირველად იძენს ამ ნახევრად ცნობიერ, სიზმრისეულ ხასიათს. ამისათვის გრძნობები უნდა იყოს არა მხოლოდ ფიზიკურ მოვლენებსა თუ უშუალო გარემოზე რეაქცია, არამედ მათზე სხვა ფაქტორებიც უნდა ზემოქმედებდეს.

მეს ცნობიერების გამოღვიძება დაახლოებით სამი წლის ასაკში არის პირობა ნახევრად ცნობიერი გრძნობის გაღვიძებისათვის. ბავშვი აცნობიერებს, რომ მას შეუძლია სამყაროს „არა“ უთხრას და „არას“ თქმით იგი საკუთარ მეს განიმტკიცებს. ესაა ჯიუტობის პერიოდის დასაწყისი, ნეგატივიზმის პირველი საფეხური.

ეს ნეგატიური ფაზა მთავრდება მაშინ, როცა მეს განცდა სამყაროსთან დაპირისპირების გარეშეც არსებობს. მხოლოდ ამ დროს ვითარდება ემოციები ზედა და ქვედა ზეგავლენების ურთიერთქმედებიდან. ამისი შესწავლის საუკეთესო გზაა ბავშვის თამაშზე დაკვირვება.

ბავშვი ძალზე ადრეულ ასაკში იწყებს თამაშს. შეიძლება ითქვას, სიცოცხლის პირველ თვეებშიც კი. იგი აღმოაჩენს, რომ შესაძლებელია საკუთარი ხელების მართვა, რომელნიც მისი მხედველობის ველში მოძრაობენ და ხელი პირველი სათამაშო ხდება. შემდეგ ბავშვი აღმოაჩენს თავის ფეხებს, რომელნიც უფრო კარგი გასართობი ხდებიან, რადგანაც გამუდმებით ქრებიან და შეიძლება მათი ხელახლა პოვნა. ამას მოჰყვება საჩხარუნო სათამაშო, პაგარა რგოლი, ხის ნაჭრები და ყუთები, რომლებიც უსასრულოდ შეიძლება შემოაწყო ერთმანეთზე ან ერთმანეთის გვერდით დააწყო.

ყოველგვარი თამაშისათვის სიცოცხლის პირველ წლებში ერთი რამ არის საერთო: ბავშვი თამაშობს იმ საგნებით, რომლებიც მისი მხედველობის ველში ხვდებიან. თუ მოსიყვარულე დეიდა მისცემს მას შეუფერებელ სათამაშოს, საკმარისია შევინახოთ ის კარადაში. მცირედი წამოგირების შემდეგ ბავშვი სხვა სათამაშოთი გააგრძელებს თამაშს. მაგრამ თუ კი წააწყდება დამალულ სათამაშოს მაშინ, როცა დედა სახლს ალაგებს, კვლავ მოუნდება იგი. ეს თავისებურება, რომ პაგარა ბავშვები თამაშობენ იმით, რაც ახლა არის ხელმისაწვდომი მათთვის, პრობლემებს იწვევს ოჯახში, სადაც სხვადასხვა ასაკის ბავშვები არიან.

თუ უფროსი ბავშვები თამაშობენ თოჯინებით, პაგარა მივა მათთან და ასევე მოინდომებს თოჯინებით თამაშს. „ელი ხომ ასე პაგარაა. გაუშვით, ითამაშოს თოჯინებით, თქვენ კი წადით და ააშენეთ რაიმე“, – იტყვის დედა. უფროსებმა შეიძლება მცირედი პროტესტის შემდეგ დაიწყონ შენება, მაგრამ პაგარა მალე თოჯინასაც გადააგდებს. მას კვლავ მოუნდება შეუერთდეს უფროსებს და თავისი ენთუზიაზმის წყალობით დაუნგრევს ნაგებობებს. ეს შეიძლება უსასრულოდ გრძელდებოდეს, თუკი უფროსი ბავშვები ეზოში გასვლით არ უშველიან თავს.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორაა ბავშვის თამაში ჯერაც გარემოსთან დაკავშირებული. წარმოდგენებში მას შეუძლია უკან დაიხიოს, დაასახელოს და იცნოს საგნები, მაგრამ მისი გრძნობები ჯერაც მთლიანად გარე სამყაროზეა მიჯაჭვული, ჩაკეტილია „აქ და ამჟამადში“, მას მხოლოდ გარემოზე რეაქცია შეუძლია სიხარულით ან სევდით. ამიტომაც არის შესაძლებელი, ასე სწრაფად ენაცვლებოდეს ერთმანეთს სიხარული და სევდა: „ხან იცინის, ხან ტირის“.

თუმცა ეს რეაქცია შეიძლება ჩაითვალოს ემოციების რხევად, მას ვერ მივიჩნევთ ინდივიდუალურ „გრძნობად“ ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. გარე სამყაროზე ემოციური რეაქცია მხოლოდ მაშინ იქცევა ჭეშმარიტ გრძნობად, როცა ვითარდება სტრუქტურირებული შინაგანი ცხოვრება, რომელიც გრძნობების საშუალებით განიცდება. ცხოველებიც რეაგირებენ გარე სამყაროზე კმაყოფილებითა და უკმაყოფილებით, მაგრამ არც ცხოველი აღწევს გრძნობათა ცხოვრებამდე, არამედ გარემოზე მიჯაჭვულად რჩება.

ბავშვთან უნდა აღმოვაჩინოთ მომენტი, როცა იგი პირველად გამოეყოფა მარტოოდენ გარემოს განცდას და სტრუქტურირებულ ემოციურ სამყაროს

გამოავლენს: ეს მომენტი არის გრძნობის დაბადება ისევე, როგორც აზროვნების დაბადებას წარმოადგენს ის მომენტი, როდესაც ცალკეული აღქმები და ხატები ერთიანდება და ურთიერთკავშირებს ქმნის.

დაახლოებით ოთხი წლის ასაკში ადგილი აქვს უდიდეს ცვლილებას პატარა ბავშვის თამაშში. აქამდე იგი მთლიანად გარემოთი იყო დაკავებული. ახლა კი ერთი ნაბიჯით უკან იხევს მისგან. თუ ადრე გრძნობები დაკავშირებული იყო ვიტალური ფუნქციებისა და გარე სამყაროს აღქმასთან, ახლა ემოციურ ცხოვრებაში განვითარებას იწყებს ახალი ძალა. ბავშვი ხედავს საკუთარ თავს როგორც გარე სამყაროსაგან გამოცალკევებულს. ეს ძალა შეიძლება აღვწეროთ, როგორც „შემოქმედებითი წარმოსახვა", რომელიც უპირისპირდება გარე სამყაროს და ცვლის მას შინაგანი მოთხოვნილებებისდა მიხედვით.

თამაში გაცილებით უფრო ინტენსიური ხდება. მოთამაშე ბავშვის ყურება მომაჯადოებლად მოქმედებს. ხალიჩა ახალ სამყაროდ ქცეულა. ცენტრალური ნახატი ზღვა არის, ხაზები მის გარშემო – გზები, მაგიდის ქვეშ კი სახლია. თქვენ ვერ შეხვალთ ცენტრში, თორემ ფეხებს დაისველებთ. აგურები და ბალიშები მაგარებლები, მანქანები და მთებია. მაგიდის ქვეშ მთელი სახლია აშენებული, სასტუმრო ოთახით, საძინებლითა და სამზარეულოთი. თქვენ ხედებით, რომ ბავშვი უბრალოდ კი არ *თამაშობს*, ვითომ მაგიდის ქვეშ სახლიაო, – სივრცე ნამდვილად არის სახლად ქცეული. ბავშვმა თავისი წარმოსახვა რეალობას დაუკავშირა და მას წარმოსახვის გავლით ხედავს. თამაშისა და ზღაპრების სამყაროს თავად ბავშვი ქმნის და მასში ყველაფერია შესაძლებელი, თუკი წარმოსახვა მოისურვებს ამას. ესაა მოჯადოებული თვალებით სამყაროს ხედვის პერიოდი, როცა

ფერები და მიმართებები ბავშვის სურვილისდა მიხედვით იცვლება.

ერთმა ქალბატონმა მომიყვა, თუ როგორ მოინახულა თვრამეტი წლისამ სახლი, სადაც ბავშვობა გაატარა. იგი დიდი მოლოდინით გავიდა ბაღში, რათა აღმოეჩინა ძველი სამყარო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მან მხოლოდ ჩვეულებრივი ბაღი იხილა ბუჩქებითა და პატარა თხრილით. „დედა, რა იქნა ხის მორი, მარცხნივ რომ იყო? – იკითხა მან. „აქ არასოდეს ყოფილა მორი. ყველაფერი ძველებურადაა". – მიუგო დედამ. „მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ ხის მორი იყო. ჩვენ თოჯინების ეტლებით მის გვერდით ვსეირნობდით ხოლმე. ეს დიდი მუქი ფერის ხე იყო. ახლაც თვალწინ მიდგას". ხის მორი მხოლოდ მოთამაშე ბავშვის წარმოდგენაში არსებობდა და უფრო რეალური იყო, ვიდრე ნამდვილი ხე.

ახლა მოვიდა დრო, როცა ბავშვი შეუზღუდავად თამაშობს. ნებისმიერი საგანი, ასანთის კოლოფი თუ ფერადი მინის ნატეხი, უაღრესად ღირებულია და ბავშვი ეძებს თავისი წარმოსახვის ამოქმედების გზებს – მარტოც და სხვებთან ერთადაც.

მოზრდილებმა სერიოზულად უნდა შეხედონ ამ თამაშს და გაამდიდრონ შინაგანი ცხოვრება როგორც ახალი შინაარსით, ისე ფიზიკური შესაძლებლობების მიცემით. თუ ოჯახში საამისოდ დრო ან ადგილი არაა, მაშინ დროა, ბავშვი საბავშვო ბაღში წაიყვანონ, სადაც ზღაპრებს მოუყვებიან. ეს უკანასკნელნი ისევე აუცილებელია ბავშვისთვის, როგორც პური და კარაქი. მას სჭირდება სივრცე თავისი წარმოსახვის ასამოქმედებლად: აგურები, დაფები, რამოდენიმე ძველი მყარი მაგიდა, ცარიელი ყუთები, ქაღალდი, წყლის საღებავები, ფერადი ფანქრები, წებოვანი ქაღალდი აუცილებელია საბავშვო ბაღისთ-

ვის. საჭიროა ქსოვილების ნაჭრებიც, რომლებსაც ბავშვი ჩასაცმელად გამოიყენებს. მასწავლებელი კი გულთბილი და სულით ახალგაზრდა უნდა იყოს. ყოველივე ეს ქმნის თამაშის იდეალურ სკოლას.

ხშირად პრობლემას წარმოშობს ის, რომ ბავშვებს შორის არიან სამი წლისანიც, რომელთაც ჯერ არ მიუღწევიათ შემოქმედებითი წარმოსახვის საფეხურისათვის და ამიტომ ვერ შედიან თამაშის არსში. უმჯობესი იქნებოდა მათი ცალკე გაყვანა ან სახლში დატოვება, სანამ წამოიზრდებიან. სამწუხაროდ, გარემო პირობები ხშირად არ იძლევა ამის საშუალებას და ჩვენც ვერაფერს ვხდებით. ერთმა მასწავლებელმა იოლად შეიძლება გაართვას თავი ბავშვების დიდ ჯგუფს, რომელნიც ნამდვილად მზად არიან თამაშის სკოლისათვის, რადგანაც მათ მხოლოდ დროდადრო სჭირდებათ დახმარება, რათა განაგრძონ თავიანთი წარმოსახვითი თამაში. ამასთან, მასწავლებლის ამოცანაა, მიხვდეს, თუ როდის უნდა დასრულდეს თამაში, სანამ ის ცრემლებით დამთავრდებოდეს, რადგანაც ბავშვებმა არ იციან, თუ როდის უნდა გაჩერდნენ და ხშირად გადააჭარბებენ ხოლმე თავიანთ ფიზიკურ შესაძლებლობებს.

არსებობს შემოქმედებითი წარმოსახვის ამ პერიოდის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ასპექტი: უეცარი გადართვა წარმოსახვის სამყაროდან რეალურში და პირუკუ. იგივე სკამები, რომელნიც ერთი წუთის წინ მატარებლად გამოიყენებოდნენ, ანდა მაგიდა, სახლი რომ იყო, უცბათ გადაიქცევა ჩვეულებრივ სკამებად, რომელზეც ვსხდებით და მაგიდად, რომელზეც ვსადილობთ, სადილის შემდეგ კი მაშინვე კვლავ მატარებლად და სახლად იქცევა, თუკი ეს ნებადართულია. გრძნობის იმავე მახასიათებელს შევხვდით, როცა ვთქვით: „ხან იცინის, ხან ტირის“.

ზემოთ ვეხებოდით სიხარულისა და სევდის პოლარობას. ამჯერად სახეზეა პოლარობა წარმოსახვასა და რეალობას შორის.

ზღაპრებიც ამ შემოქმედებითი იმაგინაციიდან იღებდნენ სათავეს იმ ხანაში, როდესაც ადამიანები ჯერაც ამგვარი ძალების შიგნით ცხოვრობდნენ. ჭეშმარიტი ხალხური ზღაპრები მუდამ ეხება სიცოცხლისა და სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების დიად ჭეშმარიტებებს, სამშვინველის ზრდას თავმდაბლობაში, მის განმტკიცებას რაინდობაში. *შინაარსი* უღრმესი ჭეშმარიტებებისგან არის აგებული, რომელნიც ჯერაც ნახევრად ცნობიერი შემოქმედებითი სულის საუფლოდან მოდიან, *ფორმა* კი ბავშვური შემოქმედებითი ფანტაზიისაა. ამიტომაცაა აზრს მოკლებული ზღაპრებში „ტყუილზე“ ლაპარაკი. მგლებს არ შეუძლიათ მეტყველება, ანუ ბავშვისთვის თქმა იმისა, რომ ისინი მეტყველებენ, ტყუილი არის. ბებიასა და წითელქუდას მგელი შესჭამს – ეს საზარელი, საშინელი ამბავი არის და ამასთან ტყუილია, როდესაც ვეუბნებით, რომ ისინი კვლავ გაცოცხლდებიან, როცა მგლის მუცლიდან ამოიყვანენ. „წითელქუდას“ ერთ-ერთ, საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებულ, გამოცემაში მოთხრობილია, თუ როგორ ვერ მოატყუა მგელმა წითელქუდა, ვერ შეჭამა იგი და მგელიც არ მოკვდა. მაგრამ რაღა რჩება ზღაპრისაგან? მივიღეთ საშინელი ბანალობა, მორალიზაცია, რომელიც არც ერთ ბავშვს არ დააინტერესებს. ბავშვის მთვლემარე სამშვინველს ინტუიციური ცოდნა გააჩნია სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებებისა, ბნელი მიწიერების მარწუხებში მოქცევისა და აქედან აღდგომისა. საკუთარ სხეულში არაცნობიერად, მაგრამ რეალისტურად ბავშვი განიცდის სიცოცხლის ძალებს, რომელნიც იწვევენ ზრდას. ცნობიერების გამოღვი-

ძებისას იგი განიცდის სიცოცხლის ძალების საპირისპირო სიკვდილის ძალებს. ზღაპრები გვაკავშირებენ ამ დიად, მარადიულ კითხვებთან და ბავშვის სულს შეუძლია გაიღვიძოს და შინ იგრძნოს თავი დედამიწაზე. ზღაპრის ფორმა ზუსტად შეესაბამება მისი სამშვინველის სტრუქტურას. მარტო ის რომ ავიღოთ, თუ რამდენ ფაქტსა და ადამიანური ურთიერთობის ფორმას სწავლობს ზღაპრებიდან ბავშვი, თუ რა სიამოვნებით ისმენს მათ და ითვისებს უამრავ რთულ ცნებას, ზღაპრის თხრობა სასიამოვნო და სასარგებლო აღმზრდელობით საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ხუთი წლის ასაკში ბავშვი დაუღალავი შემოქმედებითი თამაშის მწვერვალზეა. თუ დაკვირდებით ქვიშაში მოთამაშე ამ ხნის ბავშვს, ნახავთ, რომ თამაში აიგება *აქტივობებისგან*, სადაც უსასრულოდ მოედინება შემოქმედებითი ძალები. შემდგომ თავში განვიხილავთ, თუ საიდან მოდიან ამგვარი ძალები, ამჯერად კი მხოლოდ მათი გამოვლინების გზას აღვნიშნავთ. ბავშვი ქვიშაში აცხობს ქვიშის ნამცხვრებს, 30, 40 ან 50 ნამცხვარსაც კი აკეთებს პატარა ფორმებით. რას აკეთებს ის, როცა დაფა მთლიანად გაივსება? გაჩერდება კი სიამაყით აღვსილი, როცა მორჩება საქმეს? არა. დაფა სავსეა და ერთი წუთით თამაში შეწყვეტილია. „დედა, რამდენი ნამცხვარია?!“ – შეიძლება წამოიძახოს ბავშვმა. მაგრამ თამაში უნდა გაგრძელდეს, დაფაც ენერგიულად გადმოპირქვავდება და ხელახლა გაივსება. ზოგჯერ თქვენ შეგიძლიათ ჩაერთოთ და გასინჯოთ ქვიშის ნამცხვარი, მაგრამ ნამცხვრების კეთება ძნელად თუ შეჩერდება. ბავშვი არსებითად დაინტერესებულია არა საბოლოო პროდუქტით, არამედ *შემოქმედების ხალისით*. როცა თამაშს დაამთავრებს, მას სულ დაავიწყდება თავისი ნამცხვრები. ვის არ უნა-

ხავს, თუ როგორ აკეთებენ პატარები ქვიშისაგან მთას, გვირაბს. როდესაც დაამთავრებენ, ერთ-ერთი მათგანი დაახტება ზედ, სხვებს კი უხარიათ. შემდეგ ახლის კეთებას შეუდგებიან.

პატარა გოგონები დაუსრულებლად შლიან და შლიან თავიანთი თოჯინების საწოლებს. პატარები ენთუზიაზმით იღებენ ახალ გასაფერადებელ რვეულს, ფურცელს ფურცელზე აფერადებენ, ახალ-ახალ გვერდებზე გადადიან და იწყებენ ახალი ნახატის გაფერადებას. ზოგჯერ დაახლოებით ერთსა და იმავესაც კი ხატავენ ყოველ გვერდზე. ისინი არ გადახედავენ ნახატებს, როდესაც მორჩებიან ხატვას, რადგანაც აინტერესებთ თავად შემოქმედებითი პროცესი, რაიმეს კეთება.

ბავშვები შეიძლება გაუთავებლად იმეორებდნენ ერთსა და იმავე საბავშვო რითმას ან ლექსს. ჯანსაღმა პატარა ბავშვმა არ იცის, როდის გაჩერდეს. იგი ახალი თამაშის დაწყების გამო ჩერდება, ან იმიტომ, რომ დაიღალა ან მოშივდა და შესვენება მისი ბუნებრივი რეაქცია არის.

შემოქმედებითი პერიოდისას პატარა ბავშვი ჩართულია რიტმში. გარკვეულ განმეორებად აქტივობებს თან ახლავს გარკვეული რიტმის სიმღერები. შემოქმედებითი პროცესის გამეორება თითქოსდა დაუსრულებელი რიტმით ამ პერიოდისას ტიპური არის თამაშისათვის. ბავშვს შეუძლია დაიხსომოს ყოველივე რიტმული ფორმით, ვინაიდან მას არ გააჩნია აბსტრაქტული მეხსიერება. ესაა ტრადიციული საბავშვო ლექსების საიდუმლო. ბავშვი ერთსა და იმავე მოთხრობას მრავალჯერ მოისმენს საღამოობით და მით უფრო მეტად დასტკბება ამით, რაც უფრო ხშირად მოუყვებიან.

ოთხნახევარი წლის ბავშვს ქრისტეშობისას უამ-

ბეს სამი მეფის ამბავი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. აგვისტოს ბოლომდე, ყოველ საღამოს მას უყვებოდნენ ამ ამბავს. ბავშვს კი კვლავ მხოლოდ სამი მეფის ამბის მოსმენა სურდა. მისი მშობლებისთვის მეტად ძნელი აღმოჩნდა, შეენარჩუნებინათ ენთუზიაზმი ზაფხულის განმავლობაში და მოეყოლათ სამ აღმოსავლელ ბრძენზე, მაგრამ ბავშვი გაფართოებული თვალებით ისმენდა და არ უშვებდა, შეემოკლებინათ მოთხრობა ანდა გამოეტოვებინათ ერთი დეტალიც კი. თვეების მანძილზე მოთხრობა განიცდიდა აღწერებითა და შემთხვევებით, რომელნიც სამი მეფის ამბის არც ერთ ოფიციალურ ვერსიაში არ გვხვდებიან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი ჩართულ იქნენ მოთხრობაში, მათი ამოღება აღარ შეიძლებოდა.

ესეც ბავშვების თითქოსდა უსასრულო თამაშის საიდუმლოა. იმდენად, რამდენადაც რიტმულად სრულდება, იგი აღარაა დამღლელი, ვინაიდან უკავშირდება რიტმულ პროცესებს, როგორიცაა სუნთქვა და ცირკულაცია, რომელნიც ასევე არასოდეს იღლებიან. დამღლელი ბავშვისთვის არის არარიტმული და ინტელექტუალური მომენტები თამაშისას.

თამაშის ეს ფორმა – თამაში თამაშისათვის – მხოლოდ ექვსი წლის ასაკში იცვლება. თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად, ბავშვის თამაში იცვლება და გარკვეულ მომენტში, ჩვეულებრივ მეექვსე წლისათვის, რაც ემთხვევა პირველი სარძევე კბილების მოცვლას, ცხადი ხდება, რომ ბავშვი სიცოცხლის ახალ სტადიაში შედის.

3.4. ნების განვითარება

ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში ადგილი არა აქვს ცნობიერ ნებას. აქტივობის პირველი გამოვლინებები ეფუძნება ორგანიზმის ვიტალურ ფუნქციებს. შემდგომი ეტაპისას ქცევას წარმართავს სწრაფვები, როგორიცაა გარეთ გასვლის, შინ დარჩენის ან გარკვეული სათამაშოს სურვილი. ამ დროს დედამ შეიძლება თქვას, რომ მისი შვილი „ძლიერი ნების მქონეა“, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს არაა ნამდვილი ნება, არამედ სწრაფვა. ნება არის ძალა, რომელსაც შეუძლია წარმართოს სწრაფვები, ანდა დასახოს მიზნები, რომელნიც სცილდებიან მოთხოვნილებების უმალვე დაკმაყოფილების ფარგლებს. ნება განვითარებას იწყებს აქტიური წარმოსახვის პერიოდში. ამ დროს ქცევა ემყარება შემოქმედებით თამაშს, რომელსაც ბიძგს აძლევს გრძნობათა ტალღები რიტმული გამეორებისას.

ეს იყო თამაში თამაშისათვის, რომელიც არ არის მიმართული ბავშვის მიერ დასახული მიზნის მიღწევისაკენ. დაახლოებით ექვსი წლის ასაკში ყოველივე ეს პირველად იცვლება და ახლა თამაშს უკვე გააჩნია მიზანი. ბავშვი არა მარტო მიჰყვება თავისი შემოქმედებითი წარმოსახვის ძალებს, არამედ ისახავს *მიზანს*, რომლის მიღწევაც სურს. ქვიშის გროვა, რომელშიც გვირაბია გაყვანილი, ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ მანქანის ან მატარებლის გატარება შეიძლებოდეს, მასთან მიერთებული ხიდი კი უნდა უძლებდეს სიმძიმეს. უმცროსი და ან ძმა, რომელიც უეცრად დააგხვევა ამ ნაგებობას, ფრთხილად უნდა იყოს, ვინაიდან თუკი ექვსი თვის წინ ეს სიხარულს გამოიწვევდა, ახლა მას ჩხუბი მოსდევს, რამეთუ: „ეს რომ ასე კარგი იყო, მე ხვალ უნდა გამეგრ-

ძელებინა მისი აშენება!“

ბავშვში პირველად გამოიღვიძა თვისებამ, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ მისი ჭეშმარიტი ნების ნაწილი არის. ახლა იგი ამქვეყანაზე ცნობიერი ნებით დგას, გააჩნია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს. აქამდე მისი ქცევა ეფუძნებოდა ჯერ სწრაფვებს, შემდეგ კი წარმოსახვითი თამაშის პროდუქტიულ ნაკადს. ახლა იგი მაღლდება ამ დონეზე და ნების პირველ გამოვლინებას წარმოადგენს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვი აღწევს ამ წერტილს და ისახავს მიზნებს, არის იგი მზად სკოლისთვის, ვინაიდან მხოლოდ ახლა გააჩნია სამშვინველს ისეთი სტრუქტურა, რომ ბავშვს ძალუძს სწავლის დაწყება.

ცნობიერი ნების გამოღვიძებისთანავე იცვლება გარე სამყაროსადმი ბავშვის დამოკიდებულება. როცა ის თამაშობდა ისე, რომ არ აინტერესებდა შედეგები, უბრალოდ შემოქმედების ხალისისათვის, იგი არ განიცდიდა საკუთარი მიღწევების ობიექტურ ღირებულებას. როცა მას სჭირდებოდა ნავი ხალიჩის ზღვის გადასაცურად, ნებისმიერი ნაფოტი, კარტი ანდა კოლოფი იყო ამისათვის გამოსადეგი. ფანტაზიის მაგიური სათვალე მაშინათვე ხედავდა საჭირო გემს. ნამდვილი ობიექტი წარმოსახვის კრისტალიზაციას წარმოადგენდა. ბავშვს შეიძლება ეპოვა ტილოს შეუხედავი ნაჭერი და ენთუზიაზმით ეჩვენებინა, თუ რა ლამაზი ჩანთაა ეს თოჯინისათვის. მოზრდილი სიამოვნებით დაეთანხმებოდა, თუმცა წარმოდგენაც არ ექნებოდა, თუ როგორ უნდა დაეჭირა ეს „ჩანთა“. ყოველივე ეს სულ სხვაგვარად ხდება, როცა ბავშვში ადგილი აქვს ცვლილებას, რომელიც მიგვანიშნებს სკოლისათვის მის მზაობაზე. ახლა მას სურს, რომ მის მიერ გაკეთებული ქაღალდის ნავი ნამდვილი ნავის მსგავსი იყოს და ნამდვილად დაცურავდეს. თანდათან ის აცნობიერებს საკუთარ უუნარობას, სინამდვილეში მიაღწიოს იმას, რასაც თავის წარმოსახვაში ხედავს. ამ დროს იგი უფროსებს სთხოვს დახმარებას.

იმის გაცნობიერებასთან ერთად, რისი გაკეთებაც მას არ ძალუძს, ბავშვში ვითარდება პატივისცემის ძალა და მოლოდინი იმისა, რომ უფროსებს შეუძლიათ. პატივისცემა რომ განვითარდეს, ბავშვმა სამყარო იერარქიულად უნდა დაინახოს, საკუთარ თავზე კი იფიქროს, რომ სხვა დონეზე დგას, ვიდრე მოზრდილები და მათგან განსხვავებული უნარებითაა დაჯილდოებული.

პატარა ბავშვს, ცხადია, არ გააჩნია ამგვარი პატივისცემა. მთელი სამყარო მისი თვალსაწიერის შიგნით მას ეკუთვნის. მე და გარე სამყარო ერთიანია. დედა და მამა, სახლ-კარი ისევე ეკუთვნის მას, როგორც ხელ-ფეხი. ცოტათი მოზრდილი ბავშვი ცხადად ხედავს საკუთარ თავს, როგორც გარე სამყაროდან გამოყოფილს, თუმცა მისი გრნობები იმდენად მძლავრია, რომ იგი ჯერაც არ განიცდის თავის ამ განცალკევებულობას. იგი გამუდმებით აღმოაჩენს ხოლმე საკუთარ არსს გარემოში თავისი აქტიური წარმოსახვის საშუალებით. მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი განიცდის საკუთარ უუნარობას იყოს შემოქმედებითი ამ გარე სამყაროში, ადგილი აქვს მესა და სამყაროს ნამდვილ ურთიერთგამჯვნას. ახლა ბავშვი მარტოა და უმწეოა. და მხოლოდ ის ფაქტი, რომ მისი ემოციები ჯერაც მკვიდრობენ შემოქმედებით წარმოსახვაში, თავიდან არიდებს ისეთ კრიზისს, როგორიცაა პუბერტეტი. და მაინც, ამ პერიოდს ნამდვილად შეიძლება ეწოდოს პირველი პუბერტეტი.

ბავშვის პატივისცემა მოზრდილისადმი მალე

უსაზღვრო ხდება. ისევე როგორც იგი მთელი თავისი არსებით აკეთებს ყველაფერს, ახლაც მთელი არსებითა სცემს თაყვანს. ეს თაყვანისცემა, ჩვეულებრივ, კრისტალიზდება რომელიმე პიროვნების ირგვლივ, რომლის არჩევანიც ხშირად განმაცვიფრებელია. სოციალური მდგომარეობა, სიმდიდრე და სტატუსი სრულიად უმნიშვნელოა. პიროვნებას, რომელსაც თაყვანს სცემს ბავშვი, გარკვეული *უნარი* უნდა გააჩნდეს. მას უნდა შეეძლოს ქაღალდის ნავის გაკეთება, გატეხილი თოჯინისა და სათამაშო მანქანის შეკეთება; უნდა შეეძლოს, პასუხი გასცეს ბავშვის ყველა კითხვას მცენარეებისა და ცხოველების, ანგელოზებისა და მანქანების, ქონდრის კაცებისა და ვარსკვლავების შესახებ. ოჯახი, სადაც თაყვანისცემის ობიექტი დედა ან მამაა, ნამდვილად ბედნიერია, მაგრამ ხშირად ეს სხვა ვინმეა: მემწვანილე, ბიძა, მეზობელი, მასწავლებელი – ნებისმიერი მათგანი შეიძლება იქნეს არჩეული. ბავშვის განსჯა საკმაოდ განსხვავდება ზრდასრულის განსჯისაგან.

ასე მაგალითად, ექვსი წლის გოგონას მამა ომის განმავლობაში თავად უკერავდა ოჯახის წევრებს ფეხსაცმელებს. ერთხელ იგი გმირულად ცდილობდა, დაეკერებინა ღილი შარვალზე. „მამიკოები დედიკოებზე ბევრად უფრო ჭკვიანები არიან, იმიტომ რომ მამიკოებს შეუძლიათ კერვაც, დედიკოებს კი არ შეუძლიათ ფეხსაცმელების შეკეთება“, – თქვა მამისდა გასაოცრად ამის შემყურე გოგონამ.

ამ ეტაპზე ბავშვი ადამიანებს აფასებს არა იმისდა მიხედვით, თუ რა *იციან* მათ, არამედ თუ რა *შეუძლიათ*.

როცა კი აღინთება ეს თაყვანისცემა, იმიტაციის ადგილს ახალი აღმზრდელობითი პრინციპი იჭერს: ბავშვი ღია ხდება ავტორიტეტისადმი. ავტორიტეტ-

სა და თაყვანისცემას შორის იგივე მიმართება არსებობს, რაც გასაღებსა და ბოქლომს შორის. ავტორიტეტი პატივისცემის გარეშე მონობაა. ავტორიტეტი აღმზრდელობით პრინციპს შეიძლება მხოლოდ მაშინ წარმოადგენდეს, როცა იგი თაყვანისცემის მეოხებით შინაგანად აღიარებულია.

ბავშვს, რომელიც მზადაა სკოლისათვის, მთელი არსებით სურს, თაყვანს სცემდეს გარე სამყაროს და სწორედ ამიტომაა შესაძლებელი მისი წარმართვა სკოლაში ავტორიტეტის მიერ.

პატივისცემის ეს გამოღვიძება და მისი თანმხლები ღიაობა ავტორიტეტისადმი ადვილად დაიკვირვება ქცევაში. თუკი ის მორცხვი არაა, თამაშში ჩაფლული ოთხი-ხუთი წლის ბავშვი ოთახში შესვლისას, სადაც მამა მეგობარს მნიშვნელოვან საკითხზე ესაუბრება, ყურადღებას არ მიაქცევს უფროსების საუბარს. მამა უნდა ჩაერთოს თამაშში, ან ბავშვი მოქაჩავს მას შარვალზე, რათა მამამ მიამაგროს ბორბალი მანქანას. „მამა, მიამაგრე ბორბალი“, ანდა „მოდი და მეთამაშე“. თუ მამა უპასუხებს: „არა. უფროსებს საუბარი არ უნდა შეაწყვეტინო“, ამას მოპყვება იმედგაცრუება ან სევდა, რადგანაც პატარას ჯერაც არ შეუძლია გაიგოს ამგვარი მოთხოვნა. მთელი გარე სამყარო მისი წარმოსახვის შემადგენელი ნაწილი არის და ესაა მისთვის ცნობილი ერთადერთი სამყარო. მხოლოდ მაშინ, როცა ის იწყებს ორი სამყაროს – საკუთარისა და უფროსების – გარჩევას, მისთვის თანდათან შესაძლებელი ხდება ამგვარი პასუხის გაგება და მიღება. მაგრამ ამ ახალი საფეხურის მიღწევა რამოდენიმე წელიწადს მოითხოვს.

პირველ თავში ჩვენ განვიხილეთ ფიზიკური ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვთ მაშინ, რო-

ცა ბავშვი მზადაა სკოლისთვის. გამოცდილებამ დაადასტურა შეხედულება, რომ ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომწიფება ფეხდაფეხ მისდევს ერთმანეთს. კიდურების ზრდა და უფრო მოხდენილი, ელეგანტური აღნაგობის განვითარება ემთხვევა ცნობიერი ნების გამოღვიძებას. ბავშვი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს პაგარა ბავშვის აღნაგობას, ფსიქოლოგიურად არაა მზად სკოლისათვის. ამიგომ ყველა ეს ფაქტორი გათვალისწინებულ უნდა იქნეს. პირველ კლასში ბავშვის მიერ სწავლისათვის თავის ვერ გართმევა ამგვარ მოუმზადებლობასთანაა დაკავშირებული. მაშინაც კი, თუკი ბავშვი მოახერებს ამას და მოგვიანებით დაეწევა სხვებს, მისი დარწმუნებულობა საკუთარ თავში დაზარალებული იქნება. ხშირად ამით აიხსნება არასრულფასოვნების უკიდურესად გავრცელებული გრძნობა.

საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სკოლებს შორის ნამდვილად უნდა არსებობდეს დიალოგი ისე, რომ გააზრებულად მიიღებოდეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვინაა მზად სკოლისათვის.

ოდნავ ნაადრევად განვითარებული ხუთი-ექვსი წლის ბავშვები კი შეიძლება დიდ პრობლემას წარმოადგენდნენ საბავშვო ბაღისთვის. ისინი მზად არიან სკოლისთვის, მაგრამ ვერ შედიან მასში, ვინაიდან არ მიუღწევიათ კანონმდებლობის მიერ დადგენილი ექვსი წლის ასაკისათვის. სანამ ამგვარი რამ წყდება კანონით და არა აღმზრდელებისა და სკოლის ექიმების კვალიფიციური მსჯელობით, ერთადერთი გამოსავალია ცალკე გარდამავალი კლასების არსებობა საბავშვო ბაღებში. როგორც გამოცდილებამ ცხადყო, ამ ბავშვებისათვის აზრი არა აქვს სხვებთან ერთად ყოფნას გარკვეული აქტივობებისას, მაგ., თხრობისას.

სკოლაში შესვლა ასრულებს განვითარების პირველ საფეხურს. ამ პერიოდში ბავშვი პოულობს საკუთარ ადგილს სამყაროში იმიტაციის საშუალებით. იგი ვითარდება უხილავი შინაგანი ძალის მეოხებით და გამოავლენს იმას, რაც უკვე არსებობდა ჩანასახოვანი ფორმით. ეს ისე ხდება, რომ აზროვნება, გრძნობა და ნება ერთმანეთის მიყოლებით წარმოჩნდება. შემდეგი ცხრილი სქემატურად გვიჩვენებს ამას.

დაბადებიდან 2 წლამდე	სენსორული აღქმის პერიოდი ვერტიკალური მდგომარეობა, სიარული, მეტყველება, ჩვილი ბავშვის აღნაგობა.
2 წლიდან	*აზროვნების* განვითარება: აღქმათა შინაარსის ასოცირება. ჩვილის აღნაგობიდან პაგარა ბავშვის აღნაგობაზე გადასვლა.
4 წლიდან	*გრძნობის* განვითარება: შემოქმედებითი წარმოსახვა. საბავშვო ბაღის ბავშვის აღნაგობა. სიგანეში პირველად ზრდა.
5 1/2 წლიდან	ცნობიერი *ნების* განვითარება. ბავშვი მზადაა სკოლისათვის. სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობისკენ გადასვლა. სიმაღლეში პირველად ზრდა.

4. სარძევე კბილების მოცვლიდან პუბერტეტამდე

სანამ აღვწერდეთ მეორე შვიდწლეულს, განვიხილოთ სკოლის პირველი წელიწადი. შვიდი წლის ბავშვის ფსიქოლოგიური საფეხური მინიშნებულია წინა თავის ბოლოს მოყვანილ სქემაში.

აზროვნებაში იგი შორს არაა წასული იმ ფაზისაგან, რომელიც დაიწყო ორნახევარი წლის ასაკში, როცა მან დაიწყო გარე სამყაროს სახელდება და ასოციაციების დამყარება. მას ჯერაც არ გააჩნია აბსტრაქტული იდეები. ბავშვის გრძნობა ჯერ კიდევ შემოქმედებითი წარმოსახვის საფეხურზეა, როდესაც სამყარო ჯერაც დაფარულია მისივე საკუთარი წარმოსახვის საბურველით. მხოლოდ ნება, რომელიც აღმოცენდება ბავშვის მიერ საკუთარი მიზნების დასახვისას, აცნობს მას რეალობას. მაგრამ თავდაპირველად მიზნები გარკვეული სურვილების აღსრულების მცდელობა არის მხოლოდ. სწრაფვები და ნება მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის ფიზიკურ მოთხოვნილებებთან.

ეს ნიშნავს, რომ იგი ჯერ არაა მზად ხანგრძლივ გაკვეთილებზე აბსტრაქტული ცნებების ათვისებისათვის. ცხადია, არსებობს განსხვავება სკოლის პირველ კლასსა და საბავშვო ბაღს შორის, რამდენადაც ეს უკანასკნელი მთლიანად თამაშის ელემენტს მოიცავს, პირველი კლასი კი გამოღვიძებულ ნებასაც ითვალისწინებს. მაგრამ ეს პირველი წელი მხოლოდ ოდნავ უნდა განსხვავდებოდეს საბავშვო ბაღისგან, გადასვლა ფრთხილად უნდა ხდებოდეს. შემოქმედებითი წარმოსახვა და თამაშის რიგმული ელემენტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს შეწყვეტილი. ამ მშვინვიერ ძალთა მეტამორფოზა მნიშვნელოვანი მოვლენაა და ქვემოთ იქნება აღწერილი.

4.1. შვიდიდან ცხრამდე: აზროვნების პირველი მეტამორფოზა

მხოლოდ მეშვიდე წლის ბოლოს, როცა ბავშვი გადადის მეორე კლასში, იგი ნამდვილად შედის ახალ ფაზაში. მის სხეულში ადგილი ჰქონდა რევოლუციურ გარდაქმნას და პატარა ბავშვის აღნაგობა სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობით შეიცვალა. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მისი ფეხები პირველად იწყებს ზრდას და უფრო მოძრავი ხდება. შემდეგ იცვლება ტანი, ხოლო დაახლოებით შვიდი წლის ასაკში სახეც საგრძნობ ცვლილებას განიცდის. იცვლება არა მარტო *მისი* ფორმა. ფორმის ცვლილება შედეგია ქვედა ყბის ზრდისა, რომელიც ფეხების ზრდის რიგმს მიჰყვება. ყბა იზრდება წინისკენ და თუ აქამდე ტუჩი წინ იყო გამოწეული, ახლა ზედა და ქვედა ტუჩები იკუმება. სახის ქვედა ნახევრის სიგრძის მატების გამო საგრძნობლად იცვლება თანაფარდობა სახის ძვლებსა და დანარჩენ ქალას შორის. სახე ბევრად უფრო დიდია. თვალის ბუდეები შედარებით პატარავდება.

სიცოცხლის მეშვიდე წლის განმავლობაში სახის ფორმასთან ერთად საგრძნობლად იცვლება გამომეტყველებაც, რაც ასახავს მნიშვნელოვან მეტა-

მორფოზას შინაგან ცხოვრებაში, კერძოდ, ბავშვის აზროვნებაში.

უკვე აღინიშნა, რომ პაგარა ბავშვი ერთიან გრძნობის ორგანოს წარმოადგენს. მას მთელი გარემო საკუთარ თავში შემოაქვს და იმიტაციის საშუალებით ითავისებს მას. იგი ნდობით აღსავსე შეჰყურებს სამყაროს. ნახევრად დახურული პირი, მუდამ მზად რომ არის გაიცინოს ან იტიროს, ამას გამოხატავს.

შვიდი წლის ბავშვის გამომეტყველება კი საკმაოდ განსხვავებულია. თვალები მოლოდინით უმზერენ გარე სამყაროს. პირი დახურულია. შინაგანსა და გარე სამყაროს შორის კედელი, ზღურბლი არსებობს. ბავშვის საკუთარი სამყარო ჩაკეტილი, შემოზღუდული არეალია, სადაც ის შინ განიცდის თავს. ეს ერთგვარი ოპერაციონალური ბაზაა, საიდანაც ის ზვერავს გარე სამყაროს და იღებს მის მიერ მიყენებულ დარტყმებს.

აზროვნება აღარაა შემოფარგლული აღქმათა მიღებითა და დაკავშირებით, არამედ ნელ-ნელა ახერხებს გაშალოს ფრთები და ინავარდოს საკუთარ ელემენტში. იგი იძენს საკუთარი სურათ-ხატების ჩამოყალიბების უნარს. სხვა სიტყვებით, ბავშვი *აღქმებიდან ცნებებამდე* ადის. მეორე ფაზის პირველი წლების განმავლობაში აზროვნების სურათ-ხატებში ცხოვრება მეტად გამოკვეთილია. ხატები ერწყმის ერთმანეთს და ქმნის ჩაკეტილ სამყაროს, რომელიც პუბერტეტამდე არ ირღვევა.

ამ ბავშვურ სამყაროს უცნაური „რეალისტური არარეალურობა“ გააჩნია. წინა საფეხურისას შეთვისებული ყველა ელემენტი სახეზეა, მაგრამ მათი განლაგებისა და კომბინირების, მათი შეფასების გზა ახალია და ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი.

ხატები ჯერაც არაა მკვეთრად განსაზღვრული. ისინი ღენადია, მოძრავი და აქტიური, როგორც ადამიანები თეატრში. ისინი შეიძლება შევადაროთ მოზრდილთა ზმანებებს, სადაც წარმოსახვა და სწრაფვები გარე რეალობისგან დამოუკიდებლად ურთიერთქმედებს ინდივიდუალურ წარმოსახვით ხატებთან. ზმანება, ოცნება არის გვიანდელ ცხოვრებაში შემორჩენილი აზროვნების სახეობა, რომელიც დამახასიათებელია ბავშვობის ამ ეტაპისთვის. მისი შედეგი შეიძლება იყოს დროის ფლანგვა და მრავალგვარი უკუღმართობაც კი. მაგრამ მან პოეტური განწყობილებაც შეიძლება გამოიწვიოს, რომელიც უფრო მეტად განგვაცდევინებს რეალობას, ვიდრე საღი აზრი.

თუ ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ ოცნებებს, რომელთაც შეიძლება მაღალ პოეტურ განცდებამდე მივვიყვანონ, მაშინ შევძლებთ ამ ასაკის ბავშვის გაგებასა და დახმარებასაც. ჩვენ, მართლაც, პოეტები უნდა ვიყოთ, რათა ბავშვებს სწორი აღმზრდელობითი საზრდო მივცეთ დაწყებითი სკოლის პირველი სამი წლის მანძილზე. ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ფსიქოლოგიურად ეს ასეა. პირველ ეტაპზე გახსნილობისა და იმიტაციის საშუალებით ბავშვი სწავლობს, მოერგოს საზოგადოებას. შვიდი წლის შემდეგ იგი გაცილებით უფრო მეტად აცნობიერებს გარშემომყოფთა მეტყველებას. მას სურს, რომ სამყარო, მისი მიზნები და მიმართულებები ჩამოთვლილი და დახატული იყოს სიტყვებით. მას იზიდავენ ადამიანები, ვისაც შეუძლია სიტყვებით აღწეროს ხატები, იყოს მოსიყვარულე და ნამდვილად კარგად ყვებოდეს ამბებს.

პირველი ფაზისას ბავშვი იმიტაციის საშუალებით ეუფლება ენას. ეს კი საფუძველს უყრის აზროვნებას.

ენა და სიტყვები შესაძლებელს ხდის აზროვნების მეტამორფოზას ისე, რომ იგი ახალ ხასიათს იძენს.

წარმოთქმული სიტყვის წვდომა და გაგება ბავშვს მხოლოდ მეტყველების გზით შეუძლია. ახლა მას მრავალი რამ უნდა უთხრან, ოღონდ განსაკუთრებული სახით: არა პროზაული აბსტრაქციებით, არამედ იმაგინაციურად, აქტიური, შინაგანად მოძრავი მოთხრობებით. ზღაპრები და იგავ-არაკები სწორ აღმზრდელობით საზრდოს იძლევა. მასწავლებელი შემოქმედებითი და პოეტური მხატვარი უნდა იყოს, რომელიც სიტყვებით ხატავს. ეს ბავშვებისთვის საგზლად იქცევა მთელი ცხოვრებისათვის, რისი წართმევაც შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ისინი პურის ნაცვლად ქვებს არ იღებენ.

სკოლაში მისვლისას ბავშვი არაა სუფთა ფურცელი, ვინაიდან სიცოცხლის პირველი ფაზისას მან იმიტაციის გზით მშობლიური გარემოდან ზნეობა შეითვისა. მასწავლებელმა უნდა გააგრძელოს უკვე დაწყებული. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სიტყვების, მოთხრობებისა და საუბრის საშუალებით. მასწავლებელმა არ უნდა მოახდინოს მორალიზება. ეს ბავშვის სამშვინველში ერთგვარ „მორალურ მჟავას“ წარმოქმნის. მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ ცხოვრების დიდმა და მცირე ჭეშმარიტებებმა მხატვრულად და შემოქმედებითად განმსჭვალოს ბავშვის შინაგანი სამყარო.

როდესაც აზროვნება თავისუფლდება აღქმებისგან და მკვიდრდება თავის საკუთარ სამყაროში, იზრდება და უწყვეტი ხდება მეხსიერება. პატარა ბავშვის მეხსიერება წყვეტილია, მოიგონება მხოლოდ გარკვეული შემთხვევები, ჩვეულებრივ, ემოციებითა თუ სწრაფვებით ძლიერ დატვირთული. ამიტომ პატარა ბავშვს შეუძლია ცხოვრებას ყოველ დღე ახალი ხალისით ხვდებოდეს. ახლა იგი უფრო წარმოდგენით არის დაკავებული, ვიდრე აღქმით. როცა ის მიბმულია „აქ და ამჟამადთან“, ვითარდება ურთიერთობა წარმოდგენის ხატსა და მეხსიერების ხატს შორის.

იგი ერთბაშად ვერ ამჩნევს სამოთხის დაკარგვას. ამ დანაკარგის *განცდას* იგი იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა ემოციური ცხოვრებაც მეტამორფოზას გაივლის.

სკოლის პირველი სამი წელიწადი ქმნის პერიოდს, რომელიც ფსიქოლოგიურად ერთ მთლიანობად შეიძლება ჩაითვალოს. ეს განსაკუთრებით ბედნიერი პერიოდია. ყველაფერი ხელს უწყობს ბავშვში წონასწორობისა და ჰარმონიის მდგომარეობის შენარჩუნებას. ეს შემდეგში აღარასოდეს მეორდება. ახლად გამოღვიძებულ ნების ძალებზეჯერაც ძლიერად მოქმედებს წარმოსახვა და ისინი აზროვნების სამყაროშიც შედიან. იხსნება ახალი სამყარო და ბავშვი მოწიწებით ეძლევა მას. სკოლის პირველი სამი წლის განმავლობაში ძირითადად არ არსებობს დისციპლინის პრობლემები. მასწავლებელი შეურყეველი ავტორიტეტია და ბავშვი ხალისით მიჰყვება წესებს. ამიტომ მასწავლებლის პასუხისმგებლობა დიდია და ახლა უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროგრამაზე ზრუნვა. საკმაოდ ადვილია ბავშვის აბსტრაქტული აზროვნების ძალების კიდევ უფრო განვითარება, ვიდრე ეს ამ ეტაპს მოეთხოვება. ნაადრევად განვითარებული ბავშვები განსაკუთრებით ხალისით გადიან ინტელექტუალურ სწავლას. მაგრამ ამავე ბავშვებს არ გააჩნიათ საპირისპირო პოლუსი ბუნებრივი სოფლის ცხოვრების სახით, მათთვის კი მნიშვნელოვანია გრნობასა და ნებასთან დაკავშირებული შემოქმედებითი ძალების გამოღვიძება და

პირდაპირ არეკვლას და ბავშვი სამშვინველის უფრო ღრმა შრეებით დაუკავშირდება მასალას. ამავე დროს ეს მეხსიერებისთვისაც იქნება ვარჯიში და ამ ხელახალ პროდუქციაში (და არა რეპროდუქციაში) გრძნობისა და ნების შემოქმედებითი ძალებიც ჩაერთვება.

თანამედროვე ადამიანი ისე მიეჩვია რეპროდუქციას, რომ მოზრდილობისას ხშირად მხოლოდ რეპროდუქცია შეუძლია მისთვის მიწოდებული შეხედულებებისა. განა არ არის ეს ერთ–ერთი მიზეზი იმ საშინელი კატასტროფებისა, ჩვენს გარშემო რომ ხდება? თანამედროვე პედაგოგიკამ უნდა აირჩიოს ან მარტოოდენ რეპროდუქცია, ან შემოქმედებითი და პროდუქტიული უნარების გამომუშავება.

ამ ეტაპზე ბავშვი მზარდი ენთუზიაზმით მოიპოვებს საკუთარ პატარა სამყაროს – სამყაროს, რომელიც ჯერაც გარშემორტყმულია გრძნობების უსაფრთხო კედლით. შინაგან და გარე სამყაროს შორის ჯერ კიდევ არსებობს წარმოსახვის ფერადი რიდე. ეს პატარა სამყარო შეიძლება შევადაროთ XVIII საუკუნის მცირე სამთავროებს, სადაც ფეოდალს შეეძლო საუზმის წინ გარს შემოეარა თავისი სამფლობელოსათვის. მაგრამ ცხოვრება ამ მინიატურულ სახელმწიფოებს შიგნით ისეთივე მჩქეფარე იყო, როგორც დიდში, მთავრები დაკავებულნი იყვნენ საგარეო პოლიტიკით და გააჩნდათ ისეთივე რეალური ფინანსური, სოციალური და კომუნიკაციური პრობლემები, როგორც დიდ სახელმწიფოებს.

საკუთარი საუფლოს პრობლემები უკიდურესად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. ისინი საკარჯიშო მოედანია შემდგომი „ნამდვილი“ ცხოვრებისათვის. ისევე როგორც პატარა ბავშვს სჭირდებოდა ხელების ვარჯიში, უფრო მოზრდილ ბავშვს ესაჭიროება

მასალა მთელი მშვინვიერი არსებისათვის და არა მარტო ინტელექტუალური ძალებისათვის.

ზღაპრები ამ პერიოდშიც ინარჩუნებს მნიშვნელობას. თავდაპირველად ბავშვს იზიდავდა მარტივი ზღაპრები. ახლა კი იშლება რეალობისა და ფანტაზიის რთული და დიფერენცირებული სამყარო და ბავშვი უამრავ დეტალსა და მოვლენაში ცხოვრობს, თითქოს ფერადსარკმლებიანი სათვალთვალო კოშკიდან იყურებოდეს.

ხშირად არ ესმით ზღაპრების მნიშვნელობა, რისი მაგალითიცაა შვიდი წლის შეფერხებული ბავშვის დედის სიტყვები: „როცა ვხედავ, თუ როგორ სტკბება იგი ზღაპრებით, ჩემთვის ცხადია, რომ ის ნამდვილად ჩამორჩენილია“. ჩვენი აზრით კი ეს იყო ბავშვის განვითარების ერთ-ერთი დამაიმედებელი სიმპტომი. ვინაიდან შვიდი წლის ბავშვისთვის ზღაპრების სიყვარული სავსებით ნორმალურია. მაგრამ მრავალ ბავშვს არ უყვებიან მათ და *ბაძავენ რა გარშემომყოფ მოზრდილებს*, ისინი სწავლობენ ზღაპრების სიძულვილს.

გარდა ზღაპრების მოყოლისა მასწავლებელმა თავად უნდა შეთხზას მოთხრობები, რომელნიც გამოსახავენ „დიდ სამყაროს“ მისი გაზაფხულითა და შემოდგომით, მზით, ღრუბლებითა და წვიმით, ქვებით, მცენარეებითა და ცხოველებით, როგორც ისინი წარმოდგენილნი არიან იგავებში. ვისაც საკუთარი შვილები ჰყავს ანდა შეუძლია თავისი სიყრმის მოგონება, გაიხსენებს, რომ საუკეთესო სწორედ ის მოთხრობებია, რომელნიც თავად მთხრობელმა შეთხზა. მე ახლაც მადლიერი ვარ ბიძაჩემისა, რომელიც ჩვენთან სტუმრობისას გამუდმებით გვიყვებოდა ამბებს „პატარა ცელქ ედვარდზე“. „იცით ბავშვებო, რა შეემთხვა დღეს პატარა ცელქ ედვარდს...“

— იგი მუდამ ასე იწყებდა თავის მოთხრობას, როდესაც გარშემო შემოვუსხდებოდით მორიგი ამბის მოსასმენად.

აზროვნება ახალი გზით მიდის პუბერტეტამდე, მაგრამ ამასობაში ცვლილებები ხდება ბავშვის მშვინვიერი ცხოვრების სხვა სფეროებში, რომელნიც არღვევენ სკოლის პირველი წლების ჰარმონიულ მიმდინარეობას და გავლენას ახდენენ სამყაროს წარმოდგენის ხერხზე.

4.2. ცხრიდან თორმეტამდე: გრძნობის მეტამორფოზა

ბავშვისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულება რადიკალურად იცვლება, როდესაც იგი მეოთხე კლასში გადადის. ყველა გამოცდილმა პედაგოგმა იცის, რომ მეოთხე სასკოლო წელიწადი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე წინა სამი. უმეტეს შემთხვევაში პირველი სამი წლის მანძილზე კლასი პაგარა ერთობად ყალიბდება და სწავლებაც სასიამოვნო პროცესი არის. ბავშვებს მთელი გულითა სწამთ მასწავლებლის, კლასს ინტიმური ხასიათი აქვს, ბავშვები ჰარმონიულად და ნაყოფიერად მუშაობენ. ამგვარი მდგომარეობა მეოთხე კლასში იცვლება. ბავშვები არადისციპლინირებულნი და მოუწესრიგებელნი ხდებიან. ინტიმურობა ქრება. ხოლო მასწავლებელი, რომლისაც ბავშვებს ექვსიოდე თვის წინ მთელი გულით სწამდათ, ახლა „საძაგელი“ და „ნამდვილად საზიზღარი“ არის. ბავშვი ახლა ცრა წლისაა. რა ხდება მისი ცხოვრების მეათე წელს, რაც მას ასე პირქუშსა და ურჩს, ყველაფრის მიმართ კრიტიკულსა და „ბავშვური“ ზღაპრების მოძულეს ხდის?

ჩანს, რომ მისი გრძნობები მთლიანად შეიცვალა,

თითქოს ბავშვმა დაკარგა გარეთ პროეცირებული წარმოსახვითი სამყაროს მფარველობა და უეცრად განიცადა რეალობა როგორც მტრული ადგილი, დიანახა რა მისი ყველაზე ცუდი მხარე.

ბავშვის თავისუფალი წარმოსახვის მფარველობითი მოქმედების პერიოდი დამთავრდა. გრძნობები განიცდის დიდ სახეცვლილებას. შვიდი წლის ასაკში აზროვნებაში მომხდარი ცვლილება სიცოცხლის მეათე წელს გრნობებში ხდება. გრძნობა უფრო მეტად ობიექტური ხდება. ბავშვი აცნობიერებს საკუთარ მარტოობას ჯერ ცალკეულ შემთხვევებში, შემდეგ კი სულ უფრო ხშირად. ნახევრად ცნობიერად ის განიცდის თავის გამოცალკევებულობას კოსმოსისაგან, დატყვევებულობას საკუთარი ფიზიკური არსებობის ბნელ სამყაროში.

უეცრად მას შეეშინდება სიბნელის. მას ეშინია, რომ საწოლის ქვეშ შეიძლება ვიღაც იყოს, მოცოცავდეს საბნის ქვეშ და სასწრაფოდ ამოსწევს ფეხებს. სასტუმრო ოთახში გამავალი კარი ღია უნდა დარჩეს. დედ-მამამ უნდა გაუგოს მას. ბავშვი ეცდება სამყაროს მიერ გამოწვეული შიშის დაძლევას მაგიური შელოცვებით. მაგ., დასაძინებლად ოთახში შესვლის წინ თუ ხმამაღლა ჩაახველებს და საწოლამდე მისვლისას ხალიჩებზე გადაივლის ისე, რომ იატაკს ფეხს არ დაადგამს, არაფერი მოხდება. ამ პერიოდთან დაკავშირებით ყველას საკუთარი მოგონებები ექნება. ყოველივე ეს პუბერტეტისასაც შეიძლება გრძელდებოდეს. ბავშვი კრიტიკული ხდება. ადამიანები, რომელთაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდა და აღმერთებდა, ყველაზე ადრე ენარცხებიან ძირს, ეს კი თავად ბავშვს ხდის ძალზე უბედურს. ამ მდგომარეობაში იგი კიდევ უფრო კრიტიკულ ტერმინებს იყენებს. უეცრად იგი კრიტიკული ხდება თავისი უშუალო გა-

რემოს ბიმარი. იგი დიდხანს და სერიოზულად შეხედავს დედას, შემდეგ კი დაახლოებით შემდეგს ეტყვის: „იცი, დედა, ნამდვილად სულელურად გაქვს თმა დავარცხნილი“, ისე რომ არც კი განმარტავს, საიდან მოუვიდა ეს აზრი. თითქოს მან პირველად დაინახა ის სამყარო, რომელსაც მუდამ იღებდა როგორც თავისთავად ცხადს და რომელსაც სიამაყით აღუწერდა მეგობრებს. „ჩვენი ბაღი ნამდვილად საშინელია“, ანდა „რატომ მუდამ ასე ბნელა ამ სახლში ამ საძულველ ქუჩაზე?“ ეს განწყობილებები თავდაპირველად დიდი ხნით ქრება და ყველაფერი კვლავ ხალისითა და სიამოვნებით სავსე ხდება. მაგრამ კრიტიციზმი ყველაფერს დაღს ასვამს და თანდათან სულ უფრო და უფრო მოქმედებს ბავშვის ღიაობაზე.

ამ პერიოდში ბავშვებს ძალზე მძაფრი ხედვა აქვთ: მშობლებს შორის უთანხმოება, რომელსაც ადრე არ ექცეოდა ყურადღება, ახლა შეიმჩნევა და დიდი უბედურების სახით განიცდება. იცვლება დამოკიდებულება სიკვდილისადმი. შეიძლება გაგვაოცოს იმ გულგრილობამ, რომლითაც პატარა ბავშვები უყურებენ სიკვდილს. სიკვდილი უბრალოდ ნიშნავს, რომ გარდაცვლილნი აღარ არიან ხილულნი და „ანგელოზებთან ერთად არიან“. დაძინებისას პატარა ბავშვმა შეიძლება უეცრად იკითხოს: „ბაბუას თავისი შავი ქუდი ანგელოზებთან ერთადაც ახურავს?“ და მაშინვე დაიწყებს ტიკტიკს იმ მშვენიერ გვირაბზე, რომელსაც სილაში აკეთებს და რომლის დამთავრებასაც ხვალ აპირებს. ამ ასაკში კი სიკვდილი პირველად აღიქმება როგორც პრობლემა, რასაც ღრმად დაფიქრება მოსდევს.

ბავშვი საკუთარ თავს *განიცდის* როგორც გამოცალკევებულს გარე სამყაროსაგან, რომელიც არაა ისე მშვენიერი, დამყოლი და გონივრული, როგორც

მისი წარმოსახვის მიერ შექმნილი. ამიერიდან ბავშვი განმარტოებით იზრდება, მესა და სამყაროს დუალიზმის პირისპირ დგომა კი შოკს წარმოადგენს მისთვის. აზროვნების მეტამორფოზისას დუალიზმი არ განიცდებოდა, რადგანაც გრძნობა ჯერაც დამალული იყო ბავშვური წარმოსახვის დამცველ საბურველში. ახლა კი ეს უკანასკნელი ჩამოძრობილია და კონტრასტი მესა და სამყაროს, შინაგანსა და გარეგანს შორის ცხოვრებისეული რეალობა ხდება. ეს ჯერ გრძნობებში ხდება და არა ნებაში: ბავშვს ჯერ არ გამოაქვს დასკვნები თავისი დუალისტური ფილოსოფიიდან. ეს აშკარაა მისი შეუწყნარებლობიდან, ორჭოფობიდან, უეცარი მძიმე განწყობილებებიდან, მკვეთრი გადასვლებიდან კმაყოფილებიდან უკმაყოფილებზე, სამყაროსთან დაპირისპირებიდან, თუმცა ეს ჯერაც სიტყვებითა და გრძნობებით გამოიხატება და არა მოქმედებებით. თუ ერთი მხრივ, მისთვის ყველაფერი „მომაბეზრებელი“ და „სულელურია“, მეორე მხრივ, მას სწყურია ახალი განცდები, როგორიცაა ისეთ ადგილებში წასვლა, სადაც ჯერ არავინ ყოფილა. ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ამბივალენტურია და მის ლაიტმოტივს დუალიზმი წარმოადგენს.

მასწავლებელი, რომელსაც სურს დაეხმაროს ბავშვს სრულყოფილ ზრდასრულ ადამიანად ქცევაში, მზად იქნება სიცოცხლის მეათე წლის კრიზისისათვის. სანამ გაქრებოდეს ცალკეული პიროვნებისადმი პატივისცემა, იგი წარმართავს მას ადამიანის ზეპიროვნული ბუნებისაკენ. ბავშვმა უნდა გააცნობიეროს, რომ მოზრდილი, რომელსაც იგი ეთაყვანება, თავად სცნობს უფრო მაღალ ავტორიტეტს და მასთან შესატყვისობით ცხოვრობს. მან უნდა განიცადოს საკუთარ ავტორიტეტზე უფრო მაღლა მდგო-

მი ავტორიტეტი. ამასთან ერთად ბავშვმა უნდა იურთიერთოს ბუნებასთან, აღმოაჩინოს ადამიანის ადგილი ბუნებაში არა მეცნიერულ ტერმინებში, არამედ მხატვრულ დონეზე. ამ შემთხვევაში ერთეული პიროვნებისადმი პატივისცემის დაკარგვისას შესაძლებელი იქნება ამ უკანასკნელის მიმართვა კაცობრიობისაკენ, როგორც მთლიანობისაკენ, რომელიც ყველა ადამიანურ თვისებას მოიცავს და საკუთარი ადგილი უჭირავს ქვებს, მცენარეებსა და ცხოველებს შორის.

ბავშვის თვალები ახლა ახელილია ბუნებისათვის. მის შინაგან მოთხოვნილებას უნდა ვუპასუხოთ მოთხრობებით ბუნების შესახებ. მას უნდა განვაცდევინოთ ბუნება. ფოთლებისა და მცენარეების ხატვა ეხმარება ბავშვს, რათა გაეცნოს ბუნების საუფლოს. ახლა იგი თაყვანისცემის სხვა ობიექტს დაუწყებს ძებნას და ეს გრძნობა უნდა მიმართულ იქნეს ჩვეულებრივ ადამიანურ დონეზე აღმატებული არსებებისაკენ. ძველი აღთქმა და მითოლოგია უძვირფასეს მასალას შეიცავს ამ ასაკისთვის. მომდევნო წლებში კაცობრიობის ისტორიის შესწავლა ბავშვს აკავშირებს გმირებს, რომელნიც კაცობრიობის ბრწყინვალე წარმომადგენლებად გვევლინებიან. ამგვარი პერსონაჟების პატივისცემა უმაღლეს ძალებს უღვიძებს მას.

თუ ამ ეტაპზე გამოღვიძებული თაყვანისცემა გმირისადმი არ იქნა სწორად წარმართული, ბავშვი კერპებისაკენ მიიქცევა და უეჭველად იმედგაცრუებას პოვებს.

მეშვიდე თავში, სადაც საუბარია მეს განვითარებაზე, ნაჩვენებია, რომ მეათე წლის კრიზისი უაღრესად მნიშვნელოვანი შემობრუნების წერტილია. იგი განვითარების ზემოაღწერილისაგან განსხვავებულ

რიტმს უერთდება.

4.3. თორმეტსა და თოთხმეტს შორის: პუბესცენსი

მეათე წლის კრიზისის შემდეგ ორი-სამი წელია დარჩენილი პერიოდამდე, რომელიც, ჩვეულებრივ, ცნობილია როგორც პუბესცენსი, როდესაც ახალ მეტამორფოზას აქვს ადგილი და აშკარა ხდება ყოველივე იმის შედეგები, რაც ბავშვმა თავის გრძნობებში განიცადა.

ახლა იწყება ბავშვის პიროვნების გამოყოფა გარე სამყაროსაგან. ადგილი აქვს მისი ნების მეტამორფოზას.

სკოლის ასაკში ბავშვი პირველად იმით ერთვება სამყაროში, რომ ისახავს მიზნებს და ცდილობს მათ მიღწევას. ახლა კი მისი აქტივობები მიმართულია ამ გარე სამყაროს, როგორც მთლიანის, დაპყრობაზე. ეს პროცესი იწყება პუბესცენსისას და სრულდება ჭეშმარიტი პუბერტეტის დროს.

სიტყვა „დაპყრობა“ გამიზნულადაა გამოყენებული, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებულებები აშკარად აგრესიულ ხასიათს იძენს. ისეთი თამაშები, როგორიცაა პოლიციელები და ყაჩაღები, კოვბოები და ინდიელები, პოპულარულია ბიჭებს შორის. ბრძოლისაკენ მათ არა მარტო ერთმანეთს შორის უთანხმოება უბიძგებთ, არამედ ჭიდაობის ხალისი. ამ დროს ისინი თავიანთ ნებას ავლენენ და საკუთარ ძალას განიცდიან. ბიჭებისათვის გოგონები დაქვემდებარებულ არსებებად იქცევიან, რომელნიც მხოლოდ იმისთვის ვარგანან, რომ ნაწნავებზე მოქაჩონ ან სხვანაირად აწვალონ. ბიჭების მოძრაობები მოუხეშავი და კუთხოვანი ხდება. მოქნილობა იკარგება.

მხოლოდ ამ საფეხურზე ხდება ცხადი, რომ პატარა ბავშვებს მოქნილობას ბუნებრივი რიტმი სძენს და რომ მათი მოქმედებები უფრო თამაშის რიტმულ ელემენტებს ეფუძნება, ვიდრე მიზანსწრაფულობას.

ამ ასაკში ბიჭებს უყვართ დაჯგუფებების შექმნა: რათა გააკეთონ ტივი და ერთად იცურაონ, ააშენონ ქოხი, ანდა უბრალოდ ეძებონ თავგადასავლები ან ებრძოლონ სხვა ჯგუფებს. როცა ნება უფრო ცნობიერი ხდება, იღვიძებს სოციალური ელემენტიც, ვინაიდან სოციალური სტრუქტურისაკენ სწრაფვა მუდამ ნებასთანაა დაკავშირებული.

როდესაც ეს ძალები თავისუფლდებიან, ისინი მასწავლებლების მიერ უნდა იქნენ წარმართულნი, თორემ ჭაბუკნი მალე ვანდალიზმისკენ მიდრეკილნი გახდებიან. მშვენიერი პედაგოგიური საშუალებაა ქალაქგარეთ ჯგუფური გასვლები. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები ამ ასაკში არ აღმოჩნდნენ ჯგუფურ პოლიტიკურ ეგოიზმში ჩაბმულნი.

პუბერტეტის წინ ბიჭი სამყაროს მთლიანობისაკენ უნდა მივმართოთ. მას უნდა ვასწავლოთ, მორალური ძალა იპოვოს იქ. ამ მხრივ ახალგაზრდულმა მოძრაობებმა პოზიტიური როლი ითამაშა, მაგრამ ეს არ კმარა, თუ ზოგად ფონს გავითვალისწინებთ. სკოლებმაც იმავე სირთულეებს უნდა გაართვას თავი.

გოგონებისთვის პრობლემები ოდნავ განსხვავებულ სახეს იღებს. კვლავ სახეზეა ტენდენცია ჯგუფებად გაერთიანებისა, მაგრამ აგრესიული ტონის გარეშე. გოგონები საკუთარ თავში და თავიანთ ჯგუფებში იკეტებიან, მტრულად უკეტავენ კარს გარე სამყაროს, გატაცებულნი არიან იდუმალი ოცნებებით, ხითხითებენ, ეურჩებიან და აღარ ემორჩილებიან უფროსებს.

აქამდე ბავშვის განვითარებას განვიხილავდით ისე, რომ ერთმანეთისგან არ ვარჩევდით ბიჭებსა და გოგონებს, რადგანაც არ არსებობდა რაიმე არსებითი განსხვავება. ახლა კი მათი განვითარება ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

გოგონების ფიზიოლოგიური განვითარება უფრო ადრეულ ასაკში იწყება და ფსიქოლოგიურ განვითარებაზეც ზემოქმედებს. გოგონები ფიზიკურად მომწიფებას ცამეტსა და თოთხმეტ წელს შორის იწყებენ, როდესაც ისინი უეცრად აიყრიან ტანს. ამ დროს მათი ძალების უდიდესი ნაწილი ფიზიკურ ზრდაზე იხარჯება. ამის შედეგად მათი გარეგნული ქმედითუნარიანობა ქვეითდება. უეცრად ისინი გრძნობენ, რომ ღონე აღარა აქვთ, უფრო სწრაფად იღლებიან, ვერ მონაწილეობენ ველოგადარბენებში ან სხვა სპორტში, რაც თავად მათთვისაც აუხსნელია. ამ პერიოდში გოგონებისთვის ჩვეულებრივია ანემია და ისე სწრაფად ზრდა, რომ ძალა ეკარგებათ. ფსიქოლოგიურად ამას მოსდევს ცუდ გუნებაზე ყოფნა, დეპრესია, სიჯიუტე და ორჭოფობა. ჩვეულებრივ, ეს მდგომარეობა გრძელდება არა უმეტეს ერთი წლისა, შემდეგ კი მიიღწევა წონასწორობა. ზრდის პროცესი აღარ მიმდინარეობს ასე დრამატულად. მენსტრუაციის დაწყებისას ქარიშხალი, ჩვეულებრივ, გადავლილია და აღდგება ჩვეული ვიტალური გრძნობები. მაგრამ ამას მოსდევს ფსიქოლოგიური პუბერტეტის პერიოდი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით და რომელიც არ უნდა ავურიოთ აქ აღნიშნულ ფიზიოლოგიურ პერიოდთან.

თუ პუბერტეტის მოახლოებისას გოგონების ფიზიკური უნარები ქვეითდება, საპირისპირო ითქმის ბიჭების ფიზიკურ შესაძლებლობებზე. ისინი სავსენი არიან ვიტალურობით და სჭირდებათ ჭარბი ენერ-

გისგან გათავისუფლება ან ორგანიზებული აქტივობების, ან ხმაურიანი ამაღლებული განწყობილების გზით.

მოზარდების მოუსვენრობაზე ჩივილი არაფერს შველის. ამ საფეხურზე სკოლამ პედაგოგიური გზით უნდა გადაჭრას პრობლემა. ცხადია, ეს დიდ დროს მოითხოვს მასწავლებლებისაგან, მაგრამ კარგ პედაგოგს უნდა შეეძლოს წინასწარ იგრძნოს და წარმართოს ეს პერიოდი, ვინაიდან ნების განვითარება იწვევს პაგივისცემის გრძნობის ხელახალ აღმოცენებას, რისი დაკმაყოფილებაც აღარაა ისე ადვილი, როგორც მაშინ, როცა ბავშვი ექვსი წლისა იყო.

ბიჭების ნება გარე სამყაროსთან მიმართებით რეალისტურ-რომანტიკული ხასიათისა არის. პაგარა ბავშვს შეიძლება უნდოდეს, გამოვიდეს სახანძრო მანქანის მძღოლი, რადგანაც ასე მოსწონს სირენა, ანდა ბილეთების შემმოწმებელი, ვინაიდან ბილეთების ხვრეტა მოსწონს. თორმეტი წლის ბიჭი კი უკვე რეალისტურად აფასებს გარშემომყოფ სიტუაციას. ამდენად იგი ოჯახისაგან შორს მოძებნის თავის იდეალებს. მას შეიძლება უნდოდეს დედამიწაზე მოგზაურობა და მფრინავად გახდომა, რამდენადაც ჰგონია, რომ ამ გზით შეძლებს თავი დააღწიოს მშობლიური გარემოს შეზღუდვებს და ნახოს მსოფლიო. ასე იწყება განვითარების მესამე დიდი პერიოდი. პირველმა შვიდწლეულმა მოიტანა *ფიზიოლოგიური* განვითარება. მოხდა პიროვნების, გრძნობისა და ნების გამოთავისუფლება. მეორე შვიდწლეულში ადგილი აქვს *ფსიქოლოგიურ* განვითარებას. აზროვნება, გრძნობა და ნება უკვე სახეზეა, მაგრამ ტრანსფორმაციას გადის ბავშვის პიროვნების საიმედო საზღვრებს შიგნით. მესამე პერიოდში ხდება *სოციალური* განვითარება. ამ დროს მოზარდმა უნდა ისწავლოს

სამყაროსთან ურთიერთობა და დაიწყოს საკუთარი შინაგანი მედან გამომდინარე მოქმედება. ბავშვის განვითარება თოთხმეტ წლამდე შეჯამებულია ცხრილში:

დაბადებიდან 2 წლამდე	სენსორული აღქმის პერიოდი ვერტიკალური პოზიცია, სიარული, მეტყველება, ჩვილის აღნაგობა
2 წლიდან	*აზროვნების* განვითარება: აღქმების შინაარსის დაკავშირება. ჩვილის აღნაგობიდან პაგარა ბავშვის აღნაგობაზე გადასვლა.
4 წლიდან	*გრძნობის* განვითარება: შემოქმედებითი წარმოსახვა. საბავშვო ბაღის ბავშვის აღნაგობა. სიგანეში პირველად ზრდა.
5 1/2 წლიდან	ცნობიერი *ნების* განვითარება. ბავშვი მზადაა სკოლისთვის. სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობისკენ გადასვლა. სიმაღლეში პირველად ზრდა.
7 წლიდან	*აზროვნების* მეტამორფოზა. აზრთა სურათხატების თვითკმარი სამყარო. სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობა.
9 წლიდან	*გრძნობის* მეტამორფოზა. კრიტიციზმის გამოღვიძება. მესა და სამყაროს გამიჯვნა. სიგანეში მეორედ ზრდა.
11-დან ან 12-დან	*ნების* მეტამორფოზა. პუბესცენსი. სიმაღლეში მეორედ ზრდა.

5. განვითარება პუბერტეტის შემდეგ

პუბერტეტამდე მიმდინარე ფიზიკური მომწიფებისას ბავშვის სამშვინველში წამოიჭრება სქესის საკითხი. ფიზიკური ცვლილებები, რომელთაც გოგონა ამჩნევს საკუთარ თავსა და მეგობრებს, იწვევს ფიზიოლოგიურ ცნობისმოყვარეობას, რომელიც შეგვიძლია მარტივად აღვწეროთ როგორც გამრავლებასთან დაკავშირებული ცნობისმოყვარეობა. გოგონას ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მენსტრუაციის დაწყება, რომელიც პირველი ჩამოხსნის იღუმალ შარავანდედს სამყაროს, სადაც ბავშვი შეაბიჯებს. ცვლილებები ნაკლებად გამაოგნებელია ბიჭებისათვის. ისინი გოგონებთან შედარებით ერთი-ორი წლით გვიან მწიფდებიან და პირველი ერექცია და ეაკულაციაც კი არ ახდენს დიდ ფიზიოლოგიურ შთაბეჭდილებას. და მაინც, ბიჭებიც განიცდიან გარკვეულ ფიზიოლოგიურ ცნობისმოყვარეობას, როცა სურთ გაიგონ, თუ როგორ მოქმედებს სქესობრიობა.

ამ პერიოდისას სქესობრიობა პირდაპირ ბიოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს და ამ ასაკის ბავშვების სიზმრები სავსეა შეუნიღბავი სქესობრივი აქტებითა და სიმბოლოებით, რომელნიც, ჩვეულებრივ, ორგანულ სტიმულებს ეფუძნებიან. კონსულტანტებს ხშირად საქმე აქვთ მრავალნაირ „ბინძურ თამაშთან“, როგორიცაა კოვბოები და ინდიელები, რომელ-

ნიც მთავრდებიან იმით, რომ გოგონები და ბიჭები ტანთ ხდიან და უყურებენ ერთმანეთს. რამდენადაც ეს თამაშები არ მიდის ძალზე შორს, ისინი ჩვეულებრივ, ნაკლებ მნიშვნელოვანია. უმეტეს შემთხვევაში მათი მიზეზი არის ფსიქოლოგიური ხელმძღვანელობის არარსებობა, რის გამოც ვერ ხერხდება ბავშვებისთვის საკმარისი მასალის მიწოდება მათი წარმოსახვისა და აქტივობისათვის. უმეტესწილად ეს ადვილად მოგვარებადია: გარდა სერიოზული, რბილი საყვედურისა, ბავშვები უნდა ჩაბმულ იქნენ რაიმე მნიშვნელოვან აქტივობაში. ყველაზე ცუდია, თუ შეშინებული მასწავლებელი შეეცდება, ავტორიტარულად აღმოფხვრას ამგვარი „ცოდვები“ და ამით ბავშვის „ფიზიოლოგიურ გადახრას“ მისი ცხოვრების ბნელ სფეროში გადაიტანს.

ბავშვებისთვის საბედნიეროდ, ამ თამაშების უმრავლესობა არაა ხოლმე შემჩნეული და ნორმალური ბავშვი თავს ანებებს მათ, როგორც კი ცნობისმოყვარეობა დაუკმაყოფილდება. პუბერტეტი გრძელდება და შემდეგში ბავშვი აწყდება იმდენად დიდ პრობლემებს, რომ აღრინდელი ცნობისმოყვარეობა მალევე დაივიწყება. სექსუალობა ამის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ერთ-ერთია მრავალ პრობლემას შორის, თუმცაღა უმნიშვნელოვანესი.

პუბერტეტს გაუმართლებლად აიგივებენ სქესობრივ მომწიფებასთან, რაც ნიშნავს, რომ მეტისმეტადაა გამოკვეთილი მრავალწახნაგა განვითარების ერთი ცალკეული ასპექტი და მთლიანი ფენომენი არასწორადაა დანახული. უფრო სწორი იქნებოდა, აგვეღწერა სქესობრივი მომწიფება როგორც ამქვეყნიური მომწიფება, ვინაიდან ამ პერიოდისას ბავშვი აცნობიერებს არა მარტო მეორე სქესის რეალობას, არამედ მთელ ამქვეყნიურ რეალობას, სქესებს შო-

რის განსხვავება კი ამ უკანასკნელის მარგოოდენ ერთი მოკრძალებული ნაწილია.

პუბერტეტი საოცრად დრამატული მოვლენაა ბავშვის ცხოვრებაში. „პარციფალის“ სახით რიჰარდ ვაგნერმა დაწერა დრამა, რომელიც მოგვაგონებს პუბერტეტის დრამას. პარციფალი ბავშვური უმანკოებით შევიდა გრაალის სასახლეში, საიდანაც გამოაძევეს, ვინაიდან როგორც „ნამდვილმა სულელმა“ კითხვა არ დასვა. ამის შემდეგ იგი კლინგზორის მაგიურ ბაღში ხვდება. აქ ფანტასტიკური ლანდშაფტი არის საოცარი ეგზოტიკური ნაირფერი ყვავილებით. როდესაც პარციფალი გაარღვევს მოჯადოებულობას, კლინგზორი ესვრის მას შუბს, რომელსაც იგი ხელით იჭერს. გაისმის ქუხილი, უეცრად ჩამობნელდება, მთელი მაგიური სამყარო იმსხვრევა და რუხ ნათელში გახვეული პარციფალი პირქუშ, კლდოვან, უდაბურ მხარეში აღმოჩნდება. ამ რუხ მარგოობაში მან უნდა პოვოს საკუთარი თავი და ხელახლა აღმოაჩინოს გზა გრაალის სასახლისაკენ.

ეს ასახავს პუბერტეტის დასაწყისის განცდებს. ბავშვის ნათელი, ფერადოვანი ყვავილთ სამყარო იფლითება და მოზარდი უეცრად აღმოაჩენს თავს ე.წ. შიშველი ფაქტების რუხ სამყაროში. ეს მომენტი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დრამატულია „პარციფალში“ და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე, წარმოადგენს განცდას, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი გადის ცხოვრებაში.

მარგოობა პუბერტეტის ლაიტმოტივია. მოზარდების დღიურებში ხშირად გვხვდება შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: ვერავინ მიგებს. ნეტავ, ვინმე თუ არის ჩემსავით მარტო ამქვეყანაზე?

ამ მარგოობიდან იძებნება გზა სხვა ადამიანებისკენ – გრაალის ერთობისაკენ, „პარციფალის“

ენით რომ ვთქვათ. ანალიზისა და გამოცალკევებულობის ხანის შემდეგ ადგილი აქვს სინთეზის ძიებას. იგი ყველა მცდელობაზე დომინირებს, რასაც კი ადგილი აქვს სრულწლოვანებამდე შვიდი წლის მანძილზე. კაცობრიობასა და სამყაროს შორის სინთეზის აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანი ბოლოს და ბოლოს მოიპოვებს ძალას, რომელიც სახეზეა, როდესაც ორნი ან სამნი ერთად არიან მაცხოვრის სახელით, ზუსტად ისე, როგორც „პარციფალის“ დრამაშია წარმოდგენილი.

ამ ასაკის მოზარდისათვის დამახასიათებელი გაუწონასწორებლობა დაკავშირებულია მარგოობის გრძნობასთან. იგი განცდების ცენტრალური ნიშანთვისებაა და დამანგრეველი ძალა გააჩნია. ის შეიძლება დროებით დაძლეულ იქნეს, როდესაც ყრმა მიეცემა ბავშვობის სამყაროს ილუზიას. მაგრამ ეს დროთა განმავლობაში ვეღარ ხერხდება და სამშვინველის ბნელი სიცარიელის დასამარცხებლად სხვა გზები უნდა გამოინახოს.

მოზარდი იწყებს უფროსი მეგობრის ძებნას, რომელიც უგებს მას და ხელს უწვდის, რათა გამოიყვანოს კონფლიქტური გრძნობების ლაბირინთიდან. გამოთქმა „სქესობრივი მომწიფება“ გულისხმობს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ახალგაზრდები მიდრეკილნი არიან, თავშესაფარი თავისივე ასაკის და საპირისპირო სქესის კომპანიონთან ეძებონ. ეს სულაც არ შეეფერება სინამდვილეს. სექსუალობა აღარ თამაშობს წინანდელ როლს. ბიჭები ეძებენ უფროს მამაკაც მეგობარს, გოგონები კი უფროს მეგობარ გოგონას, რათა გადაუშალონ გული და ახალი შემართებით სცენ მათ თაყვანი. ისინი ეძებენ მეგობარსა და წარმმართველს. ჰეტეროსექსუალობა მეორადია, წინ წამოიწევს ჰომოეროტიკული ტენდენციები. ან-

ტიკური საბერძნეთის კულტურაში ჭაბუკებისადმი სიყვარული აღიარებული აღმზრდელობითი ფაქტორი იყო. ამ პერიოდისათვის ტიპური არის სპორტული ამხანაგობები, სტუდენტური ერთობები და სამხედრო ცხოვრება.

ეს დროებითი ფიზიოლოგიური ფაზა არ უნდა ავურიოთ ჰომოსექსულობაში, თუმცა ვერ უარვყოფთ, რომ „ლატენტური ჰომოსექსუალობის“ ხშირ შემთხვევაში პიროვნება ვერ ახერხებს გადააბიჯოს პუბერტეტის პერიოდს.

პუბერტეტი არის საფეხური, როცა ახალგაზრდები იწყებენ საკუთარი ადგილის ძებნას დიდ სამყაროში. ისინი აღსავსენი არიან ახალი კითხვებით: სად ვდგავარ მე? სადაა ჩემი ადგილი? როგორ აღმიქვამენ მე სხვები? ესაა საკუთარი იდენტურობის ძიება. თუ ბიჭი ვერ მოიპოვებს მას, პუბერტეტის შემდგომ წლებში ის ან გამოეთიშება საზოგადოებას, ანდა „შეუერთდება ჯოგს“ და ეგონება, რომ საზოგადოების ნაწილად ყოფნა გულისხმობს მისსავე საკუთარ ღირებულებას.

ჯოგისთვის თავის შეფარებამ კონკრეტულ სოციალურ პირობებში შეიძლება უამრავი კონფლიქტური ფორმა მიიღოს, მაგრამ იგი ყოველთვის იდენტურობის ვერ აღმოჩენის შედეგი არის.

მეორე პრობლემაა ახლებური დამოკიდებულების ჩამოყალიბება სქესობრიობასთან, რომელმაც თავდაპირველად თავისი ბიოლოგიური ასპექტით იჩინა თავი. აქ გარკვეული ინტიმურობა უნდა მოიძებნოს. მისი საშუალებით სექსი გარდაიქმნება *ეროსად*, ურთიერთობებში პიროვნულად განცდილ ძალად. თუ ეს არ განხორციელდება, შედეგი იქნება მარტოობა და გაუცხოება არა მარტო საპირისპირო სქესთან მიმართებით, არამედ სხვა სოციალურ, კერძოდ, სამ-

სახურებრივ და მეგობრულ ურთიერთობებშიც.

ინტიმურობის შედეგად გარე სამყარო კვლავ განიცდება როგორც შინაგანი სამყარო, რომელიც შეიძლება მეს დაუკავშირდეს.

პუბერტეტის დაწყებიდან ავტორიტეტი აღარ გამოდგება აღმზრდელობით პრინციპად. ახალგაზრდა პიროვნება უფროსებს ლიდერებად აღიარებს, თუკი ისინი მისი მეგობრები იქნებიან. ოჯახური კონფლიქტების მეტი წილი გამოწვეულია ისეთი მშობლების მიერ, რომელნიც ინარჩუნებენ ავტორიტარულ განწყობას მაშინ, როცა მათი შვილები აღწევენ პუბერტეტს და ვერ ახერხებენ მათ მეგობრულად წარმართვას. სავსებით სწორად ბავშვი ავტორიტეტს ახლა საკუთარი პიროვნების შეურაცხყოფად განიცდის.

პირველი შვიდი წლის მანძილზე ბავშვი ერთიანი იყო სამყაროსთან. სამყარო მისი არსების ნაწილს შეადგენდა. მეორე შვიდწლეულისას მე და სამყარო ნელ-ნელა ემიჯნება ერთმანეთს და თოთხმეტი წლის ასაკში პუბერტეტისეული მარტოობა ისადგურებს.

მესა და სამყაროს შორის ახლებური ურთიერთობა, რომელსაც ყრმა ესწრაფის, უნდა იყოს მთლიანად ცნობიერი დამოკიდებულება, დამყარებული თავად ახალგაზრდა პიროვნების მიერ.

5.1. ბიჭები თოთხმეტიდან თექვსმეტამდე: მსოფლმხედველობის ძიება

პირველი სფერო, სადაც ხდება სინთეზის ძიება, არის აზროვნება. ადგილი აქვს აზროვნების აქტივაციას და ბავშვი ეძიებს სამყაროს ხაგს, რომელშიც მე მთლიან კოსმოსშია ჩართული.

ბიჭისათვის, რომელიც ამ პერიოდში გარეთ არის მიქცეული, მთელი სამყარო დაუსრულებელ აღმოჩე-

ნათა ვრცელ არეალად იქცევა. განვითარების დონისდა მიხედვით მისი ინტერესები შეიძლება ვიწრო იყოს ანდა უკიდურესად მრავალფეროვანი.

ამ ასაკის ბიჭს პირველ რიგში ტექნიკის სამყარო იტაცებს. იგი გასაოცარი თავდაჯერებულობით ერკვევა, მაგ., კომპიუტერებში – სფეროში, რომელიც ასე ბევრ საიდუმლოს შეიცავს უფროსი თაობისთვის. მან შეიძლება მარტივად ააწყოს რადიო, სწრაფად შეისწავლოს ძრავის აგებულება და ცოტა ხნის შემდეგ საკმაოდ ბავშვურად შეუდგეს წვრილმან შეკეთებებს სახლში.

ბიჭების უმრავლესობას ასევე დიდი მოთხოვნილება აქვს, გაიგოს კოსმოსის საიდუმლოებები. ისინი ეძებენ კოსმოგრაფიის სუბიექტს. მახსოვს ჩემი საკუთარი იმედგაცრუება, როდესაც სკოლაში აღმოვაჩინე, რომ მის საგანს წარმოსახულ ხაზებს შორის გამოთვლილი კუთხეები შეადგენს.

ამ გზით ბიჭი ივითარებს მსოფლმხედველობას, რომელსაც ჩვენი ეპოქის მეცნიერებებში აქვს გამდგარი ფესვები. ამ ასაკში იგი სრულებით კმაყოფილდება ამით და შეუძლია აღინთოს იმ მეცნიერთა ენთუზიაზმით, ვინც XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერების განვითარებაში წვლილი შეიტანა.

ბიჭებს იტაცებთ შორეული ქვეყნების აღმოჩენებზე წიგნების კითხვა და ყოველი მათგანი გადის პერიოდს, როდესაც სურს, გახდეს მკვლევარი და კიდევაც არის იგი არდადაგებზე გამართული ლაშქრობებისას. ამ ასაკში სურთ გახდნენ მფრინავი ან მეზღვაური, ოთახი ქცეულია მავთულ-ხლართებად, მანქანის ძველი აკუმულატორი კი უძვირფასესი შენაძენია. ყრმა სულ ექსპერიმენტებს ატარებს და ისეთი დაჟინებით, როგორსაც ვერასოდეს იხილავენ სკოლაში. იმედი და მარცხი არის მისი ცხოვრების

ორი პოლუსი. ბიჭების უმრავლესობას მეცნიერება და ტექნიკა აინტერესებს, უმცირესობას კი ლიტერატურა და ჰუმანიტარული საკითხები. ორივე მათგანმა შეიძლება დაიწყოს ჟურნალების გამოშვება და სტატიების წერა.

ასე მაგ., მე ხელში ჩამვარდნია ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც საბეჭდ მანქანაზე იბეჭდებოდა, გამოიცემოდა სამგვარი ვერსიით, ვრცელდებოდა ხელმოწერით და ამბიციური სახელწოდება ჰქონდა: „Physica et Natura – ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის ყოველთვიური ჟურნალი“. სტატიები, რომლებსაც თოთხმეტი-თხუთმეტი წლის სამი მეგობარი წერდა, პუბერტეტის ტიპურ ნიშნებს შეიცავდა. აქ იყო ნაწყვეტები გამოჩენილი გამომგონებლების ბიოგრაფიებიდან, სტატიები ნეონისა და X-სხივების შესახებ და ასევე ნარკვევები სოკოებსა და ველურ მცენარეებზე.

ყოველივე დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით იყო შესრულებული, მაგრამ მთლიანად სასკოლო ნარკვევის სტილი ჰქონდა, უფრო ენციკლოპედიის მსგავსი იყო და აკლდა ლიტერატურული გემოვნება. ეს ენციკლოპედიური სტილი, ენთუზიაზმი ცოდნისადმი, ფაქტების დაგროვება ტიპური არის გვიანი პუბერტეტისათვის.

სხვა სასკოლო ჟურნალებში სჭარბობდა ლიტერატურული ესეები, თუმცა ესენიც მცირე ჯგუფის მიერ იყო დაწერილი. ამ ასაკში მე ოთხი ფსევდონიმით ვწერდი, რათა შემევსო სხვადასხვა სვეტები, როგორც ჩვენი სასკოლო ჟურნალის „რედაქტორს“.

დაახლოებით ექვსას მოწაფეს შორის ექვსიც კი არ ამჟღავნებს საკმარის ლიტერატურულ ტალანტს ამგვარი მცდელობებისას. მაგრამ დღიურების შესწავლიდან ცხადი ხდება, რომ ერთ პროცენტზე გაცი-

ლებით მეტს გააჩნია შემოქმედებითი ლიტერატურული ნიჭი.

თუმცა ცოდნა პოპულარული არის ჩვენს დროში და სიმწიფისაკენ მიმავალი ბიჭები თანდათან ქმნიან ხატს სამყაროში თავიანთი ადგილის შესახებ, მათი უღრმესი გრძნობები არ კმაყოფილდება მხოლოდ ჰორიზონტის გაფართოებით. აზროვნებასა და წვდომის უნარს მზა პასუხები გააჩნია ყველა სახის კითხვაზე. მათ შეუძლიათ განიმსჭვალონ გრძნობებითა და ენთუზიაზმითაც. მაგრამ ადამიანისა და მისი უშუალო გარემოს ურთიერთდამოკიდებულების განცდა ჯერ არ შეცვლილა. მოზარდები მუდმივად აცნობიერებენ ნაპრალს, რომელიც მიჯნავს მათ თანამოძმეებისგან. ყრმა ჯერაც ვერ იგებს საკუთარ მეს და ვერც გამოხატავს ამას.

გარეგნული გამბედაობის ქვეშ მარტოული ფაქიზი გული ძგერს. მას ჩუმად უკვირს ბავშვობის სამოთხის დაკარგვის უსამართლობა, ანდა რისხვით აუჯანყდება სამყაროს, რომელიც მკაცრი და ბასრია და უმოწყალოდ შეუძლია ტკივილის მიყენება.

ამის შედეგად ჭაბუკი დაურწმუნებელია სოციალურ კონტაქტებში. იგი კიბორჩხალას ჰგავს, რომელიც გამოძვრა თავისი ჯავშნიდან ახლის წარმოსაქმნელად და დროებით მთლიანად დაუცველია. გოგონები მისთვის სრულ საიდუმლოდ იქცნენ. ისინი საძულველნი არიან, ქედმაღლური უპირატესობით ექცევიან, რაც მისთვის აუტანელია. იგი წითლდება და ენა ებმება ყველაზე უხერხულ მომენტებში. ფაქტობრივად, არ არსებობს თხუთმეტი წლის აყლაყუდაზე უფრო უმწეო არსება.

თავის მეგობრებთან ერთად იგი უსაფრთხოდ გრძნობს თავს, საინტერესო საკითხებზე ესაუბრება, ანდა ეჯიბრება სპორტში. მაგრამ სად იპოვის იგი

ჭეშმარიტ მეგობარს, რომელიც ბოლომდე გაუგებს, ვისაც გაუზიარებს თავის გრძნობებს, ვინც მართალ სიტყვას ეტყვის იუმორითა და ნამდვილი სიყვარულით, როდესაც იგი ახალი ჭეშმარიტებების ძიებაში იქნება? მას ეგონება, რომ იპოვა ეს მეგობარი, მაგრამ იმედი გაუცრუვდება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მეგობრობა მხოლოდ მაშინ შეიძლება შენარჩუნდეს, როცა არსებობს გაცემის ორმხრივი უნარი, თხუთმეტი წლისას კი მხოლოდ ეჭვები აქვს გასაცემი. რასაც იგი გარეგნულად ავლენს, მუდამ სხვა არის, ვიდრე სინამდვილეში განცდილი.

და მაინც, ამ ასაკში შეიძლება განვითარდეს უცნაური და ნაზი სიყვარული გოგონას მიმართ, რომელსაც შორიდან ეთაყვანებიან. ამ სიყვარულს არავითარი სექსუალური შინაარსი არ გააჩნია, ვინაიდან ეს უკანასკნელი მკრეხელობად განიცდება. სიყვარულის ობიექტს იგი თაყვანს სცემს როგორც შორეულ ღვთისმშობელს. წამიერი შეხვედრა შეიძლება მრავალი დღის განმავლობაში ყოფნიდეს. გოგონამ შეიძლება არაფერი იცოდეს ამის თაობაზე, ბიჭი კი ღრმად იტანჯებოდეს. ყოველივე ოდნავ მელანქოლიურ იერს ატარებს, უდიდესი ექსტაზის მომენტებიც კი. ესაა ბუნდოვანი სწრაფვა რომატიკოსთა ცისფერი ყვავილისაკენ.

ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ სხვა დროს ბიჭი შეიძლება საკმაოდ ღიად ურთიერთობდეს გოგონასთან. მეგობრებზე შთაბეჭდილების მოსახდენად იგი უნდა იქცეოდეს მოზრდილივით, საუბრობდეს სექსზე და ჰყავდეს გოგონა. მაგრამ ამგვარი სასიყვარულო ურთიერთობა არ გამოირჩევა სიღრმით. ესაა XX საუკუნის პროდუქტი, რომელიც ზოგიერთ კლასში და კლუბში ისეთივე მოდას წარმოადგენს, როგორც გარკვეული ქუდის თუ ჰალსტუხის ტარება.

ამ კონფლიქტური გრძნობებისა და იმპულსების ფონზე ბიჭს არ შეუძლია თავის ინტიმურ სურვილებზე საუბარი, ვინაიდან მის წინ მდგომი პიროვნება აცნობიერებინებს მის ნაკლოვანებებს და გამოუთქმელი სწრაფვების სასაცილო ასპექტებს.

სამშვინველის უძლიერესი მოთხოვნილება ჭაბუკს უბიძგებს დღიურის წერისკენ, რაც პუბერტეტისთვის ისევე დამახასიათებელია, როგორც შენება და ხატვა ბავშვისთვის. დღიურები პუბერტეტის ნაწილია. გოგონები მათ წერას იწყებენ თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში და ხშირად განაგრძობენ ცხრამეტ-ოც წლამდე, ბიჭები კი იწყებენ ცამეტი-თოთხმეტი წლის ასაკში და, ჩვეულებრივ, უფრო ადრე წყვეტენ. დღიურის წერის ზენიტია თექვსმეტი-თვრამეტი წლის ასაკი ბიჭებისათვის და თხუთმეტი-ჩვიდმეტისა გოგონებისთვის.

თუმცა დღიურის წერა პუბერტეტისას იწყება, იგი უმთავრესად მაინც ბავშვის სასოწარკვეთის გამოხატულებაა. უჩინარი მეგობარი არ გეკამათება და დიდი მოთმინებით გისმენს. იგი ნამდვილი მეგობრის ადგილს იჭერს, რომელიც ვერ მოიძებნა, მაგრამ შეიძლება გამოჩნდეს მოზარდის შემდგომი ცხოვრებისას. დღიური ამ პიროვნებისთვისაც იწერება. უჩინარი თვალები კითხულობენ დღიურს. ეს უმაღლესი მეს თვალები არის, ბავშვის ცხოვრების ერთადერთი ნამდვილი წარმმართველისა. ყრმა მას ჯერ გარეთ ეძებს და გაცილებით გვიან პოულობს საკუთარ თავში. მეს სიახლოვის გაცნობიერება მისი პოვნის გარეშე და სხვა პიროვნების მოძებნის უუნარობა იწვევს დღიურში გამოხატულ ინტენსიურ მარტოობას.

5.2. ბიჭები თექვსმეტსა და თვრამეტს შორის: რელიგიური სწრაფვები

დღიურების წერის პერიოდის პიკისას ბიჭებში და გოგონებში პუბერტეტი დამთავრებული არის. ახლა მათი გრძნობები სამყაროსთან სინთეზს ეძებს. დღიური ძალზე განსხვავებულ ხასიათს იღებს. არტისტული ელემენტი მოვლენათა აღნუსხვასა და ემოციურობასთან შედარებით უპირატესობას იძენს. მოკლე ლექსებში, რიტმულ პროზასა და ნარკვევებში ბუნების განცდა, ბუნდოვანი რელიგიური გრძნობა და შორეული ობიექტების სიყვარული არის გადმოცემული. მომხიბვლელი მეგობარი გოგონა ახლა იშვიათად თუ შთააგონებს ბიჭს ცეცხლოვან სონეტს.

თუკი ახალგაზრდა პიროვნების მსოფლმხედველობა გაფართოვდება მომდევნო წლებში და იგი საკუთარ ადგილს იპოვის, სინთეზის მიღწევის მცდელობები შეიძლება მშვინვიერი ცხოვრების ღრმა შრეებში ჩაიძიროს და საბოლოოდ იქ რეალიზდეს.

გარემოს ზემოქმედებით ჩამოყალიბებული წარმოდგენა სამყაროს შესახებ მოზარდისათვის ცხადს ხდის, რომ იგი მოწყვეტილია სხვა ხალხსა და უმაღლეს სულიერ სამყაროს. XX საუკუნის მსოფლმხედველობისათვის ადამიანი არის ქვიშის ნამცეცი უკიდეგანო სამყაროში. ამგვარი თვალსაზრისი სამშვინველს ადგილს არ უტოვებს. ამდენად, მესა და სამყაროს სინთეზი ახლა იქცევა მესა და სხვა ადამიანებს, მესა და საზოგადოებას, მესა და ღმერთს შორის დამოკიდებულებად.

ყოველივე ეს ადრე, დუალიზმის პერიოდშიც, განიცდებოდა, მაგრამ ვერ ცნობიერდებოდა. პირველად ეს ცხრა-ათი წლის მოუსვენარ ასაკში განიცდება. პუბერტეტისას გრძნობის ინტენსივობამ შეიძლება დეპ-

რესია, ზოგ შემთხვევაში კი თვითმკვლელობა გამოიწვიოს.

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ასაკში მოსდევს სხვა ადამიანებთან და ღმერთთან რელიგიური დამოკიდებულების ძიება. ეს მრავალი ფორმით ხდება, საიდანაც ზოგიერთი შეიძლება აგრესიული, ანტირელიგიური იყოს, თუმცაღა ყრმა ამ ასაკში რელიგიური არის. ეს მჟღავნდება საზოგადოებაში, ბუნების ერთობლივი განცდისას, კოცონთან ან სიმღერისას. მე მხოლოდ მაშინაა კმაყოფილი, როდესაც სხვა ადამიანის მეს უკავშირდება. ამდენ ხანს საკუთარი თავით დაკავებული მოზარდი ახლა სხვებთან მიკუთვნებულობის გრძნობას ეძებს.

იზრდება სხვებთან ერთად რაიმეს კეთების მოთხოვნილება, ერთობის განცდით მიღებული სიხარული. იგი შედეგია გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა, რაც აღრმავებს და აძლიერებს თავად პიროვნების გამოცდილებას. მაგრამ ეს ძალზე სუსტ საფუძველს უქმნის მყარ ერთობას და ხშირად აღგილი აქვს იმედგაცრუებას. შინაგანი უსაფრთხოების განცდა ხშირად სუსტდება არდადეგების, ბანაკში ყოფნის ან დისკუსიის შემდეგ. და ამას ახალი შეხვედრის, სხვა დროებითი მხარდაჭერის წადილი მოსდევს. ამიტომაც უყვართ ახალგაზრდებს ასე ხშირად ერთმანეთთან შეხვედრა, რათა ყოველთვის ერთი და იგივე რამ განიხილონ ან გააკეთონ.

უფროსები შეიძლება უკმაყოფილონი იყვნენ, როცა ხედავენ, თუ რაოდენ არაპროდუქტიულია ეს შეხვედრები. ახალგაზრდები უფრო საუბრობენ და უსმენენ ერთმანეთს, ვიდრე პრობლემებს წყვეტენ. ისინი უარყოფენ შემოთავაზებულ გამოსავალს, ფაქტობრივად, იმიტომ, რომ პრობლემის გადაჭრის შემდეგ

დისკუსია აღარაა საჭირო, მათთვის კი მთავარია თავშეყრა, ერთმანეთის ძიება და ამ ძიების შენარჩუნება. ვისაც ესმის, თუ რაოდენ მგზნებარე და ცხოველია სურვილი, ეკუთვნოდე საზოგადოებას, ის მოთმინებით ასაზრდოებს ამ სულისკვეთებას, რითაც დასაბამს მისცემს ერთობის ჭეშმარიტსა და ღრმა გრძნობას. იგი მხოლოდ წლების მანძილზე შეიძლება მომწიფდეს, როდესაც პიროვნება საკუთარ მიმართებას დაამყარებს ისეთ თავგადებასთან, რისი განსახიერებაც არის მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლი და რაც ჭეშმარიტი ქრისტიანული კულტურის საფუძველი არის.

პუბერტეტის შემდგომი ამ აქტიური რელიგიური ძიებისას რელიგიური იდეალი ინტენსიური მიზანსწრაფვით, ბუნებრივი შინაგანი ლტოლვით მოიძიება და განიცდება, რაც აღარასოდეს მეორდება შემდეგში. ყველაზე მტკიცე მატერიალისტიც კი ხშირად იღიმის ამ პერიოდის გახსენებისას, როცა რელიგიასა და პოეზიას ჯერაც შეეძლო „მისი ახალგაზრდული სულის“ ამოძრავება.

მრავალი ადამიანისთვის ამ წლებს მოაქვს ფილოსოფიურ ღირებულებათა გამოღვიძება. ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევენ მათ, მაგრამ ჭეშმარიტ პიროვნულ ღირებულებებად მხოლოდ გვიან ასაკში იქცევიან. ზოგიერთი ადამიანისთვის ესაა რომანტიზმის ხანა, როცა იბრძვიან ტურნირებში და ურჩხულებს ამარცხებენ მშვენიერი ქალწულებისთვის, როგორც შუა საუკუნეებში იყო.

5.3. *თვრამეტსა და ოცდაერთს შორის: მზადება კარიერისთვის*

სკოლის დამთავრებისას, თვრამეტი წლის ასაკში ახალგაზრდამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა საქმიანობას აირჩევს. ზრდასრულობისკენ განვითარება ემთხვევა ამ დროს გადასადგმელ პირველ ნაბიჯებს. კარიერისათვის მზადებისას ახალგაზრდა პიროვნება საზოგადოებაში თავისი *ნებით* შედის. ეს უკანასკნელი ახლა თავის საბოლოო სახეცვლილებას გადის. მას უკვე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და გამოღვიძებული იდეალები ბადებს. ახალგაზრდა პიროვნება მოქმედებს გამომდინარე საკუთარი იდეალებიდან, საკუთარ ნებაზე დაყრდნობით, იგი პასუხისმგებლობას გრძნობს განვითარებად სოციალურ სტრუქტურაზე.

5.4. *გოგონები პუბერტეტის შემდეგ*

უკვე აღინიშნა, რომ გოგონები ფიზიოლოგიურად უფრო ადრეულ ასაკში მწიფდებიან, ვიდრე ბიჭები. ბიჭებში ფსიქოლოგიური პუბერტეტი ემთხვევა ფიზიოლოგიურს, რასაც ადგილი აქვს დაახლოებით თოთხმეტი-თექვსმეტი წლისას. გოგონებში კი ეს ორი პროცესი სხვადასხვა დროს მიმდინარეობს. ფიზიოლოგიური ანუ სქესობრივი მომწიფება თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე ხდება, ფსიქოლოგიური კი მხოლოდ თოთხმეტი-თექვსმეტი წლის ასაკში.

თუ პუბერტეტისას ბიჭები ხალისით მიიქცევიან გარე სამყაროსაკენ, გოგონები დაკავებულნი არიან ადამიანის სამშვინველის განცდით. ისინი მთლიანად ერთვებიან ადამიანურ ურთიერთობებსა და გრძნობათა ღელვაში. ისინი უგებენ და თანაუგრძნობენ გა-

რემომცველ ადამიანურ ცხოვრებას და პირდაპირ გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს ცხოვრებისეული პრობლემების შესახებ. გოგონები ბიჭებივით, და შეიძლება უფრო მეტადაც, განიცდიან თავიანთ მარტოობას. ბიჭები ორ პოლუსს შორის ცხოვრობენ: მარტოობასა და გარე სამყაროს შემეცნების სიხარულს შორის. გოგონები კი ბევრად უფრო დაკავებულნი არიან თავიანთი განცდებით, ვინაიდან სამყარო, რომლის დაუფლებასაც ცდილობენ, ადამიანის სამშვინველი არის.

გოგონა, რომელიც ფიზიკურად მომწიფებულია, გააჩნია გასაოცარი ინტუიცია და ადამიანთა ურთიერთობების წვდომა, მაგრამ საკუთარი ცენტრი ჯერ არ აქვს (რაც საყრდენი იქნებოდა მისთვის), იწყებს თავისივე სქესის მეგობრის ძებნას, რომელსაც გაენდობა და ამით დროებით იმსუბუქებს მარტოობას. იგი ადვილად ტრავმირებადია, ზედმეტად მგრძნობიარე, ემოციური, უიმედო. ან ექსტაზში, ან კი სასოწარკვეთილი, ბრძენი და სულელი, გარეგნულად თავდაჭერილი, შინაგანად ეჭვებით სავსე. ინტენსიურად უზიარებს სხვებს გრძნობებს, მაგრამ მაინც უკიდურესად მარტოსულია. ამგვარი არის თოთხმეტიოცი წლის გოგონას ფსიქიკა. გოგონებს ბიჭებზე ნაკლებად შეუძლიათ თავიანთი გრძნობების ვერბალიზაცია. მაგრამ უკიდურეს მარტოობაში მათ შეუძლიათ ჩაწერონ თავიანთი გულისნადები და ქაღალდს გაანდონ იგი. გოგონები ბიჭებზე მეტად მხატვრულად და შემოქმედებითად წერენ დღიურებს. ისინი საჭიროებენ თავიანთი განცდების ჩაწერას ბუნებასთან და ადამიანებთან შეხვედრისას, რადგანაც ქვეცნობიერად გრძნობენ, რომ ეს შინაგანი მოვლენები მნიშვნელოვანი არის. ზოგჯერ ბიჭიც აკეთებს ამას, ზოგჯერ კი სისუსტედ თვლის: საკუთარი თავის ანა-

ლიზი ენთუზიაზმის ძალას ებრძვის მასში.

თავიანთი განვითარების სპეციფიკურობის გამო გოგონები ბიჭებზე უფრო სწრაფად იზრდებიან შინაგანად. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის გოგონა უფრო მომწიფებულია და აცნობიერებს თავის პიროვნულ უპირატესობას. იმავე ასაკის ბიჭი მასთან შედარებით მოუხეშავი ბავშვი არის. გოგონები ლიდერობენ თავისივე ასაკის ბიჭებს და თუკი ყურადღებას უწყალობებენ, ეს უკანასკნელნი ყოველნაირად ემსახურებიან მადლობის ნიშნად. გოგონები ჭირვეულნი არიან და მუდამ სურთ, რომ სხვებმა ასიამოვნონ. ბიჭებთან მეგობრობისას ისინი ოდნავადაც არ ამჟღავნებენ საკუთარ დაურწმუნებლობას.

თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ასაკში გოგონაც განიცდის გრძნობის გაღრმავებას. აქამდე მან ბევრი ისეთი რამ იცოდა, რაც ჯერ არ განეცადა, ახლა კი ნამდვილად განიცდის ამას. მისი რელიგიური გრძნობები ღრმაა, სერიოზული და ადვილად არ შეირყევა. ადრეულ წლებში შეძენილი ცოდნა სიბრძნედ იქცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ გოგონას ძალუძს თავი გაართვას ისეთ ამოცანებს, რისთვისაც ბიჭი ჯერ არ არის მომწიფებული. მაგრამ თვრამეტი წლის გოგონა არ არის ზრდასრული სოციალური გაგებით. იმავე ასაკის ბიჭთან შედარებით იგი უფრო მომწიფებული და მგრძნობიარეა, მაგრამ მისი ძალისხმევები და იდეალიზმი ჯერაც არარეალისტურია. მას ჯერ კიდევ წინა აქვს ნებელობის ბოლო სახეცვლილება, როდესაც ადგილი აქვს იდეალების გამოცდას და სოციალურ სფეროში რეალიზაციას. ამ საფეხურზე გოგონა უნდა დაეწიოს ბიჭებს იმ სფეროებში, რომლებიც მათ უკვე გაიარეს და ეს ქალური ფსიქიკის სისუსტედ რჩება. თავიანთი ცხოვრების მანძილზე ქალები გარე სამყაროს განიხილავენ საკუთარი განცდების მიხედვით, მამაკაცები კი მიდრეკილნი არიან, პირველ რიგში თავიანთი მეცნიერული და სოციალური წვდომები წამოსწიონ წინ.

ამ კუთხით უნდა შევხედოთ სოციალურ უსამართლობას, რომლის შედეგად უმწიფარი გოგონები იაფ მუშა ხელად გამოიყენებიან, რათა რამოდენიმე წლის შემდეგ ახალი ნაკადით იქნენ შეცვლილნი. სწორედ იმ ასაკში, როცა გოგონამ საკუთარი მსოფლმხედველობა უნდა ჩამოიყალიბოს, იგი ხშირად მუშაობას იწყებს ან (რაც უარესია) უმუშევარია. რა მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდება ამგვარ ვითარებაში ახალგაზრდა ქალს, რომელმაც მომავალში ახალი თაობა უნდა აღზარდოს? ეს შეიძლება იყოს მხოლოდ უსამართლობათა და ექსპლოატაციის ხედვა, ვინაიდან მოზარდები მკაფიოდ ხედავენ ყოველივე ამას და ქვეცნობიერად მეტად მკაცრად განსჯიან.

გოგონა მიდის საკუთარი ოჯახიდან და თავისი სახსრები გააჩნია. მაგრამ იგი ღრმად გულდაწყვეტილი არის, რადგანაც გრძნობს, რომ ვერ განვითარდა იმ წლების განმავლობაში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ შემდგომი ცხოვრებისათვის. ერთადერთი მიზანი ახლა თანამგზავრის რაც შეიძლება სწრაფად პოვნა არის. მაგრამ ზიანი უკვე მიყენებულ იქნა მომავალი ოჯახის დედისათვის და ახალი თაობა მოკლებულ იქნება გამბედაობასა და სიხარულს, რაც აუცილებელია სიცოცხლის პირველ წლებში.

ეს აღმზრდელობითი უსამართლობა წყრომას იწვევს. უმუშევარი თუ სამუშაოს მქონე ახალგაზრდა შეიძლება სავსებით სწორად გრძნობდეს, რომ რაღაც დაკარგა განვითარებაში და რომ ვერავითარი კურსები ვერ აუნაზღაურებს შემდეგში ამ დანაკარგს.

ამას შორსმწვდომი სოციალური მნიშვნელობის მოვლენამდე მივყავართ. მექანიზაციისა და კომპიუტერიზაციის შედეგად, რამაც შეცვალა მონოტონური შრომა, ადამიანებს რჩებათ დრო, დაუფიქრდნენ საკუთარ თავს და აღმოაჩინონ, რომ მათ საშუალება ჰქონდათ, გაეარათ ნამდვილი განვითარების მარტოოდენ ნაწილი.

მომუშავარ ადამიანს შეიძლება მრავალგვარი მოთხოვნილება ჰქონდეს, მაგრამ სინამდვილეში მას სურს იყოს სრულყოფილი პიროვნება. ამიტომაც მოზარდის აღზრდის საკითხი დეტალურად უნდა იქნეს გადასინჯული. გამოსავალი მხოლოდ კლასების დამატება კი არ არის, სადაც ძველი საგნები მეორდება, არამედ აუცილებელია აღზრდის სრულიად ახალი სისტემა, რომელიც სათანადო ასაკობრივი ფაზების ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს დაეფუძნება.

დაბადებიდან 2 წლამდე	სენსორული აღქმის პერიოდი ვერტიკალური მდგომარეობა, სიარული, მეტყველება, ჩვილი ბავშვის აღნაგობა
ფიზიოლოგიური მომწიფება:	
2 წლიდან	*აზროვნების* განვითარება: აღქმების შინაარსის დაკავშირება. ჩვილი ბავშვის აღნაგობიდან პატარა ბავშვის აღნაგობაზე გადასვლა.
4 წლიდან	*გრძნობის* განვითარება: შემოქმედებითი წარმოსახვა. საბავშვო ბაღის ბავშვის აღნაგობა. სიგანეში პირველად ზრდა.
5 1/2 წლიდან	ცნობიერი *ნების* განვითარება. ბავშვი მზადაა სკოლისთვის. სკოლის ასაკის ბავშვის აღნაგობისკენ გადასვლა. სიმაღლეში პირველად ზრდა.
ფსიქოლოგიური მომწიფება:	
7 წლიდან	*აზროვნების* მეტამორფოზა. ხატოვანი აზრების თვითკმარი სამყარო. სკოლის ბავშვის აღნაგობა
9 წლიდან	*გრძნობის* მეტამორფოზა. კრიტიციზმის გამოღვიძება. მესა და სამყაროს ურთიერთგამიჯვნა. სიგანეში მეორედ ზრდა.
11-12 წლიდან	*ნების* მეტამორფოზა. პუბესცენსი. სიმაღლეში მეორედ ზრდა
სოციალური მომწიფება:	
14 წლიდან	*აზროვნების* სინთეზი. მსოფლმხედველობა. სქესობრივი მომწიფება.
16 წლიდან	*გრძნობის* სინთეზი. რელიგიური მიდრეკილება. სიგანეში მესამედ ზრდა.
18 წლიდან	*ნების* სინთეზი. სოციალური პასუხისმგებლობა. კარიერისათვის მზადება. მამაკაცობისა თუ ქალურობისკენ მომწიფების გაგრძელება.

6. ადამიანის სამშვინველის შრეები

მეხუთე თავში მოყვანილი სქემა სხვაგვარადაც შეიძლება დაიხაზოს. ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარება შეიძლება მცენარის ზრდას შევადაროთ. მცენარე უმარტივესი ფორმიდან, თესლიდან, იწყებს ზრდას. ამოიზრდება ღერო. მასზე სხვადასვა სიმაღლეზე ვითარდება ფოთლები. საბოლოოდ კი ყვავილი და ნაყოფი წარმოიქმნება. ყოველი შემდგომი ფოთლის განვითარებისას წინამავალი, ქვედა ფოთლები განაგრძობს არსებობას და მთლიანად ინარჩუნებს საკუთარ ფუნქციას. ზრდა ხდება წვეროდან, სადაც ჩნდება ახალი ორგანო. ძველი ორგანოები განაგრობს მოქმედებას და ხელს უწყობს ახალი ორგანოს ზრდას. ხოლო როდესაც მისი ფუნქცია შესრულებულია, ორგანო ნაწილობრივ კვდება.

ყვავილი შეიძლება მხოლოდ მაშინ განვითარდეს, როცა ფოთლები ამოსულია და ახორციელებს მასაზრდოებელ ფუნქციას. ნაყოფი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა ყვავილმა შეასრულა თავისი დანიშნულება. ხოლო გამრავლების ორგანოები ახალი ნაყოფისა და თესლის საფუძველს ქმნის. „მცენარეთა მეტამორფოზაში“ გოეთე აღწერს ცოცხალ ორგანიზმში შეკუმშვისა და გაშლის პროცესების რიტმულ მონაცვლეობას. თესლი მცენარის ყველაზე კომპაქტური ფორმაა. აღმოცენებადი მცენარე სივრცეში განეფინება, ფოთოლი ფოთოლს მისდევს

და ყოველი მომდევნო უფრო დიდი და მშვენიერია. ესაა პირველი ფორმა, რითიც მცენარე გვეელინება. ამას მოსდევს შეკუმშვის პროცესი. ფოთლები პატარავდება და ღეროზე განვითარებას იწყებს ყვავილი. ფოთლის ძლიერი შეკუმშვა ხილული ხდება ყვავილის ჯამში, შემდეგ კი ფოთლები კიდევ ერთხელ იშლება ყვავილის ფურცლების სახით. ესაა მცენარის მიერ საკუთარი თავის მეორედ გამომზეურება. ყვავილის ფურცლები იგივე ფოთლები არის. მაგრამ მწვანე ფოთლებთან შედარებით მათ ძლიერი სახეცვლილება განიცადეს. ფოთლის კიდევ ერთი უკიდურესი შეკუმშვა ხდება მტვრიანებში. შემდეგ ბუტკო სქელდება, რათა წარმოქმნას თესლის შემცველი ნაყოფი, როგორც გაფართოების მესამე ეტაპი. ნაყოფში ვითარდება თესლი, როგორც შეკუმშვის მესამე და უკანასკნელი პროცესი მცენარეში. ფოთოლი, ყვავილი და ნაყოფი ფოთლის განვითარების სამი ერთმანეთის მომდევნო საფეხურია.



მცენარე სამ ეტაპად ვითარდება. თითოეული მათგანი ფოთლის მეტამორფოზაა და ერთმანეთისგან გამოყოფილია შეკუმშვის სტადიით. ზრდასრულობის კენ ზრდისას ადამიანიც სამ საფეხურს გადის, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს უკვე გამოვლენილი სტადიის მეტამორფოზას, ანუ შემდგომ სრულყოფას.

ზრდასრული ადამიანი მუდმივად იღებს საზრდოს სამშვინველის ფარული შრეებიდან. მისი მსოფლმხედველობისა და შინაგანი სიმტკიცის ფესვები არსებობის პირველ ფაზაშია. მეორე სტადიისას აღმოცენებულ ძალებს იგი იყენებს როგორც თავის ემოციურ, ისე მხატვრულ ცხოვრებაში. ხოლო როგორც შეგნებული პიროვნება, იგი მესამე ფაზაში ჩაყრილ საფუძველზე იწყებს შენებას.

ბემოთქმულიდან ცხადი ხდება მშობლებისა და მასწავლებლების პასუხისმგებლობა მომავალი თაობის მიმართ. ცხოვრებაში რწმენას საფუძველს უყრიან მშობლები, რომელნიც წარმართავენ განვითარების პირველ ფაზას.

სკოლა, რომელიც დიდადაა პასუხისმგებელი მეორე პერიოდის მიმდინარეობაზე, საფუძველს უყრის ჩვენს გვიანდელ გრძნობებს და იმ სიხარულს, რომელიც შეგვიძლია განვიცადოთ მხატვრული შემოქმედებისას.

მესამე ფაზის რეალიზაცია მოსახლეობის მხოლოდ უმცირესობაში ხდება. მოზარდმა, რომელიც თექვსმეტი წლისა იწყებს მუშაობას, ხელიდან არ უნდა გაუშვას ის შესაძლებლობები, რომელნიც მას ეძლევა.

ესაა სამი სასიცოცხლო საკითხი, რომელიც დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე და რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი.

მშობლებმა უნდა ეძიონ გზები თავიანთი საკუთარი მორალური და რელიგიური ცხოვრების საფუძვლების გასამტკიცებლად.

სკოლამ განათლებაში მხატვრული და შემოქმედებითი ელემენტი უნდა შეიტანოს.

საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს უკეთესი პროფესიული მომზადება.

მცენარე ერთწლიანი ციკლით ვითარდება. განვითარების სამივე თანმიმდევრული სტადია მომდევნო წელს თავიდან იწყება. ადამიანებში კი ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ მაშინ იწყება, როცა განვითარების ეს სამი ფაზა დასრულებულია.

ზრდასრული ადამიანი მშვინვიერი ძალების სამი მეტამორფოზის მეოხებით ცხოვრობს. მას შეიძლება ეგონოს, რომ მათგან მხოლოდ უკანასკნელს ეყრდნობა. მაგრამ სინამდვილეში ადრეული „ღონეებიც“ განაგრძობს ზემოქმედებას.

ადამიანის მშვინვიერი ცხოვრების სხვადასხვა შრეებზე ბევრი რამ არის ცნობილი. ავადმყოფთა დაკვირვებიდან დაასკვნეს, რომ არსებობს სამშვინველის ღრმა ფენები, სადაც პიროვნება ქვეცნობიერად განაგრობს ახალგაზრდობაში მომხდარი მოვლენების განცდას. ამას შეიძლება უკავშირებდნენ არაცნობიერს ან ქვეცნობიერს.

ფიზიოლოგიური განვითარების *პირველი შვიდწლეული*, როდესაც ბავშვი მთლიანად არის დაკავშირებული საკუთარ სასიცოცხლო პროცესებთან და გარემოსთან, ზრდასრულობისას *ულრმესი არაცნობიერი შრის* სახით შემოინახება. ამ პერიოდის განცდები და მოვლენები თითქოსდა ღრმა, უსიზმრო ძილში განაგრძობს სიცოცხლეს.

ფსიქოლოგიური განვითარების *მეორე შვიდწლეული* შემოინაება *ნახევრად ცნობიერი ანუ ქვეც-*

ნობიერი ფენის სახით. ამ პერიოდის განცდები და მსოფლმხედველობა ქვეცნობიერ, სიზმრისეულ მდგომარეობაში განაგრძობს ცხოვრებას.

სოციალური განვითარების *მესამე შეიდწლეული* მესამე, მთლიანად ცნობიერი შრის სახით ნარჩუნდება. ზრდასრული ადამიანი ამ პერიოდის განცდებზე და ამ დროს განვითარებულ ფილოსოფიაზე განაგრძობს შენებას და ჰგონია, რომ განვითარების წინა საფეხურები გაქრა. ეს უკანასკნელნი შეიძლება ამოტივტივდნენ ზედაპირზე, ერთი მხრივ, ანომალიური და პათოლოგიური მდგომარეობებისას, მეორე მხრივ, კი ცნობიერი ვარჯიშის შედეგადაც.

მეოთხე თავში ექვსი-ცხრა წლის ბავშვის ცნობიერება შედარებული იყო ზრდასრული ადამიანის ზმანებებთან. რაც უფრო კარგად დავაკვირდებით ბავშვის ცნობიერებას განვითარების მეორე საფეხურზე, მით უფრო მეტ მსგავსებას აღმოვაჩენთ მოზრდილი ადამიანის სიზმრებთან.

შინაგანი განცდისათვის სიზმარში ყველაფერი უფრო ნამდვილია, ვიდრე ფხიზელი ცნობიერებისას. სიზმარში დრამატული გრნობები დომინირებს ლოგიკასა და განსჯაზე. სიზმრის ხატები წარმოქმნილია ყოველდღიური ცხოვრების აღქმებისგან, თუმცა სიზმარში მოვლენათა დინამიკა მიჰყვება დრამატულ კანონებს, რაზეც გავლენას ახდენს ემოციები. ყველაფერი განიცდება ხატოვნად და სიზმრის ნამდვილი საფუძველი ამ ხატების საშუალებით უნდა იქნეს ახსნილი.

არსებობს სხეულებრივი (ანუ ორგანული) სიზმრები, სადაც ხატებს სხეულებრივი ორგანოები იწვევს. არსებობს სურვილთა აღსრულების სიზმრები, რომელთა საფუძველი სწრაფვებშია. შემდეგ არის სიზმრები, რომელნიც სამშინველის განვითარების

პრობლემების ხატებას წარმოადგენენ. დაბოლოს, არსებობს წინასწარმეტყველური სიზმრები, სადაც ხატები სივრცისა და დროის მიღმა არსებულ სამყაროს გამოხატავს.

ორგანული მიზეზები, სწრაფვები, სამშვინველის განვითარება, სულიერი სამყარო – ყოველივე ეს შეიძლება წარმოდგენილი იყოს სიზმარში და აღქმათა სამყაროდან აღებული ხატებით იმოსებოდეს.

მსგავსი ჩამონათვალი შეიძლება გაკეთდეს განვითარების მეორე ფაზაში ბავშვის წარმოსახვასთან დაკავშირებით. იგი ზღაპრებშიც გვხვდება. არსებობს მარტივი ზღაპრები, სადაც ხატი სხეულებრივ პროცესებს გამოხატავს. მაგ., სადაც სიკვდილი და ხელახალი დაბადება დაკავშირებულია ზრდის ისეთ სტადიებთან, როგორიცაა სარძევე კბილების მოცვლა და პუბერტეტი.

სხვა ზღაპრები უფრო ახლოს არის სამშვინველის განვითარებასთან. მაგ., სადაც სამი ძმა ცდილობს რაიმეს გაკეთებას, უმცროსი იმარჯვებს, უფროსი ძმები კი მარცხს განიცდიან. უმცროსი ძმის ამბავი გამოხატავს ნებას, რომელიც „უმცროსია“ სამ მშვინვიერ ძალას შორის: აზროვნებას, გრძნობას და ნებას შორის. ეს თემა განსაკუთრებით გავრცელებულია ნორვეგიულ ზღაპრებში.

დაბოლოს, არსებობს ზღაპრები ადამიანის სულიერი სამყაროდან წარმომავლობის შესახებ, მიწაზე მისი დაშვების, ადამიანურ ფორმაში გამომწყვდევისა და საბოლოო ხსნის შესახებ. ეს თემა უმშვენიერესადაა წარმოდგენილი „თეთრთოვლაში“.

მოზრდილისათვის ძნელია პირველი ფაზის ცნობიერების განცდა. ამის მიზეზი ისაა, რომ სხეულებრივი პროცესი საკმაოდ არაცნობიერად მიმდინარეობს და თავს „ერთი დონით უფრო მაღლა“ – სიზმ-

რის ხატებში – აკლენს. ჩვენი ნების ფესვები ძილის არაცნობიერ სამყაროშია გადგმული ისე, რომ დაფარულია ჩვენი პერცეფციისთვის. ძილის ამ სამყაროსთან მიახლოება შეიძლება მხოლოდ მძლავრი შინაგანი კონცენტრაციის საშუალებით, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ინტელექტუალურ აზროვნებას.

6.1. სამშვინველისა და სხეულის განვითარება

აზროვნების ყოველი მეტამორფოზა ემთხვევა თავის ფორმისა და სახის გამომეტყველების მნიშვნელოვან ცვლილებას.

გრძნობის ცვალებადობის პერიოდები შეესაბამება ტანის სიგანეში ზრდის პერიოდებს.

ნების განვითარების კრიტიკული პერიოდები ემთხვევა სიმაღლეში ზრდის მომენტებს, როდესაც განსაკუთრებით კიდურები გრძელდება.

ახლა განვიხილავთ ფსიქიკის განვითარების რიტმსა და ცალკეულ ორგანოთა ზრდის რიტმს შორის არსებულ დამოკიდებულებას.

მიუკერძოებელი დაკვირვებისთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს შეხედულება, რომლის მიხედვითაც აზროვნების, გრძნობისა და ნებელობის მშვინვიერი აქტივობების ცენტრი თავის ტვინი არის. ეს მოსაზრება ემყარება თავის ტვინში ე.წ. „მოტორული ცენტრების“ აღმოჩენას, რომელნიც აკონტროლებენ კუნთების მოძრაობას და მსგავსი ცენტრების აღმოჩენას თავის ტვინის ღეროში, რომლის დაზიანებაც დიდ ცვლილებებს იწვევს პიროვნების ემოციურ მდგომარეობაში.

ამ ფაქტებს ნამდვილად ვერ უარვყოფთ. მაგრამ იბადება კითხვა: მოცემული ორგანო იწვევს ფსიქიკურ ფუნქციას, თუ ეს უკანასკნელი ზემოქმედებს ორგანოზე? სხვა სიტყვებით, რომელია პირველადი – ორგანო თუ ფსიქიკური ფუნქცია?

პირველი ფუნქცია, რომელსაც შევეხებით, არის აზროვნება. ეჭვგარეშეა, რომ თავის ტვინი აზროვნების ორგანო არის (თუმცა საკითხავია, თავის ტვინი აღძრავს აზროვნებას, თუ აზროვნება იყენებს ტვინს საკუთარი თავის გამოსავლენად). აზროვნების ამოცანაა რთული და მრავალფეროვანი სამყაროს გაგება. ამისათვის იგი ცდილობს მოაწესრიგოს აღქმათა სიმრავლე და აღმოაჩინოს მათში კანონზომიერება ანუ რეგულარული პრინციპები.

მაგ., მათემატიკა მხოლოდ მაშინ გამოდგება ბუნების კანონების საფუძვლად, თუ თავად ეს კანონები შეიცავს მათემატიკურ სისტემას – თუკი მათემატიკა ნამდვილად შემოქმედებითი პრინციპია, რომელიც არსებობს ადამიანის სუბიექტური აზროვნებისგან დამოუკიდებლად.

მათემატიკისა და ლოგიკის ცალკეული პრინციპების ცოდნას ადამიანმა აზროვნების საშუალებით მიაღწია. აზროვნების მიზანი არის რეალობისთვის ნათლის მოფენა და მისი გაცნობიერება. ადამიანის აზროვნება სულ უფრო და უფრო უნდა მიუახლოვდეს ღვთაებრივ მათემატიკასა და ლოგიკას, ღვთაებრივ აზროვნებას, „სული წმიდას“. აზროვნება სუბიექტური რომ ყოფილიყო და მხოლოდ კონკრეტული ინდივიდისთვის ჭეშმარიტი, იგი ფუჭ საქმიანობად იქცეოდა და უმჯობესი იქნებოდა, თავი დაგვენებებინა მისთვის.

აზროვნების გზით სამყაროს ობიექტური კანონების შესამეცნებლად ადამიანი აღჭურვილია ცენტრალური ნერვული სისტემის იარაღით. მუდმივი ვარჯიშის შედეგად იგი იმდენად შეიძლება დაიხვეწოს,

რომ სულ უფრო შეძლოს ღვთაებრივი ლოგიკის გაგება. აზროვნება იყენებს იმ ორგანოს, რომელიც აძლევს ამის საშუალებას.

გარდა აზროვნებისა გრნობასა და ნებელობასაც გააჩნია ობიექტური რეალობა შემოქმედებითი პრინციპის სახით. ნება თავისი კოსმიური ასპექტის მიხედვით – როგორც აქტივობისა და ცვალებადობის სტიმული – საპირისპირო აზროვნებისა, რომელიც იკვლევს ბუნების კანონებსა და *უკვე* მომხდარს.

სწრაფვა შინაგანი მოძრაობისა და ცვალებადობისაკენ ადამიანის მეტაბოლიზმში რეალიზდება, ხოლო გარე მოძრაობებისა და ცვალებადობისკენ – გადაადგილებაში. ეს შემოქმედებითი პრინციპები ორგანოებს არის მიმაგრებული, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ნივთიერებათა ცვლის პროცესებთან, კუნთები კი მოძრაობის ორგანოებს წარმოადგენენ. მოძრაობის მოთხოვნილების ცენტრი თავდაპირველად ამ ორგანოებშია. ფსიქოლოგიურად ეს სწრაფვა თავს იჩენს როგორც მოთხოვნილება ან სურვილი: კვების, გამრავლების მოთხოვნილება და მოძრაობის სურვილი. ესენი აღმოცენდებიან გამრავლებისა და გადაადგილების მეტაბოლური ორგანოების ფუნქციებიდან და ნების საწყისს წარმოადგენენ. ისინი ცნობიერ *ნებად* იქცევიან მხოლოდ მაშინ, როცა სწრაფვა უერთდება მარეგულირებელ ცნობიერ აზროვნებას.

აზროვნებას, როგორც ასეთს, არ შეუძლია ნების აღძვრა. იგი მხოლოდ რეგულატორი არის და გარდაქმნის ლტოლვას ნებად. მოძრაობისკენ სწრაფვა არსებობს იქაც კი, სადაც არაა არავითარი ცენტრალური ნერვული სისტემა, მცენარეებსა და უმდაბლეს ცხოველებში. ამდენად, ნების სათავე ვერ იქნება ტვინის ე.წ. მოტორულ უბანში. მისი საწყისი იმყოფება თავად მოძრაობის ორგანოებში, ხოლო მისი რეგულირება და კონტროლი ხორციელდება ცენტრალური ნერვული სისტემის დახმარებით. ამიტომაც კიდურების ზრდისას ადგილი აქვს მოძრაობისკენ ძლიერ სწრაფვას, რომელიც ნებად გარდაიქმნება მხოლოდ წლების განმავლობაში (როგორც ეს ხდება ხუთიდან შვიდ და თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე).

ბრმა ლტოლვის გარდაქმნა ცნობიერ ნებად ზნეობრივობის პრობლემას წარმოადგენს. აზროვნება ეხება იმას, რაც მოხდა, რაც წარსულია. ნება, რომელიც უმიზნებს იმას, რაც მოსახდენია, მუდამ მომავლითაა დაკავებული.

გრნობასთან დაკავშირებით ჩვენ ვიმყოფებით აწმყოში. გრძნობა აერთიანებს აზროვნებისა და ნების ანტითეზას. ამიტომ გრძნობა მუდამ ორ პოლუსს შორის ირხევა: სიმპათიასა და ანტიპათიას, სიყვარულსა და სიძულვილს, მეგობრობასა და მტრობას, გახსნილობასა და ჩაკეტილობას, მიღებასა და უკუგდებას შორის.

მაგრამ ეს პოლარობა შემოქმედებითი პრინციპია, რომელიც განმსჭვალავს მთელ კოსმოსს. იგი ვლინდება დიდ და მცირე რიტმებში, რომელთაც ადგილი აქვთ შესაქმისას.

რიტმის თვისებაა, მოიცვას როგორც მოძრაობა (ნება), ისე ბუნების კანონები (აზროვნება). რიტმი მოძრაობაა ბუნების კანონებისდა მიხედვით. მას გააჩნია ფორმა, მაგრამ ფორმა არა სივრცეში, არამედ დროში.

კოსმიური რიტმები ვლინდება წელიწადის განმავლობაში ზამთარ-ზაფხულის და დღე-ღამის მონაცვლეობის სახით. ამ რიტმებს, სადაც ერთმანეთს გარკვეული საპირისპირო მდგომარეობები ენაცვლება, ცოცხალ ორგანიზმებშიც აქვს ადგილი, რომ-

ლებშიც გარკვეული პროცესები რიგმული თანმიმდევრობით მიმდინარეობს.

რუდოლფ შტაინერმა მიუთითა, რომ სუნთქვისა და ცირკულაციის ნორმალური რიგმები არაა შემთხვევითი, არამედ ასახავს ჩვენი მზის სისტემის დიდ კოსმიურ რიგმებს. შესაქმე და ცოცხალი ორგანიზმი მრავალმხრივაა ერთმანეთთან დაკავშირებული. რიგმის ძირითადი კანონია სისტოლა-დიასტოლა (შეკუმშვა-გაშლა), შესუნთქვა-ამოსუნთქვა, მიახლოება-განშორება. გრძნობაც იმავე კანონებს მიჰყვება და რიგმულად ირხევა სიმპათიასა (მიახლოება, ასიმილაცია, შესუნთქვა) და ანტიპათიას (მიტოვება, უარყოფა, ამოსუნთქვა) შორის. ექსტაზს დეპრესია მოსდევს, დომინირებას გათავისუფლება.

სასიცოცხლო ორგანოების რიგმი ერთუჯრედიანი არსებებიდან მოყოლებული უმაღლეს ორგანიზმებამდე არის სუნთქვის, ცირკულაციის და საჭმლის მონელების ორგანოების რიგმი. ყოველ უჯრედს საკუთარი სასიცოცხლო რიგმი აქვს. ასევე ყველა ორგანოს გააჩნია საკუთარი რიგმი.

ადამიანზე ხშირად ამბობენ, გულთბილიაო, ანდა ოქროს გული აქვსო. ამგვარი გამონათქვამი დიდ სინამდვილეს გამოხატავს. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი გულითა და ფილტვებით ვგრძნობთ. ანატომიურად გული ემსახურება სისხლის მიმოქცევას, ფილტვები კი სუნთქვას. მაგრამ გულში, მუცელში, ნაწლავებში, სუნთქვაში მოქმედი დიასტოლისა და სისტოლის რიგმი ქმნის ჩვენი გრძნობების საფუძველს და ამრიგად კავშირი გრნობებსა და ამ რიგმებს შორის მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. მათ არეგულირებს არა ცენტრალური ნერვული სისტემა, არამედ სიმპათიკური ნერვული სისტემა. გრძნობები და სუნთქვისა

და ცირკულაციის რიგმები განსაკუთრებით ბავშვობაშია მჭიდროდ დაკავშირებული და რამდენადაც შესაძლებელია ამ სფეროში დასკვნების გამოტანა, ჩანს, რომ ეს ურთიერთკავშირი სუსტდება მხოლოდ ცრა-ათი წლის ასაკის შემდეგ, როდესაც ცირკულაცია და სუნთქვა უფრო სტაბილური ხდება და მხოლოდ ძლიერი გრნობებიღა მოქმედებს მათზე. როდესაც პატარა ბავშვებს ვუყვებით ამბავს, ვხედავთ, რომ მათი სუნთქვა და პულსი ცვალებადობს მოთხრობაში დაძაბულობისა და შვების მომენტებთან ერთად.

ჩვენი შეხედულება ემყარება თავდაპირველ ფსიქოფიზიკურ კავშირს აზროვნებასა და ცენტრალურ ნერვულ სისტემას შორის; გრძნობასა და გარკვეულ ორგანოებს, უმთავრესად გულმკერდში მოთავსებულს შორის; ნებასა და გადაადგილების ორგანოებს, ძირითადად კიდურებით წარმოდგენილს, შორის.

ერთიანი სამების ღვთაებრივი პრინციპი, რომელსაც ვიცნობთ როგორც მამას, ძეს და სული წმიდას, ადამიანში აისახება აზროვნების, გრნობისა და ნების სამწევროვნების სახით და სხეულში არის წარმოდგენილი თავით, გულითა და კიდურებით.

ამ თვალსაზრისს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პედაგოგებისთვის. როგორც მათემატიკის სწავლის მიზანია ლოგიკური აზროვნების განვითარება, ისე ტანვარჯიში და სპორტი ემსახურება ნების განვითარებას. ამ იდეას განსაკუთრებით ძლიერად ბრიტანეთში მისდევენ. მაგრამ საბავშვო თამაშებიც ემსახურება ნების ჩამოყალიბებას და როცა ამგვარი თამაში გარკვეული მიზნისკენ მიმართება, ეს ნიშნავს, რომ იღვიძებს ცნობიერი ნება. ამ სტადიამდე თამაში ჯერაც რიგმულ ფუნქციებთან არის დაკავშირებული. ამგვარი პროგრესი თა-

მაშში კიდურების ზრდას ემთხვევა.

აღზრდისას სასურველია, ნება ვითარდებოდეს პირდაპირ კიდურების დახმარებით და არა თავის მეშვეობით; რომ იგი ვარჯიშდებოდეს ხელ-ფეხით შესრულებული აქტივობებისას. როდესაც ბავშვები არითმეტიკულ ცხრილებს ტაშის კვრითა და ფეხების ბაკუნით სწავლობენ, ისინი უფრო ადრეულ ასაკში და უკეთ ითვისებენ მათ, ვიდრე მაშინ, როცა აიძულებენ წყნარად ჯდომისას ისწავლონ. უკანასკნელ შემთხვევაში მოძრაობის შეკავებული სწრაფვა ამოხეთქავს ძალადობის აქტებში სკოლის დამთავრების შემდეგ. მუსიკაში, სადაც ნება რიტმის გრნობასთან არის დაკავშირებული, ფეხის ბაკუნი რიტმის შენარჩუნებას ეხმარება.

მოხსენებებში პედაგოგიკის შესახებ რუდოლფ შტაინერმა გამოთქვა აზრი, რომ საინტერესო იქნებოდა დავკვირვებოდით ურთიერთკავშირს ორგანოებისა და ბავშვის ფსიქიკის განვითარებას შორის. ადამიანის ორგანიზმის სამწევრიანობის იდეაზე დაყრდნობით მან აღწერა, თუ როგორ ვითარდება აზროვნება მხოლოდ მაშინ, როცა ნერვული სისტემა და თავი გარკვეულ სრულყოფილებას აღწევს; თუ როგორ ვითარდება გრძნობა, როცა რიტმული ორგანოები სტაბილური ხდება; და თუ როგორ მწიფდება ნება მხოლოდ მაშინ, როცა კიდურებმა ზრდა დაამთავრა. ამასთან ერთად აღმოცენდა მნიშვნელოვანი იდეა, რომ აზროვნების, გრძნობისა და ნების მშვინვიერი ძალები გარდაქმნილი ორგანული ძალები არის, რომელნიც ფსიქიკური აქტივობების სახით თავისუფლდებიან მაშინ, როცა საჭირონი აღარ არიან ორგანოთა ზრდისა და გამრავლებისთვის.

ეს იდეები მრავალი წლის მანძილზე მოწმდებოდა პრაქტიკაში. ჩვენ ვცდილობდით გაგვერკვია, შესაძლებელია თუ არა დავუკავშიროთ ცალკეული

ფსიქიკური აქტივობების აღმოცენება ბავშვის ფიზიკურ განვითარებას. ცხადი იყო, რომ ფსიქიკური ფუნქციები ეტაპობრივად აღმოცენდება და რომ მათ ძუძამ თან სდევს გარკვეული ორგანული ცვლილებები, რომლებზეც წინა თავებში ვისაუბრეთ.

რთულ და ანომალიურ ბავშვებთან მუშაობისას ბავშვის ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით მე ხშირად ვხვდებოდი, ექნებოდა თუ არა ადგილი ფსიქიკური განვითარების გარკვეულ ეტაპს. ხოლო გარკვეული ორგანული სისტემების ფიზიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნების გამოტანა ფსიქიკის განვითარების მიხედვით შეიძლება. სხვა სიტყვებით, გარკვეულმა ორგანულმა სისტემებმა უნდა მიაღწიოს განვითარების გარკვეულ სტადიას, სანამ აღმოცენებას შეძლებენ მათი თანმხლები ფსიქიკური ფუნქციები.

აქ ვერ შევეხებით ამ საკითხს უფრო დაწვრილებით. ხსენებული ფაქტები გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური ფუნქცია მოქმედებას იწყებს მაშინ, როცა გარკვეულ ორგანოთა სახეცვლილება მნიშვნელოვანწილად დასრულებული არის.

სხეულის ნაწილი, რომელიც პირველი აჩერებს ზრდას, არის თავი. იგი პირველი იწყებს ზრდას. ორი წლის ასაკისათვის თავის გარშემოწერილობა თითქმის 50 სმ. არის. ამის შემდეგ იგი მხოლოდ 6 სმ-ით იზრდება, რაც ძალზე მცირე მატებაა დიამეტრში. ხოლო ორი წლის ბავშვის ფეხების სიგრძე 38 სმ არის. ზრდასრულ ადამიანში კი – 88 სმ. ფეხები ორჯერ და უფრო მეტად იზრდება სიგრძეში. თავი პირველი აღწევს სრულყოფას. ორი წლის ასაკის შემდეგ აღმოცენებას იწყებს აზროვნება. ამ ასაკში ჩვილის აღნაგობა იცვლება პატარა ბავშვის აღნაგობით, რომლის მთავარი მახასიათებელიცაა მუცელი. შემდეგ კი ოთხი წლის ასაკში აღმოცენებას იწყებს ბავშვის შემოქმედებითი ფანტაზია. როცა ბავშვი ხუთი წლისაა, მისი ფეხები იწ-

ყებს ზრდას და როდესაც ეს პროცესი იმდენად გამოიკვეთება, რომ ბავშვის აღნაგობა მთლიანად იცვლება, მაშინ აღმოცენებას იწყებს ნება. ამიერიდან ბავშვის მიმართება სამყაროსთან სხვა არის და იგი მზადაა სკოლისთვის.

მეშვიდე წლისას საგრძნობლად იცვლება თავისა და ნაკვთების პროპორციები და გამომეტყველება. აღმოცენდება აზროვნების ახალი პროცესები, რომელნიც ბავშვს ხატოვან აზროვნებას შეაძლებინებენ. ამას მოსდევს პერიოდი რვიდან ათი წლამდე, როდესაც კვლავ ხდება ცვლილებები ტანში. ათი წლის ასაკში ადგილი აქვს სახეცვლილებას ბავშვის გრძნობებში, რასაც ათი წლის ასაკის კრიზისი მოსდევს.

პუბერტეტი იწყება კიდურების შესამჩნევი ზრდით, ამას კი ნების ცვალებადობა მოსდევს ისე, რომ ახლა ბავშვი მზადაა დადგეს სამყაროს პირისპირ.

პუბერტეტის მეორე ეტაპს მოაქვს პირისახის ნაკვთების ჰარმონიზაცია და ცვლილება. ახლა ბავშვი პირდაპირ უმზერს სამყაროს და ცდილობს შექმნას მისი სურათ-ხატი. ამას მოსდევს პერიოდი, როდესაც მოზარდის მაღალი და თხელი ფიგურა უფრო მომრგვალებული ხდება. ესაა რელიგიური კვლევის, გრძნობის ახალი აქტივობის ასაკი. დაბოლოს, ადგილი აქვს მომწიფების უკანასკნელ სტადიას. მამაკაცებში ეს ნიშნავს ჩონჩხისა და კუნთების მთელი სისტემის დამძიმებას. ქალებში ამ პროცესის მხოლოდ ოდნავი მინიშნება შეიმჩნევა. თითქოს სიგანეში ზრდის წინარე სტადია გრძელდება, თუმცა ცვლილებებს ქალის აგებულებაში, ქვედა ტანშიც, აქვს ადგილი. ეს განსხვავებულობა შეესაბამება ფსიქოლოგიურ სხვაობას მამაკაცსა და ქალს შორის.

7. მეს განვითარება

წინა თავებში ბავშვის განვითარების სამი ფაზა აღვწერეთ.

თითოეული მათგანი წინმსწრები ეტაპის მეტამორფოზა არის. ჩვენს წინ დაიხატა განვითარების სურათი, რომელიც მცენარის განვითარებას შეგვიძლია შევადაროთ, რომელიც ასევე სამ სტადიად ვითარდება. გავიხსენოთ შესავალში წამოყენებული მოსაზრება, რომ ადამიანის არსება ორი სამყაროს მკვიდრი არის: საკუთარი სხეულებრივობის ფიზიკური სამყაროსი და ღვთაებრივ-სულიერისა. ყურადღება მივაპყროთ ძალებს, რომელნიც ბავშვის განვითარებაზე მისივე ცენტრიდან ზემოქმედებენ. ეს შეგვიძლია კვლავ სქემატურად გამოვსახოთ:



აქამდე ჩვენ უფრო მეტად განვიხილავდით სხეულიდან, ქვევიდან, მომდინარე ზეგავლენებს. ახლა შევეხოთ ზევიდან მომავალ ზემოქმედებებს, რომელნიც თავს იჩენენ სულში.

ის, რაც ჩვენს შინაგან ბირთვს ქმნის და გვამცნობს, რომ თვითმყოფადი ინდივიდები ვართ, არის მე. განვიხილოთ, თუ როგორ მზეურდება მე სამშვინველში სამი ფაზის განმავლობაში.

ყოველი ინდივიდის განვითარებაში არსებობს მომენტი, როდესაც პირველად ცნობიერდება მისი საკუთარი მე. ჩვეულებრივ, ბავშვის ცხოვრებაში დრამატულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც რაიმე პირველად განიცდება როგორც მისთვის მიკუთვნებული. ესაა მომენტი, როდესაც ინდივიდი პირველად აცნობიერებს მეს.

7.1. მეს გაცნობიერება (სამი წლის ასაკი)

ნორმალური განვითარებისას ეს მომენტი სამი წლის ასაკში დგება. ბავშვს უკვე ბევრი რამ აქვს განცდილი. იგი მეტყველებს, რეაგირებს. მისი ქცევა მის მშვინვიერ ცხოვრებას ცხადყოფს. მაგრამ იგი ჯერ ვერ აცნობიერებს საკუთარ მეს, არ უკავშირებს მოვლენებს საკუთარ თავს, როგორც უწყვეტ არსებას დროის ნაკადში.

გარეშე პირი შეიძლება დააკვირდეს მომენტს, როდესაც იღვიძებს თვითცნობიერება ანუ მეს ცნობიერება. აქამდე ბავშვი საკუთარ თავს ასახელებს – ვანო, პეტრე - ზუსტად ისე, როგორც სხვა ადამიანებსა და საგნებს. ეს გვიჩვენებს, რომ იგი ჯერაც არ განასხვავებს საკუთარ თავს ყველა სხვა ობიექტისა და აქტივობისგან, რომელთა იდენტიფიკაციაც შეიძლება მოვახდინოთ სიტყვით ან სახელით. შემდეგ ის

აცნობიერებს, რომ მისი საკუთარი მე ოდნავ უფრო განსხვავებულია ყველაფერი დანარჩენისგან. ხდება მესა და სამყაროს გამიჯვნა. უეცრად ბავშვი განაცვიფრებს გარშემომყოფებს იმით, რომ იტყვის: „მე მინდა ხილფაფა“, მაშინ როცა წინა დღით ამბობდა: „ვანოს უნდა ხილფაფა“.

ეს მომენტი, როდესაც ბავშვი პირველად იყენებს სიტყვა „მე“-ს, ნიშანსვეტია მის განვითარებაში. მესთან დაკავშირებული მოვლენების მოგონებაც ამ პერიოდიდან იწყება, როდესაც ნაცვალსახელი „მე“-ს გამოყენება ხდება.

თვითცნობიერების გამოღვიძებასთან ერთად, რომელსაც მოაქვს მესა და დანარჩენი სამყაროს გამიჯვნა, ვლინდება უეცარი ტენდენცია გარე სამყაროსათვის „არა“-ს თქმისა. ამ პერიოდში მეს ცნობიერება ვითარდება სამყაროს უკუგდებითა და მასთან დაპირისპირებით. შელერი ადამიანისათვის დამახასიათებლად „მე“-სა და „არა“-ს თქმის უნარს თვლიდა. „არა“-ს თქმის მიდრეკილებასთან ერთად, რაც უეცრად თავს იჩენს მეორე და მესამე წელს შორის, დგება სიჯიუტის პერიოდი. ჩვეულებრივ, იგი რამოდენიმე თვე გრძელდება, სანამ მე საკმარისად დარწმუნდებოდეს საკუთარ არსებობაში, მაშინაც კი, როცა არ ეწინააღმდეგება გარე სამყაროს.

პატარა ბავშვის უეცარი ცვლილება გასაოცარი მოვლენა არის. „მე არა ფისი-ფისი, მე არ გავაკეთებ ფისი-ფისის, მე არ მინდა ფისი-ფისი“, – იყვირებს იგი და სასოწარკვეთით მიაჭერს ერთმანეთს ფეხებს.

სიჯიუტის ეს ფაზა გამოცდაა მშობლებისათვის, რომელთაც უნდა დიდი მოთმინებითა და ტაქტით განაგრძონ ჩვეულებრივი ცხოვრება და უმიზეზოდ არ გამოიწვიონ ბავშვი. ერთადერთი გამოსავალი ამ დროს არის ბავშვის ყურადღების გადატანა სადავო

საკითხიდან. მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და სრული ცნობიერებით უნდა შევასრულებინოთ მას გარკვეული ქცევა.

ამ ფაზის წარმავლობის გაცნობიერება და სიხარული ბავშვის მეს გამომზეურების გამო ეხმარება მშობლებს ამ პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან სწორედ გარე სამყაროსთან დაპირისპირებით ივარჯიშებს ბავშვი საკუთარ თვითცნობიერებას.

სენსორული ფსიქოლოგიისათვის ცნობილია, რომ ცნობიერება მხოლოდ მაშინ აღმოცენდება, როდესაც წინაღობა განიცდება: ჩვენ მაშინ ვგრძნობთ კანს, როდესაც გარედან რაიმე გვაწვება.

სანამ გარე მოვლენათა დინებას მივყვებით, მანამ ვერ ვივითარებთ მეს ძლიერ ცნობიერებას. იგი შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარ თავს მოვლენის გარეთ მყოფ ინდივიდად აღვიქვამთ. მოზრდილები ამას აღწევენ ან გარე სამყაროს საპირისპიროდ მოქმედებით, ან დამოუკიდებელი თვალსაზრისის ჩამოყალიბებით. პატარა ბავშვს შეუძლია მხოლოდ იმოქმედოს და თქვას: „მე დაძინება არა“.

გარემოსთან დაპირისპირებისას ბავშვი აღმოაჩენს, რომ გააჩნია მე და არაა აუცილებელი, უბრალოდ აკეთოს ის, რასაც მოითხოვს გარე სამყარო. გამოცდილი დამკვირვებელი შეძლებს ერთმანეთისგან განასხვავოს უკმაყოფილების ნორმალური რეაქცია და სიჯიუტის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი დაპირისპირებულობა, როდესაც ბავშვი უეცრად წინააღმდეგი ხდება ყველაფრისა, რაც აღრე სიამოვნებდა.

ამ ფაზის შემდგომ წლებში მეს ცნობიერება ორი მიმართულებით ვითარდება: ჯერ ერთი, იგი თანდათან უწყვეტი ხდება და მხოლოდ ცალკეულ მომენტებში აღარ ვლინდება; მეორეც, სამყაროს წინააღმდეგ მიმართული გარე ქმედება სამყაროს შესახებ თვალსაზრისის წარმოქმნის შინაგანი აქტივობით იცვლება.

ექვსი წლის ასაკისათვის ეს პროცესები იმდენადაა წინწასული, რომ ბავშვი მზადაა სკოლისთვის. თვითცნობიერების გარკვეული უწყვეტობა არსებითი ფაქტორია სწავლისთვის. ბავშვი იწყებს საკუთარი შეხედულებების განვითარებას. მაგრამ მომდევნო ასაკშიც კი მეს კრიტიკული რეაქცია ჯერაც დაპირისპირების პრიმიტიული რეაქციაა.

„მე არ დავუთმობ მას, მე ვაჯობებ მას“, – ყველასათვის ნაცნობი გრძნობაა. შემდგომი ნაბიჯია სიტუაციის შესახებ სიმშვიდეში აზრის ჩამოყალიბება. ამისათვის მე გარეშე დამკვირვებლის სახით მოვლენებს გარეთ უნდა იმყოფებოდეს.

უკანასკნელი მოსაზრება ცხადყოფს, რომ მეს ცნობიერება სამი წლის ასაკში მისი პირველი აღმოცენებიდან გვიან ასაკამდე განვითარებას განაგრძობს (ან უნდა განაგრძობდეს).

გამოთქმა „მეს ცნობიერება“ გულისხმობს მეს ცნობიერებაში გამოვლინებას. იგი ჩვენს ცნობიერ აზროვნებასთან დაკავშირებული ფუნქცია არის.

7.2. მეს განცდა (ცხრა-ათი წლის ასაკი)

მე არა მარტო ვლინდება ცნობიერებაში, არამედ უშუალოდ განიცდება და შეიგრძნობა. ეს განცდა მეს ცნობიერებაზე უფრო ღრმა არის. მას ფესვები სამშვინველის უფრო ღრმა ფენებში აქვს გადგმული და პირდაპირაა დაკავშირებული ჩვენს გრძნობებთან. იგი მაშინაცაა სახეზე, როცა ჩვენ არა ვართ ცნო-

ბიერად დაკავებულნი საკუთარი მეთი.

მეს განცდა, როგორც ღრმად ჩაბუდებული რეალობისა, აღმოცენდება მაშინ, როცა ბავშვი ათი წლისაა. პუბესცენსისას იგი ძლიერდება, ხოლო პუბერტეტისას დომინანტური გრძნობა ხდება. ამ წლების განმავლობაში ყრმა საკუთარ მეს გარე სამყაროსაგან გამოცალკევებულად აცნობიერებს. ეს ღრმა ტრაგედიაა მისთვის. ბავშვობა დაკარგულ სამოთხედ განიცდება, როდესაც ბავშვი შეფარებული იყო ოჯახის, მეგობრებისა და სკოლის საიმედო სამყაროს. ახლა მე გაშიშვლებულია და დაუცველია უცხო სამყაროში.

მეს პირველი განცდა ემთხვევა ცხრა წლის ზემოაღწერილ კრიზისს, რომელიც ხშირად წინ წამოსწევს ხოლმე არსებულ კონფლიქტებს. და კვლავ, გამოფხიზლებას მოსდევს ქმედება გარე სამყაროს წინააღმდეგ, თუმცა ამჯერად ეს გრძნობების სფეროში ხდება. პედაგოგისადმი უსიტყვო პატივისცემა ქრება და იცვლება გარშემომყოფთა კრიტიკით. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მიიქცევა კრიტიკის ეს უნარი შიგნით, მესაკენ, რომელიც საკმაოდ უმწეო აღმოჩნდება, რაც უბედურების ღრმა გრძნობას ბადებს.

მეს ამგვარი განცდა დაიძლევა მხოლოდ პუბერტეტის შემდეგ მისი ახალი მანიფესტაციით, ამჯერად ნებაში. ამას შეიძლება მეს რეალიზაციის ნება ეწოდოთ.

7.3. მეს რეალიზაცია (თვრამეტი წლის ასაკი)

მეს გაცნობიერებისა და განცდის შემდეგ აღმოცენდება მისი გარე გამოხატვის მოთხოვნილება. ეს ხდება იმის საშუალებით, რასაც ახალგაზრდამ მიაღწია, მაგ., პროფესიაში ან სასწავლო კურსში. პი-

როვნება საკუთარ თავს ბიოგრაფიაში, დროის ნაკადში მოქმედებით გამოხატავს.

მეს რეალიზაციისაკენ გარღვევა ნიშნავს გათავისუფლებას წინა საფეხურისთვის დამახასიათებელი მეს განცდის უნაყოფობისგან.

მეს რეალიზაცია მუდამ ძლიერ იდეალიზმს ემთხვევა. მაგრამ მის ობიექტს ამჯერად ახალი საზოგადოებრივი მიღწევები წარმოადგენს მხოლოდ: ახალგაზრდები მზად არიან ქვეყნის კიდემდე იარონ თავიანთი იდეალებისათვის: იბრძოლონ, შეეწირონ კიდეც. მხოლოდ ბევრად უფრო გვიანდელ ასაკში აღმოაჩენენ ისინი, რომ არსებობს თვითრეალიზაციის შინაგანი გზაც, როდესაც ნება შიგნითაა მიქცეული მეზე სამუშაოდ; როდესაც აღზრდა-განათლება და მეს შინაგანი განვითარება საზოგადოებაში რევოლუციური ქმედების უცილობელ წინაპირობად იქცევა.

მეს რეალიზაციის პირველი გამოვლინების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხდა მისი გაცნობიერება და განცდა. სხვა სიტყვებით, ახალგაზრდა გოგო-ბიჭების იდეალიზმი დამოკიდებულია სამყაროსთან მათ მიერ დამყარებულ ურთიერთობაზე. მეს ცნობიერება, განცდა და რეალიზაცია ყოველთვის წარმოადგენს გარე სამყაროსაგან გამოყოფის პროცესს, ყოველ ჯერზე სამშვინველის სხვადასხვა რეგიონში. ჭეშმარიტი მასწავლებლის ამოცანაა, ხელი შეუწყოს წონასწორობის შენარჩუნებას, ერთი მხრივ, სხვა ადამიანებთან დაპირისპირების იმპულსების ზედმეტად მძაფრ გამოხატვასა და მეორე მხრივ, პიროვნების წაშლას შორის, რომლის შედეგიცაა მონური დაქვემდებარება სხვა ადამიანებისა თუ საკუთარი სურვილებისადმი.

თუ წინა ფაზები ისე იყო წარმართული, რომ მე

ზენა ღვთაებრივი სამყაროს მსახურად იქნა განცდილი, ბავშვი იგრძნობდა, რომ მოზრდილებიც აღიარებენ უმაღლეს ავტორიტეტს და ამდენად მეს რეალიზაციას შეიძლება ასევე შეადგენდეს უმაღლესი სამყაროსთვის მსახურება და საზოგადოებაში მტკიცე ინდივიდუალური ძალით მოღვაწეობა.

მეს რეალიზაცია ადამიანის უწმინდესი ამოცანა არის. ამ დროს ხდება ცხოვრების უღრმესი და უმნიშვნელოვანესი ასპექტების განხორციელება და საზოგადოებისათვის გადაცემა, რაც ფაქტობრივად, მსვერპლშეწირვა არის. ეს საუკეთესოდაა გამოხატული წმ.პავლეს სიტყვებში: „არა მე, არამედ ქრისტე ჩემში“. ეს „არა მე“ მეს უარყოფა ანდა ჩახშობა როდია, არამედ მისი აღვსებაა ადამიანის მეზე აღმატებული პრინციპით და ამგვარად აღვსილი მეს ქმედებაა სამყაროში.

ცხადია, რომ მეს ამგვარი გაგება განსხვავდება ფსიქოანალიზზე დაფუძნებული შეხედულებისაგან, სადაც ე.წ. super-ego აღწერილია როგორც მშობლებისა და სხვა მოზრდილების ბრძანებებისა და აკრძალვების ანარეკლი. Ego მოთავსებულია ლტოლვებზე დაფუძნებულ id-სა და super-ego-ს (ბავშვობისას ნასწავლი მოვალეობები) შორის და აღმოცენდება id-ისაგან მოწყვეტით. ფსიქოანალიზში ადამიანი დანახულია როგორც ზემომოყვანილი სქემის მარტოოდენ ქვედა ნაწილისაგან შემდგარი. ამის ზემოთ კი მხოლოდ „მამისაგან“ თავსმოხვეული წესებია. დაუმორჩილებლობისას მათ კასტრაციის შიში აძლევს ძალას.

აქ აღწერილი მე არის ადამიანის ცხოვრების აქტიური, „მამოძრავებელი“, ინდივიდუალიზაციის განმახორციელებელი ძალა. როდესაც მე თვითცნობიერების სახით ვითარდება, იგი აყალიბებს მსოფლმ-

ხედველობას, რომელიც შემდგომში მის საკუთრებად იქცევა.

7.4. მეს ცნობიერება: ვიზუალური ხელოვნება

ორი-ექვსი წლის ბავშვი, რომელმაც შეიძინა მეს ცნობიერება, დაკავებულია სამყაროს სურათის შექმნით. როგორც აქტიურ არსებას, მას სურს ამ სურათის გარეთ გაგანა და ამდენად, პაგარა ბავშვი აქტიური და შემოქმედებითია მხატვრული გაგებით. ამ პერიოდში ექსპრესიის საშუალებებია ხატვა, ძერწვა და სილაში თამაში, ანუ ვიზუალური ხელოვნება.

ხატვისას ბავშვი ახდენს სამყაროს საკუთარი ხედვის პროექციას და ამიტომაცაა მისი ნახატები ასე საინტერესო. მათი დეტალური აღწერა ცალკე წიგნს მოითხოვს. მაგრამ აქ მაინც შეგვიძლია აღვნიშნოთ ზოგიერთი ძირითადი მოტივი. თავდაპირველად ბავშვი, რომელიც იღვიძებს თავში, ადამიანს განიცდის როგორც მხოლოდ თავს და ხატავს წრეებს ან დიდ, მრგვალ, კაცუნასმაგვარ ფიგურას. ამას მოსდევს საფეხური, როდესაც იგი მრგვალი ფიგურის შიგნით სწორ ხაზებს ამატებს. მოგვიანებით კი, როდესაც ბავშვი უკვე განასხვავებს თავსა და ტანს, იგი ფიგურის ქვემოთაც ხატავს ხაზებს. ბოლოს კიდურებიც ბავშვის განცდების ნაწილი ხდება და მიემატება ნახატს. ეს მოტივები გვხვდება სამი წლის ბავშვის პირველ ნახატებში. შეფერხებული ბავშვის განვითარება შენელებულ ფილმს ჰგავს, როდესაც იგი თვეების მანძილზე ჩერდება თითოეულ საფეხურზე.

მაგ., დაუნის სინდრომის მქონე (მონგოლოიდი) ბავშვი ადამიანებს (მძინარე მზეთუნახავსა და უფლისწულს) უზარმაზარი წრის სახით ხატავდა, რო-

მელსაც ქვემოდან ხაზს უხატავდა. ეს ადამიანები თავკომბალებს ჰგავდნენ. ნორმალურ ბავშვებში სამყაროს სურათ-ხატი იმდენად სწრაფად ვითარდება (განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობენ უფროსი და-ძმანი, რომელთა ნახატებსაც ბაძავს ბავშვი), რომ მალე ნახატი კლასიკური სტილის ხდება: ორი ერთმანეთის ზევით განლაგებული წრე, ფოცხისებური ხელ-ფეხით.

გარდა ადამიანებისა ბავშვები მალე იწყებენ სახლების ხატვას, შემდეგ ბუნებისა ყვავილებითა და ხეებით, ან ტექნიკისა მანქანებითა და მატარებლებით. ის ფაქტი, რომ ბავშვებზე ჯერაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს ვიზუალური ხატები, დაწყებით სასკოლო პერიოდში პედაგოგიურად უნდა იქნეს გამოყენებული იმით, რომ მასალა ხატების სახით უნდა იყოს მიწოდებული და ბავშვს ხატვის შესაძლებლობა უხვად უნდა ჰქონდეს. ამ ნახატების წაკითხვა განვითარებადი ბავშვის გაგების უკეთესი საშუალება არის, ვიდრე სასკოლო ნიშნები.

7.5. მეს განცდა. მუსიკა და დრამა

როდესაც ბავშვი იწყებს საკუთარი მეს განცდას დაახლოებით ათი წლის ასაკში, იგი ახალ, კერძოდ, მუსიკისა და დრამის სამყაროში შედის. მესთან შეხვედრას მოსდევს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დრამატული განცდა, ვინაიდან დრამა წარმოადგენს კონფლიქტს მეს სუბიექტურ და ობიექტურ მიმართებებს შორის გარე სამყაროსთან.

მხოლოდ ამ ასაკში ხდება მაჟორული და მინორული ტონალობებისა და ჰარმონიის ელემენტების ნამდვილად განცდა. მოზარდის მიერ დღიურის წარმოება შეესაბამება პატარა ბავშვის მიერ ხატვას.

დღიური გვიჩვენებს მეს განცდის განვითარებას (შეად. მე-5 თავი). იგი იწყება გარე სამყაროს შესახებ საკუთარი შთაბეჭდილებებისა და ამქვეყანაზე მარტოობის გრძნობის ჩაწერით.

მოზარდი თავის მეს ხან მინორულ, ხან კი მაჟორულ ტონალობებში განიცდის. მარტოობის გრძნობა განსაკუთრებით მძაფრი მინორით გამოიხატება.

მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდები პუბერტეტის შემდეგ განიცდიან მოთხოვნილებას, პოეტურად გამოხატონ თავი. უკვე აღარ კმარა საკუთარი თვითგანცდის აღმასვლა-დაღმასვლის მარტოოდენ აღნუსხვა. იგი მშვენივრად კრისტალიზდება ახალგაზრდულ პოეზიაში. ამის შედეგად კი მეს განცდა უფრო ძლიერი და მტკიცე ხდება. ახალგაზრდა პიროვნების პოეზია საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ მეს განცდის პროცესზე. დიდი ლიტერატურული მნიშვნელობის ნაწარმოებები ძალზე იშვიათად თუ იქმნება, მაგრამ მიუხედავად მარცხისა სურვილი ამ სახის თვითგამოსახვისა ჩვეულებრივია. ახალგაზრდები იშვიათად ეუფლებიან მუსიკალურ ფორმას (ამ შემთხვევაში, მუსიკის თეორიას), მაგრამ უფრო ხშირად გარკვეული ხარისხით ეუფლებიან ენას. ამიტომაცაა დღიურები უფრო გავრცელებული, ვიდრე მუსიკალური კომპოზიციები.

7.6. მეს რეალიზაცია: სოციალური შემოქმედება

თვითრეალიზაცია მიმართულია სოციალურ ცხოვრებაზე. მას შემდეგ, რაც ბავშვი ხელოვანი იყო ვიზუალური და დრამატული ხელოვნების სფეროში, იგი ხელოვანად სოციალურ სფეროშიც უნდა იქცეს.

ბავშვის ცხოვრებას შეიძლება შევხედოთ როგორც თამაშს, რომელიც სერიოზული ცხოვრებისათ-

ვის მზადება არის. მაგრამ ამ საფეხურზეც სოციალური აქტივობა ძალზე სერიოზული საქმიანობაა, რამდენადაც ჩვენი კულტურა საზოგადოებრივ პრობლემათა გადასაჭრელად იბრძვის.

მაგრამ საზოგადოების მხატვრული შემოქმედება მხოლოდ მაშინ პოვებს განხორციელებას, როცა ადამიანი ისწავლის, რომ მეს რეალიზაცია არ ნიშნავს ინდივიდის საკუთარი მოთხოვნილებების დაჟინებულ დაკმაყოფილებას, არამედ მეს აღზრდას, საკუთარი თავისათვის მოთხოვნების წაყენებას მანამ, სანამ მათ საზოგადოებას წაუყენებდე. მომავალი საზოგადოებისათვის ჭეშმარიტი სტრუქტურის მიცემის ნება უნდა ეყრდნობოდეს მისი წევრების პატივისცემას, სიყვარულსა და შეწევნას.

უტოპიურ იდეას არ წარმოადგენს ის, რომ პირველი მცდელობა ამის მისაღწევად შეიძლება აღზრდის სფეროში გაკეთდეს. მაგრამ რაც ყველაზე აუცილებელია, არის მეს დანახვა როგორც ინდივიდუალობისა და არა აბსტრაქციისა, ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება გაბატონებულ შეხედულებებს.

მას შემდეგ, რაც ბეკონმა განაცადა, რომ ბავშვი ამქვეყნად tabula rasa-ს სახით იბადება, მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდა დარვინისტული იდეები მემკვიდრეობითობის აბსოლუტური როლის შესახებ, ადამიანი მიდრეკილი გახდა საკუთარი ღვთაებრივი წარმომავლობის დავიწყებისკენ. ცხადია, ეს ეხება ფსიქოლოგიას როგორც მეცნიერებას და აღზრდა-განათლებას როგორც პრაქტიკას.

7.7. შილერის ფილოსოფია

თავის „წერილებში ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ შილერმა ძალზე ნათლად განმარტა ეს პრობლემები. ეს წერილები უკეთ უნდა იყოს ცნობილი, რადგანაც ისინი განსაკუთრებით აქტუალურია სადღეისოდ.

შილერის ფსიქოლოგია ეყრდნობა ადამიანის სამშვინველში მოქმედ პოლარობას ფორმისა (მაფორმირებელი, ინდივიდუალიზაციის პრინციპს) და ნივთიერ (ბუნებრივი ლტოლვები) პრინციპებს შორის. თამაშის პრინციპი (ანუ თამაშის იმპულსი) შედეგია ამ ორ პოლარობას შორის ურთიერთქმედებისა ან ჰარმონიისა, რის შედეგადაც ადამიანს შეუძლია იყოს თავისუფალი, შემოქმედებითი არსება სამყაროში.

თუ დომინირებს ფორმის პრინციპი (მაფორმირებელი იმპულსი), ეს წარმოშობს ბარბაროსს, დიქტატორს, რომელიც ძალდატანებით ახვევს საკუთარ ნებას სხვებს. ხოლო თუ ნივთიერი პრინციპი (ბუნებრივი ლტოლვა) დომინირებს, ვიღებთ ველურს, რომელიც თავისი ვნებებით ანგრევს ყოველივეს. საზოგადოებაში ადამიანები ირხევიან დიქტატურისა და რევოლუციის უკიდურესობებს შორის. თუ ზედმეტად დომინანტური ინდივიდი ძალადობას ახდენს ბუნებაზე, ბუნება ბატონდება მატერიალურად ორიენტირებულ ადამიანზე და ანადგურებს მას.

ყოველი დიქტატურა წარმოქმნის რევოლუციას, ყოველი რევოლუცია კი დიქტატურას. ამიტომაც იწინასწარმეტყველა შილერმა, რომელმაც ეს წერილები საფრანგეთის რევოლუციის დაწყებისას დაწერა, რომ ეს უკანასკნელი უკიდურესი დიქტატურით დამთავრდებოდა. რამოდენიმე წლის შემდეგ ისტორიის

ავანსცენაზე გამოჩნდა კიდეც ეს დიქტატორი ნაპოლეონის სახით.

საზოგადოება მუდმივ რხევაში იქნება, სანამ ინდივიდი არ დაამყარებს წონასწორობას დოგმატიზმსა და ვნებას შორის.

აღზრდა-განათლება კონცენტრირებული უნდა იყოს ორმაგ პრობლემაზე. ნებისმიერ ინდივიდში წონასწორობა შეიძლება მის შემოქმედებით პოტენციალში მოიძებნოს მხოლოდ მაშინ, თუ მე და ბუნება განმსჭვალავს ერთმანეთს, რათა რაიმე ახალი წარმოქმნას. მე წარმოქმნის ფორმას, იყენებს რა ბუნებას როგორც მასალას ახალი სამყაროს შესაქმნელად, რომელიც ვერ იარსებებდა მეს გარეშე. მაგრამ მე არ ანადგურებს ბუნებას, პირიქით, ამაღლებს მას წმინდა ბუნებრიობის დონიდან. შილერისათვის ეს ნიშნავს, რომ ამგვარი შემოქმედება მშვენიერი და მხატვრული არის. მასთან ხელოვნებისა და მშვენიერების ცნებებს გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე, ჩვეულებრივ, მხატვრული შემოქმედების შესახებ საუბრისას.

ამ გაგებით შეიძლება ვისაუბროთ ნამდვილ „პოლიტიკურ“ *ხელოვნებაზე*, რომელსაც ადამიანები ახორციელებენ როგორც სოციალური ხელოვანები, ასევე აღზრდის *ხელოვნებასა* და მედიცინის *ხელოვნებაზე*. შილერი ბავშვის თამაშს უყურებს როგორც ჭეშმარიტად გაწონასწორებული შემოქმედების წინამორბედს.

ბავშვის თამაში ყოველთვის შემოქმედების მცდელობაა და ამდენად მუდამ მხატვრულია. უფრო დაწვრილებით ეს საკითხი მე-9 თავში იქნება განხილული.

მეს აზროვნებაში, გრძნობასა და ნებაში გამომზეურებას ბავშვის განვითარებისას მეს მანიფესტაციის სხვა გზების კვლევისაკენ მიუყავართ. და კვლავ საწყის პუნქტად შილერის შეხედულებებს ავიღებთ.

„როდესაც აბსტრაქცია მაღლდება უმაღლეს შესაძლო დონემდე, იგი აღწევს ორ საბოლოო ცნებას. აქ იგი ჩერდება და უნდა აღიაროს საკუთარი საზღვრები. ადამიანში იგი ერთმანეთისგან არჩევს იმას, რაც მუდმივია და იმას, რაც მარად ცვალებადია. მუდმივი ასპექტი არის *პიროვნება*; ცვალებადი ასპექტი არის *პირობა*... პიროვნების ნებისმიერი მუდმივი მდგომარეობისას „პირობები“ იცვლება. პირობების ნებისმიერი ცვალებადობისას „პიროვნება“ მუდმივი რჩება“, – წერს შილერი მე-11 წერილში.

პირველ თავებში ჩვენ ხაზი გავუსვით „ცვალებად პირობებს“, ახლა კი საქმე გვაქვს „მუდმივ“ პიროვნებასთან, რომელიც მეს სახით არის ცნობილი. მე თან სდევს მარად ცვალებად პირობებს და შეიცავს შილერისეულ მაფორმირებელ იმპულსს, ფორმის პრინციპს. დაბადებიდან სიკვდილამდე იგი სულ უფრო მკაფიოდ ავლენს თავს.

მე როგორც მუდმივი პიროვნება პირველად თავს იჩენს იმ ხერხში, როგორითაც ბავშვი სწავლობს სიარულსა და მეტყველებას, იწყებს გარშემომყოფთა ენის გამოყენებას.

როგორც ვნახეთ, ზოგიერთი ბავშვი თავიდანვე გაბედულად მოქმედებს, სხვები კი რაც შეიძლება დიდხანს ეძებენ დახმარებას გარემოსაგან. პირველ შემთხვევაში პიროვნება ადრეულ ასაკში ამტკიცებს საკუთარ თავს, მეორეში კი ბავშვი პირობებს მისდევს, რომელნიც ზოგჯერ აიძულებენ მას აჩქარდეს.

7.8. განვითარების ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები

არსებობს ბავშვების ორი ჯგუფი: ისინი, ვინც დიდი შინაგანი ძალით მიიწევენ წინ, შეუპოვრად გადადიან ერთი მეტამორფოზიდან მეორეზე და იმტკიცებენ თავიანთ პოზიციას სამყაროში; და ისინი, ვინც მერყეობენ ყოველი ახალი მეტამორფოზის წინ და ამჯობინებენ არ გაიარონ იგი, თუკი ეს აუცილებელი არაა. შეფერხებული განვითარების შემთხვევაში ამგვარ ბავშვებს აქვთ ადრეული საფეხურებისკენ უკანდახევის ტენდენცია, როცა კი ამისი საშუალება მიეცემათ, ანდა როცა სირთულეებს წააწყდებიან.

ამდენად, ერთმანეთისგან შეიძლება განვასხვავოთ განვითარებისაკენ იმპულსი და რეგრესიული განწყობა. პირველი ეფუძნება პიროვნებას ანუ მეს; მეორისას სხვადასხვა მეტამორფოზებისადმი წინააღმდეგობის მიზეზი ინდივიდის ფიზიკური მდგომარეობა და სწრაფვებია.

ნორმალური განვითარებისას ეს ორი ტენდენცია წონასწორობაში არის. ყოველ კონკრეტულ მომენტში ერთ-ერთი მათგანი გადასწონის მეორეს. შეიძლება გვეგონოს, რომ მესათვის იდეალი იქნებოდა, რაც შეიძლება მძლავრად ცდილიყო განვითარებას. მაგრამ ეს არაა უცილობლად ასე. ფსიქოლოგიური მეტამორფოზის წარმატებით განხორციელებისთვის ორგანიზმმა გარკვეულ საფეხურს უნდა მიაღწიოს. თუ ეს ძალზე ნაადრევად ხდება, გარკვეული ფუნქციები, მართალია, იჩენს თავს, მაგრამ ნაკლებად სრულყოფილი სახით, ვიდრე დაყოვნებისას. შემდეგ კი ისინი ამ არასრულყოფილ სტადიაზე ჩერდებიან. ამრიგად თავდაპირველი გაქანება შემდგომში გაცილებით მეტ ჩამორჩენას იწვევს. ძველი ანდაზა, რომ

ყველაფერი ბუნებრივად უნდა მიმდინარეობდეს, ოქროს წესად რჩება პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში.

თანამედროვე ფსიქოპათოლოგიაში ბევრი რამ დაიწერა ჩამორჩენილ ბავშვებზე, რომელთაც მომდევნო სტადიაზე შეიძლება ნევროზი დაემართოთ. ეს ფენომენი კარგადაა ცნობილი და უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია ამ ბავშვებისათვის დახმარების გაწევა. თუ ბავშვი ძლიერ აქტიური არაა განვითარებისას, არახელსაყრელი გარეგანი ფაქტორები საკმარისი იქნება, რათა ხელი შეუშალოს ნორმალურ მეტამორფოზას. ამგვარი დაბრკოლებების მოცილებით და ინტერესის გააქტიურებით შესაძლებელია ბავშვის შველა. რასაკვირველია, თუ მას სრულებით არ გააჩნია ცხოვრებისადმი ინტერესი, ეს უკვე ანომალიურ ფაქტორთა საკითხი არის, რომელთაც აქ ვერ განვიხილავთ.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მეს დაქვეითებული აქტივობა არაფერს ამბობს მის შესაძლო განვითარებაზე. საკმაოდ ხშირია, რომ განსაკუთრებით გამორჩეული და დიდად ნიჭიერი ინდივიდები, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სულაც არ ჩქარობდნენ განვითარებას. ბავშვობისას ისინი ბევრს ოცნებობდნენ თავიანთ მყუდრო გარემოში, რომელიც თავშესაფარი იყო მათთვის. გვიანდელ საფეხურზე გამოღვიძებულ პიროვნებას კი განსაკუთრებული სიწმინდე და ინდივიდუალობა გააჩნდა ხოლმე. ცხადია, რომ ასეთი განვითარება, რომელიც ჯერ კიდევ ნორმის ფარგლებში იმყოფება, შეიძლება მეტად რთული იყოს მოცემული პიროვნებისთვის.

ისინი, ვინც ზრდასრულობისას ძლიერ ნებას ამჟღავნებენ, წმინდა მოქმედების ტიპები, ბიზნესის იმ-

პერიებს რომ ქმნიან, ხშირად გვიან საფეხურზე აღლენენ ინტელექტუალურ ინტერესს. ხშირ შემთხვევაში ბიჭს, რომელიც გარიცხულ იქნა სკოლიდან ცუდი ქცევის გამო, შემდგომში რაღაც ახალი მოუტანია კულტურისათვის. კვლავაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი ინახავდა საკუთარ ძალას, რათა მოგვიანებით შესაძლებელი ყოფილიყო მისი რაც შეიძლება მძლავრად გამომჟღავნება.

ამის საპირისპიროდ, არსებობენ ისეთნიც, ვინც არაჩვეულებრივი სიმკვირცხლით შეჰყურებენ ცხოვრებას და მიდრეკილნი არიან საკმაოდ ადრე გადაინაცვლონ შემდეგ მეტამორფოზაზე. სადღეისოდ ეს ძალზე გავრცელებულია ქალაქელ ბავშვებში. ისინი ხშირად მზად არიან სკოლისათვის ხუთი წლის ასაკში და უკვე შესწავლილი აქვთ ანბანი. სკოლაში პირველი წლების მანძილზე ისინი ჭკვიანი ბავშვები არიან და მუდამ ხელი აქვთ აწეული პასუხისათვის. მათი პაგარა ფხიზელი თვალი ხედავს და იგებს ყველაფერს, რაც გარშემო ხდება. მათ ბრწყინვალე მაჩვენებლები აქვთ სწავლაში. მაგრამ მაღალ კლასებში, როცა სწავლა მოითხოვს უფრო ღრმა ხედვას, ისინი ჩამორჩებიან ხოლმე. ისინი არასოდეს იქცევიან ლიდერებად და რაიმეს დამაარსებლებად.

ამგვარი ბავშვების კვლევა გარკვეულ ტრაგედიას ცხადყოფს. ისინი გაცილებით ადრეულ ასაკში ამჩნევენ იმას, რასაც სხვები ძილ-ბურანში ჩაუვლიან გვერდით და ისწავლიან მხოლოდ იმ ასაკში, როცა მზად არიან გადაჭრან პრობლემა. ამდენად, მათ ძალზე ბევრ რამეს უნდა გაართვან თავი. კონფლიქტებიც იმიტომაა მათთან განსაკუთრებით მწვავე, რომ არ ძალუძთ მოუარონ თავიანთ პრობლემებს.

თანამედროვე ქალაქის ცხოვრება, ქაოტური შთაბეჭდილებებითა და ჩქარი ტემპით, ხელს უწყობს

ამგვარ ნაადრევ განვითარებას. ამასთან ერთად ბევრი მშობელი – და, სამწუხაროდ, არაერთი პედაგოგიური სისტემა – გარკვეულ სფეროებს ძალზე ადრე ან ზედმეტად ინტელექტუალურად აწვდის ბავშვს. გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო ადრე დაიწყებს ბავშვი სწავლას, მით უკეთესია, სრულებით მცდარია და ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რაც აღმოჩენილია ბიოლოგიური განვითარების სფეროში. მხედარმა იცის, რომ თუ ცხენს ნაადრევად გახედნის, შედეგად არასრულფასოვან ცხოველს მიიღებს. ამიტომ იგი აკავებს თავის მოუთმენლობას და უცდის შესატყვის მომენტს. თანამედროვე ადამიანი კი არ ექცევა ამდენად შეგნებულად მათ, ვინც უძვირფასესია მისთვის: საკუთარ შვილებს.

რასაკვირველია, ასევე არასწორია, ხელიდან გავუშვათ შესაფერისი მომენტი სწავლებისათვის. ცნობილია, რომ არსებობს ე.წ. სენსიტიური პერიოდები. თუ მათ გავუშვებთ ხელიდან, შემდეგში არ იქნება ასევე ადვილი მასალის შესწავლა და ვერ მოხდება მისი ზედმიწევნით ათვისება.

XX საუკუნეში ძალზე დიდია საფრთხე იმისა, რომ გარემომ და სკოლამ მეტად დააჩქაროს მეტამორფოზა. ამიტომ მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ შევაჩეროთ ამაზე ყურადღება.

ნაადრევად განვითარებული ბავშვი ფიზიკური განვითარების დარღვევებსაც განიცდის. დარღვეულია ბიოლოგიური წონასწორობა, ზრდა არასაკმარისია, ბავშვი ფერმკრთალი და ნერვიულია, შეიძლება მიდრეკილი იყოს გულისრევისკენ, ცუდი მადა აქვს, ცუდად სძინავს. ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს ექვსი თვით მისი სოფელში გაგზავნა, სანამ ფიზიკურ განვითარებას გამომჯობინების შანსი ჯერ კი-

დევ აქვს.

ეს რაც შეეხება დაჩქარებული განვითარების ხელშემწყობ გარეგან ფაქტორებს. ზოგიერთ ბავშვში ამგვარი სწრაფი პროგრესი შინაგანი ფაქტორების გამო ხდება. ესენი არიან ჩვილი ბავშვები, რომელნიც ნორმალურ ბავშვებზე გაცილებით უფრო მოუსვენარნი არიან, არ სძინავთ, ცუდად იკვებებიან, ადვილად ფრთხებიან და გული ერევათ, არ იმაგებენ წონაში. მათ არ სძინავთ, წვანან და შეშინებული თვალებით იხედებიან გარშემო. ეს ნევროპათიული შემთხვევები განსაკუთრებით მძიმეა, ვინაიდან მეტისმეტად სწრაფად ხდება განვითარების ახალ სტადიებზე გადასვლა. ორწლინახევრის ბიჭმა ერთი წლის ასაკის შემდეგ შეწყვიტა წონაში მატება. იგი ვერცხლისწყალივით მოძრავი იყო, ყველგან ძვრებოდა, ყველაფერს ხელს ჰკიდებდა. იგი ერთი წლის ბავშვის ზომისა იყო, სახე კი მოხუცი ბრძენკაცისა ჰქონდა. ახდენდა ოჯახის ტერორიზებას და იყენებდა გარემოში არსებულ ყველა სისუსტეს, რათა თავისი გაეტანა. ცხადია, ეს არაა ნორმალური განვითარების სურათი, არამედ გადახრაზე მიუთითებს.

მაგრამ ფაქტი, რომ ნორმალური ბავშვებიც შეიძლება ნევროპათიულნი გახდნენ, გამომჟღავნდა ინტელექტუალურ ოჯახებში, სადაც ორივე მშობელს მეცნიერული ხარისხი გააჩნია, ბავშვი კი პირველი სამი თვის განმავლობაში ტელევიზორის გვერდით წევს, რომელიც განუწყეტელივ ჩართულია. როცა მშობლებს ეკითხებიან ამის მიზეზს, ისინი პასუხობენ: „მას მოსწონს ეს. როგორც კი გამოვრთავთ, ტირილს იწყებს, ხოლო სანამ ტელევიზორი ჩართულია, მას ნამდვილად კარგად სძინავს“.

ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია, რომ აქტივობა და მისი შეზღუდვა წონასწორობაში

იყოს.

მესა და ბუნებრივი გარემოს ორ პოლუსს შორის ცხოვრება დროში ვითარდება. მათ შორის ურთიერთქმედებას აქტიურ წონასწორობამდე მივყავართ, რაც ბავშვის თამაშში და ზრდასრულ ადამიანთა უდიდეს ქმნილებებში აისახება.

შილერის თანახმად, „ადამიანი მხოლოდ მაშინ თამაშობს, როცა ის ადამიანია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და იგი მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა თამაშობს“. თამაშისას ბავშვი ვარჯიშობს და სწავლობს მასალის დაუფლებასა და გათავისებას თავისი შინაგანი მოთხოვნილებებისდა მიხედვით.

ჭეშმარიტი აღზრდა-განათლების ობიექტს თვითრეალიზაციისათვის ხელშეწყობა შეადგენს. რამეთუ ყოველი ინდივიდუალური მე ღვთაებრივი სამყაროს ახალი მაცნე არის. ადამიანის განვითარებადი მესადმი პატივისცემა ჭეშმარიტი პედაგოგიური მოღვაწეობის საფუძველია და უნდა ხორციელდებოდეს სიყვარულით, რათა მემ ისწავლოს ყოველდღიური ცხოვრების უხეშ მასალაზე საკუთარი თავის აღბეჭდვა.

8. აზროვნების საფეხურები

მომდევნო სამ თავში კვლავ განვიხილავთ აზროვნებას, გრძნობასა და ნებას.

აზროვნება მოიცავს პროცესებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სამყაროს გაშინაგნება. აქტიური აღქმით ხდება გარე სამყაროდან ობიექტის „შიგნით შემოგანა“ და მეს შინაგან სამყაროში ცნობიერებად გარდაქმნა. მყარდება კავშირები სხვა აღქმებთან, რაც წარმოქმნის გამოცდილებაზე დამყარებულ დროებით მსოფლმხედველობას.

ეს ტრანსფორმაცია არაა სპეციფიკურად ადამიანური თვისება. იგი ცხოველებშიც არსებობს. მონადირეებმა კარგად იციან, რომ ბებერი გამოცდილი მელას მონადირება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ახალგაზრდისა. ცხოველებში ინსტინქტად წოდებული ძალთა იდუმალი კომპლექსი სტრუქტურას აძლევს აღქმებს და აძლიერებს გადარჩენისათვის საჭირო რეაქციებს.

ინსტინქტი დიდ სიბრძნეს შეიცავს. ყოველი ცალკეული სახეობისთვის არსებობს ინსტინქტების თანშობილი კომპლექსი, რომელიც მისთვის ისევე დამახასიათებელია, როგორც გარეგნობა.

ცხოველში მაფორმირებელი, სასიცოცხლო ძალები მოქმედებს, ერთი მხრივ, ფიზიკურ დონეზე, სადაც სხეული ყალიბდება, მეორე მხრივ კი ფსიქიკურ დონეზე, სადაც ინსტინქტი იღვიძებს. ორივეგან ერთსა

და იმავე სიბრძნეს ვხედავთ. ისინი ერთი „პირველხატის“ მანიფესტაციებია სხვადასხვა სფეროში.

ამის გამო ყველაფერი მეტ-ნაკლებად ავტომატურია. ცხოველის აქტივობას ინსტინქტი არეგულირებს მოთხოვნილებებისა და ლტოლვების საშუალებით. იმდენად, რამდენადაც ყალიბდება გარე სამყაროს სურათ-ხატი, გამოცდილება მოქმედებს მოთხოვნილებების საშუალებით, ინსტინქტის მიერ დაწესებულ ფარგლებში. ამის შედეგია პავლოვის „პირობითი რეფლექსი“.

პირობით რეფლექსებს შეიძლება ადვილად დავაკვირდეთ ჩვილ ბავშვებში. ისინი ისევე არსებობენ ადამიანში, როგორც ცხოველებში. მეორე მრივ, ცნობიერი აზროვნება ადამიანისათვის დამახასიათებელი ფუნქციაა. აქ აღქმათა შინაარსი მეს ხვდება. მე ახდენს იმის ორგანიზებას, რაც ასიმილირებულ იქნა და იწოვს მას როგორც საკუთარ ცნობიერ პიროვნულ საკუთრებას. ყოველი ხატი არის მეს მიერ ჩამოყალიბებული სტრუქტურა. მე ცხოვრობს ამ ხატებთან ერთად, გამუდმებით ქმნის რა ძველი ხატებიდან ახლებს. იგი მუდმივად აქტიურია. გარკვეული ხატები ქრება შინაგანი ხედვიდან, მაგრამ მეს ძალუძს მათი აღდგენა მეხსიერების, განახლებული ინტერიორიზაციის მეშვეობით და ამ გზით კიდევ ერთხელ აკვირდება საკუთარ ქმნილებას. მე იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ხატების ამ განუწყვეტელ ფორმირებასთან და მეხსიერების საშუალებით მათ ურთიერთდაკავშირებასთან, რომ უწყვეტი თვითგანცდა შეუძლებელია ამ მუდმივი მეხსიერების გარეშე. მეს ცნობიერება და მეხსიერება სიამის ტყუპები არიან. მეხსიერების დაკარგვას თან სდევს თვითცნობიერებისა და თვითგანცდის დაკარგვა. ფაქტი, რომ მიუხედავად ამისა პიროვნება განაგრ-

ძობს სიცოცხლეს, მიჰყვება განცდების ნაკადს და ავტომატურად მოქმედებს, აშკარაა იმ ადამიანთა მაგალითებიდან, ვინც დაკარგა მეხსიერება და თვეების მანძილზე დაეხეტებოდა, აკეთებდა ათასგვარ რამეს, სანამ აღმოაჩენდა, თუ ვინ იყო. ისინი, ჩვეულებრივ, საცოდავ მდგომარეობაში არიან ამ პერიოდის განმავლობაში.

ე.ი. აზროვნების განვითარებაში ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ პირობითი რეფლექსების ჩამოყალიბება ანუ ავტომატური კავშირები და საკუთრივ ადამიანური აზროვნება.

ჩვილ ბავშვში მალევე იკვეთება ვიზუალური და აკუსტიკური შთაბეჭდილებების (რომელნიც აღქმებად გარდაიქმნებიან) ძირეულ ლტოლვებთან კავშირი. ისინი პირველ რეფლექსებად იქცევიან. როდესაც ბავშვს ესმის კარის გაღების ხმა, იგი ელის, რომ ამოიყვანენ საწოლიდან და აჭმევენ და თავის სიამოვნებას კმაყოფილი ღუღუნით ავლენს. თუ მოლოდინი არ მართლდება, ბავშვმა შეიძლება იტიროს უსიამოვნების გამოსახატავად.

მარტივი და რთული პირობითი რეფლექსების მთელი სფერო ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის უსაყვარლეს ობიექტად იქცა. ზოგიერთი პრაქტიკოსი ისე შორს წავიდა, რომ მხოლოდ ამ სახის ურთიერთკავშირებს აღიარებდა და აცხადებდა, რომ შემდგომი აღზრდა-განათლებაც მარტოოდენ რეფლექსების ჩამოყალიბება არის.

გარკვეული კუთხით ეს შეხედულება არაა არასწორი. თითქმის ყველაფერი, რაც დაისწავლება ჩვილობიდან სარძევე კბილების მოცვლამდე, გამოცდილების გზით აითვისება, რომელიც ავტომატური ხდება. ამას ჩვევების ჩამოყალიბებასაც უწოდებენ. აღზრდამ უნდა უზრუნველყოს ამ ჩვევების დადებითობა. მაგ., სხვადასხვა სახის ვარჯიშისას სასარგებლო და დადებითი ჩვევების ჩამოყალიბება ხდება. სარძევე კბილების მოცვლის შემდეგ და ზრდასრულობისასაც კი ადამიანი ყოველდღიური ცხოვრებისას მოქმედებს მის მიერ დასწავლილი ანდა შეძენილი პირობითი რეფლექსების საშუალებით. ამ აზრით, იგი ყველაზე გონიერი ცხოველია ამქვეყნად. მაგრამ მხოლოდ შეცდომაში შეყვანილი ხალხი ამტკიცებს, თითქოს ამ „რეფლექსისმიერ“ ადამიანს საკუთარ თავზე უმაღლესი პასუხისმგებლობის აღება ძალუძდეს.

რამდენადაც ადამიანი ცხოვრობს ამ ძალებით, იმდენად მეტ-ნაკლებად შესაძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორ ირეაგირებს იგი გარკვეულ პირობებში, ანდა როგორი იდეები ექნება გარკვეულ შთაბეჭდილებებთან დაკავშირებით. ბევრისათვის ადამიანის ეს მხარე იდეალურ მოქალაქეს ან მუშაკს განასახიერებს.

მაგრამ მთლიან პიროვნებაში ყოველივე ეს გადაიხაზება გამოუთვლელი ფაქტორების, ინდივიდუალური მეს მოქმედებით, რომელიც უგულებელყოფს ავტომატურ პროცესს და საკუთარ სურათ-ხატებს წარმოქმნის.

მეს ცნობიერება, რომელიც აღმოცენდება დაახლოებით სამი წლის ასაკში, მაშინვე არღვევს დადებითი ჩვევების მარტივ წარმონაქმნებს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ სიჯიუტის პერიოდში ბავშვს სურს სხვა რამ, ვიდრე ჩვევა კარნახობს. შემდეგ ბავშვი იწყებს საკუთარი სურათ-ხატების წარმოქმნას, ჯერ არარეგულარულად, შემდეგ მზარდი სიხშირით საკუთარ სამყაროს აგებს და თავისი სამეფოს ცენტრში თავს მეფედ განიცდის.

ესაა საკუთრივ აზროვნების განვითარების პე-

რიოდი (შვიდიდან ცრა წლამდე).

აზროვნების განვითარების პირველ ეტაპზე ხდება აღქმათა შინაარსის ურთიერთდაკავშირება. ორი წლის ასაკის შემდეგ აღქმა გამოეყოფა მთლიანად ფიზიკურად განპირობებულ რეფლექსებს და ფსიქიკური ფუნქციის სახით იჩენს თავს. სარძევე კბილების მოცვლის შემდეგ ბავშვი შედის ფაზაში, რომლის დროსაც იგი სურათ-ხატების საკუთარ საუფლოს აგებს. ხოლო ჩვევების ჩამოყალიბება უფრო დაბალ დონეზე გრძელდება.

მეორე სტადიისას საფუძველი ეყრება ჩვენს, როგორც ჭეშმარიტი ინდივიდების არსებობას. მეს შესაძლებლობა აქვს, შექმნას საკუთარი შინაგანი სამყარო, რაც შეიძლება ისე მოხდეს, რომ ინდივიდუალური თვისებები შეუზღუდავად გამოიხატებოდეს. ზღაპრული სამეფოს ხელმწიფესავით მე განაგებს ამ პატარა სამყაროს. ყველა სურვილის აღსრულება შესაძლებელი არის. პიროვნული შემოქმედებითი ძალები შეიძლება დაუბრკოლებლად ვითარდებოდეს. იწყება შემოქმედებითობის ხალისიანი ხანა. განვითარების ეს საფეხური კარგი ვარჯიშია კრეატიული გონებისათვის, რომელიც შემდგომში ინდივიდს დასჭირდება რეფლექსურ დონეზე ასამაღლებლად.

ყოველივე, რაც ამ პერიოდში ასიმილირდება, ღრმად განიცდება ბავშვის მიერ. მას სურს რაც შეიძლება ინტენსიურად გააიგივოს საკუთარი თავი გარემოსთან, რათა იგი მეს სამყაროს ნაწილი გახდეს. მაგრამ არსებობს ერთი სირთულე: აღქმათა სამყარო ჯერაც ვერ ზემოქმედებს პირდაპირ (ეს მხოლოდ პუბერტეტის შემდეგ ხდება). ბავშვს შუამავალი სჭირდება. გარე სინამდვილის გაშინაგნებისას იგი სხვაზე, უფროსებზე არის დამოკიდებული. იგი შეიძლება დაეთანხმოს სხვის ნათქვამს, მაგრამ თავად სამყა-

რო ჯერაც „მაგარია“ მისთვის და სხვამ უნდა „დაუღეჭოს“ სიცოცხლის მეორე ფაზისას, შვიდიდან თოთხმეტ წლამდე. მოზრდილებმა ბავშვს უნდა მიაწოდონ მათ მიერ შექმნილი ხატები. ეს შეიძლება მხოლოდ მოთხრობების გზით. ამ დროს უფროსი აწვდის ბავშვს საკუთარი მეს სამყაროს და ამ პერიოდისთვის საჭირო საზრდოთი უზრუნველყოფს.

ბავშვს არ ძალუძს გამოიყენოს უფროსების „სარკისებური ცოდნა“. მაგრამ ზრდასრული ადამიანების მიერ განცდილს იგი იწოვს ისე, როგორც მცენარე წყალს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბავშვისთვის, როგორც მესათვის, მაკროკოსმოსი ჯერაც დახურული წიგნია, მაგრამ მეორე ადამიანის მიკროკოსმოსის მიღება და მონელება მას ძალუძს.

ამ პერიოდში გრძელდება რეფლექსების გამომუშავება ისე, რომ მე სურათ-ხატებში ცხოვრებას განაგრძობს. სწორმა პედაგოგიურმა სისტემამ მხედველობაში უნდა მიიღოს სიცოცხლის მეორე ფაზის ეს ორივე ასპექტი.

მართებულია შემდეგი გზა: ბავშვს იმდენად ცოცხალი და მოძრავი შინაარსი უნდა მივაწოდოთ, რომ მან შეძლოს მისი გარდაქმნა აზრობრივ ხატებად და საკუთარი მეს ამ შინაარსთან დაკავშირება.

როდესაც ასიმილაციას ადგილი აქვს, მოცემული შინაარსი პიროვნულ გამოცდილებად იქცევა და ბავშვი მიმართებას ამყარებს მასთან. ამის შემდეგ შეიძლება ვარჯიშის დაწყება და მისი უნარად ქცევა, რომელიც ავტომატურად იქნება გამოყენებული.

მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: როგორ უნდა მოხდეს წერა-კითხვის სწავლა, რათა იგი ავტომატურ უნარად იქცეს?

შემუშავდა უამრავი ჭკვიანური მეთოდი, რათა რაც შეილება სწრაფად და ეფექტურად ექციათ ბავშ-

ეებში ეს უნარი რეფლექსურ მოქმედებად. ყველაფერთან ერთად ეს ვარჯიშს მოითხოვს. ერთ-ერთი მეთოდის მიხედვით, ბავშვი სისტემატურად სწავლობს ნიმუშების დაწერას, რომელთა შეერთებითაც ასოებს იღებს. მეორე მეთოდით ასოებს პირდაპირ აწვდიან როგორც მთლიანობებს. მესამე მეთოდი იყენებს სურათებს, რათა ხელი შეუწყოს რეფლექსის წარმოქმნას ასო-ბგერის ხატთან დაკავშირებით. კიდევ ერთი მეთოდი მთლიანობით მიდგომას გულისხმობს და მთელ წინადადებებს აწვდის ბავშვს.

თითოეული მათგანის ავტორი დარწმუნებული არის საკუთარი მეთოდის ეფექტურობაში. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში შედეგი მხოლოდ ავტომატური რეფლექსის გამომუშავება არის. მთელ პროცესში მარტო რეფლექსისმიერი ადამიანია ჩართული. რეალური პიროვნება მის მიღმა რჩება და მას ბეზრდება ეს ვარჯიში (ამის შედეგად კი იღლება).

ამ მეთოდის გამოყენებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი იქნებოდა ცხოველისთვისაც, რომელსაც ადამიანის რეფლექსური გონიერება გააჩნია.

მაგრამ თუ ანბანს ისე მივაწვდით, რომ ასო-ბგერის ხატი ბავშვის განცდებს დაუკავშირდება, მას არ მობეზრდება აუცილებელი ვარჯიში, აღარ გამოიფიტება და დაიღლება, ვინაიდან მისი სამშვინველი სავსე იქნება ხატებითა და განცდებით.

ამის მიღწევა შეიძლება, თუ ყოველ ასო-ბგერას დაუკავშირებთ გარკვეულ სურათ-ხატს ისე, რომ მაგ., B იქნება დათვი (ინგლისურად Bear), რომელიც ხეზე ძვრება ფუტკრების სკიდან თაფლის ამოსაღებად. მოთხრობისა და სურათ-ხატების მძაფრი განცდის შემდეგ ბავშვი ხატავს დათვს, ხეზე რომ ძვრება. შემდეგ მას განუმარტავენ, რომ ამ დათვის (Bear) სახელია B. მრავალი თვის მანძილზე B რჩება დათვის გამომსახველად და როცა ბავშვი ვარჯიშობს მის წერაში, მისი სული ივსება მოთხრობითა და მისგან მომდინარე ხატებით. ამით ვარჯიში სიხარულად იქცევა და ნაკლებად დამღლელია. ბავშვის შინაგანი ცხოვრება კი არ შრება, არამედ ცოცხალ საფუძველს უქმნის ზრდასრულობისას ჯანსაღ სულიერ ცხოვრებას.

ცხადია, ამ ხერხით წერის სწავლა მეტ დროს მოითხოვს, მაგრამ საბოლოო მონაპოვარი შეუდარებლად დიდია, ვიდრე სხვა მეთოდებისას. ერთ შემთხვევაში ბავშვი მხოლოდ გარეგან უნარს იძენს, მისი შინაგანი ცხოვრება კი შეზღუდული რჩება. მეორე შემთხვევაში იგი გარეგან უნარსაც იძენს და მისი შინაგანი ცხოვრებაც მდიდრდება.

ღირს კი დროის მოგება? ნამდვილად საჭიროა ბავშვისთვის ორ-სამ თვეში წერა-კითხვის სწავლა? ვკარგავთ კი რაიმეს, თუ იგი ამას მხოლოდ წლის ბოლოს ისწავლის, სხვა მხრივ კი ბევრს შეიძენს? თუ იგი წერა-კითხვას პირველი წლის ბოლოსთვის ისწავლის, სავარჯიშოდ ხომ კიდევ წინ ექნება წლები.

ზემოთქმული ეხება ყველა სასკოლო საგანს, მათემატიკასაც კი, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება ვარჯიში. ბერძნები ციფრებს მიაწერდნენ როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ღირებულებებს. ჩვენთვის „ხუთი“ უბრალოდ არის „ორს მიმატებული სამი“. ბერძნებს კი ციფრი „ხუთი“ სულ სხვა სამყაროს უსხნიდა, ვიდრე ციფრი „სამი“. მათ გააჩნდათ წესიერი და არაწესიერი, მეგობრული და არამეგობრული ციფრები.

შეიძლება აბუჩად აიგდონ ციფრების პითაგორასეული მისტიკა, რომელიც დიდი ხანია, რაც იგნორირებულია. მაგრამ იგი დღესაც დიდი აღმზრდელობი-

თი ღირებულების მქონეა ბავშვისათვის. ზრდასრული ადამიანები ზღაპრის ფორმით არ წერენ საქმიან წერილებს: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეწარმე, რომელსაც სთხოვეს, დაემზადებინა ოცდაათი ათასი კაბა და ა.შ.“ მაგრამ ჩვენ ვაღიარებთ ზღაპრების პედაგოგიურ მნიშვნელობას.

ბავშვს საშუალება უნდა მივცეთ, განიცადოს მარტივი ციფრების სპეციფიკური მნიშვნელობა. მას შეუძლია ისწავლოს, რომ ციფრი „ერთი“ თვისებრივად განსხვავდება ციფრი „ორისგან“. მან შეიძლება ჩამოთვალოს ყოველივე ის, რაც ერთია ამქვეყნად: ერთი – მარტო მყოფი. ორი – ორნი ერთად. ბავშვმა შეიძლება განიცადოს მარტო ყოფნისა და ერთად ყოფნის მორალური მნიშვნელობა. ერთი ღმერთი; ადამიანი არაა მარტო, არამედ ღმერთთან ერთადაა. ერთი – მარტოული პიროვნება, მაგრამ სადაც ორნი ჭეშმარიტად ერთად არიან, იქ მესამეა სახეზე.

შეიძლება ბავშვმა მოძებნოს მოვლენები, რომელნიც საკუთარ თავს გამოხატავენ ციფრ „ოთხში“: სახლის ოთხი კუთხე, ჰორიზონტის ოთხი მხარე.

აღმოჩნდება, რომ ციფრი „ოთხი“ დაკავშირებულია მიწიერ მოვლენებთან. ერთი, ორი და სამი – მორალურ და ღვთაებრივ საკითხებთან. ხუთი კი ადამიანის ფიგურასთან, პირველ ყოვლისა. ჩვენი ათობითი სისტემა ემყარება ადამიანის ფიგურას, ხუთი თითით ან ათივე თითით თვლას.

ბაბილონის ხანაში გამოიყენებოდა ციფრთა სხვა, უფრო კოსმიურად ორიენტირებული სისტემები. მაგ., იყო დუო-დეციმალური სისტემა, დამყარებული ზოდიაქოს თორმეტ ნიშანზე, რაც წარმოქმნიდა ციფრთა სისტემას, რომლის საფუძველიცაა სამოცი. ამას ჩვენ დღესაც ვიყენებთ თორმეტ საათში, სამოც წუთში, სამოც წამში და 360°-ში წრეს რომ შეადგენს.

თუ ბავშვმა ციფრებთან დაამყარა ადამიანური და მორალური და არა აბსტრაქტულ-მეცნიერული მიმართება, იგი შეძლებს ვარჯიშს ისე, რომ მის შინაგან ძალებს არ დაემუქრება გამოფიტვა. მას მოეწონება ზოგიერთი რიცხვები, რადგანაც ისინი იყოფიან, სხვები კი, მაგ., ჩვიდმეტი და ცხრამეტი, უინტერესო იქნება, რადგანაც არ იყოფიან. ამით ვარჯიში სახალისო გახდება.

პუბერტეტთან ერთად (და უფრო აღრეც კი) კიდევ ერთხელ იცვლება აზროვნების ბუნება. ბავშვის საკუთარი სურათ-ხატების უსაფრთხო სამყარო, სადაც მე ლაღად გრძნობს თავს, ირღვევა რეალობასთან კავშირის შედეგად. ე.წ. სინამდვილე შემოიჭრება კრიტიკული ფაზისას (ათი წლის ასაკში) და არეულობა შემოაქვს მეს შინაგან სამყაროში.

თუ მე ძლიერია სურათ-ხატების გამოყენებაში, იგი შეძლებს გაუმკლავდეს ამ იერიშს და ისწავლოს, თავი გაართვას ე.წ. რეალობის პრობლემებს. იგი შეძლებს თვალი გაუსწოროს მათ, აღიაროს და მოინელოს ისინი და ამით მივიდეს ორიგინალურ იდეებამდე, რომელნიც უკიდურესად სჭირდება ჩვენს კულტურას.

მაგრამ თუ აქტიური წარმოსახვა გამოფიტულია, მე ვერ იმოქმედებს მტკიცედ და იძულებული იქნება მიიღოს და გაიმეოროს გარედან მიწოდებული შეხედულებები და აზრები.

ამით აზროვნების ორიგინალობა ზარალდება, თუმცა მოცემული პიროვნება შეიძლება არაჩვეულებრივად „ინტელექტუალური იყოს“. რამოდენიმე წლის წინ ერთმა დიდმა ჰოლანდიელმა სწავლულმა განაცხადა, რომ „ჩვენ აღარა გვყავს პოტენციური პროფესორები, არამედ მხოლოდ ჭკვიანი ასისტენტები“.

პუბერტეტის შემდგომ წლებში ბავშვის აზროვნებამ პირველ რიგში უნდა ისწავლოს პრობლემებთან დამოუკიდებლად მიდგომა. ამასთან უნარების ვარჯიში უნდა გრძელდებოდეს.

მოვიყვან ერთ პირად მაგალითს. მეოთხე კლასში მყავდა მათემატიკის მასწავლებელი, ორიგინალური და უცნაური კაცი. გეომეტრიის გაკვეთილებზე იგი გვიკრძალავდა თეორემების სწავლას. ის გვიხსნიდა თეორემებს, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ უნდა დაგვეეიწყებინა ისინი. ყოველი თეორემა თითოეულ მოწაფეს დამოუკიდებლად უნდა დაემტკიცებინა. მას უნდა „დაენახა“ იგი და ყველას თეორემის დამტკიცების საკუთარი გზა უნდა ეპოვნა. მასწავლებლის მრწამსი იყო, რომ უმჯობესია რამოდენიმეჯერ გადაუხვიო გზიდან, ვიდრე ბრმად მიიწევდე წინ თეორემების გამოყენებით. ეფექტი განსაცვიფრებელი იყო: ბევრი სუსტი მოწაფე უეცრად გააქტიურდა, ზოგიერთი სანიმუშო მოსწავლე კი საშუალო დონისა გახდა. მაგრამ შედეგი ის იყო, რომ ჩვენ ყველანი სრულიად დარწმუნებულნი ვიყავით, რომ გამოცდაზე არ იარსებებდა ჩვენთვის ამოუხსნელი გეომეტრიული ამოცანა. მასწავლებელი გვარწმუნებდა, რომ ყველანი უმაღლეს ნიშნებს მივიღებდით ამ საგანში, დარჩენილი დრო კი მათემატიკის სხვა სფეროებს უნდა დასთმობოდა. ამ კაცმა გვიჩვენა გზა ჩვენს საკუთარ უნარებში დარწმუნებისკენ. მოწაფეები ახლაც მადლიერებით იგონებენ მას.

ნებისმიერი გაკვეთილი, იქნება ეს მათემატიკა თუ ლიტერატურა, ისტორია თუ ქიმია, შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ განმეორებად რეფლექსურ აქტივობებს, ან შეიძლება ინდივიდუალური უნარების ვარჯიშს წარმოადგენდეს. პიესების წერა, პრობლემის გადაჭრა ყოველგვარი დახმარების გარეშე (გარდა უკიდურესად აუცილებლისა) ამ ასაკისთვის იდეალური აქტივობებია. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ზოგიერთ პედაგოგიურ სისტემაზე, რომელნიც ამგვარი აქტივობის საშუალებას იძლევიან.

დალტონისა და მონტესორის სისტემები ბიძგს აძლევს „ინდივიდუალურ აქტივობას“ ბავშვებში. განვითარების მესამე ფაზაში, რომელიც პუბერტეტს მოსდევს, ეს სავსებით დასაშვებია. მაგრამ მეორე ფაზისას, საშუალო სკოლის პირველ კლასებში, ასეთი მეთოდები უკიდურესად საეჭვოა ზემოაღნიშნული ფაქტების გამო.

ინდივიდუალური აქტივობა მოითხოვს ცნობიერ უნარს, დაუკავშირო მე გარე სამყაროს. სიცოცხლის მეორე ფაზაში კი ბავშვს ჯერ არ ძალუძს ეს.

პუბერტეტისას აღმოცენებული უნარების ამოქმედება ძალზე ნაადრევად ხდება. მათმა ძალდაგანებითმა განვითარებამ შეიძლება დასაწყისში წინსვლა მოგვცეს, მაგრამ მოგვიანებით ჩამორჩენა გამოიწვიოს.

8.1. მეხსიერება და აღზრდა-განათლება

პედაგოგიკის თანამედროვე მეთოდები უმთავრესად მიმართულია დახსომებაზე. საგამოცდო სისტემის მიერ თავსმოხვეული აუცილებლობა მშრალი ფაქტების ცოდნისა ნიშნავს, რომ მოსწავლეებს გარკვეულ დროს გარკვეული პასუხები უნდა ახსოვდეთ.

ჩვეულებრივ, ცნება „მეხსიერებით“ აღინიშნება ცნობიერი ან აბსტრაქტული მეხსიერება ანუ უნარი, ქვეცნობიერიდან ამოიგანო სურათ-ხატი და კვლავ აქციო იგი ცნობიერი განცდის ცენტრალურ პუნქტად.

ფაქტობრივად, ესაა მეხსიერების საბოლოო ფორმა. მეხსიერების კვლევა გვიჩვენებს, რომ არსებობს მისი ორი უფრო მარტივი ანუ ადრეული ფორმა.

მეხსიერების პირველ ფუნქციას შეადგენს უნარი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ლოკალური მეხსიერება“. ეს ფენომენი თავს იჩენს პატარა ბავშვში მისი თვითცნობიერების განვითარებამდე.

ბავშვმა, რომელიც ერთხელ იყო გარკვეულ ადგილას, შეიძლება ვერ გაიხსენოს, თუ რას აკეთებდა იქ. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ იმავე ადგილას დაბრუნებისას მისი ქცევა ცხადყოფს, რომ ბავშვმა იცის ახლომდებარე გზები, იცის, თუ სად ინახებოდა გარკვეული საგნები და რისთვის იყენებდნენ მათ. ამ მოვლენას შეიძლება დავაკვირდეთ ორწლინახევრის პატარა ბავშვებში: მაგ., მას შემდეგ, რაც პატარამ სხვენში ითამაშა ჩაქუჩითა და ბრტყელტუჩით, ისინი იქვე, ერთ უჯრაში შეინახეს. რამოდენიმე კვირის თუ თვის შემდეგ ბავშვი კვლავ მოხვდა იმავე ადგილას და მიირბინა უჯრასთან იმის ნიშნად, რომ სურდა მისი გაღება. მან სიხარულით ამოიღო ჩაქუჩი და ბრტყელტუჩა, რათა გაეგრძელებინა გაწყვეტილი თამაში, თუმცა ამ ხნის განმავლობაში არ ენახა და არც ეხსენებინა ისინი.

ანდა მეორე მაგალითი: პატარა ბავშვი მანქანით წაიყვანეს ბაბუასთან. რამოდენიმე თვის ცუდი ამინდისა და ავადმყოფობის შემდეგ დედამ იმავე გზით წაიყვანა იგი მანქანით. გარკვეულ მოსახვევში ბავშვმა წამოიძახა: „ბაბუასთან წავიდეთ, ბაბუას სახლში!“ მას ზუსტად ახსოვდა გზა.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ჩემს კაბინეტში შემოდის დედა შეფერხებულ ბავშვთან ერთად და მეუბნება: „ჯონი ძალზე ჩამორჩენილია, რადგანაც უკვე შვიდი წლისაა, ჯერაც არ მეტყველებს და მგონი, ვერც აზროვნებს. მაგრამ შეუძლებელია იგი ღრმად ჩამორჩენილი იყოს, რადგანაც ახლახან დღესასწაულზე ბებია-ბაბუას ვეწვიეთ. მათთან ის სამი წელია რაც არ ყოფილა. როცა სადგურზე ჩამოვედით, სიხარულით ყვირილი მორთო და გვექაჩებოდა სახლისაკენ. მას ზუსტად ახსოვდა გზა“.

აუცილებელი ხდება ახსნა იმისა, რომ ეს არაა ძალზე დიდი მიღწევა, რადგანაც მეხსიერების უმარტივესი ფორმაა და სამი წლის ასაკამდე ყველა ბავშვშია სახეზე.

ეს ლოკალური მეხსიერება ფილოგენეზურადაც ყველაზე ადრეული ფორმა უნდა იყოს. შესაძლოა, ამით აიხსნება პრიმიტიული კულტურების მიდრეკილება, აღმართონ მემორიალური ქვები იმ ადგილებზე, სადაც რაიმე ღირსშესანიშნავი მომხდარა ისე, რომ ქვების ნიშნებმა გამოიწვიოს მოვლენის გახსენება. ამგვარი მემორიალური ქვები შეიძლება მრავალ ადგილას აღმოვაჩინოთ. ზოგჯერ ისინი გიგანტურ ვერტიკალურ ქვებს წარმოადგენენ, როგორიცაა კელტური მენჰირები. შემდგომში ისინი მხატვრულად იქნენ დამუშავებულნი, როგორც რომაელ კეისართა ტრიუმფალური თაღები.

ვინაიდან ლოკალური მეხსიერება სულიერი ცხოვრების ღრმა არაცნობიერ შრეებში ნარჩუნდება, მსგავსი ქცევები ზრდასრულებისთვისაა ჩვეული. ვინც დაბრუნებულა თავისი სიყრმის სახლში ან ბაღში, აღმოაჩენს, რომ მას ახალგაზრდობის უცნაური მოგონებები ამოუტივტივდება და განიცდის მოთხოვნილებას, შემოიაროს ეს ადგილი და ნახოს, ყველაფერი ისევ ისე არის თუ არა იქ. დარბაზის ერთ კუთხეში შეიძლება უეცრად გაახსენდეს დიდი ხნის მივიწყებული რამ.

ჩვენ გვიყვარს — და ჩვენს შვილებს უფრო მეტა-

დაც კი – იმავე ადგილას დაბრუნება არდადეგებზე, იმავე ბილიკებზე გავლა და წარსული ბედნიერების გაცოცხლება. მეხსიერების ეს ფორმა დაკავშირებულია არაცნობიერ ნებასთან, იმასთან, რაც გაკეთდა ან მოხდა. იგი მთლიანად ინსტინქტისა და ძირეული ლტოლვების სფეროში მკვიდრობს. როდესაც გარკვეულმა სურნელმა შეიძლება უეცრად გამოაღვიძოს სიყრმის მოგონებები, რომელნიც კარგა ხანია მივიწყებულ იქნენ, ეს ლოკალური მეხსიერებითაა განპირობებული.

ნებასთან დაკავშირებული ამგვარი მეხსიერების შემდეგ ვითარდება რიგმული მეხსიერება, დაკავშირებული გრძნობებთან. ეს ხდება მანამ, სანამ ბავშვი შეძლებდეს ფაქტების დახსომებას აბსტრაქტული ფორმით. იგი ხალისით იმეორებს იავნანას, გათვლებს და სიმღერებს, სადაც ბგერები რიგმულად მეორდება. ბევრმა სკოლის მოწაფემ გამრავლების ტაბულა ლექსიკით იცის და მთელი ტაბულა უნდა გაიმეოროს, სანამ იტყოდეს, თუ რამდენია ოთხჯერ ექვსი. რიგმული მეხსიერების პიკი მოდის სამიდან ოთხ წლამდე ისევე, როგორც შემოქმედებითი წარმოსახვისა, რომელიც ხშირად რიგმული აქტივობებით გამოიხატება.

რიგმული მეხსიერება ნაკლებად არაცნობიერია, ვიდრე ლოკალური და გრძნობის სიზმარეულ ტალღებზე მიედინება.

ქრისტიანობამდელი ცივილიზაციების ლიტერატურაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ბარდებს უზარმაზარი მეხსიერების უნარი გააჩნდათ. ინდური ვედები და გილგამეშის ბაბილონური ეპოსი უცნაურად გვეჩვენება, ვინაიდან ცალკეული წინადადებებისა და შელოცვების დაუსრულებელი განმეორება თითქოსდა წალეკავს ფაქტობრივ ამბავს, რის გამოც თანამედროვე ადამიანი ორიენტაციას კარგავს.

ბრმა მომღერლის, ჰომეროსის, არსებობა სადავო იყო XIX საუკუნეში, რადგანაც ითვლებოდა, რომ ადამიანისათვის შეუძლებელი არის მთელი „*ილიადასა*“ და „*ოდისეას*“ დახსომება. მაგრამ ამავე პერიოდში სოფლელი მომღერლებისაგან ფინური „*კალევალას*“ ჩაწერამ აჩვენა, რომ ერთეულ პიროვნებას შეეძლო გაეხსენებინა უზარმაზარი სიდიდის მასალა.

ეს მომღერლები ეყრდნობოდნენ იმას, რასაც ჩვენ რიგმული მეხსიერება ვუწოდეთ. რუნების მომღერლები ერთმანეთის პირისპირ სხდებოდნენ ხოლმე სკამზე, როგორც რაინდები ცხენზე, დიაგონალურად ჩაპკიდებდნენ ერთმანეთს ხელებს და გარკვეულ რიგმში წინ და უკან ირხეოდნენ. ნახევრად ცნობიერ, სიზმრისებურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ ისინი იწყებდნენ რუნების კითხვა-პასუხით სიმღერას. არც მომღერლები და არც მსმენელები არ იღლებოდნენ, თუნდაც ეს საათობით ან დღეობითაც კი გაგრძელებულიყო.

ფაქტი, რომ რიგმული მეხსიერება არ არის დამღლელი, არასაკმარისადაა ნაკვლევი პედაგოგების მიერ. თანამედროვე ევროპელ ბავშვში ამ სახის მეხსიერება ნარჩუნდება ცხრა წლის ასაკამდე, რის შემდეგაც იგი იძირება მხატვრულ განცდაში, სადაც წარმოქმნის მუსიკალური და პოეტური შემოქმედების საფუძველს და მას სულ უფრო ენაცვლება აბსტრაქტული ცნობიერი მეხსიერება.

აბსტრაქტული ფაქტების მთლიანად ცნობიერი მეხსიერება შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ მეს ცნობიერების აღმოცენების შემდეგ და აქედან მოყოლებული ორივენი გვერდიგვერდ ვითარდებიან. ექვსი წლის ასაკამდე, როდესაც ცნობიერება წყვეტი-

ლია, მეხსიერებაც შემოხვევით ხასიათის ატარებს. ბავშვს ახსენდება მხოლოდ განსაზღვრული მოვლენები, რომელთაც მასზე ძალზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. იგი ჯერაც დიდადაა დამოკიდებული ლოკალურსა და რიტმულ მეხსიერებაზე. აბსტრაქტული ფაქტების დახსომებაზე გადასვლა სკოლაში ფრთხილად უნდა წარიმართოს. თავდაპირველად შეიძლება ნაყოფიერად, დაღლის გარეშე გამოყენებულ იქნეს რიტმული მეხსიერება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული თამაშთან.

ცხრა წლის შემდეგ, როდესაც გამოცდილება ბრდის მანძილს მესა და სამყაროს შორის, ბავშვში ჩნდება ტენდენცია, განეშოროს თავის სასკოლო საქმიანობას და მიიღოს იგი როგორც აბსტრაქტული მასალა, დაუკავშირებელი თავის საკუთარ სულთან. ეს განწყობა ძლიერდება პუბერტეტის შემდეგ.

ცხრა წლამდე ბავშვი ბევრად უფრო ჩართულია იმ შინაარსში, რაც სკოლაში მიეწოდება და აიგივებს თავს მასთან. ამდენად მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. ერთი და იგივე მასალა შეიძლება ისე მიეწოდოს, რომ მასში სახეზე იყოს მხატვრული ელემენტი, ან ისე რომ აბსტრაქტულად იქნეს დასწავლილი. მასწავლებელმა შეიძლება დაეხმაროს კიდეც ლოკალური მეხსიერება და სთხოვოს ბავშვებს, რიტმულად გაიმეორონ გამრავლების ტაბულა და დაუკავშირონ იგი იმ ადგილს, სადაც პირველად დაისწავლეს. უფროს ასაკშიც არ არის მავნებელი გარკვეული ფაქტების დაკავშირება სკოლის პერიოდის მოგონებებსა და ბედნიერ წარსულ დროსთან, ცხადია, იმ პირობით, რომ იგი ნამდვილად იყო ბედნიერი.

სისტემატური გამოყენებისას ამგვარმა მიდგომამ შეიძლება რევოლუცია მოახდინოს პედაგოგიურ

მეთოდებში საშუალო სკოლის პირველ სამ წელიწადთან მიმართებით. იგი ზოგაეს ძალებს და შეიძლება პრობლემები მოუხსნას მრავალ ბავშვს, რომელიც დიდ სიძნელეებს აწყდება დახსომებაში პირველი წლების მანძილზე, განსაკუთრებით, ნელ, სიზმარეულ ბავშვებს, რომელთაც უჭირთ ინტელექტუალური მუშაობა. ამგვარი ბავშვები შეიძლება სულაც არ იყვნენ ჩამორჩენილნი, როგორც მეშვიდე თავში ვნახეთ. ისინი შეიძლება განსაკუთრებული ბავშვები იყვნენ, რომელნიც ყველაფერს დიდ დროს ანდომებენ.

ნაადრევად განვითარებულ ბავშვებს, რომელნიც წინ უსწრებენ თავიანთ ასაკს, თავდაპირველად არ უჭირთ გაკვეთილების დახსომება. მათ კარგი ნიშნები აქვთ სკოლაში. მაგრამ პედაგოგიურად გამართლებულია, ვაიძულოთ ისინი, ცოტათი მეტ ხანს დაეყრდნონ ბავშვურ რიტმულ მეხსიერებას. გამოცდილებამ აჩვენა, რომ თუ ამას გამუდმებით შევეცდებით, ისინი უფრო ბავშვურნი და ფიზიკურად ჯანმრთელნი გახდებიან.

ბევრი ითქვა ჩვეულებრივი, ცნობიერი, ინტელექტუალური მეხსიერების შესახებ. ესაა განსაზღვრულ ადგილთან ან რიტმთან დაუკავშირებლად ნებისმიერი შინაარსის ნებისმიერ დროს რეპროდუქციის უნარი.

თუ აბსტრაქტული მეხსიერება ვითარდება მეტისმეტად ადრე, იგი ასუსტებს გახსენების უნარს შემდგომში. არსებობს მეხსიერების გადატვირთვისადმი სიძულვილი. ბავშვს ურჩევნია ხატის თუ სიტყვის უშუალო აღქმა – ტენდენცია, რომელიც ძალზე ჭკვიანურად გამოიყენა ზოგიერთმა პოლიტიკურმა მოძრაობამ. რამდენადაც გასული საუკუნისას მიდრეკილნი იყვნენ ზედმეტად ადრე განეკითარებინათ

მეხსიერება, ეს მოვლენა მნიშვნელოვანი გახდა ჩვენს კულტურაში.

ამასთან დაკავშირებული საკითხია, გამოყენებულ უნდა იქნეს თუ არა დაწყებით სკოლაში სწავლების ის სისტემა, როცა ყოველ საათს სხვადასხვა საგნებს ასწავლიან და ერთ დღეს დაწყებულ გაკვეთილს მომდევნო დღეს აგრძელებენ. ამის ნაცვლად შტაინერმა ვალდორფის სკოლებში შემოიღო ეპოქალური სწავლების სისტემა. აქ ცალკეული საგანი ისწავლება არა მარტო დილით, პირველი ორი საათის განმავლობაში, არამედ რამოდენიმე კვირის მანძილზე. შემდეგ კი მას სხვა საგანი ენაცვლება. მონტესორის სკოლებშიც ბავშვებს ეძლევათ საშუალება, დიდი ხნის განმავლობაში მოახდინონ ერთ საგანზე კონცენტრაცია, მაგრამ ამის შემდეგ არჩევანი თავად ბავშვზეა. თუ სურს, მას შეუძლია შეჩერდეს და სხვა რამ აკეთოს. ვალდორფის სკოლებში გამოყენებული ეპოქალური სისტემა კი უფრო წინ მიდის, ვინაიდან მასწავლებელი გადაწყვეტს თითოეული პერიოდის ხანგრლივობასა და დროს გამომდინარე მთელი სასწავლო პროგრამის შინაარსიდან.

ჩვეულებრივი სასწავლო პროგრამის დამცველები იტყვიან, რომ ბავშვი შეიძლება დაიღალოს არითმეტიკის ერთსაათიანი გაკვეთილის შემდეგ და კვლავ გამოცოცხლდება კითხვის შედეგად, მისი ინტერესი სტიმულირებულია ცვლილების მიერ. ყოველი ბავშვისთვის მისთვის საყვარელი გაკვეთილები ენაცვლება იმათ, რომელნიც არ უყვარს. მიუთითებენ, რომ სამი კვირა არითმეტიკა თუ გეოგრაფია მეტად მოსაწყენი უნდა იყოს ბავშვებისთვის. მაგრამ ჩვენ ისიც უნდა ვიკითხოთ, თუ რა ეფექტი გააჩნია ბავშვზე ამ მრავალფეროვან სასწავლო პროგრამას და რა მოთხოვნებს უყენებს მას.

თუ იყენებენ ჩვეულებრივი სწავლების მეთოდს, რომელიც უმთავრესად ეყრდნობა ინტელექტუალურ მეხსიერებას, მაშინ ცხადია, გამოსადეგია საგნების მონაცვლეობის მეთოდი. მაგრამ გაკვეთილებისას უფრო ღრმა სულიერი დონის მისაღწევად ამ მეთოდს ვერ გამოვიყენებთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყურადღება ექცევა აღზრდა-განათლების მხატვრულ მხარესაც.

ბავშვს მუდამ ესაჭიროება გარკვეული დრო, სანამ მთლიანად ჩაეფლობა რაიმეში. ბავშვებისთვის დამახასიათებელია, რომ (და ეს უკავშირდება რიტმული მეხსიერების განმეორებით ხასიათს) სურთ განაგრძონ ის, რაშიც არიან ჩართულნი. მხოლოდ ამ დროს შეუძლიათ მათ სულის სიღრმემდე დაუკაშირდნენ რაიმეს. მხოლოდ ამ დროს ხდება გრძნობებისა და ნების ჩართვა და ბავშვები პროდუქტიულნი ხდებიან. ცხადია, შეუძლებელია ინტელექტუალური გზით ვასწავლოთ ცალკეული საგანი გადაბმით საათებისა თუ კვირათა განმავლობაში – რამოდენიმე დღის შემდეგ ბავშვებს საკმაოდ მობეზრდებათ ის. აუცილებელია, საგნის უშუალო სწავლებას შევუნაცვლოთ შესაბამისი თემის ხატვა, ხაზვა, ძერწვა, მოთხრობებისა და თხზულებების წერა ისე, რომ სწავლა და საგნის გამოსახვა წონასწორობაში იყოს, ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვასავით. თუ მასწავლებელს შეუძლია ამის მიღწევა, ბავშვი იცხოვრებს ამ საგანში. ერთ კვირაში ნასწავლს მომავალ კვირასაც გააჩნია ეფექტი. ბავშვი თანდათან ეჩვევა გარკვეულ საგანს და როცა მოცემული პერიოდი მთავრდება, ეს ჰგავს ცხოვრების ხანმოკლე ფაზის დასრულებას ან ნაცნობ ადგილას მოგზაურობის დასასრულს. შემდეგ საგანმა შეიძლება მრავალი თვით დაისვენოს, სანამ კვლავ წარმოჩნდებოდეს.

გავრცელებული პროგრამის დამცველები შემოგვედავებიან, რომ ამასობაში ბავშვებს ყველაფერი დაავიწყდებათ. მათ ყველაზე მეტად ეშინიათ ამისი, ვინაიდან შედეგებს მხოლოდ მაშინ ხედავენ, როცა ბავშვს შეუძლია მაშინვე გაიხსენოს საგანი.

მაგრამ ვისაც შეუსწავლია მეხსიერების სხვადასხვა ფორმები, მას არ შეაშინებს გაკვეთილების შინაარსის ეს ე.წ. „დავიწყება“. ჯერ ერთი, პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ, როცა იგივე საგანი მეორდება, განვლილი შინაარსის აღდგენა სწრაფად ხდება. რამოდენიმე დღის განმავლობაში მისი მოკლედ გამეორების შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ დაეყრდნონ მას. გარდა ამისა კარგიცაა, თუ საგანი დროებით გაუჩინარდება ცნობიერების ზედა შრეებიდან, რათა ცოტა ხნით უფრო ღრმა ფენებში მოისვენოს.

რა მოსდის იმას, რაც ოდესღაც ვიცოდით და დაგვავიწყდა? განა მოზრდილებს ყველაფერი ახსოვთ, რაც უსწავლიათ და თუ არ ახსოვთ, განა ეს ნიშნავს, რომ იგი დაკარგულია? რამდენია ისეთი ადამიანი, რომელსაც აღარ ახსოვს მათემატიკა და ერთ ალგებრულ განტოლებასაც ვერ ამოხსნის, თუმცა კარგი ნიშნები ჰქონდა ამ საგანში? ნიშნავს კი ეს, რომ ყველაფერი დაკარგულია?

საქმე ისაა, რომ აწმყო ცნობიერებიდან გაუჩინარებული ცოდნა მაინც განაგრძობს აქტიურად არსებობას ქვეცნობიერში, ჩვენი სულიერი ცხოვრების მძინარე ნაწილში. იქ იგი გარდაიქმნება უნარებად, რომელნიც ნაყოფიერნი არიან სრულიად სხვა სფეროებში. ჩვენს მიერ ერთხელ ნასწავლი და დავიწყებული მათემატიკა გარდაიქმნება ლოგიკური აზროვნების უნარად, რის შედეგადაც ჩვენ უკეთ შეგვიძლია სწორი დასკვნების გამოტანა ცალკეულ სიტუაციებში. ეს რომ ასე არ იყოს, გაკვეთილების ოთხმოცი პროცენტი წყალში გადასაყრელი იქნებოდა, ვინაიდან არა უმეტეს ოცი პროცენტისა რჩება ჩვენთან ერთად.

პერიოდული სწავლების შედეგად გაკვეთილები ხანგამოშვებით იძირება ქვეცნობიერში და დროებით დაივიწყება. მაგრამ ამასობაში იწყება ახალ უნართა განვითარების პროცესი, ეს უნარები კი გამოიყენება გაკვეთილების მომდევნო პერიოდის განმავლობაში.

თანამედროვე პედაგოგიური სისტემა, ცხადია, მიქცეულია უფრო გამოცდების ჩაბარებისკენ, ვიდრე ცხოვრებისაკენ. შიში, რომ მოწაფე არ იქნება მზად გამოცდისათვის, აიძულებს მასწავლებელს, დარწმუნდეს, რომ ბავშვს კარგად აქვს დასწავლილი ყველა ფაქტი და საჭირო დროს შეუძლია მათი სწრაფად გახსენება. მაგრამ გამოცდა რეალურ ცხოვრებაში მასალის ნამდვილი ვარგისიანობის უკიდურესად ცუდი საზომია, ვინაიდან იგი ამოწმებს მხოლოდ უაღრესად ვიწრო ფუნქციას.

ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, სანამ გამოცდების გადაჭარბებული თაყვანისცემა ნორმალურ პროპორციებამდე დავა და სისტემა აღარ მოახდენს აღზრდა-განათლებაზე დომინირებას. და მაინც, სულ უფრო მეტად მიმართავენ სხვა სტანდარტებს, განსაკუთრებით პრაქტიკულ სამუშაოსთან დაკავშირებულ სფეროებში. სწავლების ჩვეულებრივ სისტემაში სასწავლო მასალა უმთავრესად დაკავშირებულია ჩვენს ინტელექტთან. ეპოქალურ სისტემაში ბავშვი უფრო მეტად ახდენს გაკვეთილებთან იდენტიფიკაციას ისე, რომ ცოდნა მისი კუთვნილება ხდება. გაკვეთილები უფრო ადვილად გარდაიქმნება უნარებად, რომელთა გამოყენება მოგვიანებით ხდება.

ეპოქალურ სისტემას ის ნაკლი აქვს, რომ არ ავარჯიშებს ბავშვებს გამოცდებში მაღალი ნიშნების მისაღებად. ამგვარად ნასწავლი ბავშვები მიუჩვეველნი არიან ტესტებში წამოყენებული მოთხოვნებისადმი, რომელნიც აზრს მოკლებულად მიაჩნიათ. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მათ სჭირდებათ რამოდენიმე თვე მოსამზადებლად. მაგრამ შედეგებმა აჩვენა, რომ მათი მაჩვენებლები არაა არადამაკმაყოფილებელი. უფრო მეტიც, მათი პროდუქტიულობა და საგნის გაგება არაფრით ჩამოუვარდება სხვებისას. გამოცდების შემდეგ ყველას შეუძლია ტექნიკის დავიწყება, ცხოვრება თავად განსაზღვრავს იმათ ვარგისიანობას, ვინც გაიარა გამოცდები.

9. გრძნობის საფეხურები: მხატვრული განვითარება

აზროვნება აღვწერეთ როგორც ფუნქცია, რითაც გარე სამყაროს გაშინაგნება ხდება. ნება ის ფუნქციაა, რითაც შინაგანი სამყარო გარეთ გამოიტანება. გრძნობის მახასიათებელი კი არის გამუდმებული რხევა გარე სამყაროსადმი გახსნასა და ჩაკეტვას შორის.

სიმპათია ნიშნავს, რომ სამშვინველი ღიაა, ანტიპათია — რომ იგი იკეტება სამყაროსათვის და უკუაგდებს მას. გრძნობები ირხევა სიმპათიასა და ანტიპათიას, სიყვარულსა და სიძულვილს, სიცილსა და ტირილს შორის. ესაა ვეება სუნთქვის პროცესი სულსა და სამყაროს შორის, დიასტოლა და სისტოლა, რომელსაც საკუთარი რიტმი გააჩნია.

გრნობები სამშვინველის ნამდვილ ბირთვს ქმნის. სულიერ მესთან ახლოს მყოფ პოლუსს აზროვნება წარმოადგენს, ფიზიკურ ლტოლვებთან დაკავშირებულ პოლუსს კი ნება. ორივე სფეროს ძალები ზეგავლენას ახდენს გრძნობათა ამ ცენტრალურ ბირთვზე (იხ. სქემა).

ადამიანი თავდაპირველად საკუთარ არსებას მგრძნობელ სამშვინველში განიცდის. სწორედ აქ განისაზღვრება მისი, როგორც ადამიანის, ღირებულება. ამიტომაცაა ასე არსებითი გრძნობებზე ზრუნვა



ბედნიერებისა და ადამიანური ღირსებისათვის.

შეცდომით ჰგონიათ, თითქოს ეს ძალა სპონტანურად ვითარდება. დიდ დროსა და ძალისხმევას ანდომებენ აზროვნების პროცესების განვითარებას და ეძიებენ ახალ გზებს მორალურ ძალთა გასაძლიერებლად. მაგრამ ყოველივე ეს ამაოა, თუ ეს ძალები არ გაერთიანდა პიროვნებაში ჯანსაღი და ცოცხალი გრძნობის უნარის საშუალებით.

გრძნობისთვის ყურადღების მიქცევა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც აზროვნებისა და ნებისათვის. რამდენადაც გრძნობა ეხსნება გარე სამყაროს და ახდენს მის ასიმილაციას პოზიტიური გრძნობით ანუ სიმპათიით, მთელი სამშვინველი იძირება ამ სამყაროში. იგი გარეთ გაედინება და იდენტიფიკაციას ახდენს გარემოსთან. ეს იმდენად ინტენსიური შეიძლება იყოს, რომ დაიმორჩილოს პიროვნება და ცნობიერების მთელი ველი მოიცვას. ფაქტობრივად, შეუძლებელია იდენტიფიკაციის პროცესის ცნობიერად განცდა. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ოდნავ გვიან, როცა სამშვინველი თავს დაიხსნის გარე

სამყაროსთან შერწყმისგან და საკუთარ თავში ჩაიკეტება.

ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვებს უნდა ხელი შევუწყოთ, რათა მხოლოდ სასიამოვნო განცდები ჰქონდეთ. თუ გარე სამყაროსთან ურთიერთობას მხოლოდ სიამოვნება მოაქვს, ეს უბრალოდ გააძლიერებს უფრო მეტი სიამოვნების მიღების სურვილს. მნიშვნელოვანია სწორი ფიზიოლოგიური წონასწორობის პოვნა სიამოვნებასა და რეფლექსიას შორის.

მოზრდილებმა გამოცდილებიდან იციან, რომ უნდა ჩაერიონ, როცა ბავშვები ძალიან შორს მიდიან, ან ზედმეტად აღიგზნებიან.

თხრობისას უფროსი არ უნდა შეჩერდეს ყველაზე დაძაბულ ადგილას, დაძაბულობამ უნდა მიაღწიოს მწვერვალს, შემდეგ კი განიტვირთოს. თუ მასწავლებელი ვერ განახორციელებს ამას, ბავშვები აბობოქრდებიან და ამოვარდებიან კალაპოტიდან.

ამ სუნთქვითი პროცესისათვის იგივე კანონები უნდა გამოვიყენოთ, რაც ხელოვნებისა და დრამისათვის. მაგ., განსხვავება საცეკვაო მუსიკასა და სიმფონიას შორის ამ სფეროში ისაა, რომ საცეკვაო მუსიკა სულ უფრო და უფრო აძლიერებს თავდავიწყებას, ხოლო სიმფონია რელაქსაციისა და დაძაბვის მონაცვლეობა არის.

მასწავლებელმა გაკვეთილი ისე უნდა ააგოს, რომ იგი პატარა სიმფონია ანდა სონატა იყოს, შესავლით, შუა ნაწილითა და დასასრულით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დააზიანებს ბავშვის ჯანმრთელობას. პედაგოგიკის სწავლებისას ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი უნდა იყოს. პედაგოგიურ სასწავლებლებში განუწყვეტლივ უნდა ხდებოდეს მისი პრაქტიკა.

შეცდომა, რომელსაც ჩვეულებრივ უშვებენ, ისაა,

რომ ბავშვს ნაკლებად უღვიძებენ „სიმპათიას“ გაკვეთილისადმი. ამის გამო იგი იკეტება, მასწავლებელს კი უჩნდება განცდა, რომ ყრუ კედელს აწყდება. ამ შემთხვევაში სიმპათიის რეპრესირებული ძალები სკოლის შემდეგ ხულიგნობაში ამოხეთქავს ხოლმე. მაგრამ სიმპათიისადმი ზედმეტი ანდა ცალმხრივი აპელაცია ასევე საზიანო არის. ამ დროს ბავშვმა შეიძლება დაკარგოს საკუთარი თავი, აღარ იცოდეს, რა მოუხერხოს მას და დესტრუქციულობით დაასრულოს.

კარგი მასწავლებელი გაკვეთილს უდგება როგორც ინსტრუმენტს. იგი ზრდის დაძაბულობას, სანამ ყველა არ მოუსმენდეს სუნთქვაშეკრული, შემდეგ კი ხსნის მას ისე, რომ მოწაფეები ღრმად ამოისუნთქავენ. ამ გზით მას შეუძლია აღზარდოს ნამდვილად ჰარმონიული და გაწონასწორებული ინდივიდები. ეს კარგად ესმით ბანაკის მასწავლებლებს, რომელნიც გამოცდილნი არიან სერიოზული და გასართობი აქტივობების მონაცვლეობაში.

შესაძლოა მართალი იყოს ამ ბოლო დროს გაჩენილი მოსაზრება, რომ სკოლა ამგვარ ბანაკს უნდა ჰგავდეს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სკოლა ბანაკად უნდა იქცეს და გართობა გამეფდეს. განსხვავება სკოლასა და ბანაკს შორის უნდა არსებობდეს და შესაძლებელს ხდიდეს შესუნთქვა-ამოსუნთქვის პროცესს, რაც სკოლაში მხატვრული გზით უნდა მიიღწეოდეს.

ბავშვის გრძნობების აღწერისას ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ თავად გრძნობები და გრძნობის აქტი.

გრძნობები დაბადებისთანავეა სახეზე. ესენია სიამოვნებისა და უსიამოვნების განცდები, რომელნიც ჩნდებიან ძირეულ ლტოლვებსა და მოთხოვნილებებთან კავშირში. შიმშილი იწვევს უსიამოვნების გრძნობას, ჭამა – სიამოვნებას, სიცივე უსიამოვნოა, თბილი ჩახუტება კი სასიამოვნო და ა.შ.. ეს გრძნობები, რომელნიც აღმოცენდებიან გარე სამყაროზე რეაქციისას, გარკვეული ზომით ავტომატურად ჩნდება. ისინი გარკვეულ პირობებში ცხოველებშიცაა სახეზე.

ადამიანური გაგებით გრძნობა მაშინ არსებობს, როცა ჩამოყალიბებულია გრძნობათა ჩაკეტილი სამყარო და ეს განცდა შინაგანი მდგომარეობის სახეს იღებს.

ბაზისური ლტოლვების შედეგად მუდმივად განიცდება სიამოვნება და უსიამოვნება. მაგრამ მათი გამომწვევი მიზეზების გაქრობისთანავე ეს განცდებიც ქრება.

სიმპათია და ანტიპათია უფრო შორს მიდის, თუმცა ისინიც მხოლოდ რეაქციაა გარე სამყაროზე.

სიხარული და სევდა ადამიანური თვისებებია, მდგომარეობაა მგრძნობელი სამშვინველისა. ხოლო სიყვარული და სიძულვილი მორალური პიროვნების მონაწილეობას მოითხოვს.

ერთი მხრივ, არსებობს ლტოლვების მიერ აღძრული გრძნობები, მეორე მხრივ, კი სულიერი მეს მიერ შობილი გრძნობები.

ბავშვის ზრდისას მრავალი სახის გრძნობის წარმოშობა დაიკვირვება. ჩვილ ბავშვს მხოლოდ სიამოვნებისა და უსიამოვნების წარმავალი გრძნობები გაჩნია. ახალფეხადგმულ ბავშვს განვითარებული აქვს სიმპათიისა და ანტიპათიის გამოკვეთილი გრნობები. სკოლის ასაკის მიღწევისას ბავშვისთვის უკვე ნაცნობია სიხარული და სევდა, პუბერტეტისას კი სიყვარული და სიძულვილი ჩნდება.

ძალა, რომელიც ბავშვის საკუთარ შინაგან

გრძნობას წარმოქმნის და განაცრცობს, არის შემოქმედებითი წარმოსახვა, რომელიც სამი წლის ასაკში იჩენს თავს. მისი საშუალებით ბავშვს შეუძლია ჩაუკეტოს გარე სამყაროს თავისი მგრძნობიარე სამშვინველი და საკუთარი შინაგანი სამყარო შექმნას. გარე ელემენტები ასიმილირდება, მაგრამ გრძნობა დამოუკიდებელია ნებისმიერი პირდაპირი გარე ზემოქმედებისგან.

წარმოსახვაში ცხოვრებით ბავშვი სწავლობს თავისი გრძნობების განცდას. რაც უფრო მეტ საზრდოს იღებს იგი, რაც უფრო მეტი შესაძლებლობები მიეცემა, მით უფრო მრავალფეროვანი იქნება მისი გრძნობები.

ბავშვს ისევე ესაჭიროება ქვიშაში თამაში, როგორც პური და კარაქი. სათამაშოები, რომელნიც მხოლოდ გარკვეული ზომითაა „დასრულებული“ და შეიძლება მრავალი მიზნისათვის გამოდგეს, ვინაიდან მათ შემოქმედებითი წარმოსახვა ასრულებს, უფრო ღირებულია ბავშვისთვის, ვიდრე სათამაშოები, რომელნიც სინამდვილის დეტალურ ასლებს წარმოადგენენ და წარმოსახვას არ აამოქმედებენ. ამ მხრივ თამაში „გრძნობათა განვითარების სკოლა“ არის.

ამ პერიოდში აუცილებელია ახალი ფაქტორის შემოტანა, რომელიც სახეზე უნდა იყოს საბავშვო ბაღებსა და საშუალო სკოლის პირველი სამი წლის განმავლობაში.

ესაა ცნობიერი მხატვრული აღზრდა, რომელიც ამდიდრებს გრძნობებს და მიპყავს ისინი ბაზისური ლტოლვებისადმი დაქვემდებარებულობიდან უფრო მაღალი დონისკენ, სადაც სულიერი ნორმები წარმართავენ მათ.

როცა პატარა ბავშვი რაიმეს აგებს ან ხატავს,

მას სჭირდება მიხმარება შენებაში, უფრო დიდ ბავშვს – ხატვაში, რათა გადალახოს ტექნიკური სირთულეები და შეიძინოს სილამაზისა და სიმახინჯის გრძნობა, ამისათვის ბავშვმა რაც შეიძლება მეტი უნდა ხატოს ფერებით. ფერებით თამაშის შემდეგ მას ასწავლიან გაფერადებას ისე, რომ შეძლოს ფერთა ლაქების დატანა, რომელნიც ერწყმიან ერთმანეთს ან ქმნიან ფორმებს. მალე იგი გააცნობიერებს ფერების სხვადასხვა თვისებებს – წითლის სითბოს, ყვითლის ბრწყინვალეებას, მწვანის სიმშვიდეს, ლურჯის სიცივეს, იისფერის შინაგანობას.

ამავე დროს ბავშვს უნდა ვუბიძგოთ, დააკვირდეს ბუნებას. შემოდგომით გასეირნებისას ყურადღება მივაქცევინოთ ხეების ფერებისთვის, გაკვეთილებზე კი გავაძლიეროთ ეს განცდა ხატვით (წყლის საღებავებით სველ ქაღალდზე).

გრძნობათა ნაირსახეობა შეიძლება გამუდმებით გაიზარდოს და გამოიკვეთოს მოთხრობების მოყოლით – დაწყებული უმარტივესი გრნობებიდან, რომელნიც პატარა ბავშვებს გააჩნიათ მიმზიდველ და საშინელ მოვლენებთან დაკავშირებით, უფროსი ბავშვების სიყვარულისა და რისხვის მხურვალე გრძნობების ჩათვლით.

ძალზე ხშირად არსებობს მხოლოდ დადებით გრძნობებზე კონცენტრაციის ტენდენცია. ეს გაუმართლებელია, რადგან საპირისპირო *დრამისა*, გრძნობათა ძირეული კანონისა. ყოველი მცდელობა მხოლოდ დადებითი გრძნობების აღძვრისა, ზედაპირული სენტიმენტალობით მთავრდება.

გრძნობებს აღმოაცენებს კონტრასტი, მისი პოლარული ბუნება. გოეთემ ერთხელ შენიშნა, რომ ადამიანს მხოლოდ იმდენი სიხარულის განცდა შეუძლია, რამდენი სევდაც განუცდია. არ არის საჭირო უკუ-

ვაგდოთ უარყოფითი გრძნობები და მოვარიდოთ ბავშვები მათ. საჭიროა სწორად განვაცდევინოთ ბავშვს კონტრასტული გრძნობები.

ყოველი მოთხრობა ხელოვნების ნაწარმოები უნდა იყოს, სადაც ერთმანეთს არა მარტო ენაცვლება დაძაბულობა და შვება, არამედ ჭეშმარიტად დრამატულად ურთიერთს მოსდევს სიყვარული კეთილშობილი უფლისწულისადმი და რისხვა ბოროტი მგლის ან ტროლის გამო. როცა ამ კუთხით ვიკვლევთ ცნობილ ზღაპრებს, მათში ამოვიცნობთ ხელოვნების ნაწარმოებებს, რომელთა გაუმჯობესება თითქმის შეუძლებელია.

ზღაპრის არჩევისას იგივე ფაქტორი უნდა იყოს გადამწყვეტი. მაგ., ისეთ ზღაპარში, როგორიცაა „თეთრთოვლა“, ბოროტებასა და სიკეთეს შორის ორთაბრძოლის რიტმული პროცესი ძლიერდება ბოლო სცენამდე, როდესაც თეთრთოვლას ერთ მთაზე ბროლის კუბოში დაასვენებენ. აპოთეოზი კი უფლისწულის მიერ სრული განთავისუფლებით მიიღწევა.

ყველა ზღაპარი არაა ერთნაირად სრულყოფილი კომპოზიციის მხრივ. გარდა გრიმების ცნობილი ზღაპრებისა არსებობს ნორვეგიული ზღაპრების კრებული, რომელიც ხელოვნების ბევრ მინიატურულ ნაწარმოებს შეიცავს, მაგრამ ასევე ზღაპრებს, რომლებიც ნაკლებად წმინდა სათავიდან არიან წარმოშობილნი. მთლიანობაში ისინი ძვირფას მასალას ქმნიან ბავშვის აღზრდისათვის.

ათი წლის ასაკის შემდეგ ადგილი აქვს უდიდეს ცვლილებას გრძნობაში. ამ დროს ბავშვი მეტ-ნაკლებად ტოვებს ბავშვობის პრიმიტიულ სამყაროს. აქამდე იგი უმთავრესად სურათ-ხატებში ცხოვრობდა, ახლა კი შედის მუსიკისა და დრამის პერიოდში. ნათელი და ბნელი, გარედან რომ ევლინებოდა სიკეთისა

და ბოროტების სახით, ახლა მის შინაგან ცხოვრებაში გადაინაცვლებს. ეს პროცესი პუბერტეტისას აღწევს მწვერვალს. მხოლოდ ამ დროს იხსნება მთლიანად მუსიკის სამყარო.

პატარა ბავშვს მოსწონს რიტმი, რადგანაც იგი მისი ნების გამოსახვასთანაა კავშირში. ამის შემდეგ მას უვითარდება რიტმისა და მელოდიის გრძნობა. მხოლოდ ხუთი-ექვსი წლისათვის ვითარდება მელოდიის დახსომების უნარი, ჯერ ცალკეული ინტერვალებისა, შემდეგ პენტატონიკური გამისა, ბოლოს კი დიატონიკური გამისა, სადაც ტონიკა არის წამყვანი.

ათ წლამდე ბავშვი ცხოვრობს რიტმისა და მელოდიის საწყის ელემენტებში. ჰარმონია, მაჟორული და მინორული ტონალობა ჯერაც უცხოა მისთვის და არ განიცდება შინაგანად.

მხოლოდ ათი წლის ასაკის შემდეგ განიცდის ბავშვი ნათელსა და ბნელს საკუთარ სამშვინველში და ამდენად მაჟორსა და მინორსაც. ჰარმონია მხოლოდ პუბესცენსის შემდეგ განიცდება შინაგანად. ამიტომ ხალხური მუსიკის სწავლებისას სწორია სიმღერის დაწყება ჰარმონიის გარეშე და ჰარმონიისათვის ბავშვის მომზადება კანონში სიმღერისა და ფერხულის საშუალებით.

დრამატული ელემენტი, რომელიც თავდაპირველად გარედან მიეწოდება ბავშვს მოთხრობების საშუალებით, პუბერტეტისას შინაგანი ხდება. ამდენად ახლა მისი ბოლომდე განცდის დრო დგება, არა მარტო დაძაბულობისა და შვების სახით, როგორც ადრე, არამედ ნათლისა და ბნელის სახით. ამას გარდა დრამა შეიძლება აღმოვაჩინოთ ისტორიასა და ლიტერატურაშიც. ახალგაზრდა პიროვნებისთვის მახლობელნი უნდა გახდნენ ისტორიული პერსონაჟები

და მათი ბიოგრაფიები, ცოცხალი ადამიანები, რომელთა ტანჯვისა და გამარჯვების გაზიარებაც შეუძლია.

ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა, შინაგანი კრიზისი და წინსვლა მათ მიერვე შექმნილ თხზულებებსა და პიესებში გამოხატონ და ამ გზით ამაღლდნენ მათზე. ყოველივე ზემოთქმული ისე შეიძლება მიეწოდოს მოზარდს, რომ ღრმად განიცდებოდეს და მთლიანად უვსებდეს სამშვინველს. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ სწავლების ეპოქალური სისტემისას, რომელიც იძლევა დროს საგანში მთლიანად ჩაღრმავებისთვის.

მხატვრული განვითარებისა და მსგავსი გრძნობების შესაძენად სპეციალური სწავლებაა საჭირო ახალგაზრდა მუშებისთვის, რომელნიც დადიან ტექნიკურ სასწავლებელში ან გადიან პროფესიულ მომზადებას. ამ ახალგაზრდებს ძირითადად იგივე მოთხოვნილებები გააჩნიათ. მაგრამ მათ დასაკმაყოფილებლად საჭიროა სხვა გზების პოვნა მათი განვითარების დონისა და მომავალი პროფესიული მომზადების გათვალისწინებით.

ესთეტიკის სწავლება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ხელობისა. ეს გავლენას მოახდენს თავისუფალი დროის გამოყენებაზე და ასევე მომავალ ოჯახში ესთეტიკური გარემოს შექმნაზე. მშვენიერი ხელნაკეთი ნაწარმის დასაფასებლად იაფფასიან, სერიული წარმოების ნივთებთან შედარებით აუცილებელია ინდივიდუალურად დამზადებული პროდუქციის მიმართ გემოვნების განვითარება (ამჟამად უკვე მრავალი იდეა დაინერგა პრაქტიკაში ტექნიკურ სასწავლებელთა პირველ კურსებზე. ტექნიკურ კოლეჯებსა და სადიასახლისო კურსებზე ბევრი რამ გაკეთდა გოგონების მოსამზადებლად ოჯახის მიმართ

პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ასევე პროფესიული სწავლებისას, მაგ., ისეთი საგნებისა, როგორიცაა ბავშვის მოვლა და აღზრდა).

ასევე მნიშვნელოვანია ესთეტიკური გარემოს შექმნის სურვილის წახალისება. ოთახების მოწყობა შესაფერისი ავეჯით; მათი მორთვა ყვავილებით ისე, რომ კედლის ფონზე ყვავილი მშვენიერების გრძნობას აღძრავდეს; ბაღის გაშენება და მრავალი სხვა საგანი შემოდის ამ სფეროში. მხოლოდ მომხმარებლის გემოვნების შეცვლის შემთხვევაში დამზადდება უკეთესი ხარისხის ავეჯი.

მეექვსე თავში განხილული იყო გრძნობის განვითარების ბოლო საფეხური. პუბერტეტის შემდეგ, ნათლისა და ბნელის, შინა და გარე სამყაროს და ა.შ. დუალობის განცდასთან ერთად ჩნდება ამ პოლარობების სინთეზის მოთხოვნილება. უმთავრესად ეს რელიგიური ფილოსოფიის ძიებაში ვლინდება. უცნაურია, მაგრამ ახალგაზრდულმა რელიგიამ გარეგნულად შეიძლება ანტირელიგიური ფორმა მიიღოს. გასულ საუკუნეში ახალგაზრდები რელიგიური ჟინის მქონე ათეისტები ან ისტორიული მატერიალისტები ხდებოდნენ. ამ ფორმით ისინი ახდენდნენ თავიანთი გრძნობების სინთეზს გარე სამყაროსთან მიმართებით.

ახლა არსებობს ტენდენცია სინთეზის სხვა ფორმებისკენ, სადაც უფრო სულიერი მსოფლმხედველობის ძიებას ვხედავთ.

10. ნების განვითარება: მორალი

პირველ თავებში სრულად არ იყო განმარტებული, თუ რა იგულისხმება ნებაში. არც ერთ სხვა ცნებას არ გამოუწვევია აზრთა ამდენი სხვადასხვაობა. რასაც ერთნი უწოდებენ „ნებას“, მეორენი ეძახიან „სურვილს“. ზოგმა არც იცის, რა ფენომენია ეს. ასევე ჩვეულებრივია ჩვილი ბავშვის დახასიათება როგორც ძლიერი ნების მქონისა.

ჯერ განვმარტოთ, თუ რას ვგულისხმობთ, როდესაც ნებას ორ უკიდურესობას შორის ვათავსებთ. არსებობს მრავალი გარდამავალი ფორმა და ჩვენ მივუთითებთ, თუ სადაა მიზანშეწონილი ცნება „ნების“ ხმარება.

ნება მკვიდრობს ადამიანის სამშვინველის იმ ნაწილში, რომელიც ცდილობს გარე სამყაროში გასვლას აქტივობის საშუალებით. უპირველესი წყარო ძალისა, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს აქტივობის სტიმულს აძლევს, არის *ბაზისური სწრაფვების* კომპლექსი. ესენი ორგანიზმში მოქმედებენ ბუნებრივ ძალთა სახით: როგორც სიცოცხლის, ზრდისა და განვითარების, კვებისა და გამრავლების ძალები. ისინი მოქმედებენ ქვეცნობიერი ორგანული სიცოცხლის სფეროში და სიცოცხლის პირველივე დღიდანვე არიან სახეზე.

მცენარეთა სამყაროში ზრდა და განვითარება სწრაფვების გარეშე ხდება. მცენარე ავლენს სასი-

ცოცხლო ძალების მთლიანობას. ცხოველი მხოლოდ მაშინ მონაწილეობს აქტიურად ამ პროცესებში, როცა სწრაფვებს განზრახვები ემატება. ეს ერთობლიობა განასულიერებს ცხოველს და გარეგნობაშიც კი მჟღავნდება.

ამრიგად, გარდა ბაზისური სწრაფვებისა, ცხოველებში *ცხოველური სწრაფვებიცაა* სახეზე. ვეგეტაციურ სწრაფვათა მსგავსად ესენიც მიმართულია ინდივიდის გადარჩენისაკენ, ოღონდ უფრო რთულია და ხშირად უცნაურ ფორმებს იღებს. ბუდის აგების, ჯოგური, ლიდერობის (ჯოგში), შეჯიბრების, შენიღბვის (რომელიც ორგანული ფუნქციაა) და მრავალი სხვა ცხოველური ინსტინქტი ემსახურება ინდივიდისა და სახეობის გადარჩენას. კვების ინსტინქტი დაკავშირებულია ინდივიდთან, ხოლო ნაშიერთა გამოკვების ინსტინქტი – მომავალ თაობასთან.

ყველა ეს ინსტინქტი, რომელიც სწრაფვების სახით არსებობს სამშვინველში, ადამიანშიც შეიძლება ვიპოვოთ. ძალაუფლების, ჯოგური, ბუდის აგების ინსტინქტები შეიძლება მრავალი ადამიანური აქტივობის მოტივაციურ ძალად ჩაითვალოს. წარმოადგენს თუ არა ეს სწრაფვები და ინსტინქტები ნებას? შეიძლება აღინიშნოს ბევრი სხვა ინსტინქტი, რომელიც ნამდვილად ადამიანურია და არ გვხვდება ცხოველთა საუფლოში. მაგ., ფეხზე დადგომის იმპულსი, მიუხედავად თითქოსდა ალოგიკური იდეისა, მცირე ზომის საფუძველზე მოთავსდეს უაღრესად მძიმე მასა; წონასწორობის შენარჩუნების უნარი ნამდვილად *ადამიანური სწრაფვაა;* ფეხზე დადგომასთან ერთად ასევე ადამიანური სწრაფვაა მეტყველების გზით კომუნიკაციის დამყარების მოთხოვნილება, ისევე როგორც მოთხოვნილება, სურათ-ხატებში წარმოიდგინო სამყარო. ეს ადამიანური სწრაფვები განსხვავ-

დება ცხოველურისაგან იმით, რომ იმიტაციის გზით მხოლოდ ადამიანურ გარემოში ვითარდება.

მაგრამ ამგვარ ადამიანურ სწრაფვებსაც კი ვერ დავახასიათებთ როგორც ნებას. ვეგეტაციური, ცხოველური და ადამიანური სწრაფვები წარმოიქმნება ძალებით, რომელნიც თავად ორგანიზმში არიან სახეზე, პირველყოფილი სიმძლავრით აღმოცენდებიან მისგან და სხვადასხვა აქტივობებში გამოიხატებიან.

ცნება „ნების" გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს სხვადასვა სწრაფვა ცნობიერ აქტივობაში გადადის, ურთიერთობს ცნობიერი განცდების სამყაროსთან და ცნობიერების მიერ რეგულირდება და იმართება. უკვე აღინიშნა, რომ ეს ელემენტი ბავშვის აქტივობაში ჩნდება მხოლოდ ექვსი წლის ასაკში, როცა იგი მზად არის სკოლისთვის. ესაა ნების პირველი პრიმიტიული ფორმა. იგი ოთხმოცდაათი პროცენტით ჯერაც სწრაფვაა, ათი პროცენტით კი გაგებითა და გამოცდილებით რეგულირდება. მაგრამ ახლა შესაძლებელია მისი აღწერა როგორც ნების ჩანასახოვანი ფორმისა.

ამრიგად სწრაფვები ნებად იქცევა ცნობიერებასთან კონტაქტის შედეგად. ცნობიერების უმაღლეს შინაარსად შეიძლება ჩაითვალოს ცოდნა მეს – როგორც ღვთაებრივი ნაპერწკალის, ღვთაებრივი შესაქმის მსახურისა და დამხმარის – შესახებ. როდესაც ეს სიბრძნე გაცნობიერებულია, იგი არეგულირებს ნებას. ნების ამ უმაღლეს ფორმას შტაინერი აღწერდა როგორც „მორალურ ფანტაზიას".

საგნით თამაშსა და მორალურ ფანტაზიას შორის ნების განვითარების მრავალი საფეხური არსებობს. რაც უფრო დიდია მეს ცნობიერება გადაწყვეტილების მიღებისას, მით უფრო მორალურია ნება.

ნება ჯერაც პრიმიტიულია, როცა თითქმის მთლიანად ემყარება სწრაფვებს. თანამიმდევრული აზროვნების მიერ იგი მხოლოდ მაშინ რეგულირდება, როცა ბავშვი მზადაა სკოლისთვის. ნება უფრო მომწიფებულია, როცა სურათ-ხატების სამყარო იმდენად ფართოვდება, რომ პუბერტეტისას შესაძლებელი ხდება შორეული მიზნების დასახვა.

ნება მორალური ხდება მაშინ, როდესაც ლტოლვები ისე რეგულირდება, რომ სულიერი რეალობა განმსჭვალავს მეს გადაწყვეტილებებს. ნება ამორალურია, როცა მე ცნობიერად ითრგუნება და ინტელექტი ბუნებრივ სწრაფვებს ემსახურება. როცა ინტელექტი არაცნობიერად ემსახურება სწრაფვებს, ამას ვერ ვუწოდებთ ამორალობას, არამედ არამორალურობა შეიძლება დავუძახოთ. XX საუკუნის ადამიანის მიერ შესრულებული აქტივობების უმრავლესობა ამ კატეგორიაში თავსდება.

ჩვენი ინტელექტი გამოიყენება იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად დახვეწილი გზით მივსდიოთ სწრაფვებს. ამის შედეგია ტექნიკური საშუალებების კულტურა და ძალაუფლების სურვილი, რომელიც არაფრის წინაშე არ იხევს. ნება მთლიანად არამორალურია, როდესაც მეს ძალები ვერ წარიმართება მისი მიზნებისაკენ.

შეიძლება ვიკითხოთ, შესაძლებელია თუ არა ნების იმდენად განვითარება, რომ სწრაფვები აღარ თამაშობდეს გადამწყვეტ როლს. ეს არაა შესაძლებელი ჩვეულებრივი ცხოვრებისას, ვინაიდან როგორც კი ქრება ძირეული ცხოველური თუ ადამიანური სწრაფვები, ქრება ქცევის მოტივაციაც. ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრებისას ჩვენ დამოკიდებულნი ვართ (ნებასთან დაკავშირებით) ჩვენს ორგანიზმზე და მის მიერ წარმოშობილ ძალაზე.

კიდევ ერთი, ასევე გავრცელებული გაუგებრობაა სწრაფვებისადმი სიძულვილი. თავისთავად სწრაფვები არაოდესაა ცუდი. ისინი მუდამ მიმართულნი არიან ინდივიდისა და სახეობის გადარჩენისა და უწყვეტობისკენ. თვითშენარჩუნებისკენ სწრაფვა, რომელიც სავსებით გამართლებულია, არსებობს თავგადებისა და საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის სწრაფვასთან ერთად, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგ., დედობრივ სიყვარულში და ეხება არა ინდივიდის გადარჩენას, არამედ მომავალი თაობის შენარჩუნებას.

ბოროტების შესაძლებლობა წარმოიშვება მაშინ, როცა სწრაფვები ნების სფეროში გადადის. ყოველივე ზემოთქმული წინ წარეუმძღვარე ნების აღზრდისა და მორალური განვითარების პრობლემას.

სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში ბავშვზე მთლიანად მეფობს ბაზისური სწრაფვები და მისი აქტივობები შემოფარგლულია ორგანული ფუნქციებით. ამის შემდეგ აღმოცენდება ცხოველური და ადამიანური სწრაფვები მაშინ, როდესაც ბავშვი იწყებს ნამდვილ თამაშში მონაწილეობას. როცა იღვიძებს მისი თვითცნობიერება, ნებას პირველად ეძლევა განვითარების შესაძლებლობა. მაგრამ იგი ერთბაშად არ იჩენს თავს, რადგანაც თვითცნობიერებას თავდაპირველად ნაკლები უწყვეტობა გააჩნია და ცნობიერების შინაარსს სიცოცხლის მხოლოდ პირველი განცდები შეადგენს.

ბავშვის თამაში ცხადყოფს, რომ მისი ქცევა მთლიანად განსაზღვრულია რიტმული ორგანული პროცესებით. თავდაპირველად თამაში თავად აქტივობისთვის აქტივობას წარმოადგენს, სანამ ექვსი წლის ასაკში არ მოხდება ცვლილება, როდესაც უფრო მკაფიო მიზანი ჩნდება. შემდეგ ბავშვი მზადაა შეასრულოს ამოცანა, რომელიც თვითონვე დაისახა მიზნად. ესაა სასკოლო ბავშვის განწყობა.

ამ დროს ნება თავისი განვითარების პირველ სტადიაში შედის. მის მიერ აღებული გეზი დამოკიდებულია სკოლის ასაკის ბავშვის ცნობიერების შინაარსზე. ამ პერიოდში ზნეობის განვითარებას მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, თუ ბავშვს მისცემენ მაგალითებს, რომელნიც ნათელს გახდიან მისთვის სხვაობას ბოროტებასა და სიკეთეს შორის. საუკეთესოა მოთხრობების ფორმით მიცემული მაგალითები, ზღაპრები და მოთხრობები, სადაც ხატოვნადაა წარმოდგენილი სიკეთისა და ბოროტების პრობლემები. თუ ბავშვი თხრობას სუნთქვაშეკრული უსმენს, თუ მისი ფანტაზია დიდხანსაა დაკავებული ამ მოთხრობებით, მაშინ ეს უკანასკნელნი ყველაზე მეტად ეფექტურნი არიან. კატეგორიული მოთხოვნების შემცველი მოთხრობები – შენ არ უნდა აკეთო ესა და ეს – ჩვეულებრივ ნაკლებ ეფექტური არის, რადგანაც ამგვარი შეგონებები ბავშვის შინაგანი ცხოვრების მიღმა რჩება და სხვა არაფერია, თუ არა დასწავლილი პასუხები. ამგვარ შეგონებებს ხშირად მიმართავენ მაშინ, როცა ბავშვის ზნეობრივი განვითარება რთულად მიმდინარეობს და იგი განუწყვეტლივ ახორციელებს გარკვეულ მოქმედებას მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა.

მოვიყვან მაგალითს: ერთ მასწავლებელს სთხოვეს აღეზარდა რვა წლის ქოლერიული ბიჭი, რომელსაც თავშეუკავებელი გაშმაგების შეტევები ჰქონდა და ამ დროს ანგრევდა ყველაფერს. მისი ქცევიდან ჩვეულებრივ ასკვნიდნენ, რომ ბიჭი არ ექვემდებარებოდა ზნეობრივ აღზრდას.

ერთ დღეს იგი ხატავდა სხვა ბავშვებთან ერთად. მასწავლებელმა დაუხატა წრე ქაღალდის ფურცელ-

ზე გადასახტავად. ქაღალდის ცუდი ხარისხის გამო ფანქარმა გახვრიტა იგი და ფურცელი გახია. „რა კარგია“, – თქვა ბავშვმა და ტუჩები ღიმილმა დაუბრიცა. ვითომც ვერ შეამჩნიაო, მასწავლებელი მიუბრუნდა მეზობელ ბავშვს და დაიწყო მოყოლა: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგონა. ერთხელ ის სეირნობდა თოჯინასთან ერთად. მას ერთი ბიჭი მიუახლოვდა. გოგონამ ფეხი წამოკრა ქვას და თოჯინა გაუტყდა. ბიჭმა გვერდით ჩაუარა, ბოროტად გადახედა და ჩაიბუზღუნა: „ძალიანაც კარგი, რომ გატყდა“. მაგრამ მან ვერ შეამჩნია ღრმა ჭა გზის მეორე მხარეს და ჩავარდა მასში“.

ცოტა ხანს სიჩუმე იყო. პატარა ავაზაკმა ჩუმად მოისმინა მოთხრობა, შემდეგ კი იკითხა: „რანაირი იყო ბიჭი?“ „მას ქერა თმა ჰქონდა“. ბავშვმა აშკარად რაღაც იგრძნო და თქვა: „ჩემი აზრით, ეს სირცხვილია“. „შენ გგონია, რომ ეს სირცხვილია? კარგი, აბა გაასწორე გახეული ადგილი“. ბავშვმა გულმოდგინედ გაუსვა ხელი გახეულ ადგილს, შემდეგ იკითხა: „რა მოხდა მერე?“ „ბიჭმა დაიძახა – ამომიყვანეთ, მომეშველეთ!“ მოგროვდა ხალხი. ბიჭი ამოიყვანეს ჭიდან. მან შეაკეთა თოჯინა. პატარა გოგონა ძალზე ბედნიერი იყო და ისინი ერთად გაუდგნენ გზას“. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ქერათმიანმა ბოროტმოქმედმა ღრმად ამოიოხრა და განაგრძო ხატვა.

ეს მოთხრობა გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გაართვას მასწავლებელმა თავი ამგვარ სიტუაციას უდიდესი ცნობიერებით, იმოქმედოს სწრაფად, სანამ „რკინა ცხელია“.

შეიძლება ეს მაგალითი ერთობ დიდაქტიკურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ცხადია, ბავშვზე არ იმოქმედებდა, მასწავლებელს რომ ეთქვა მისთვის: „ძალზე

ცუდია, თუკი გიხარია, როდესაც რაიმე შემთხვევით ფუჭდება“.

გარდა ამგვარი მოთხრობებისა, რომელთაც სიტუაციისდა მიხედვით ცხელ გულზე ვიგონებთ, არიან ისეთნიც, რომელთაც სისტემატურად ვუყვებით ბავშვებს. შტაინერის რჩევით, პირველ კლასში სასწავლო პროგრამა უნდა შეიცავდეს ზღაპრებს, მეორე კლასში – იგავებს ცხოველებზე, მესამეში კი მოთხრობებს ძველი აღთქმიდან.

როცა ვაკვირდებით, თუ როგორი ხალისით კითხულობენ და დგამენ სცენაზე მეორე კლასელები იგავებს ცხოველების შესახებ, ვრწმუნდებით იმაში, რომ იგავ-არაკები დროულად იქნა მიწოდებული და რომ ზნეობის განვითარებას ბიძგი მიეცემა ცნობიერების მუდმივი გამდიდრებითა და ზრდით.

თქმა იმისა, რომ ზნეობრიობა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ბავშვი მზადაა სკოლისთვის, თითქოს ეწინააღმდეგება აღრეთქმულს: რომ სიცოცხლის პირველი წლები მის საფუძველს ქმნიან. ორიეე ასპექტი სწორია. მასწავლებლის წინ არაა სუფთა ფურცელი, როცა ის იწყებს ნების აღზრდას.

სიცოცხლის დასაწყისში ნებისა და ზნეობის მარცვალი სრულიად განსხვავებულად ვითარდება. ბავშვი ჯერაც იმიტაციის საფეხურზე იმყოფება. ზნეობას საფუძველი დადებითი ჩვევების ჩამოყალიბებით ეყრება. ბავშვი ბაძავს გარემოს და ითავისებს მის ჩვევებს.

შინაგანი უსაფრთხოების, წესრიგის და მოვალეობის გრძნობების ბაზისს წარმოადგენს მოწესრიგებული გარემო ცხოვრების მყარი განრიგით. სიტყვისა და საქმის არაცნობიერად მიბაძვა საფუძველს უყრის ბავშვის შემდგომ ღიაობას ცნობიერი ზნეობრივი სწავლების მიმართ.

მასწავლებელი ეყრდნობა იმიტაციის ამ უნარს. ამიტომაც მისთვის მნიშვნელოვანია, იცნობდეს ბავშვის მშობლიურ გარემოს, თუ სურს გაუგოს თავის მოწაფეებს, განსაკუთრებით, პრობლემების წარმოშობისას. მაშინ მიხვდება იგი, თუ რომელი ელემენტები ემყარება გარემოს მიბაძვას და რომელი – ზნეობრივი ნორმების გათავისების შესაძლო უუნარობას.

ის ფაქტი, რომ გარემოს ზემოქმედება არაცნობიერი და ნახევრადცნობიერი იმიტაციის გზით არ წყდება შვიდი წლის ასაკში, ცხადი გახდა მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებში, როცა გამოაშკარავდა, რომ მორალური სტანდარტები სწრაფად გაუარესდა და გაქრა კიდევაც ჩვენს გარშემო არსებული მაგალითების გამო.

იმიტაცია, რომელიც დომინირებს ბავშვის სიცოცხლის პირველ ეტაპზე, განაგრძობს ზემოქმედებას იმ არაცნობიერ შრეებში, სადაც ჩვენ ბავშვებად ვრჩებით.

მეს ცნობიერებას, რომელიც ათი წლის ასაკში იღვიძებს და პუბერტეტისას აღწევს მწვერვალს, ზნეობის შინაგანი პრობლემები მოაქვს. მოზარდი განიცდის დიდ დაძაბულობას სიკეთესა და ბოროტებას შორის, შეცოდების, მონანიებისა და ცოდვათა მიტევების გრძნობებს შორის. მისი სამშვინველის ცხოვრება ირხევა შავსა და თეთრს შორის. მასში აღიძვრის შავბნელი ლტოლვებიცა და ბრწყინვალე იდეალიზმიც. მაგრამ ამ დროისთვის მას ჯერაც არ ძალუძს სინთეზის მიღწევა და ორივე მათგანის მიღება როგორც რეალობისა, რომელთან ერთადაც უნდა იცხოვროს. სწორედ ამ დროს იწვევს მასტურბაციის პრობლემა შინაგან კონფლიქტს, რამაც შეიძლება მიიღოს სერიოზული სახე და მრავალი წლით ჩააბნე-

ლოს და გაამწაროს მოზარდის სიცოცხლე.

ერთადერთი გამოსავალი ამ დუალისტური მდგომარეობიდან არის რაიმეს *კეთება* და მიღწევა ნებსითი გადაწყვეტილებით. მხოლოდ თვითრეალიზაციასთან ერთად მოდის შესაძლებლობა მთლიანად ცნობიერი მორალური აქტივობისა, რომლისთვისაც ქვემოთ ჩამოთვლილი საფეხურები წინაპირობას წარმოადგენს: პირველია გარემოს ზნეობრიობის მიბაძვა ჩვევების ჩამოყალიბების გზით; მეორეა ცხოვრების პრობლემების გაგების სწავლა – ცხოვრებისა, სადაც ზნეობაა წარმმართველი; და მესამეა სიკეთესა და ბოროტებას შორის კონფლიქტის შინაგანი განცდა იმ კულტურის შიგნით, სადაც ბავშვი იზრდება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა ზნეობის განვითარების ამ სამ სტადიას და მოხდა მათი განცდა, ინდივიდი იძენს შესაძლებლობას, იქონიოს *თავისუფალი* დამოკიდებულება ზნეობრივი პრობლემისადმი.

თუ საფუძველი არ იქნა ჩაყრილი, შემდგომში ინდივიდს არ ექნება საყრდენი ყოველდღიური ცხოვრებისას საჭირო გადაწყვეტილებების მიღებისას.

თუ მეორე საფეხურისას მიწოდებულ იქნა არასაკმარისი მასალა, რის გამოც ინდივიდის მიერ მორალურ იდეათა გაგება პრიმიტიული რჩება, შემდგომში მას არ ექნება უნარი, მოახდინოს ფაქიზი ზნეობრივი დიფერენციაცია.

თუ მას საკმარისად არ განუცდია მესამე საფეხური, ზნეობრივი პრობლემები მუდამ ზედაპირული და ფრაგმენტული იქნება მისთვის.

ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ პირველ სტადიაზე ფიქსაცია შემდგომში წარმოშობს რიგიდულ ინდივიდებს ავტომატური რეაქციებით, რო-

მელნიც ყველაფერზე მსჯელობენ გარემოდან შეძენილი სტანდარტების მიხედვით. მათ ექნებათ „ბედნიერება“, არ განიცადონ არავითარი შინაგანი კონფლიქტი, ვინაიდან ყოველივე წინასწარ განსაზღვრულია მათთვის. მაგრამ ეს მიიღწევა გამოფიტული შინაგანი ცხოვრების ფასად. ისინი ვერასოდეს მიაღწევენ უმაღლეს მორალურ აქტივობას, რომელიც მოსდევს შინაგან აქტივობას და რომელიც რ.შტაინერმა აღწერა როგორც „მორალური ფანტაზია“.

ასევე ხშირად ინდივიდი ჩარჩება ხოლმე მესამე სტადიაზე. იგი ინარჩუნებს ზნეობის პრობლემების მოზარდისათვის ჩვეულ შინაგან განცდას ისე, რომ ვერ პოულობს რაიმე გამოსავალს. ეს თავს იჩენს მრავალგვარ ნევროზებში. ისინი მრავალი სახის შიშის, სიძულვილისა და ეჭვის მიზეზები არიან.

ზნეობის განვითარებისათვის საჭირო ზომებს ზემოთქმული ცხადყოფს. სიცოცხლის პირველი ფაზის განმავლობაში ერთადერთი გზაა ზნეობრივი მაგალითი. მეორე ფაზისას ბავშვს უნდა მივაწოდოთ საკმარისი მასალა, რათა ისწავლოს პრობლემების გაგება (ზღაპრები და მოთხრობები, ათი წლის ასაკის შემდეგ კი მრავალი ამბავი ისტორიიდან). მესამე ფაზაში მგრძნობიარე და მეგობრული ხელმძღვანელობაა საჭირო ზნეობრივ განცდათა სიღრმეების გამოსაკვლევად, რათა პუბერტეტის პრობლემები სწორად იქნეს აღქმული.

დაბოლოს, მეოთხე ფაზაში, საჭიროა ინდივიდუალური გადაწყვეტილება ან ქმედება. გარეშე პირმა შეიძლება მისცეს რჩევა, მაგრამ მას არ შეუძლია დახმარება, რადგანაც ახალგაზრდა პიროვნების ნების რეალიზაცია (განსაკუთრებით, მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით) შეიძლება მხოლოდ

მანვე მოახდინოს, რამეთუ *მარტოოდენ* ისაა პასუხისმგებელი.

10.1. სინდისი

ზნეობის განვითარების პრობლემას ვერ დავასრულებთ სინდისის ფუნქციის განხილვის გარეშე.

სინდისთან დაკავშირებით უაღრესად განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ბავშვის თანამედროვე ფსიქოლოგია ფსიქოანალიზურადაა ორიენტირებული, თუკი ის მთლიანად ექსპერიმენტული არაა. მასში სინდისი გაგებულია როგორც მშობლების წესებისა და სანქციების ასახვა, ან ჩვენს მიერ მოპოვებული კულტურული საგანძურის არაცნობიერი ხსოვნა, რომელიც ყველა ინდივიდში აისახება მემკვიდრეობით შეძენილ ნიშნებში. ამდენად სინდისი აღმოცენდება მშობლების ან საზოგადოების მიერ დასჯის შიშიდან.

ეს კომპონენტი უეჭველად ზემოქმედებს რეაქციებზე, რომელნიც ქვეცნობიერიდან მომდინარეობენ და ზოგიერთ სიტუაციაში აფერხებენ ქცევას. გარკვეული ზომით მათი გათავისება ხდება ზნეობის განვითარების პირველი ფაზისას. სხვა ფსიქოანალიზური შეხედულებების მსგავსად ეს არაა არასწორი, არამედ ცალმხრივია.

გარდა შეძენილი სინდისისა, რომელიც წარმოქმნილია გარემოს არაცნობიერი მიბაძვით და არა დასჯის შიშით, არსებობს უფრო ღრმა ასპექტიც, რომელსაც შეიძლება აბსოლუტური ან წმინდა სინდისი ვუწოდოთ. წმინდა სინდისის ენით ადამიანში უფრო მაღალი ცოდნა მეტყველებს.

ადამიანის მეს, რომელიც დაეშვა სულიერი სამ-

ყაროდან და მოექცა მიწიერი არსებობის ტყვეობაში, არ შეუძლია დაივიწყოს საკუთარი მიმართება ზენა სულიერ წესრიგთან. ამ წესრიგის ხმა სინდისის ენით მეტყველებს. წმინდა სინდისი არასოდეს ეხება ჩვეულებრივ ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს, არამედ უმაღლეს ადამიანურ ძალისხმევებს. ესაა ფაუსტის გზით მავალი კაცის მარადიული პრობლემა ნათელთან დაბრუნებისა მიუხედავად შეცდომისა და ცოდვებისა.

წმინდა სინდისის ეს ხმა ერთი და იმავე ძალით არ მეტყველებს ყველა ჩვენთაგანში, თუმცა იგი მუდამ არსებობს ყოველ ადამიაში, თუკი ის სულიერად ავად არაა. არსებობს არაჩვეულებრივი ფაქტი, რომ არიან ზნეობრივი გენიოსებიც ზუსტად ისევე, როგორც ინტელექტუალურნი, მათემატიკის, ტექნიკის ან ხელოვნების დარგში (ერიპ ნოიმანი „შინაგანი ხმის ერეტიკოსებს“ ეძახის კულტურისა და რელიგიის განმაახლებლებს).

ზნეობრივი გენიოსი შეიძლება სულაც არ იყოს ინტელექტუალურად ნიჭიერი თუმცა მას ფართო ჰორიზონტი უნდა ჰქონდეს და შეეძლოს გონების მიმართვა ცხოვრების ყველა სფეროსკენ.

არიან ბავშვები, რომელნიც შეურყვნელნი იზრდებიან ამორალურ გარემოშიც კი როგორც შროშანა ტალახში, სხვები კი ბოროტებისკენ იხრებიან, თუმცა უაღრესად მორალური გარემო აქვთ.

ეს ბადებს ადამიანის ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან საკითხს – ბედის საკითხს. ამგვარ პრობლემებთან ჭიდილისას შეიძლება იმედი დავკარგოთ და ვაღიაროთ ბედისწერის იდეა. აქ საქმე გვაქვს ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ უღრმეს პრინციპთან, ვინაიდან მოცემული სიტუაციის აღიარება არ წყვეტს პრობლემებს. მნიშვნელოვანი ისაა, თუ რა

კეთდება ყოველივე ამასთან დაკავშირებით. ვინც უხვად არაა დაჯილდოებული, არ უნდა გაიკიცხოს, არამედ მასში უნდა გავუფრთხილდეთ და შევეცადოთ ავანთოთ ის ნაპერწკალი, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა არსებობს.

ხშირად უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ უდიდესი ძალისხმევისა და მსხვერპლის შედეგად მხოლოდ ის მივიღეთ, რომ ბოროტება და სიკეთე პრობლემა გახდა ახალგაზრდა პიროვნებისთვის. თუ ფაუსტის ასპექტი გამოღვიძებულ იქნა და უარყოფითი მოვლენებისას ყრმა არ კმაყოფილდება ნეგატიური განწყობით, მაშინ უდიდესი რამ ყოფილა მიღწეული.

რეციდივისტებთან მუშაობისას, ჩვეულებრივ, შეუძლებელია მეტის მიღწევა. გარედან შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ყველა მცდელობა ამაო იყო, რადგანაც დამნაშავენი უბრუნდებიან ძარცვასა თუ პროსტიტუციას. და მაინც, შინაგანი განსხვავება შეიძლება ძალზე დიდი იყოს და ზოგჯერ, მრავალი წლის შემდეგ, შეიძლება მოვისმინოთ აღსარება, რომელიც ცხადყოფს, რომ სინდისის ხმა ბოლოს და ბოლოს შესმენილ იქნა. ალბათ, ეს საკმარისია ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრებისთვის.

ზნეობრივ გენიოსებთან დაკავშირებით რამოდენიმე არაჩვეულებრივი ფაქტი იქნა აღნუსხული. ერთ შემთხვევაში ზნეობრივი გენიოსი იყო ძლიერი შეფერხების მქონე გოგონა ტვინის ორგანული დაზიანებითა და ეპილეფსიური გულყრებით, რომელიც ვერ მეტყველებდა და მხოლოდ ფიზიკურად არსებობდა. მაგრამ მის გვერდზე ყოფნისას ყველას ეუფლებოდა სიწმინდისა და დიდი მორალური ძალის უცნაური გრძნობა. მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდა იგი სამკურნალო დაწესებულებაში. არასენტიმენტალური, ჭკუადამჯდარი პრაქტიკანტი მომვლელე-

ბი, რომელნიც მასთან კონტაქტში იყვნენ, არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ გოგონას გვერდით არასოდეს ჰქონიათ ეგოისტური აზრები და შთაგონებულნი იყვნენ, ღრმად ჩაეხედათ საკუთარ თავში. გოგონა თვრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, იგი ცხოვრების მიერ ხელუხლებელი შრომანივით იწვა, იმქვეყნიური მაცნესავით, რომელმაც ღრმა შინაგანი განცდები აღუძრა მრავალ ადამიანს.

წმინდა სინდისის ხმა ჩვენი სამშვინველის სიღრმეებიდან გამოცემულ ექოს ჰგავს. ზენა სულიერი სამყაროდან მომავალი ხმა მუდამ აქ არის, მაგრამ ექოს გასაგონად რაიმემ უნდა აირეკლოს იგი და გასაგონი გახადოს.

ეს განსაზღვრავს მის სიძლიერეს და ამიტომაცაა, რომ სინდისის საკითს, ან ყოველ შემთხვევაში მისი შესამჩნევი ეფექტის საკითხს, კონსტიტუციონალური საკითხი უნდა ვუწოდოთ. ცხადია, არა უხეში, არამედ იმ გაგებით, რომ სხეულში, სამშვინველსა და სულში მოქმედი ძალები თავისებურედაა ერთმანეთთან გადახლართული.

სინდისის შესახებ ამგვარი თვალსაზრისი შესაძლებელს ხდის მისი სულიერი კონსტიტუციის აღიარებას და ზნეობის სწორად განმტკიცებას განვითარების სამი ფაზის განმავლობაში. ამით შეიძლება ბევრი რამ ავიცილოთ თავიდან, რასაც აღარაფერი ეშველება, თუკი ის პუბერტეტის შემდეგ იჩენს თავს.

11. მემკვიდრეობითობა და ინდივიდუალიზაცია

დარვინიზმმა, რომელმაც წალეკა მსოფლიო XIX საუკუნეში, რამოდენიმე „ბუბულის კვერცხი“ დატოვა, რათა ისინი შეუმჩნეველად გამოჩეკილიყვნენ. „*სახეობათა წარმოშობა*“ გახდა სოციალური, პოლიტიკური და მეცნიერული სკოლების საფუძველი.

სახეობებზე გარემოს ზეგავლენის იდეა სოციალურ პარადიგმად იქცა ისტორიული მატერიალიზმისთვის, რომელიც ყველაზე თანმიმდევრულად კომუნიზმსა და ბოლშევიზმში აისახა. მემკვიდრეობითობისათვის მინიჭებული გადაჭარბებული მნიშვნელობა ნაციზმისათვის იქცა პოლიტიკურ პარადიგმად. მომთაბარეჯოგებიდან ადამიანის წარმოშობის კონცეფცია კი მეცნიერული პარადიგმა გახდა ფსიქოანალიზისათვის.

ცხადია, ამ მიმდინარეობების წარმოშობა არ ყოფილა დარვინის განზრახვა. იგი პატიოსანი კაცი იყო, იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც კვირადღეს შეეძლო ერწმუნა, რომ ადამიანი ადამისგან წარმოდგება და ღვთის მიერაა შექმნილი, სხვა დღეებში კი დაეწერა, რომ ადამიანი ბუნებრივი განვითარების ჯაჭვის ბოლო რგოლია, ყველაზე კარგად შეგუებულის გადარჩენის კანონის თანახმად. მატერიალისტურმა ეპოქამ კი ყველაფერი დაივიწყა კვირადღეობით მორწმუნე დარვინის შესახებ და გააზვიადა სხვა დღეებში მოლ-

ვაწე დარვინი, ახდენდა რა ევოლუციის თეორიის პოპულარიზაციას იმ გაგებით, რომ ადამიანი მაიმუნისგანაა წარმოშობილი. ამ მატერიალისტური შეხედულებისათვის ადამიანი უბრალოდ ყველაზე განვითარებული ძუძუმწოვარია, განსაზღვრული მემკვიდრეობითობითა და გარემოთი.

მემკვიდრეობით დაინტერესებული მეცნიერები აგარებდნენ ექსპერიმენტებს მცენარეებსა და ცხოველებზე და აცხადებდნენ, რომ მიღებული შედეგები ადამიანისთვისაცაა ძალაში, ხოლო ამ იდეის მოწინააღმდეგეებს არ გააჩნდათ საპირისპირო მეცნიერული არგუმენტები.

მცენარეებსა და ცხოველებში მემკვიდრეობითობის კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას დიდი წარმატება ჰქონდა. გამოზარდეს ფორთოხლები კურკების გარეშე, გაჩნდა უფხო ფრანგული ლობიო, გამოიყვანეს ცხოველთა სხვადასხვა ჯიშები გარკვეული საჭირო ნიშან-თვისებებით.

შემდეგ ერთმა ერმა განაცხადა, რომ გამოიყვანდა რასას ლიდერობის ნიშან-თვისებით. მსოფლიო ინსტინქტურად აუმხედრდა ამას. საპირისპირო არგუმენტები ეთიკური ან რელიგიური ხასიათისა იყო, მაგრამ მეცნიერულ მატერიალიზმში ყურებამდე ჩაფლულებმა ისინი უარყვეს როგორც არამეცნიერულნი. ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლის მოგება შეიძლება მხოლოდ ბნეობის არსის გაცნობიერებით და არა მეცნიერების იარაღით. მხოლოდ მორალური პიროვნება, სულიერი მე გამოდგება საბოლოო არგუმენტად მემკვიდრეობითობის როლის ცალმხრივი გაგების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომამდე რამოდენიმე წლით ადრე წაკითხულ იქნა ლექცია ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში, სადაც აღზრდა-განათლების გარკვეული პრინ-

ციპებისათვის ამოსავალ წერტილად ვირთხებზე ჩატარებული ცდები იყო გამოყენებული. ლექციის შემდეგ გამართულმა საინტერესო დისკუსიამ აჩვენა, რომ ამგვარი შეხედულება შეიძლება უკუვაგდოთ სულ რამოდენიმე არგუმენტით, რომელიც უძლებს კრიტიკას თანამედროვე მეცნიერების მხრიდან, რომელიც არ ითვალისწინებს ადამიანის სულიერებას.

მეორე მსოფლიო ომისას ჩვენ დავინახეთ, რომ სულიერების უარყოფა შეუძლებელია ადამიანობის უარყოფის გარეშე, ცხოველურ დონეზე დაშვებისა და გონიერ და გაწვრთნილ ძუძუმწოვრად გადაქცევის გარეშე. ჩვენ მივხვდით, რომ მეცნიერული თეორიების პოპულარიზაციას შეიძლება საშინელი შედეგები მოჰყვეს.

სოციალური შედეგებისათვის გარეგნული წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფოა პირველადი მეცნიერული პოზიციის ხელახალი გააზრების გარეშე. იგივე პრობლემები კვლავ დაბრუნდებიან სხვა სახით და ეს ეხება *ყოველივე ადამიანურს*: ჩვენს გადარჩენასა თუ განადგურებას.

შილერმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა ეს კონფლიქტი: „ადამიანი არის მხეცი და ანგელოზი“.

ჩვენ ყველას გვქონია შესაძლებლობა დავმდგარიყავით ადამიანში „მხეცის“ წინაშე. იგი ყოველ ჩვენთაგანში არსებობს. შენშიც და ჩემშიც სახეზეა ყოვლად წარმოუდგენელი ვნებები და შესაძლებლობები. ომმა მთელი რეალობით დაგვანახა ეს. ადამიანის მხეცური ბუნება ქაოსიდან აღდგა და ნიღაბი ჩამოიხსნა.

მაგრამ ამ წლებში ჩვენ სხვა განცდაც გვქონდა. ჩვენში გამოიღვიძა ბრწყინვალე „ანგელოზმა“, ჩვენმა უმაღლესმა სულიერმა მემ, რომელსაც შეეძლო ჩახედა თვალებში მხეცისთვის და მორეოდა მას. აღმოჩნდა, რომ საშინელი გასაჭირისას მას შეეძლო უძლიერესი ყოფილიყო და შეენარჩუნებინა ადამიანობა

ისეთ პირობებში, რომელნიც ქვეადამიანურნი და „ქვეცხოველურნიც“ კი იყვნენ.

სადაა შესაფერისი ადგილი მემკვიდრეობითობისათვის და რა არის ადამიანის ინდივიდუალური ნიშანთვისება? ჩვეულებრივ, პასუხობენ, რომ რამდენადაც ადამიანი ცხოველია, იგი გენეტიკის კანონებს ექვემდებარება; ხოლო რამდენადაც ინდივიდუალობაა, მასში მოქმედებს სხვა ძალები, რომელთაც არა აქვთ კავშირი მემკვიდრეობითობასთან. შედეგი არის კომპრომისი, რომელშიც ცალკეული ფაქტორები უნდა ამოვიცნოთ.

ეს მნიშვნელოვანია თეორიული და მეცნიერული კუთხით, ასევე პრაქტიკული აღზრდა-განათლებისათვის და საერთოდ კულტურისათვის.

ვინც ეძებს ფაქტორებს, რომელნიც ერთმანეთს ერწყმიან ამ კომპრომისისას, უკვე დგამს პირველ ნაბიჯს პრობლემის გადაწყვეტისკენ.

აქ ვერ განვიხილავთ მემკვიდრეობითობის საკითხს ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, მაგრამ ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს ორი სფერო, სადაც ყველაზე კარგად შეიძლება დავაკვირდეთ კონფლიქტს ინდივიდსა და მემკვიდრეობითობას შორის: საყმაწვილო დაავადებები და ანომალიური განვითარება.

შესაძლებელია დავაკვირდეთ, თუ რამდენად შეეფერება ფიზიკური სხეული ინდივიდუალური ძალების გამომზეურებას. ზოგიერთ ბავშვში დაძაბულობა მესა და მემკვიდრეობითობას შორის უმნიშვნელოა, ზოგიერთში კი საგრძნობი.

პირველი შვიდი წლის განმავლობაში ამას თან სდევს ფიზიკური სიმპტომები. შემდეგ კი, განსაკუთრებით პუბერტეტის შემდეგ, კონფლიქტი უფრო ფსიქოლოგიურ სახეს იღებს.

საყმაწვილო დაავადებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მესა და მემკვიდრეობითობას შორის კონფლიქტში. და კვლავ, ამ ავადმყოფობებისას ფსიქიკის განვითარების კარგი დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისინი განვითარების ნიშანსვეტები არიან.

მაგ., ასეა, როცა ბავშვს შეეყრება ისეთი გავრცელებული სახადი, როგორიცაა წითელა. მაღალი სიცხე, რომელიც თან სდევს დაავადებას, დიდად არღვევს ნორმალურ სასიცოცხლო პროცესებს. ფსიქოლოგიურად, წითელით დაავადებული ბავშვი მთლიანად მოდუნებულია. იგი მელანქოლიურია, ერიდება სინათლეს, ბევრს ტირის და მთლიანად საკუთარ თავში იკეტება. ამ მდგომარეობას მოჰყვება გამოჯანსაღება, როცა ნორმალური სასიცოცხლო ფუნქციები აღდგება, დეპრესია ქრება და მხიარულებით იცვლება. ითვლება, რომ ბავშვი ახლა უკეთაა და განაგრძობს ჩვეულ ცხოვრებას.

მაგრამ საინტერესოა, თუ რა ხდება ფსიქოლოგიურად წითელას *შემდეგ* პირველი ორი-სამი თვის მანძილზე. ბავშვი უეცრად უაღრესად იცვლება. მოკლე დროში მისი ნაკვთები უფრო ინდივიდუალური ხდება, მისი აღნაგობა სახეს იცვლის და ბევრად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ავადმყოფობამდე ერთი წლით ადრე.

„ჩემი შვილი უფრო დაემსგავსა საკუთარ თავს“, — ასე გამოხატა ერთმა დედამ ის, რაც ამ დროს ხდება. არსებობენ ბავშვები, რომელნიც ოდნავ ჩამორჩებიან განვითარებაში, მაგრამ სახადის შემდეგ სწრაფად ინაზღაურებენ ამ დანაკლისს. მათ უეცრად უქრებათ ყველა სახის რეგრესია, რაც აისახებოდა ტუალეტის პრობლემებში, სიცელქეში ან განუვითარებელ მეტყველებაში.

სხვა სიტყვებით, წითელას ხშირად მოსდევს ინდი-

ვიდუალიზაცია და პროგრესი მის მომდევნო თვეებში. ეს გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ გამოჯანსაღებისას, როცა ხდება ფუნქციების ან ფორმის აღდგენა, აუცილებლად ადგილი აქვს მაფორმირებელი იმპულსების გაზრდილ აქტივობას, რაც ზეგავლენას აღენს აღნაგობასა და ფიზიონომიაზე როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგურად.

ასევე საინტერესოა იმის დაკვირვება, თუ *როდის* შეეყრება ბავშვს რომელიმე სახადი. უმეტეს შემთვევაში ამას აიგივებენ ინფექციის წყაროსთან, რომელიც ადვილად შეიძლება აღმოჩენილ იქნეს. მაგრამ კარგია იმ შემთხვევების შესწავლა, როცა, მაგ., ერთ ბავშვს ოჯახში არ გადაედება ინფექციური დაავადება, თუმცა მას კონტაქტი ჰქონდა დაავადებულ წევრებთან. მას იგივე დაავადება წლების შემდეგ შეეყრება, როცა კავშირი აღარაა ადვილად დასადგენი.

ეს ფენომენი ასევე ნათლად ჩანს შეფერხებულ ბავშვებში. აქაც გამუდმებით აღმოჩნდება ხოლმე, რომ სახადის წყალობით, ან უფრო სწორად მის შემდეგ, ბავშვი დიდ ნაბიჯს დგამს წინ გამოჯანსაღების პერიოდის განმავლობაში.

შეფერხებულ ბავშვებში ვაწყდებით შემთხვევებს, როცა, ერთი მხრივ, მემკვიდრეობითობის ძალები ნორმალურია, მაგრამ ინდივიდუალიზაციის პრინციპი სუსტია, ან სულ არ არსებობს. ასეთ დროს ბავშვი თავდაპირველად ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ ასაკთან ერთად რეგრესს განიცდის და სულ უფრო ეკარგება ინდივიდუალიზაციის ძალა. მეორე მხრივ, მემკვიდრეობითობის ძალები შეიძლება ანომალიური იყოს, მაგრამ ინდივიდუალიზაციის პრინციპი ძლიერ გამოხატული. ამ შემთხვევაში ბავშვი დეფორმირებული ან ანომალიური იბადება, მაგრამ ასაკთან ერთად ადგილი აქვს გამომჯობინებას. ძლიერი ინდივიდუალური

ნება აიძულებს მას გადალახოს ნაკლოვანება და მოულოდნელ გამარჯვებებს მიაღწიოს.

აქ შეგვიძლია მარტოოდენ მოკლედ მივუთითოთ ამგვარ პრობლემებზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც მრავალი ადამიანი ერთად იმუშავებს და კარგად დააკვირდება ამ ფენომენებს, მომავალში შესაძლებელი გახდება განვითარების თეორიის ჩამოყალიბება, რომელიც მხედველობაში მიიღებს როგორც მემკვიდრეობითობას, ისე ინდივიდუალობას.

იმავე მოვლენას შეგვიძლია დავაკვირდეთ სქესობრიობასთან დაკავშირებით. როგორც ბიოლოგიური „ქრონოტიპული“ განვითარება, იგი აიძულებს ბავშვს საქმე ცვალებად სხეულთან ჰქონდეს. თუ პუბერტეტი შეუფერხებლად ჩაივლის, სქესი ფიზიკურად გაიშინაგნება; ფსიქოლოგიურად კი იგი გაითავისება ბავშვის მიერ საკუთარი შინაგანი სამყაროს ხელახლა აღმოჩენისას.

უკანასკნელ საუკუნეში ფიზიკური მომწიფება საკმაოდ ადრეულ ასაკში მიმდინარეობს. და შეიძლება წმინდა ბიოლოგიური სქესობრიობა ბავშვში განვითარდეს მანამ, სანამ მისი პიროვნება და ფსიქიკა მზად იქნება ამისთვის. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ფსიქოლოგიური განვითარება პირდაპირაა დამოკიდებული ბიოლოგიურ ცვლილებებზე. ზეგავლენა ორმხრივია, მაგრამ არსებობს მესამე ფაქტორიც: მოტივაცია.

ბუნების საუფლოში მიმდინარე განვითარების პროცესის გარდა ადამიანი იმ სამყაროს მონაწილეც არის, რომლის კარსაც აზროვნება უხსნის. ამ გზით იგი იშინაგნებს იმას, რაც ცხოველისთვის გარე სამყაროდ რჩება. ამ ადამიანური პროცესის შედეგია კულტურის წარმოშობა. ახალგაზრდები აღმოაჩენენ, რომ „ბუნება“ მოცემული ფენომენია, „კულტურა“ კი ადამიანის

მიერაა შექმნილი.

ამ გაშინაგნების საშუალებით მოზარდი ეძებს საკუთარ იდენტურობას, რომელიც სურს ჩათვალოს სამომავლო კულტურის დადებით ფაქტორად. ეს იწვევს სამყაროსაკენ ორიენტირებულ თვალთახედვას და დროებით მომავლისაკენ მიმართულ მოტივაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლადგაღვიძებული სექსუალობისადმი წმინდა ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ინტერესი ახლა ეროტიკული ინტერესით იცვლება. ინდივიდუალური ეროტიკული ცნობიერება მაშინ წარმოიშობა, როდესაც ადამიანს ეურთიერთებიან არა მარტო როგორც საპირისპირო სქესს, არამედ პიროვნებას. მეორე ადამიანი მოცემული ინდივიდისგან განსხვავებული პიროვნებაა, რაც ღირებულებისა და იდეების სტრუქტურაში ვლინდება, რომელიც ადამიანის მიერ შექმნილი კულტურის ნაწილი არის.

ამდენად, სექსუალობის გარდაქმნა ეროტიზმის პიროვნულ განცდად კულტურითაა განსაზღვრული. მომავალზე ორიენტირებული მოტივაციითა და საკუთარი კულტურის შექმნის სურვილითაა განპირობებული ის, რომ ყოველი ახალი თაობა კონფლიქტში მოდის ძველი კულტურის ღირებულებებთან და წეს-ჩვეულებებთან, საიდანაც იგი სათავეს იღებს.

ღირებულებების ცვალებადობა, სექსუალობასა და ეროტიზმთან მიმართებითაც, პოზიტიური ფენომენია და ამტკიცებს მესამე ძალის – პიროვნების, თითოეული ადამიანის ინდივიდუალური მეს – არსებობას.

12. აღზრდა და თვითაღზრდა

ყოველივე, რაც აღზრდა-განათლების შესახებ ითქვა, ცხადყოფს, თუ რაოდენ ბევრი რამ მოეთხოვება მასწავლებელს. მას უნდა ესმოდეს თავისი საგანი და გარდა ამისა გააჩნდეს მხატვრული უნარები, მაღალი ზნეობა და იდეალისტური შეხედულება საკუთარ პროფესიაზე.

პედაგოგიკის გადახალისებას, რაც *ნამდვილი* გადახალისება უნდა იყოს და არა რამოდენიმე ზედაპირული მეთოდის შეცვლა, ალბათ, მრავალი წელიწადი დასჭირდება.

მომავალში მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საჭიროა პედაგოგიკის ზემოხსენებული სახის წინსვლისათვის და შემდეგი კითხვების დასასმელად: *რა* საგნები უნდა მივაწოდოთ ბავშვს გარკვეულ ასაკში, განვითარების გარკვეული საფეხურის განმავლობაში? *როგორ* უნდა მივაწოდოთ საგანი ისე, რომ გამოვაღვიძოთ სამშვინველის ძალები – აზროვნება, გრძნობა და მორალური ნება?

ვალდორფის სკოლები ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ამ პრინციპით მუშაობენ. მათ მიერ დაგროვებული გამოცდილება შეიძლება საფუძვლად გამოდგეს.

მაგრამ ყოველგვარი ცვლილება ამაო იქნება, თუ გვეგონება, რომ აღზრდა-განათლება აღარ არის სა-

ჭირო იმ მომენტიდან, როცა ახალგაზრდა პიროვნება სრულწლოვანი ხდება. არა მარტო ბავშვობა, არამედ ადამიანის მთელი ცხოვრება შეილება განვითარების გარკვეულ ფაზებად დაიყოს.

ოცი წლის ახალგაზრდა პიროვნება ცხოვრების ასპარეზზე აქამდე მოპოვებული ძალებით გადის. მის აზროვნებას გააჩნია გარკვეული შინაარსი, მის გრძნობებს – გარკვეული სტრუქტურა, რომელიც ყველაზე ნათლად მჟღავნდება მის სოციალურ და რელიგიურ ფილოსოფიაში. მის ნებაში აისახება გარკვეული იდეალები, რომელნიც მეტ-ნაკლებ ზნეობრივ შინაარსს შეიძლება შეიცავდნენ.

ახალგაზრდა პიროვნების სურვილია შეუდგეს ცხოვრებას და განიცადოს ყველაფერი, რისი შემოთავაზებაც შეუძლია მას. პუბერტეტიდან ზრდასრულობამდე სამყაროს კვლევა სხვა ადამიანების დახმარებით ხდებოდა. ახლა კი ახალგაზრდა პიროვნების მოთხოვნილებაა, დამოუკიდებლად განიცადოს ყოველივე. ესაა პერიოდი, როდესაც მას სურს თავად შეიცნოს საკუთარი არსებობის ყველაზე ბნელი და იდუმალი ასპექტები.

ამ პერიოდში ახალგაზრდა სრულიად ღია უნდა იყოს და ამ გზით დააგროვოს გამოცდილება ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მღელვარე პერიოდს ოცდაათი წლის ასაკში მოსდევს ეტაპი, როდესაც ჩნდება მოთხოვნილება, უკან დაიხიო უშუალო განცდიდან, მოაწესრიგო იგი, მისცე სტრუქტურა, თვალი გადაავლო მას და რაციონალური ცნებებით შეაფასო. „ქარიშხალი და იერიში“ კლებულობს, შინაგანი შფოთვა ქრება და თუმცა ჯერაც ძლიერია ინტელექტუალური მიდგომის ზეგავლენა, ცხოვრებაში პირველად შესაძლებელი ხდება გარკვეული წონასწორობისა და სიმშვიდის მოპოვება, ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ყველაზე გაწონასწორებული და მშვიდი პერიოდია ბევრი ადამიანისთვის.

მაგრამ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ და, განსაკუთრებით, ორმოცი წლისათვის ახალი მოუსვენრობა მოიცავს სამშვინველს. მიზეზი ისაა, რომ ცნობიერად თუ არაცნობიერად ვაწყდებით კითხვას: ოცი წლის შემდეგ მე ვსწავლობდი ცხოვრებას იმით, რომ ვეძლეოდი მას, ოცდაათი წლის შემდეგ მე გავაერთიანე და სტრუქტურა მივეცი ამ გამოცდილებას, მაგრამ ახლა რა უნდა *ვუღონო* მას? რაც შინაგანი მოუსვენრობის სახით მჟღავნდება ქვეცნობიერში, არსებითად ნებასთან დაკავშირებული საკითხია.

„რა გავაკეთო მთელი ამ გამოცდილებით? რასაკვირველია, შესაძლებელია იმის კეთება, რაც მაინტერესებს. გამაჩნია რაიმე ამოცანა ამქვეყნად, რომლის შესრულებისას ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება ნაყოფს გამოიღებს? რა არის ეს ამოცანა და სად მოვიპოვო ძალა ჩემი გამოცდილების ისე გამოსაყენებლად, რომ ნაყოფი გამოიღოს?“

ცხადია, ეს ცხოვრებისეული გამოცდილება სარგებელს არ მოიტანს, თუკი ჭკვიანურ თეორიას წარმოადგენს, ვინაიდან მსოფლიოს საკმარისად გააჩნია თეორიები და სხვა რამ ესაჭიროება. საჭიროა გამოცდილება, რომელიც ადამიანმა ბრძოლით მოიპოვა და ტკივილითა და ტანჯვით შვა. ეს ტკივილი არის ორმოცი წლის შემდგომი კრიზისი.

ცხოვრება ორმოცი წლის ასაკში იწყება. ჭეშმარიტად, ცხოვრება რეალობად მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ იქცევა. აქამდე ადამიანი ემზადებოდა. ოცი წლის შემდეგ ეს იყო მზადება საზოგადოებაში საპასუხისმგებლო ადგილის მოსაპოვებლად და შეცდომებს გარდუვალი შედეგები ჰქონდა.

ამ მომენტში სრულიად ახალი კითხვა იბადება.

რაში მდგომარეობს იგი? საიდან წარმოიქმნება და როგორ?

ორმოცი წლის შემდგომი კრიზისი თითქმის ყოველთვის უარყოფით ფორმას იღებს. შვებას ეძებენ გარკვეულ ცელილებებში. ამ დროს მანდილოსნები კოსმეტიკოსთან მიდიან და სურთ თავიანთი უფროსი ქალიშვილებივით გამოიყურებოდნენ, მამაკაცები ელეგანტურ ტანისამოსს იცვამენ, მრავალი ქორწინება კრიტიკულ წერტილს აღწევს, ძველი კავშირები ირღვევა და ახლები მყარდება.

როგორც წესი, ეს გადახრები ტრაგიკულია, რადგანაც მათ არ მოსდევს შინაგანი ცვლილება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეს სულიერი ინდივიდუალობის ხელახალი დაბადებით. ახალი პიროვნება მარტოოდენ სულიერი სამყაროდან იშვება. მხოლოდ ახლა აღწევს ადამიანი თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას, როგორც ორი სამყაროს, მიწიერისა და სულიერის, მოქალაქე და აღმოაჩენს, რომ შუამავალია მათ შორის. მხოლოდ ახლა შეიძლება მომწიფდეს მისი გამოცდილება, რათა სიბრძნედ იქცეს.

ამ სულიერი დაბადების ქარიშხალს მოსდევს მშვიდი პერიოდი, როცა მეს შესაძლებლობა აქვს იზარდოს და მომწიფდეს თავის საკუთარ სამყაროში. ეს ფაზა მხოლოდ სამოცი წლის საპენსიო ასაკში სრულდება. ინდივიდის უშუალო სოციალურმა ფუნქციამ დასასრულს მიაღწია და წლები, რომელთაც ბევრი არგუნებს მას, შეიძლება ნიშნავდეს, რომ შეუძლია სრულად განივითაროს შინაგანი ცხოვრება, ანდა რომ ყველაზე მწიფე ნაყოფს გადასცემს თავისი დროის კულტურას.

ახალგაზრდობა სამ ეტაპად იყოფა. თავად სიცოცხლეც სამი დიდი ფაზისგან შედგება: სიყრმე, განვითარების ფაზა და სულიერი სიმწიფის საფეხური.

თითოეული მათგანი დაახლოებით ოც-ოცდაერთ წელს გრძელდება.

აღზრდა-განათლების საჭიროება არ მთავრდება ოცდაერთი წლის ასაკში, ზრდასრულობის მიღწევისას. სიყრმის მასწავლებლებს სხვები ენაცვლებიან: ერთი მხრივ, თავად ცხოვრება, მეორე მხრივ, კი ინდივიდის საკუთარი მე.

საკუთარი თავის აღზრდა გრძელდება ზრდასრულობისას, ადამიანის მესა და ცხოვრებას შორის ურთიერთქმედების გზით. ჯერ ცხოვრებაა წამყვანი, შემდეგ კი მეს ჯერი მოდის.

აღზრდა-განათლებისა და სულიერი ზრდის ამ განუწყვეტელი პროცესის საიდუმლო მუდმივ ძიებაშია. შეცდომები საშიში არ არის. ისინი სახიფათოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი და იმავე შეცდომის დაშვება წლობით გრძელდება.

ჩვენს საზოგადოებას ძალზე ეშინია შეცდომებისა და ცდილობს, ყოველნაირად თავი დაიზღვიოს მათგან სახელმძღვანელოებისა და გამოცდების საშუალებით. იგი ვერ ხვდება, რომ როცა ცდილობს ერთი სახის შეცდომების თავიდან არიდებას, ამით სხვა სახის შეცდომებს იწვევს. ვინაიდან დაუჯერებელია, აღზრდა-განათლების სფეროში შეიძლებოდეს საბოლოო პასუხის მოძებნა.

ჩვენ უნდა ავიცილოთ ორი უკიდურესობა: პარალიზება ტრადიციული სახით და გაშმაგებული ექსპერიმენტირება.

პედაგოგიური სისტემის ერთადერთი ნამდვილი გარანტია შეიძლება იყოს ცალკეული მასწავლებლის პასუხისმგებლობის გრძნობა, მისი სურვილი, განაგრძოს ცხოვრებისაგან სწავლა და საკუთარი საქციელი უმაღლესი ცნობიერებით შეამოწმოს.

მასწავლებელი, რომელიც მთლიანად არაა დაკა-

ვებული საკუთარი თავის აღზრდით, ჭეშმარიტად ვერ აღზრდის ბავშვებს. იგი შეიძლება წარმატებით შეცვალოთ ვიდეოტექნიკით. ამგვარი საშუალებების გამოყენება შედეგია ნდობის დანაკლისისა მათ მიმართ, ვინც პროგრესისათვის იღვწის. და მაინც, შინაგანად მებრძოლი მასწავლებლის მიერ ჩაგარებული არასრულყოფილი გაკვეთილი გაცილებით მეტი პედაგოგიური ღირებულების მქონეა ბავშვისათვის, ვიდრე ტექნიკურად სრულყოფილი, წინასწარ ჩაწერილი გაკვეთილი.

კაცი, რომელიც მთელი თავისი მორალური ძალით ცდილობს წინსვლას, ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს მიუხედავად უცილობელი შეცდომებისა. ახალგაზრდები პატივს სცემენ მას, ვინაიდან გრძნობენ, რომ იგი მათივე ინდივიდუალურ ბრძოლასთან არის დაკავშირებული.

უნდა გაგვაჩნდეს მხნეობა გავრისკოთ, რათა წინ წავიდეთ. „თუ არ გსურთ გარისკვა, მაშინ მოგიხდებათ გაჩერება და სკამზე ჯდომა და ნახავთ, რომ სკამს შეიძლება ფეხი მოტყდეს და კისერი მოიმტვრიოთ“, – ამბობდა ხოლმე ჩემი სკოლის მასწავლებელი.

აღზრდა-განათლებისას გონივრულად გარისკვა ნიშნავს თავისუფლების მინიჭებას მაშინ, როდესაც პედაგოგები დარწმუნებულნი არიან თავიანთ ცოდნაში და გულწრფელ ძალისხმევებს მიმართავენ.

მასწავლებელთა შერჩევა მათი მომზადების დროსაც კი უნდა ხდებოდეს: მხოლოდ ისინი, ვისაც აქვს საგნისადმი დიდი ენთუზიაზმი, მხატვრული განვითარების პოტენციალი (რაც არაა მხატვრული ნიჭი) და ნება, განვითარდეს როგორც ინდივიდუალობა, უნდა გაიგზავნონ სკოლაში მასწავლებლად. მათ, ვინც არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, მომზადების

დროს უნდა მიეცეს ბიძგი სხვა მიმართულებით სვლისათვის. ეს არ ნიშნავს მათ უკუგდებას.

პედაგოგების მომზადების მთლიანი სისტემა ისე ღრმად უნდა შეიცვალოს, რომ ლექტორებსა და ახალგაზრდებს შორის დამყარდეს მეგობრობა და ყველა შეეცადოს, სწორი ადგილი იპოვოს ცხოვრებაში. მხოლოდ მაშინ შეიძლება მოველოდეთ, რომ მათ, ვინც არ გამოდგება მასწავლებლად, დროულად მიეცემათ ბიძგი, აირჩიონ სხვა პროფესია. მხოლოდ ამგვარად შეიძლება მოვიზიდოთ სხვა სასწავლებლებიდან ისინი, ვისაც პედაგოგიური ნიჭი აქვს.

მაგრამ მხოლოდ საკუთარი მეს აღზრდის ნება, რომელიც პასუხისმგებლობის გრძნობიდან ვითარდება, განსაზღვრავს *დარჩება* თუ არა ინდივიდი კარგ მასწავლებლად, ვინაიდან ბევრს, ვინც კარგად იწყებს, ყოველდღიური რუტინა გამოფიტავს ხოლმე.

ბრძოლა მონოტონურობის წინააღმდეგ უდიდესი პრობლემაა. უფრო იოლია მისი თავიდან აცილება მაშინ, როცა მასწავლებლებს შეუძლიათ თავიანთი საკუთარი მეთოდების არჩევა და ამდენად *პასუხისმგებლები* არიან საკუთარ აქტივობებზე.

სახელმწიფოს ან განათლების დეპარტამენტმა არ უნდა წაართვას მათ პასუხისმგებლობა, ვინაიდან ამ უკანასკნელის გარეშე პედაგოგი აუცილებლად რუტინის მსხვერპლი გახდება.

მასწავლებლები ჩვენი ხვალინდელი დღე არიან. ამიტომ შესაძლებელი უნდა იყოს საზოგადოების საუკეთესო ნაწილის მოზიდვა ამ ამოცანის შესასრულებლად. პედაგოგებს ხალხის მხრიდან ნდობა და მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ. მაშინ ისინი შეძლებენ თავიანთი მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას.